К 276-842
3

პროფ. ბ. ბ. ხაჩაპურიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს XIX და XX საუკუნეთა ისტორია

100000 000

სახელმწიფო გამომცემლობა • სასწავლო-პედაგოგიური სექტორი
თბილისი 1940 წელი

პროფ. ზ. ვ. ხაჩაპურიძე

(47.93)9
ქ-33
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს XIX და XX საუკუნეთა

ისტორია

~~9026~~
~~129970~~ 2 ~~5~~
К 276.842
3

Тбилисский филиал
Библиотека
МИЗЛ при ЦК ВКП (б)

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო გამომცემლობა • სასწავლო-პედაგოგიური სექტორი
თბილისი 1940 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი პირველი

საქართველო ცარიზმის მიერ ამიერ-კავკასიის დაპყრობის პერიოდში

საქართველოს მდგომარეობა XIX საუკუნის დასაწყისში

XIX საუკუნის დასაწყისშივე, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის მანიფესტით, აღმოსავლეთი საქართველო (ქართლ-კახეთის სამეფო) შეუერთდა მეფის რუსეთს, რომელიც ლენინმა დაახასიათა როგორც „ხალხთა საპყრობილე".

ესოდენ მდიდარი, გმირული ისტორიული წარსულის მქონე, თავისუფლების მოყვარული ქართველი ხალხი ამ პერიოდში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო.

მაშინ მთელ საქართველოში ირიცხებოდა არა უმეტეს 300 ათასი მცხოვრებისა, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოზე მოდიოდა 160 ათასამდე მცხოვრები. ქართლ-კახეთის დედა-ქალაქში — თბილისში იყო არა უმეტეს 3 ათასი სახლისა და მხოლოდ 20 ათასამდე მცხოვრები.

მეზობელ მთიელთა შეუწყვეტელი და ქვეყნის საშინლად ამაოხრებელი თავდასხმების, ფეოდალური შინაბრძოლისა და ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ ხშირი ომების შედეგად საქართველო საბოლოოდ აკლებული და განადგურებული იყო. მისი ოდესღაც აყვავებული ქალაქები და სოფლები ნანგრევებად და ფერფლად აქცეს, ხოლო ზოგიერთი მათგანი მიწასთან გაასწორეს და მათზე მოგონება-ღა დარჩა. განსაკუთრებით დაზარალდა აღმოსავლეთი საქართველო 1795 წელს ირანის შაჰის აღამაჰმადხანის უკანასკნელი შემოსევით. ასეთი საშინელი უბედურება ქართველ ხალხს არ განუცდია მონღოლთა შემოსევის (ჩინგის-ხანის და ტამერლანის დროს XIII — XIV საუკუნეებში) შემდეგ, როცა „მხარე ისე გაანადგურეს, რომ არც ერთი სახლ-კარი არ გადარჩენილა".

ბატონიშვილი თეიმურაზი თავის მოგონებაში აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღების შესახებ ამბობს: „სპარსთა ჯარები ღამით თბილისიდან თავის ბანაკში მიდიოდნენ, ხოლო გათენებისას ბრუნდებოდნენ ქა-

ლაქში, სადაც სასტიკ ძარცვა-გლეჯას ეწეოდნენ, მცხოვრებთა მიმართ უმაგალითო ძალადობას სჩადიოდნენ და სწვავდნენ საუკეთესო შენობებს". მაშინ 10 ათასზე მეტი ქართველი ტყვედ წაასხეს და ირანში დაასახლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთთან შეერთების პერიოდში საქართველოში ყველგან გაბატონებული იყო ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა. ფეოდალ მემამულეთა დიქტატურამ გლეხთა მასებს სასტიკი ექსპლოატაცია და მძიმე ჩაგვრა არგუნა. არსებობდა სხვადასხვა სახელწოდების 120-მდე ბეგარა, რომელსაც იხდიდნენ ყმა გლეხები თავიანთ მემამულეთა სასარგებლოდ.

მეფე ვახტანგ მეექვსის (1703 — 1724) კანონის მიხედვით, „ყმისა ყველა ბატონის არის". ქართველი ფეოდალები, განსაკუთრებით შინა ომების დროს, ულმობელად სძარცვავდნენ და იკლებდნენ გლეხებს. მშვიდობიან დროს კი მათ ართმევდნენ ყანა-ბაღებში მოწეული მოსავლის მეტ ნაწილს.

საქართველოში მაშინ გაბატონებული იყო ნატურალურ-პატრიარქალური მეურნეობა. გლეხის ოჯახში მზადდება არა მარტო საკვები პროდუქტები. შინ მოყვანილი ბამბიდან, შინ ნაპარსი ცხვრის მატყლიდან თვითონ გლეხები ამზადებდნენ ქსოვილს ტანსაცმელის შესაკერად, შინაური საქონლის მოქნილი ტყავიდან იკერავდნენ ფეხსაცმელს, ამზადებდნენ ოჯახში სახმარ სხვა საგნებს და ა. შ.

საქართველოს ქალაქები იმ ხანებში ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის ცენტრებს. მხოლოდ თბილისში ერეკლე მეორეს დროიდან (1744 — 1798) ჩნდება მრეწველობის ჩანასახი. დაარსდა ზარბაზნის, თოფისწამლის და მინის ქარხნები, გაჩნდა სტამბა, ზარაფხანა, დაიწყო ახტალის ვერცხლის, ტყვიისა და სპილენძის მადნების დამუშავება.

კეთილმოწყობილი საეტლო გზების უქონლობის, მუდმივი ომებისა და მთიელების შეუწყვეტელ თავდასხმათა გამო საქართველოში სუსტად იყო განვითარებული არა მარტო საგარეო, არამედ საშინაო ვაჭრობაც. 1803 წლის იანვარს ჩატარებული აღწერის მიხედვით თბილისში იყო სულ ფართლეულის 85 დუქანი, 63 საწვრილმანო, სურსათ-სანოვაგის 76 და ღვინის 40 დუქანი.

დასავლეთ საქართველო, რომელშიაც შედიოდა იმერეთის სამეფო ქალაქი ქუთაისითი, სამეგრელოს, გურიის და აფხაზეთის სამთავროები, ვასალურ დამოკიდებულებაში იყო თურქეთთან. აჭარა და ყოფილი მესხეთი (სამცხე-საათაბაგო), რომელიც წინათ საქართველოს ჯულტურული ცხოვრების კერას წარმოადგენდა, თურქეთის პროვინციებად გადაიქცა. სომხეთის ნაწილი, ჩრდილო-დასავლეთი კავკასია, ანუ ადიღეს ოლქი (ჩერქეზეთი) აგრეთვე თურქეთზე იყო დამოკიდებული. დღევანდელი აზერბეიჯანი და სომხეთის აღმოსავლეთი ნაწილი დაექვემდებარენ ირანს.

თავის მანიფესტში რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ ალექსანდრე პირველმა თვალთმაქცურად განაცხადა: „ძალთა შემატებისა ... რების, ქვეყნიერებაზე ისედაც უზარმაზარი იმპერიის ფარგლების გავრცელებისათვის კი არ ვკისრულობთ ჩვენ საქართველოს სამეფოს ტვირთს. მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და ადამიანობა გვაკისრებენ ჩვენ ამ სამღვთო მოვალეობას, ყურად ვიღეთ რა ტანჯულთა მუდარა, მათი ნაღველის გასაქარვებლად, დავაწესოთ საქართველოში ისეთი მართვა-გამგეობა, რომელსაც შეეძლება დაამყაროს მართლმსაჯულება, პირადი და ქონებრივი უშიშროება და მისცეს ყველას დაცვა კანონისა“. მაგრამ ცარიზმის ნამდვილი განზრახვა რუსეთთან შემოსაერთებელი საქართველოს მიმართ გამოხატა ჯერ კიდევ ალექსანდრე პირველის მამამ, იმპერატორმა პავლე პირველმა, როცა ის სწერდა: „მინდა, საქართველო გუბერნიად გადაიქცესო“.

საქართველოს რაიმე დამოუკიდებლობაზე ცარიზმი არც ფიქრობდა. რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ მანიფესტის გამოცემასთან ერთად გამოიცა დებულება საქართველოს მმართველობის შესახებ, რომელიც ზოგად ხაზებში ემსგავსებოდა ცენტრალური რუსეთის გუბერნიების მმართველობის დებულებას.

საქართველოს და ჩრდილო კავკასიის მთავარ სამხედრო და სამოქალაქო უფროსად იყო კავკასიის ხაზზე მომქმედი ჯარების მთავარსარდალი. საქართველოს უშუალო მართვა-გამგეობისათვის შეიქმნა რუსი მოხელეებისაგან შემდგარი ეგრეთწოდებული „საქართველოს უმაღლესი მმართველობა“. მის შემადგენლობაში შედიოდა 4 ექსპედიცია: 1) აღმასრულებელი, საგუბერნიო სამმართველოთა ჩვეულებრივი ფუნქციით, 2) სახაზინო-საფინანსო და სამეურნეო ნაწილის გამგებლობისათვის, 3) სამოსამართლო — სისხლის სამართლის საქმეებისათვის და 4) სამოსამართლო — სამოქალაქო საქმეებისათვის.

აღმოსავლეთ საქართველო დანაწილებულ იქნა 5 მაზრად: ლორი (სამაზრო ცენტრით ქალაქ თბილისში), გორის, დუშეთის, სიღნაღის და თელავის მაზრებად. მაზრებს განაგებდნენ კაპიტან-ისპრავნიკები, ხოლო ქალაქებში პოლიციური სამსახურისათვის დანიშნულ იქნენ კომენდანტები, რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ გოროდნიჩების (ქალაქის უფროსთა) უფლება-მოვალეობანი. თვითეულ მაზრაში შეიქმნა ეგრეთწოდებული სამაზრო სასამართლოები და საერობო პოლიციის გამგეობები, სადაც თავმჯდომარეებად რუსი მოხელეები იყვნენ.

ახასიათებდა რა რუსეთის მმართველობის სისტემას, კ. მარქსი სწერდა: „რუსეთის სამთავრობო სისტემა, — ყველგან, სადაც იგი დაკავშირებული არ არის ფეოდალურ დაწესებულებებთან, — განა იგივე არ არის, რაც სამხედრო ოკუპაცია, რომელშიაც სამოქალაქო ხელისუფლება და იური-

დიული იერარქია მოწყობილია სამხედრო საფუძვლებზე და რომლის ხარჯების გასტუმრება ხალხს ეკისრება". (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. IX, გვ. 397).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამყარებული მმართველობის სისტემის სამხედრო მეთოდებმა მოსახლეობისათვის განსაკუთრებით მძიმე ფორმები მიიღო საქართველოში. ყველგან გაბატონებული იყვნენ სამხედრო წრეები. სამოქალაქო დაწესებულებებში ფაქტიურად არ ხორციელდებოდა მმართველობის კოლეგიური პრინციპი (ქართველ თავად-აზნაურთა მონაწილეობა კოლეგიების წევრთა სახით). ყველა საქმეს განუსაზღვრელად განაგებდნენ მოხელეები — კოლეგიების თავმჯდომარეები. 1811 წელს მთელ რიგ დანაშაულთათვის შემოღებულ იქნენ სამხედრო სასამართლოები, რომლებიც იხილავდნენ საქმეებს ღალატის, საზღვარგარეთ გაქცევის, მტერთან კავშირის გაბმის და სხვათა შესახებ.

1815 წელს საქართველოში შეიქმნა თანამდებობა სამოქალაქო გუბერნატორისა, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა სამხედრო გუბერნატორის უფლებები.

ყველა დაწესებულებაში, მათ შორის სასამართლოშიაც, საქმის წარმოება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, რომელიც მოსახლეობამ არ იცოდა. ეს, რა თქმა უნდა, იწვევდა საშინელ გაუგებრობას, ხალხის მწვავე უკმაყოფილებას და მხოლოდ თარჯიმნებს უქმნიდა უზომო მოგება-გამორჩენის წყაროს.

ყველა დაწესებულებაში მაგრად გაიდგა ფესვები ხელისუფალთა განუსაზღვრელმა თვითნებობამ. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მექრთამეობა, საქმის განსაკუთრებული გაჭიანურება და მოსყიდვა. სასამართლოებში შეუძლებელი იყო რაიმე სიმართლის მიღწევა. უმნიშვნელო საკითხის გადაწყვეტა ზოგჯერ რამდენიმე წლით ჭიანურდებოდა.

1803 წელს საქართველოში ბოროტმოქმედებებთან საბრძოლველად შეიქმნა თანამდებობა პროკურორისა, რომელიც მიუჩინეს საქართველოს უმაღლეს მმართველობას. მაგრამ ამ თანამდებობაზე დანიშნული პროკურორები ერთი მეორეზე უფრო ბოროტმოქმედნი იყვნენ. ასე, პროკურორმა პლახოტინმა ხელი მიჰყო ვაჭრობას და სპეკულაციას და მთავარსარდალი იძულებული გახდა იგი დაეპატიმრებინა და საქართველოდან გაეძევებინა. პროკურორმა მელინმა 1821 წელს თბილისის ხაზინიდან მოიპარა 615 ჩერვონეცი. რუსეთის მეფის სასამართლოებთან ერთად საქართველოში შემოიღეს რუსეთში მომქმედ სასჯელთა სისტემაც: კატორღა, ციმბირში გადასახლება, ფიზიკური დასჯა წკეპლით, მათრახით, ჯოხით და ა. შ.

მეფის პოლიტიკის ყველაზე მტკიცე გამტარებელი საქართველოში იყო კავკასიის მთავარსარდალი თავადი ციციშვილი (1802 — 1806). თავადი ციციშვილი, წარმოშობით ქართველი (პაპა მისი რუსეთში გადასახლდა მეფე ვახტანგ მეექვსესთან ერთად) და ბაგრატიდთა სამეფო

გვარეულობის ნათესავი, გახდა ცარიზმის ერთერთ უერთგულეს მსახურად, საქართველოში მეფის პოლიტიკის დაუღალავ და ულმობელ გამტარებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის მმართველობის პირველ წლებში ბევრი ქართველი ფეოდალი ვერ შეურიგდა თავისი ძალაუფლების დაკარგვას და ცდილობდა გარეშე ძალების დახმარებით განთავისუფლებულიყო ცარიზმის ბატონობისაგან. ცარიზმის ერთერთი ყველაზე შეურიგებელი მტერი იყო ერეკლე მეორის შვილი, ბატონიშვილი ალექსანდრე. ის გავიდა საქართველოდან, დაუკავშირდა ქართველი ხალხის ძველის-ძველ მტერს — ირანის შაჰის მთავრობას და მისი დახმარებით ცდილობდა თავის თავი საქართველოს მეფედ გამოეცხადებინა.

ფეოდალთა წინააღმდეგობის დასაძლევად და შიგნიდან მათ დასასუსტებლად თავადმა ციციშვილმა რუსეთში გადაასახლა 70-მდე ქართველი ბატონიშვილი, ზოგი ძალით, ზოგიც კი წაიტყუა უზრუნველად ფუფუნებაში ცხოვრებით, რასაც მათთვის უზრუნველჰყოფდა მეფის მთავრობა რუსეთის ყმა გლეხობის ექსპლოატაციის ხარჯზე. თავადი ციციშვილი სამხედრო დარბევით იმუქრებოდა, ხოლო საცა საჭირო იყო იყენებდა წმინდა აზიურ დიპლომატიას, არ ერიდებოდა პირფერობის, მოსყიდვის სისტემას და ა. შ.

1803 წლის დეკემბერს თავად ციციშვილის აქტიური დახმარებით სამეგრელოს მთავარმა გ. დადიანმა თავისთავი მეფის რუსეთის ვასალად აღიარა. „ჩემი თავი, მთელი ჩემი კანონიერი ჩამომავლობით და, მთელი ჩემი სამფლობელოთი, — სწერდა იგი, — გადამიცია სრულიად-რუსეთის უმაღლესი სახელმწიფოსათვის მუდმივ და ერთგულ მონად და ქვეშევრდომად“. დამოუკიდებლობის დაკარგვის საზღაურად დადიანმა, სხვათა შორის, მიიღო მეფისაგან ალექსანდრე ნეველის ორდენი, სახელმწიფო დროშა, ძვირფასი ხმალი, ხოლო მისმა ცოლმა საჩუქრად მიიღო სიასამურის ტყავი და 10 ალაბი წითელი ხავერდი.

„მეფის წყალობის“ შეპირებამ იმდენად ვერ მოალბო იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, მაგრამ ციციშვილმა მოისყიდა სოლომონ მეორის შინაკაცები და აქაც თავისი გაიტანა. 1804 წლის ივნისს სოლომონ მეორემ და გ. დადიანმა სოფ. საჭილაოში ერთად ხელი მოაწერეს რუსეთის ქვეშევრდომობის ხელშეკრულებას. ვინაიდან გურია მაშინ ნომინალურად იმერეთის შემადგენლობაში შედიოდა, იმერეთთან ერთად, ყოველგვარი განსაკუთრებული ტრაქტატის გარეშე იგი მაშინვე აღიარებულ იქნა რუსეთისაგან დამოკიდებულ მხარედ.

შეუერთა რა, ამრიგად, რუსეთს დასავლეთ საქართველო, ცარიზმმა ნაწილობრივ პოლიტიკური მიზეზებით, უმთავრესად კი ეკონომიური მოსაზრებით, მმართველობის ხარჯებისათვის საჭირო სახსრების მომჭირნეობის მიზნით გადასწყვიტა ჯერჯერობით სავსებით არ ჩამოეშორებინა ხელისუფლებისაგან ფეოდალური ზედა ფენა, როგორც ეს მან მოიმოქ-

მედა აღმოსავლეთ საქართველოში. თავადი ციციშვილი უტიფრად სწერ-და ამის თაობაზე: „სტოვებს რა მეფეებს მათს მოჩვენებითს მეფობაში, რუსეთის სრულ ქვეშევრდომობაში, მისთვის ხელსაყრელ პირობებში, პერია თავიდან იცილებს ხარჯებს, რომელსაც მოითხოვდა რუსეთის მმართველობის შემოღება". (ნ. დუბროვინი. „ამიერ-კავკასია 1803—1806 წლებში", გვ. 243).

რუსეთის მიერ აღმოსავლეთ და სამხრეთ ამიერ-კავკასიის დაპყრობა

თავად ციციშვილის დროს მოეწყო მთელი რიგი სამხედრო ლაშქრობა და ექსპედიცია ცარიზმის მიერ ამიერ-კავკასიაში ახალი მიწების დასაპყრობად. კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე, მდინარე ალაზანსა და კავკასიის მთავარ ქედს შუა მდებარეობდა ჭარი-ბელაქნის ლეკთა დამოუკიდებელი თემები. 1803 წელს თავადმა ციციშვილმა ლეკთა წინააღმდეგ მოაწყო დიდი სამხედრო ექსპედიცია გენერალ გულიაკოვის მეთაურობით. ჭარელ-ბელაქნელი ლეკები იძულებული იყვნენ ძალას დამორჩილებოდნენ და ეცნოთ, რომ ისინი დამოკიდებული არიან რუსეთისაგან. მათ დაადვეს ყოველწლიური დიდი ხარკი—ხამი აბრეშუმის გადახდა. როცა უზომო ხარკის მოთხოვნის ნიადაგზე ლეკები უარს ამბობდნენ მის გადახდაზე, თავადმა ციციშვილმა მათ გამოუცხადა: „ან დაგვემორჩილეთ, ან აღიგავეთ პირისაგან მიწისა!" ხოლო როცა ლეკები არ შეუშინდნენ ამ მუქარას და მედგარი წინააღმდეგობა გასწიეს, თავადმა ციციშვილმა გასცა შემდეგი ბრძანება:

„ურჯულო არამზადებო!.. მოესწრებით ჩემს მანდ მოსვლას, და მაშინ სახლებს კი არ დაგიწვამთ, თვითონ თქვენ დაგწვამთ, თქვენს ბავშვებსა და ცოლებს გამოვშიგნი. თქვენ ბგონიათ პურის აღებამდე დამშვიდებით იქნებით, მაგრამ ღმერთს გეფიცებით, რომ ვერ სჭამთ ჭარულ პურს, ვიდრე არ გადაიხდით იმას, რასაც გთხოვენ. აი, მოღალატენო, ჩემი უკანასკნელი სიტყვა". (აქტები, ტ. II, გვ. 691).

1804 წელს ციციშვილმა დაიწყო ერევნის სახანოს დაპყრობა მაგრამ ამჯერად გალაშქრება ერევანზე უშედეგოდ დამთავრდა. ერევნის ციხის ორი თვის გარემოცვის შემდეგ თავადი ციციშვილი იძულებული იყო, საქართველოში დაწყებული აჯანყების გამო, ალყა მოეხსნა და თბილისში დაბრუნებულიყო. მხოლოდ ეჩმიაძინის მონასტრის გაძარცვა იყო ამ ლაშქრობის შედეგი.

იმ საბაბით, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მომიჯნავე განჯის სახანო ოდესღაც საქართველოსთან ვასალურ დამოკიდებულებაში იყო, ხოლო განჯის ხანს არ სურდა ეცნო საქართველოს შეერთება რუსეთთან, თავადმა ციციშვილმა გაილაშქრა განჯის (ამჟამად კიროვაბადის) ციხეზე. 1804 წელს მან იერიშით აიღო ეს მაგარი ციხე, შემოიღო ამ სახანოში

რუსული მმართველობა, ხოლო ქალაქ განჯას სახელი გადაარქვა და უწოდა ელისავეტპოლი.

1805 წელს თავადმა ციციშვილმა რუსეთს შეუერთა ყარაბაღის, შექინის და შირვანის სახანოები. ხანები დატოვებულ იქნენ ადგილობრივ-ების სათავეში, მაგრამ მათ ეკისრებოდათ რუსეთისათვის ფულადი და ნატურალური ხარკის გაღება.

1806 წელს თავადმა ციციშვილმა განიზრახა ძალით დაეპყრო ბაქოს სახანო, რომლის მფლობელი არ თანხმდებოდა ნებაყოფლობით ეცნო თავისი დამოკიდებულება რუსეთისაგან. ბაქოზე სალაშქროდ წავიდა თვითონ თავადი ციციშვილი, მაგრამ ქალაქის ჭიშკართან იგი მოკლული იქნა ვერაგულად, როცა ბაქოს ციხეს მიადგა, რომ მიეღო ჭიშკრის გასაღები. ბაქოს და ყუბის სახანოები ცარიზმმა დაიპყრო უკვე თავად ციციშვილის სიკვდილის შემდეგ, 1806 წლის შემოდგომაზე (მთავარსარდლის გრაფ გუდოვიჩის დროს).

მეფის რუსეთის ენერგიული წინსვლა და გამაგრება ამიერ-კავკასიაში მეტისმეტად ბღალავდა თურქეთის და ირანის ინტერესებს, რომელნიც ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებს უყურებდნენ როგორც თავიანთ ვასალურ სამფლობელოებს. ეს საკმაოდ აფიქრიანებდა ევროპის სახელმწიფოებსაც, განსაკუთრებით ინგლისსა და საფრანგეთს, რომელთაც აშინებდა რუსეთის გაძლიერება აზიაში. ინგლისის და საფრანგეთის მთავრობანი აშკარად არ გამოდიოდნენ, მაგრამ გაძლიერებით აწვდიდნენ თურქეთსა და ირანს ფულს, იარაღს, ეხმარებოდნენ მათ გაეტარებინათ აუცილებელი სამხედრო რეფორმები შაჰის და სულთანის არმიებში, რათა მათ ჰქონებოდათ უნარი წინააღმდეგობა გაეწიათ ცარიზმის მიერ ამიერ-კავკასიის სამხედრო დაპყრობისათვის. ასე, ფრანგებმა ირანში მოაწყეს სარბაზთა კორპუსი, ააგეს ზარბაზნის ქარხანა, გადააკეთეს და გააძლიერეს ციხეები და ა. შ.

ინგლისის და საფრანგეთის ზეგავლენით ირანმა 1805 წელს, ხოლო თურქეთმა 1806 წელს ომი გამოუცხადეს რუსეთს.

მაგრამ რუსეთის ჯარების მიერ მთელი რიგი სასტიკი დამარცხების შემდეგ, ირანი 1813 წელს იძულებული გახდა დათანხმებულიყო ზავის შეკვრას ცარიზმთან. რუსეთმა და ირანმა გიულისტანში ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების თანახმად, რუსეთის ხელში „საუკუნოდ" გადავიდა ბაქოს, ყუბის, ტალიშის, ყარაბაღის, განჯის, შექის და დარუბანდის სახანოები. ირანმა ხელი აიღო ყოველგვარ პრეტენზიებზე საქართველოსა და დაღისტნის მიმართ, მან აიხადა უფლება ჰყოლოდა ფლოტი კასპიის ზღვაზე და მთელი რიგი შეღავათები მიანიჭა რუსებს ვაჭრობის დარგში. 1812 წელს რუსეთსა და საფრანგეთს შორის დაწყებული ომის გამო ასევე წარმატებით ვერ დამთავრდა რუსეთის ომი თურქეთთან. ბუქარესტის ზავის (1812 წ.) თანახმად, რუსეთი იძულე-

ბული იყო დაებრუნებია თურქეთისათვის მისთვის წართმეული ციხეები — ახალქალაქი, ფოთი და ანაპა. ამან რამდენადმე შეანელა ცარიზმის შემოტევა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს რაიონში, მაგრამ მას არ შეეძლო საბოლოოდ შეეჩერებინა ეს მოძრაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ 1809 წელს აფხაზეთის მთავარი, მსხვილი ფეოდალი, საფარ-ბეი ჩაჩბა შარვაშიძე სწერდა რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე მესამეს: „ჩემი თავი და ჩემთან ერთად აფხაზეთი და ყველაფერი, რაც აფხაზეთს აბადია, გადამიცია სრულიად-რუსეთის ყოვლადუმოწყალესი და ყოვლადუავგუსტოესი მონარქიის ტახტის მემკვიდრეობითი ქვეშევრდომობისა და მონობისათვის.“ (აქტები, ტ. III, გვ. 209).

1810 წელს ქალაქ სოხუმში შევიდნენ რუსეთის ჯარები. ამ დროიდან აფხაზეთში იწყება ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარება.

1810 წელს რუსეთს საბოლოოდ შეუერთდა იმერეთი. იმერეთის მეფე სოლომონ მეორე რამდენჯერმე შეეცადა დაებრუნებინა სამეფო, ამისათვის დახმარებას სთხოვდა ახალციხის ფაშას, მაგრამ ეს ცდები მარცხით დამთავრდა და ის იძულებული გახდა გაქცეულიყო თურქეთში, სადაც გარდაიცვალა.

1811 წელს ყოფილ იმერეთის სამეფოს ეწოდა იმერეთის ოლქი. აქ თავდაპირველად შემოიღეს აღმოსავლეთ საქართველოსაგან განცალკევებული „დროებითი მმართველობა“, შემდეგ კი იმერეთი შეუერთეს „საქართველოს გუბერნიას“, რომელსაც მთლიანად შემდგომ ოფიციალურად ეწოდებოდა, „საქართველო — იმერეთის გუბერნია“.

პოლიტიკური მოსაზრებით, ამ გუბერნიისათვის მთელ დასავლეთ საქართველოდან არ შეუერთებიათ: გურია 1826 წლამდე, სამეგრელო — 1857 წლამდე და აფხაზეთი 1862 წლამდე და სვანეთი 1858 წლამდე. მათ საკუთარი მთავრები განაგებდნენ.

საქართველოს მთავარმმართველობის ხაზით თავად ციციშვილის მონაცვლეთა შორის ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკის ყველაზე გულმოდგინე განგრძობი იყო მთავარსარდალი, გენერალი ა. ერმოლოვი (1816 — 1827). ულმობელი სისასტიკისათვის, რომელსაც იჩენდა მეფის ეს სატრაპი ხალხის გამოსვლების ჩაქრობაში, კავკასიის მოსახლეობამ მას ახალი ჩინგის-ხანი უწოდა. გენერალი ერმოლოვი დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ დაშინებით, მოსახლეობის ულმობელად დასჯით შეიძლება წარმატებით მართო და დააწყნარო კავკასია. იმერეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მეფე ალექსანდრე პირველისათვის გაგზავნილ მოხსენებაში გენერალი ერმოლოვი იძულებულია აღიაროს, რომ იმერეთის მოსახლეობა ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ „მამები ლუკმა პურისათვის ჰყიდდენ ბავშვებს მუდმივ მონებად, ხოლო სასოწარკვეთილი დედები შიმშილით ღონემიხდილ ბავშვებს ჰყრიდნენ ტყეში და გზაზე“. (აქტები, ტ. IV, ნაწილი I, გვ. 353).

გენერალ ერმოლოვის საქმიანობა კავკასიაში ჩატარდა ურიცხვ სამხედრო ლაშქრობაში და დაუსრულებელ ექსპედიციებში, რასაც თან სდევდა თავისუფლების მოყვარე მოსახლეობასთან ანგარიშის სასტიკად გასწორება, სოფლების მოსპობა, ქალთა, ბავშვთა და მოხუცთა მკვლელობანი, „ურჩთა“ ქონების განადგურება. თავის „მოგონებებში“ გენერალი ერმოლოვი თვითონ იგონებს, თუ როგორ მოსპო მან, მაგალითად, მდინარე თერგის პირად მდებარე სოფელი დადან-გორტი. გენერალმა ერმოლოვმა უბრძანა მოსახლეობას აყრილიყო სოფლიდან, ურჩები კი, მისი ბრძანებით, უნდა „დაესაჯათ იარაღით და არავინ არ დაენდოთ“.

1826 წელს ცარიზმს უნდა დაეწყო ახალი ომი ირანთან, რომელიც ინგლისის გავლენით დაჟინებით მოითხოვდა რუსეთთან ზუსტი საზღვრების დაწესებას, თანახმად გიულისტანის ხელშეკრულებისა. მაგრამ მიუხედავად ინგლისის დახმარებისა რუსეთის ჯარებმა მთელი რიგი გამარჯვება მოიპოვეს შაჰის ჯარებზე და აიღეს ერევნის ციხე. თურქმენჩაის ზავის (1828 წ.) თანახმად, ირანი იძულებული იყო დაეკმაყოფილებინა რუსეთის ყველა მოთხოვნა და დაეთმო მისთვის ერევნის და ნახჭევნის სახანოები. ირანიდან შემოერთებული მიწებიდან ცარიზმმა შეჰქმნა ამიერკავკასიაში სომხეთის ოლქი. ამის შემდეგ რუსეთს გაუჩნდა სტრატეგიულად ხელსაყრელი საზღვარი ირანთან მდინარეების — მტკვრის, არაქსის და არფა-ჩაის ხაზით.

ირანთან წარმოებული ომის დროს და ამ ომის შემდეგ რუსეთი ძლევამოსილ ომს აწარმოებდა თურქეთთან. უკანასკნელთან დადებული ადრიანოპოლის ზავის (1829 წ.) თანახმად, თურქეთმა რუსეთის სასარგებლოდ ხელი აიღო ყოველგვარ პრეტენზიაზე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მიმართ, ანაპიდან (ჩრდილოეთით) მდინარე ჩოლოქამდე (სამხრეთით). რუსეთმა მიიღო ახალციხის საფაშოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ციხეები: ახალციხე, აწყური, ახალქალაქი და ფოთი. რუსეთის საზღვრებმა თურქეთთან ამიერ-კავკასიაში პირველისთვის სტრატეგიულად ხელსაყრელი მდებარეობა მიიღო. გარდა ამისა, ამ ზავის მიხედვით, რუსეთის ქვეშევრდომთ მიენიჭათ თურქეთის იმპერიის ტერიტორიაზე თავისუფალი ვაჭრობის უფლება. თურქეთს რუსეთისათვის უნდა გადაეხადა მნიშვნელოვანი ფულადი კონტრიბუცია (11,5 მილიონი დუკატი). რუსეთმა გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა შავ ზღვაზე. რუსეთის ყველა გემს, აგრეთვე რუსეთთან მშვიდობიან განწყობილებაში მყოფ ერთა გემებს, შეეძლოთ თავისუფლად გავლა დარდანელის და ბოსფორის სრუტეებში.

ჩამოთვლილი ომების შედეგად, რომლებსაც მეფის რუსეთი აწარმოებდა ამიერ-კავკასიაში ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ, საქართველოს შემოერთების შემდეგ და უკანასკნელის, როგორც თავის აგრესიისათვის საჭირო პლაცდარმის, გამოყენებით, რუსეთმა XIX საუკუნის 30-იან წლებისათვის საბოლოოდ განამტკიცა თავისი მდგომარეობა

ამიერ-კავკასიაში. თუმცა კიდევ ძალიან დიდხანს გრძელდებოდა დამპყრობლებისათვის შეუპოვარი ბრძოლა კავკასიის ხალხების მხრით, რომლებსაც ცარიზმი იმონავებდა, მაგრამ რუსეთის სტრატეგიული საზღვრები ირანთან და თურქეთთან ამ დროისათვის მტკიცედ იყო დაცული.

სტატიაში „ყარსის დაცემა" კ. მარქსმა საუცხოოდ შეაფასა ის მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა ცარიზმისათვის ირანთან და თურქეთთან წარმოებულ ომებში საქართველოს შემოერთებას და ისეთი მნიშვნელოვანი პუნქტის ფლობას, როგორიც თბილისია, რომელიც რუსეთის ხელისუფლების ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენდა აზიაში.

აქ იმყოფებოდა კავკასიაში მომქმედი რუსეთის არმიის მთავარი შტაბი, აქ მუშავდებოდა საომარი მოქმედების გეგმები. აქ მდებარეობდა იარაღის და სხვა საბრძოლო მასალების საწყობები, აქ თავს უყრიდნენ ტრანსპორტს ჯარების გადასაყვანად და მათი მომარაგებისათვის.

ომის ასპარეზის მახლობლად მცხოვრები საქართველოს მოსახლეობა თავის თავზე განიცდიდა მიმდინარე ომების მთელ სიმძიმეს. გლეხებს ჯარებისათვის უნდა მიეწოდებინათ ურმები, ხარები, ბარგის ცხენები, ტრანსპორტისათვის შეეკეთებინათ გზები, ჯარისათვის მიეწოდებინათ მტკიცე ფასებში სურსათი და ფურაჟი. გარდა ამისა, საქართველოს მოსახლეობას იწვევდნენ საომარ მოქმედებაში უშუალო მონაწილეობის მისაღებად.

განსაკუთრებით სამძიმო მდგომარეობაში რუსეთის სამხედრო სარდლობა გასცემდა ხოლმე განკარგულებას, რათა ადგილობრივი მოსახლეობიდან ჯარში გაეწვიათ მოხალისე მოლაშქრენი საზღვრების დასაცავად და საომარ მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად. ამასთან ჩვეულებრივ მოლაშქრეთა შენახვა მთლიანად ადგილობრივ მოსახლეობას ეკისრებოდა.

ასეთი მოლაშქრენი რამდენჯერმე შეაგროვა გენერალმა ერმოლოვმა. 1829 წელს, თურქეთთან ომის დროს, მთავარსარდალმა გენერალმა პასკევიჩმა გასცა განკარგულება შეეგროვებინათ საქართველოში 6 ათასი ქვეითი მილიციელი. ირანთან ომის დროს რუსეთის ჯარების შემადგენლობაში მოქმედებდა ქართული კავალერია 1600 მხედრის რაოდენობით. გარდა ამისა, რუსეთის რეგულარულ არმიაში ოფიცრებად მსახურობდა საკმაოდ ბევრი ქართველი თავად-აზნაური, რომელნიც იცნობდნენ ადგილობრივ პირობებს, იცოდნენ ადგილობრივი ენები და რუსეთის ჯარებში შეუნაცვლებელ კადრებს წარმოადგენდნენ. რუსეთის არმიაში ოფიცრად მსახურობდა, სხვათა შორის, ცნობილი ქართველი პოეტი ა. ჭავჭავაძე, რომელიც სამხედრო ავტორიტეტების აღიარებით, ნიჭიერი და საყვარელი მეთაური იყო რუსი ჯარისკაცებისათვის.

საქართველო კოლონიური და ბატონყმური უღლის ქვეშ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში თავისი ბატონობის განსამტკიცებლად და აღმოსავლეთ-კავკასიაში თავისი დაპყრობით გეგმების განსახორციელებლად მეფის მთავრობას დასაყრდენი უნდა ეძებნა ქვეყნის გაბატონებულ კლასებში და უწინარეს ყოვლისა ქართველ თავად-აზნაურობაში.

მას შემდეგ, რაც ცარიზმმა პოლიტიკური ძალაუფლება წაართვა ფეოდალურ დიდკაცობას და საქართველოდან რუსეთში განდევნა ყოფილი მეფის გვარეულობის წევრები, იგი განსაზღვრულ სოციალურ პოლიტიკას მისდევდა: „არა თუ შეელახა უმაღლესი წოდების უფლებანი, არამედ ყველა ღონისძიებით ცდილიყო დაეცვა და განემტკიცებინა ისინი".

ქართველი თავად-აზნაურობა უფლებებით გაუთანაბრეს „რუსეთის კეთილშობილ წოდებას", ე. ი. რუსეთის თავად-აზნაურობას. გენერალ ერმოლოვის დროს განმარტეს: მხოლოდ თავად-აზნაურებს შეუძლიათ საქართველოში ყმებსა და დასახლებულ მამულებს ფლობდნენო. მემამულენი პასუხისმგებელნი იყვნენ იმისათვის, რომ ყმებს პირნათლად ეხადათ სახელმწიფო ბეგრები და სოფლებში სრული წესრიგი ყოფილიყო. რა მხეცური თვითნებობაც არ უნდა ჩაედინა მემამულეს თავის მამულში, ის დაუსჯელი რჩებოდა. რუსეთის კანონმდებლობა მტკიცედ იცავდა ქართველი თავად-აზნაურობის ფეოდალურ უფლებებს. მაზრის ხელისუფლებსაც კაპიტან-ისპრავნიკს და კომენდანტებს არ ჰქონდათ მემამულეთა და გლეხთა შინაგან ურთიერთობაში ჩარევის უფლება. 1807 წელს გამოსცეს ისეთი კანონიც, რომლის მიხედვით გლეხებს ეკრძალებოდათ თავიანთ მემამულეებზე საჩივრის შეტანა. მემამულესა და გლეხებს შორის წამოჭრილი ყველა სადაო საქმე უნდა გადაეწყვიტა მემამულეს თავის შეხედულებისამებრ. იყო შემთხვევები, როცა თავად-აზნაურები უკანონოდ იჩემებდნენ ბატონობას გლეხებზე და მათ თავის ყმებად აცხადებდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც გლეხებს ბოლოს და ბოლოს აეკრძალათ თავის უფლებათა ძიება სასამართლოს მეშვეობითაც.

1832 წელს, ქართველმა თავად-აზნაურებმა მიიღეს უფლება—ურჩი ან რაიმე დანაშაულის ჩამდენი გლეხები, დასჯის წესით, გაეგზავნათ ჯარისკაცებად (ხოლო ჯარისკაცის სამსახური მაშინ 25 წელიწადს გრძელდებოდა) ან გადაესახლებინათ კავკასიის სამხედრო ხაზზე.

გლეხები, რომლებმაც ვერ აიტანეს მემამულური ჩაგვრა და ექსპლოატაცია, ხშირად დააგდებდნენ ხოლმე თავის ქონებას, მშობლიურ კარმიდამოს, გამოექცეოდნენ მემამულეებს და სახლდებოდნენ ახალ ადგილებზე, სადაც შეძულებულ მებატონეს ხელი ვერ მიუწვდებოდა. გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან გამოქცეული გლეხები ჩვეულებრივ თავშესაფარს პოულობდნენ კახეთში, სადაც მაშინ ჯერ კიდევ ბევრი თა-

ვისუფალი მიწა იყო ან იმალებოდნენ თბილისში, სადაც შეულობდნენ ქირას როგორც შავი მუშები.

მემამულეთა უფლებების დასაცავად და ლტოლვილ გლეხთა მოძალეების შესამცირებლად, მეფის ხელისუფლებამ, თავად-აზნაურთა მოთხოვნით, 1830 წელს შემოიღო საპასპორტო სისტემა და იგი სასტიკად სდევნიდა ლტოლვილ გლეხებს.

მთავრობა მკაცრად ადევნებდა თვალყურს, რომ ყმებს პირნათლად შეესრულებინათ ფეოდალურ-ბატონყმური ბეგრები და ისინი სიტყვაშეუბრუნებლად დამორჩილებოდნენ ხოლმე თავიანთ მემამულეებს. ურჩ სოფლებში ხელისუფლება დამსჯელ ექსპედიციებს აგზავნიდა და სასტიკად სჯიდა გლეხებს სულ მცირეოდენი ურჩობისათვის თავად-აზნაურთა მიმართ.

ქართველმა თავად-აზნაურებმა, რუს თავად-აზნაურთა თანაბრად, მიიღეს უფლება ჰყოლოდათ თავისი კლასობრივი ორგანიზაცია—თავადაზნაურობის ეგრედწოდებულ დეპუტატთა საკრებულო, აერჩიათ თავისი წრიდან თავად-აზნაურობის საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლები. თავად-აზნაურებს მიენიჭათ სწავლა-განათლების მისაღებად ყოველგვარი უპირატესობანი და შეღავათები. თავად-აზნაურთა შვილებისათვის თბილისში დაარსდა „კითილშობილთა" სასწავლებელი და დაწესდა სტიპენდიები რუსეთის სასწავლებლებში. თავად-აზნაურები ეწყობოდნენ სახელმწიფო თანამდებობებზე. განსაკუთრებით ფართოდ აბამდნენ მათ სამხედრო და საპოლიციო სამსახურში, ისინი ღებულობდნენ დიდ პენსიებს, მეფის ორდენებს და ყოველგვარ სხვა ჯილდოებს.

იმხრობს რა თავად-აზნაურობას აღნიშნული ღონისძიებებით, მეფის მთავრობა ამავე დროს ეძებს თავის დასაყრდენს აგრეთვე ქალაქის საკაჭრო ბურჟუაზიაში, ეგრედწოდებულ მოქალაქეებში, რომელთა უმრავლესობა საქართველოში ეროვნებით სომხები იყვნენ. ბურჟუაზიამ ცარიზმისათვის დაიწყო შუამავლის როლის თამაში ქვეყნის კოლონიური ექსპლოატაციის საქმეში. ცარიზმს, რომელიც ყოველგვარ შეღავათებს აძლევდა საქართველოს ბურჟუაზიას, ამასთან ერთად მხედველობაში ჰქონდა თანდათანობით განემტკიცებინა „მშობლიური" რუსი ბურჟუაზიის პოზიციები თვით ამიერ-კავკასიაში და მის მომიჯნავე ირანსა და თურქეთში, ხოლო შემდეგ უკუეგდო ადგილობრივი ბურჟუაზიის შუამავლობა.

საკაჭრო ბურჟუაზია თბილისში და საქართველოს ზოგიერთ სხვა ქალაქებში (ახალციხე, გორი), ხელოსნების თანაბრად, გაერთიანებული იყო ეგრეთწოდებულ საამქროებში (დასავლეთ ევროპის ამქრების მსგავსად). მას ჰქონდა თავისი წოდებრივი სასამართლო, არჩეული უსტაბაშები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ამქრული წესებისა და ჩვეულების დაცვას, მონაწილეობას ღებულობდნენ ვაჭრობის გადასახადების, საქალაქო გამოსაღებთა განაწილებაში და ა. შ.

ბურჟუაზიამ ცარიზმისაგან მიიღო მთელი რიგი შეღავათები და უბი-
რატესობანი, მათ შორის: სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლება,
უფლება უბაჟოდ ვაჭრობისა ამიერ-კავკასიაში, არმიისათვის, ფლოტისა
სანარდო წესით მიწოდების უფლება, თევზის, ნავთის და სხვა სარეწ-
ოთა იჯარით აღებისა და ექსპლოატაციის უფლება და ა. შ. ბურჟუაზიის
ბევრი გავლენიანი და ყველაზე მდიდარი წარმომადგენელი, რომელიც
სახელმწიფო სამსახურში ეწყობოდა, ღებულობდა ნამსახურობისათვის
და დასაჯილდოვებლად არა მარტო ხარისხს, არამედ ცალკეულ შემთხვე-
ვებში რუსეთის მკვიდრი აზნაურის უფლებებსაც.

საქართველოში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წარმატებას დი-
დად უწყობდა ხელს როგორც ქართველი, ისე სომეხი და მაჰმადიანი
მრავალრიცხოვანი სამღვდელოებაც. ცარიზმი იზიდავდა სამღვდელოებას
მისი მატერიალური მდგომარეობის მოწყობით, კულტის მსახურთათვის
ჯამაგირის დანიშვნით, მათი შვილებისათვის სასულიერო სასწავლებელ-
თა მოწყობით, ჯილდოებით, ორდენებით და წარჩინების ყოველგვარი
ნიშნებით. 1808 წელს გამოიცა კანონი, რომლითაც საქართველოში სა-
სულიერო წოდების პირნი თავისუფლდებოდნენ ბატონყმობისაგან. 1810
წელს, როცა პოლიტიკური მოსაზრებით საქართველოს ეკლესიას ჩამო-
ართვეს მამულები და ყმები ამის ასანაზღაურებლად სამღვდელოებას და-
უწესეს ხაზინიდან ფულადი დახმარების მიღება ყოველწლიურად 40.000
მანეთამდე. 1811 წელს საქართველოს ეკლესიას მოუსპეს დამოუკიდე-
ბელი მმართველობა (ავტოკეფალია) და იგი რუსეთის სინოდს დაუმორ-
ჩილეს, კათალიკოსის ნაცვლად შეჰქმნეს ეგზარქოსის თანამდებობა, ხო-
ლო 1818 წლიდან მეფის მთავრობამ დაიწყო ეგზარქოსის თანამდებობა-
ზე უკვე არა ქართველების, არამედ რუსების დანიშვნა. საქართველოს
პირველი რუსი ეგზარქოსი იყო რიაზანის ყოფილი არქიეპისკოპოსი, ცნო-
ბილი რუსიფიკატორი თეოფილაქტე, რომელმაც თავისი ღონისძიებებით
გამოიწვია იმერეთში გამოსვლა 1819 — 20 წლებში.

საქართველოს ექსპლოატატორული კლასების (თავად-აზნაურობის,
ბურჟუაზიის და სამღვდელოების) მატერიალური კეთილდღეობის მოწყო-
ბით ცარიზმს უეჭველია, ისინი თავის მხარეზე გადაყავდა, და ეს კლა-
სები მისთვის მტკიცე დასაყრდენი ხდებოდა კოლონიური პოლიტიკის,
მშრომელი მასების ულმობელი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის პოლიტი-
კის გატარებაში.

საქართველოში რუსული მმართველობის შემოღებისთანავე, მას, ჯა-
რებს გარდა, ბრბოსავით მოაწყდნენ რუსი მოხელეები, იოლი გამდიდრე-
ბის ყოველგვარი მაძიებლები და ბნელი მოსაქმენი. მშრომელი მოსახლე-
ობა, რომელიც წინათაც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ცარიზმის
ბატონობის დამყარების შემდეგ განიცდიდა კიდევ უფრო უსირცხვილო
ყვლეფას და აშკარა ძარცვას. გლეხებს უნდა ეხადათ უზომოთ დიდი სა-
ხაზინო გადასახადები, მოეხადათ ურიცხვი ნატურალური ბეგარა: გზების

გასაყვანად, არმიისათვის პურის, ფურაჟის მისაწოდებლად და ა. შ. გლეხებისათვის განსაკუთრებით სამძიმო იყო საჭაპნე ბეგარა. მშვიდობიან დროსაც კი საქართველოს გლეხებს ყოველწლიურად უნდა გამოეყვანათ 112.154 ურემი, რომლებშიაც გაბმული იყო ხარები და ვამეჩები, და 99.780 ბარგის ცხენი გამყოლებითურთ.

გლეხებს ანადგურებდა ჯარისკაცთა დაუსრულებელი ჩაყენება და ის თვითნებობა, რასაც სამხედრო წრეები სჩადიოდნენ. მაგალითად, ანანაურის კაპიტან-ისპრავნიკმა გადასწვა ოსი გლეხების რვა სახლი და მასთან ერთად მოსპო მათი ქერის მთელი მარაგი, თუმცა მათ არავითარი საამისო საბაბი არ მიუციათ. მუხრანში სახაზინო საჯინიბოს ასაგებად მან მოითხოვა სამუშაოდ 251 გლეხი და 350 ურემი. ზოგიერთი კაპიტანი-ისპრავნიკი გლეხებს უაღრესად ბარბაროსულად ეპყრობოდა, აბუჩად იგდებდა. ასე, ანანურის იგივე კაპიტანი-ისპრავნიკი, როგორც გამორკვეულია ოფიციალური მოხსენებით, „ჩამოვიდა სოფ. ყამურში, შეიპყრო ოსები, გობში სადაც ძაღლებს აჭმევენ, ჩაასხა წაქი, შიგ ჩააგდო მკვდარი კატები, აგრეთვე ჩაყარა ადამიანის განავალი და ეს შეაჭამა“ (აქტი, ტ. II, გვ. 311 — 312).

კიდევ უფრო მძიმე იყო ყმების მდგომარეობა. მათ, გარდა სახაზინო გადასახადებისა, უნდა მოეხადათ თავიანთ მემამულეთა სასარგებლოდ მრავალრიცხოვანი ბეგარა, დაემუშავებინათ მემამულეთა ყანა და ვენახი, მოეწიათ მოსავალი და თავისი ურმით გადაეტანათ იგი, საცა მემამულე უბრძანებდა.

მემამულის სასარგებლოდ მიდიოდა აგრეთვე გლეხის ყანიდან და ვენახიდან მიღებული მოსავლის ნაწილი (ღალა, ქულუხი). მთელი წლის განმავლობაში გლეხებს მემამულისთვის უნდა მიეწოდებინათ: ხორცი, თევზი, ფრინველი, ყველი, ერბო-კარაქი და სხვ., გამასპინძლებოდნენ მემამულის სტუმრებს. გლეხები ვალდებული იყვნენ ძღვენი მიერთმიათ მემამულისათვის ოჯახის წევრთა ქორწილის ან გარდაცვალების გამო. თუ გლეხი ცოლს შეირთავდა, ან ქალიშვილს გაათხოვებდა, ამ შემთხვევაში ის მემამულეს აგრეთვე უხდიდა განსაზღვრულ თანხას (10-დან 16 მანეთამდე). მემამულეს ყმები აჭყავდა შინა-მოსამსახურეებად: მზარეულებად, ლაქიებად, მეჯინიბეებად, ძიძებად, მეფრინველეებად და ა. შ.

არსებობდა რამდენიმე კატეგორია ყმებისა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ თავიანთი მოვალეობით მემამულის მიმართ. მათ შორის მთავარი კატეგორიები იყო: მსახური, აზატი და მოჯალაბე. ფეოდალურ-მემამულურ თვითნებობას განიცდიდა ყველა მათგანი, მაგრამ განსაკუთრებით აუტანელი იყო მოჯალაბეთა მდგომარეობა. ისინი მემამულეთა სრულ მონებს წარმოადგენდნენ. მცირეოდენი შეცდომისათვის მემამულენი სასტიკად სჯიდნენ ყმებს: მათ ბორკილს უყრიდნენ და ჯაჭვით აბამდნენ, ალპობდნენ სარდაფებში და ხშირად როზგის ცემით სიკვდილს მიაყენებდნენ.

როცა მემამულეთა წრეში შემოვიდა ევროპული ჩვეულებანი და მათ გაუჩნდათ მისწრაფება ფუფუნებისა და ქალაქური ცხოვრებისაკენ, იმატა ფულის მოთხოვნილებამაც. ფულის საშოვრად ქართველმა თავად-აზნაურობამ სულ უფრო ხშირად იწყო ყმების გაყიდვა როგორც მთელი ოჯახობით, ისე ცალკ-ცალკე, იწყო თავისი მამულების გაყიდვა და დაგირავება. იმდროინდელ გაზეთებში სულ უფრო ხშირად აქვეყნებდნენ განცხადებებს ყმების გაყიდვის შესახებ, მსგავსად ნივთების გაყიდვისა. ასე, თბილისში გამომავალ ოფიციალურ „საქართველოს გაზეთში" წაიკითხავდით, მაგალითად, ასეთ განცხადებებს: „ტორლი. გორის მაზრა, ეფელ დავრის მცხოვრები, ბარძიმ მაჩაბელოვის ყმა დათუა კვალანაძე გაიყიდება თავის ცოლით, ვაჟით, ქალიშვილებით, ძმისწული ნონიათი და ვენახით იმ ასოცდა სამ რუბლში, რომელიც მართებს მას აზნაურ გაბაშვილის ქალის ელისაბედის..."

საქართველოში კვლავ არსებობდა მონათვაჭრობა, მიუხედავად იმისა, რომ ის კანონით აკრძალული იყო და ხელისუფლების მიერ სასტიკად იდევნებოდა. რუსი მოხელე სიმონოვიჩი, რომელიც XIX საუკუნის დამდეგს დასავლეთ საქართველოს ესტუმრა, სწერდა: „აფხაზი, მეგრელი და გურული ერთ შემთხვევასაც არ გაუშვებენ ხელიდან, რომ არ მოიტაცონ ახალგაზრდა ვაჟი და ქალი თურქეთში გასაყიდად. ამ უბედურებას უნდა დაემატოს კიდევ თავად-აზნაურთა მტრობა ურთიერთშორის. ისინი ერთმანეთს სტაცებენ ქვეშევრდომებს და თურქეთში ჰყიდიან." (აქტი, ტ. III, გვ. 408).

საქართველოში მონათვაჭრობის არსებობის შესახებ მოგვეპოვება უფრო გვიანი ოფიციალური ცნობებიც. 1833 წელს, მთავარსარდალი ბარონი როზენი სწერდა სვანეთის მთავარს ლევან დადეშქელიანს: „ამის მომტანმა სვანმა აზნაურმა ფუთი წულიანიანმა განმიცხადა, ჩემმა მეპატრონემ, თავადმა ისლანმა ჩემი ძმები ჩერქეზებს მიჰყიდაო. მასაც რომ ასეთივე ბედი არ ეწიოს, მთხოვს, რომ ის ოჯახიანად მივანდო საზრუნავად თქვენს ბრწყინვალებას."

საგრძნობ ექსპლოატაციას უწევდნენ გლეხებს აგრეთვე სამღვდელოება, მევახშეები და სოფლის კულაკები. უკანასკნელთა რიცხვი, სოფლად სავაჭრო-ფულადი ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით, სულ უფრო და უფრო მატულობდა, ბატონყმობის არსებობის მიუხედავადაც.

გლეხთა აჯანყებანი

ქართველი ფეოდალები, დაემორჩილნენ რა ცარიზმს, მასში ეძებდნენ თავიანთ დამცველსა და მფარველსა, მაგრამ ხალხის მასები, რომელნიც რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ორმაგი უღლის — მემამულური და კოლონიური უღლის ქვეშ აღმოჩნდნენ, ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ მათთვის ახალ მდგომარეობას და ყოველ მარჯვე შემ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევაში მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ. უფრო ხშირად გლეხთა ბრძოლა გამოიხატებოდა ტერორისტული აქტებით, ყველაზე მეტად შეძულებულ მემამულეთა და მეფის ხელისუფლების წარმომადგენელთა მოკვლით, გადასახადების შეტანასა და ბატონყმურ ბეგარებზე მოსვლაზე უარისთქმით. გლეხები ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა შენობებს, სპობდნენ მათ ბაღებს, სჩეხავდნენ მემამულეთა და სახაზინო ტყეებს და ა. შ. ასე, 1810 წელს მოჰკლეს თავადები ზ. ბარათაშვილი, გ. ამილახვარი, მ. ერისთავი, სუმბათაშვილი და სხვ.

გლეხთა პირველი აჯანყება მოხდა 1804 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მთაგორიანი ზოლის რაიონში, იქ, სადაც გადის საქართველოს სამხედრო გზა. საბრძოლველად იარაღი აისხეს ხევსურებმა, მოხევეებმა, ოსებმა.

გლეხთა აჯანყების უშუალო მიზეზი იყო კოლონიური ჩაგვრა, ბრძოლა უწინარეს ყოვლისა მიმართული იყო ცარიზმის წინააღმდეგ მაგრამ რაკი იარაღი აისხეს, გლეხებს არ შეეძლოთ მისი მახვილი არ მიემართათ მემამულური ექსპლოატაციის წინააღმდეგაც. მეფის ხელისუფალთა თვითნებობის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, აჯანყებულები ბრძოლას აწარმოებდნენ ადგილობრივი მსხვილი ფეოდალების — თავად ერისთავის, ყაზბეგის და სხვათა წინააღმდეგაც.

აჯანყებულთა დასამორჩილებლად გაიგზავნა დამსჯელი ექსპედიცია, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა თვითონ მთავარსარდალი თავადი ციციშვილი. ის იძულებულიც კი გახდა, რომ ამისათვის ალყა მოეხსნა ერევნის ციხიდან. როცა ციციშვილმა მიიღო პირველი ცნობები აჯანყების შესახებ, მან წინადადება მისცა მსხვილ ფეოდალს ერისთავს წაეყვანა სევასტოპოლის პოლკის ასეული და თავისი შეიარაღებული კაცებითურთ დაძრულიყო აჯანყებულთა წინააღმდეგ. „საჭიროა, — ბრძანებდა იგი, — იარაღით მათი განგმირვა, აკუწვა, მათი (აჯანყებულთა) სოფლების გადაბუგვა, ერთი სიტყვით, როცა მათ სადგომში შედიხართ და მათ წააწყდებით, ფიქრადაც არ უნდა გაივლოთ მათი დაზოგვა როგორც ავაზაკების და ბარბაროსებისა“ (დუბროვინი, „ამიერ-კავკასია“, გვ. 359).

ეს დირექტივი ზუსტად სრულდებოდა. არ ზოგავდნენ არც ქალებს, არც ბავშვებს, არც მოხუცებს. რამდენიმე ათეული სოფელი ნანგრევებად აქციეს. აჯანყების 70-ზე მეტი ხელმძღვანელი დააპატიმრეს და მკაცრად დასაჯეს.

ბატონყმური და კოლონიური ჩაგვრის შედეგად 1812 წელს კახეთში დაიწყო განსაკუთრებით დიდი აჯანყება. მისი უშუალო საბაბი გახდა სამხედრო ეგზეკუციის გაგზავნა კახეთში გლეხებისაგან პურის იძულებით მოსაკრეფად მტკიცე, უკიდურესად დაბალ ფასებში. ეს წელი, როგორც წინა წელიც, მეტად მოუსავლიანი იყო. გლეხები უპურობით თვითონ შიმშილობდნენ. მიუხედავად ამისა, სამხედრო რაზმები ართმევდნენ

გლეხებს უკანასკნელ სარჩო-საბადებელს, შინაურ საქონელს, მათ კი ააატიმრებდნენ. ამან აავსო ხალხის მოთმინების უკანასკნელი ფიალა. იფეთქა აჯანყებამ. იგი დაიწყო საგანგაშო ზარის ხმაზე 1812 წლის [illegible] ვარს თელავის მაზრის სოფელ ახმეტაში და რამდენიმე დღის [illegible] ბაში მოედო მთელ კახეთს და მეზობელ ანანურის მაზრას.

როცა მთავარსარდლის მარკიზ პაულუჩის წარმომადგენლები მივიდნენ აჯანყებულებთან, რომ გამოერკვიათ გლეხთა გამოსვლის მიზეზები, უკანასკნელებმა შემდეგი პასუხი მისცეს: „ჩვენ ვიცით, რომ რუსებთან შედარებით ცოტანი ვართ, არა გვაქვს მათზე გამარჯვების იმედი, მაგრამ გვინდა, რომ მათ ამოგვწყვიტონ. ჩვენ მფარველობას ვეძებდით რუს მეფესთან, ღმერთმა ის მოგვცა, მაგრამ მის მსახურთა უსამართლობამ და სისასტიკემ სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო. დიდხანს ვითმინეთ, ახლა კი უფალმა მოგვივლინა ეს საშინელი შიმშილობა, როცა თვითონ ჩვენ მცენარის ფესვსა და ბალახსა ვჭამთ, ჩვენგან იძულებით მოითხოვენ სურსათ-სანოვაგესა და საკვებს. ჩვენ გაგვრეკეს საკუთარი სახლებიდან, გადაჩხრიკეს ჩვენი სკივრები და ორმოები, თავი ახადეს ჩვენს ჭურებს და როცა ღვინო დალიეს, მთვრალებმა წაბილწეს დანარჩენი ღვინო, შიგ უწმინდურობა ჩაყარეს. დასასრულ, ჩვენს თვალწინ შეურაცხყოფას აყენებდნენ ცოლებსა და ქალიშვილებს ნუ თუ ასეთი ოჯახური სირცხვილის შემდეგაც ძვირფასია ჩვენთვის სიცოცხლე“ (კავკასიის კრებული, ტ. XXIII, გვ. 11 — 19).

აჯანყება იმდენად ერთსულოვანი და მოულოდნელი იყო, რომ რუსეთის ჯარის ნაწილებმა, რომლებიც კახეთში წვრილ რაზმებად იყვნენ გაფანტულნი, გაერთიანება ვერ მოასწრეს. მოჰკლეს 16 ოფიცერი და 300 ჯარისკაცი, ბევრი ტყვედ ჩაიგდეს. აჯანყებულნი სწვავდნენ სახაზინო შენობებს, სპობდნენ საწყობებს, მათ გაქონდათ სამხედრო სურსათი. აჯანყება ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ამასთანავე მან კლასობრივი ბრძოლის ხასიათიც მიიღო, რამდენადაც გლეხები გამოდიოდნენ ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლოატაციის წინააღმდეგაც. აჯანყებულები სასტიკად უსწორდებოდნენ ცალკეულ, ყველაზე მეტად შეძულებულ მებატონეებს, სწვავდნენ და ანადგურებდნენ მათ მამულს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ფეოდალური თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ შერიგებოდა პოლიტიკურ უფლებათა დაკარგვას და ძალა არ გააჩნდა ცარიზმის წინააღმდეგ დამოუკიდებელი გამოსვლისათვის, მოწადინებული იყო თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა გლეხთა მასობრივი ბრძოლა. კახეთის აჯანყების დროს რუსეთი ომს აწარმოებდა ნაპოლეონთან და ძალთა უდიდეს დაძაბულობას განიცდიდა. ქართველი თავად-აზნაურობის ერთ ნაწილს განზრახული ჰქონდა გამოეყენებისა შექმნილი მდგომარეობა და თუ წინანდელ პოლიტიკურ უფლებებს მთლიანად ვერ დაიბრუნებდა,

ზეგავლენა მაინც მოეხდინა თვითმპყრობელობაზე, რომ მიეღო მისგან კიდევ მეტი უფლება და პრივილეგია.

მოძრაობას მისი განვითარების უკანასკნელ ეტაპზე მიემართა ალექსანდრე ბატონიშვილი ალექსანდრე, რომელსაც ინგლისის და ირანის ოქროს შემწეობით შესაძლებლობა ჰქონდა მოეგროვებინა და თავის განკარგულებაში ჰყოლოდა ლეკთა რაზმები, მაგრამ გლეხებმა მალე ზურგი შეაქციეს ბატონიშვილის ალექსანდრეს დროშას, მით უმეტეს, რომ ფეოდალები ლეკებთან ერთად რუსეთის ჯარებზე არანაკლებ ეწეოდნენ ძალმომრეობას და გლეხების ძარცვას.

1813 წლის ზაფხულს მეფის ჯარებმა მოახერხეს კახეთის აჯანყების ჩაქრობა. „მთავარი მოჯანყენი" გლეხთა რიცხვიდან სხვათა შესაშინებლად ადგილობრივ ჩამოახრჩვეს გაუსამართლებლად. აჯანყებასთან დაკავშირებით დააპატიმრეს ბევრი თავად-აზნაურიც, მაგრამ მათ ცარიზმი უფრო ლმობიერად მოეპყრო და ციმბირში გადასახლების შემდეგ ყველა ისინი მალე (მთავარსარდლის გენერალ ერმოლოვის დროს) შეიწყალეს და სამშობლოში დააბრუნეს.

1819—20 წლებში დიდი აჯანყება მოხდა იმერეთში. აჯანყების გარეგნულ საბაბს წარმოადგენდა საქართველოს ეგზარქოსის თეოფილაქტეს განკარგულება იმის შესახებ, რომ იმერეთში მოეხდინათ საეკლესიო ქონებისა და საეკლესიო გლეხთა აღწერა და დაეპატიმრებინათ ის მიტროპოლიტები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ამ ღონისძიებას. აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს სამღვდელოებამ და ფეოდალურმა თავადაზნაურობამ, რომელთაც აიყოლიეს გლეხობაც. სამღვდელოებას არ უნდოდა დაეკარგა თავისი პოლიტიკური პრივილეგიები და იცავდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას რუსეთის ეკლესიისაგან (ავტოკეფალიას), თავად-აზნაურობას კი უნდოდა აღედგინა იმერეთის სამეფო და ყველა ის თავისუფლებანი, რომლებითაც იგი სარგებლობდა იმერეთის მეფეების დროს. ერმოლოვმა განსაკუთრებული სიმკაცრით ჩააქრო ეს აჯანყება, ის სასტიკად გაუსწორდა იმერელ გლეხებს. მან უბრძანა კორპუსის შტაბის უფროსს გენერალ ველიამინოვს: „ის სოფლები, სადაც მცხოვრებლებმა იარაღი აისხეს, საბოლოოდ მოსრეთო", „შეიარაღებულნი, რომელთაც ხელში ჩაიგდებთ, და საერთოდ ყველა, ვინც ბრძოლის დროს ტყვეთ ჩაგივარდებათ, დანაშაულის ადგილზევე სიკვდილით დასაჯეთო."

გენერალი ერმოლოვი, რომელმაც იმერეთის აჯანყება ჩააქრო, თავის „მოგონებებში" უტიფრად იგონებს: „ამბოხებული სოფლები გავანადგურეთ და გადავბუგეთ, ბაღები და ვენახები ძირფესვიანად გავჩეხეთ და მოღალატენი მრავალი წლის შემდეგაც ვერ აღადგენენ პირვანდელ მდგომარეობას. უკიდურესი სილატაკე იქნება მათი სასჯელი." (ერმოლოვი „მოგონებანი", გვ. 112).

როცა 1820 წელს, გურიაში პოლკოვნიკ პუზირევსკის მკვლელობასთან დაკავშირებით, დამსჯელი ექსპედიცია გაიგზავნა, ერმოლოვმა დამსჯელ რაზმს უბრძანა: „ქვას ქვაზე ნუღარ დატოვებთ, ქაიხოსროს, გურიელს არც ერთი თანამზრახველი ცოცხალი არ დატოვოთო“.

ფეოდალურ-კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ არა ერთხელ იარაღით ხელში გამოსულან სამხრეთ-ოსეთის გლეხებიც. ოსების ყველაზე დიდ აჯანყებებს ცარიზმის და ადგილობრივი ფეოდალების — თავადების ერისთავებისა და მაჩაბლების — წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა 1804 წელს, 1807 — 1810 წლებში და 1821 — 1822 წლებში. მეფის ჯარები, მემამულეთა რაზმებთან ერთად, არაერთხელ ასულა ოსეთის მთებში და სისხლით, ცეცხლითა და მახვილით დაუმორჩილებიათ აჯანყებულნი. ოსეთის იმ ძნელმისაწვდომ სოფლებში, რომლებიც ჯერ კიდევ არ იცნობდნენ ბატონყმობას, ცარიზმი ამყარებდა ბატონყმურ ურთიერთობას, ოსებით დასახლებულ მთელ რაიონებს ურიგებდა წარჩინებულ ქართველ ფეოდალებს—ერისთავებს და ოსებს აყენებდა ბატონყმურ დამოკიდებულებაში ქართველ მემამულეებთან.

ოსებს შორის კოლონიური ჩაგვრის დამყარებისა და ბატონყმური ურთიერთობის დანერგვის საქმეში ცარიზმს დახმარებას უწევდა მართლმადიდებელი ეკლესია. ხუცები ერთგულად იღწვოდნენ, რომ ოსებს შორის დაენერგათ მართლმადიდებლობის და თვითმპყრობელობის საფუძვლები.

ქრისტიანობის ქადაგება მეტად უტიფრულ ხასიათს ატარებდა. ოსებს ურცხვად ატყუებდნენ, მართლმადიდებლობის მიღებისთანავე არა მარტო ბატონყმური დამოკიდებულებისაგან, არამედ ყოველგვარი გადასახადებისაგან განთავისუფლდებითო. ხოლო როცა ოსები, რომლებმაც ქრისტიანობა მიიღეს, ხუცების დაპირებებს დაეყრდნენ და უარს ამბობდნენ შემამულეებისადმი დამორჩილებასა და გადასახადების შეტანაზე, ოსეთის სოფლებში ჩნდებოდნენ დამსჯელი რაზმები და სასტიკად უსწორდებოდნენ გლეხებს.

მასობრივ გამოსვლებს ცარიზმის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა საქართველოში 1829 წელსაც. ამ გამოსვლების უახლოესი საბაბი გახდა თურქეთის ფრონტზე რუსეთის ჯარების სამძიმო მდგომარეობასთან დაკავშირებით გენერალ პასკევიჩის მიერ გამოცემული ბრძანება, რომლის მიხედვით საქართველოში ყოველი ხუთი კომლიდან თითო კაცი უნდა გაეყვანათ მილიციაში. ხელისუფლებას არ ჰქონდა იმის იმედი, რომ გლეხები ნებაყოფლობით დათანხმდებოდნენ მოეხადათ ეს ახალი ბეგარა, ამიტომ მან მილიციისათვის ხალხის მოსაკრებად მოახდინა პოლიციური და სამხედრო ძალების მობილიზაცია. მაშინ მთელ ქვეყანაში ელვის სისწრაფით გავარდა ხმა, ლაშქრის მოკრება ხდებაო. ყველგან დაიწყო შელვარება ქალაქად და სოფლად ეწყობოდა ფარული კრებები, სადაც ერთმანეთს ფიცს აძლევდნენ: „მთავრობის მოთხოვნებს არ დაევემორჩი-

ლოთო“, „გვიჯობს დავიხოცნეთ, მაგრამ მოლაშქრენი არ მივცეთ“. „საქართველოს, — როგორც ახასიათებდნენ შექმნილ მდგომარეობას თვითონ ხელისუფალნი, — მოედო საკმაოდ სახიფათო მოძრაობა — თავად-აზნაურებს და ბურჟუაზიას, „რომელნიც თბილისში ცდილობდნენ ხალხი გონს მოეყვანათ, სცემა გამძვინვარებულმა ბრბომ, რომელიც მათ ემუქრებოდა, სახლებსაც გადაგიწვამთ, ბაღებსაც გაგიჩანაგებთო“. ხალხის მასების ძალდატანებით ხელისუფლება იძულებული გახდა შეეწყვიტა ხალხის მოკრება მილიციაში. და მხოლოდ მთავრობის ერთგულმა ქართველმა თავად-აზნაურობამ და თბილისის ბურჟუაზიამ თავის ხარჯზე გამოიყვანეს მაშინ მოხალისე ლაშქარი 2 ათასი კაცის რაოდენობით.

საქართველოს კოლონიზაცია

იმ მიზნით, რომ მოსახლეობის სავსებით საიმედო და ცარიზმისადმი სრულიად ერთგული ელემენტებისაგან შეექმნა საქართველოში თავისი მტკიცე დასაყრდენი ადგილობრივ მცხოვრებთა („ტუზემცების“) შესაძლო აჯანყებათა შემთხვევისათვის, აგრეთვე იმ ვარაუდით, რომ რუსეთის მრეწველობისათვის საჭირო ახალი ტექნიკური კულტურების გაშენების კულტურულ ხერხებს რუსები და სხვა გადმოსახლებულნი უფრო სწრაფად აითვისებენო, მეფის მთავრობა, რუსეთთან საქართველოს შეერთების პირველ წლებიდანვე, საქართველოში აარსებს რუსთა და სხვათა ახალშენებს.

„ცარიზმის პოლიტიკა, მემამულეებისა და ბურჟუაზიის პოლიტიკა მდგომარეობდა იმაში, რომ დაემკვიდრებინათ ამ რაიონებში რაც შეიძლება მეტი კულაკური ელემენტები რუს გლეხთა და კაზაკთაგან და გადაექციათ ეს უკანასკნელნი დიდმპყრობელურ მისწრაფებათა საიმედო დასაყრდენად.“ (ს ტ ა ლ ი ნ ი. „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, გვ. 97).

ჯერ კიდევ თავად ციციშვილის დროს სომხეთის ეპისკოპოსმა იოანემ ერევნიდან საქართველოში დასასახლებლად გამოიყვანა სომეხთა 11 ათასზე მეტი ოჯახი. მეფის მთავრობამ ძალიან მოხერხებულად გამოიყენა სომეხი ხალხის ბუნებრივი მისწრაფება ერთობისაკენ და მისი დიდი უმრავლესობის ორიენტაცია რუსებზე. მაგრამ ცარიზმმა საგრძნობლად ვერ გაამართლა სომეხი ხალხის იმედები. მეტწილი დაპირებანი, რაც მთავრობამ გადმოსახლებულებს მისცა, გაუნაღდებელი დარჩა. გადმოსახლებულნი ახალ საცხოვრებელ ადგილზე დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ. მდიდრდებოდა მხოლოდ სომხური ბურჟუაზია. ამ უკანასკნელის გავლენა ცარიზმის მფარველობით სულ უფრო მეტად იზრდებოდა. სომეხ გლეხთა გაუბედურებული მასები კი, ქართველი გლეხების მსგავსად, იმავე სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიდნენ ცარიზმისა და მემამულეთა მხრით. ამიტომ სომეხი გლეხები იდგნენ საქართველოში მომხდარი აჯან-

ყებების აქტიურ მონაწილეთა რიგებში. ასე, 1812 წელს, კახეთში ოჯახ-ყებული სომხები მხარში ედგნენ ქართველ გლეხებს. ქართველი და სომეხი გლეხები ერთად შეიჭრნენ სილნაღის ციხეში და მოსპეს რუსთა გარნიზონი. 1823 წელს, კახეთში, სოფ. ფხოველში, სომეხმა ყმებმა ამკარად ურჩობა გაუწიეს მსხვილ მემამულეს თომა ანდრონიკაშვილს. მათ მოაწყეს „ფარული შეთქმულება არეულობის მოსახდენად", ერთმანეთს „თვითნებურად ფიცი მისცეს" არ მოიხადონ არავითარი ბეგარა ანდრონიკაშვილის სასარგებლოდ და არ მისცენ მას პური და ყურძნის მოსავლის წილი. ხელისუფლებამ მემამულის დასახმარებლად სოფ. ფხოველში გაგზავნა სამხედრო რაზმი და დააპატიმრა მრავალი გლეხი.

ჯერ კიდევ თავად ციციშვილის დროს მუშავდებოდა საკითხი საქართველოში საკოლონიზაციოდ შავიზღვისპირელ და დონელ კაზაკთა გადმოსახლების შესახებ. განზრახული ჰქონდათ მათი დასახლება სამეგრელოში, მდინარე ენგურის პირად. საქართველოს მაშინდელ მმართველს ლიტვინოვს აგრეთვე განზრახვა ჰქონდა საქართველოში მეაბრაშუმეობის გადიდებისა და გაუმჯობესების მიზნით იმერეთში დაესახლებინა საზღვარგარეთიდან მოწვეული ჩეხები. გენერალ ერმოლოვის დროს დაიწყო რუსების სისტემატიური დასახლება საქართველოში. ეს საქმე ამგვარად მოაწყვეს: რუსეთის ჯარის ცალკეული ნაწილები, სტრატეგიულ მოსაზრებათა შესაბამისად, მიმაგრებული იყო საქართველოს მთელ რიგ სოფლებზე მუდმივ საცხოვრებლად. აქ მათთვის მოაწყეს შტაბ-ბინები. შტაბ-ბინებში გამოიყოფოდნენ ცოლიან ჯარისკაცთა განსაკუთრებული ასეულები (ჯარისკაცებს ცოლის შერთვის ნებართვა ეძლეოდათ 15 წლის სამსახურის შემდეგ). მათ ურიგებდნენ მიწებს და ნებას აძლევდნენ მოეწყოთ საკუთარი მეურნეობა. ცოლიან ჯარისკაცთა რიცხვის გასადიდებლად რუსეთიდან გამოიწერეს რამდენიმე ათასი ქალი, რომლებიც დათანხმდნენ წამოსულიყვნენ საქართველოში. ასე შეიქმნა რუსთა ახალშენები გორში, ბაშკიჩეთში, მანგლისში, ალბულაღში („ბელი კლიუჩ"), გომბორში, მუხრანში, წითელწყაროში („ცარსკიე კოლოდეცი") და სხვ. „სამხედრო საჭიროებისა" და შტაბ-ბინებთან მოწყობილი რუსთა ახალშენებისათვის ამოარჩევდნენ ხოლმე საუკეთესო მიწებს თუ ამ მიწებზე ხალხი უკვე სახლობდა, მას მოურიდებლად სხვაგან ასახლებდნენ.

გენერალ ერმოლოვის დროს თვით თბილისში და საქართველოს მთელ რიგ რაიონებში მოაწყეს გერმანელთა შვიდი ახალშენი, სადაც დაასახლეს ვირტემბერგიდან (გერმანია) გადმოსახლებული 500-მდე ოჯახი. თვითეულ მეკომურ კოლონისტს გამოუყვეს 40 ჰექტარამდე მიწა, „ხვნათესვისათვის ვარგისი, საღი ჰავითა და სასმელი წყლით". მარტო გერმანელთა დაბინავებაზე მეფის მთავრობამ დახარჯა 697.428 მანეთი. გარდა ამისა, თვითეულმა მეკომურმა კოლონისტმა მიიღო გრძელვადიანი ფულადი სესხი. ხელისუფალთა ბრძანებით, ადგილობრივ გლეხებს — ქართველებს და აზერბეიჯანელებს — კოლონისტებისათვის თავისი ურ-

მით უნდა მიეტანათ ხე-ტყე და ბინების მოსაწყობად საჭირო სხვა მასალები და პირველ წელიწადს მოეხნათ და დაეთესათ მათი ყანები.

რუსეთ-თურქეთის 1828—29 წლების ომის შემდეგ ახალციხის და წალკის რაიონებში დაასახლეს თურქეთიდან გადმოსახლებული ქართველების და ბერძნების 7298 ოჯახი. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო საქართველოში რუსი რასკოლნიკების და სექტანტების (მოლოკნების, სუბოტნიკების, დუხობორების და სხვ.) დასახლება.

ამავე დროს ხდებოდა საქართველოს სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის დატაცება რუსეთის სამსახურში წარჩინებულ ქართველ ფეოდალთა და რუს მოხელეთათვის მამულების ბოძების გზით, აგრეთვე მიწების სამრეწველო ექსპლოატაციისათვის გადაცემით ცალკეულ გაიძვერა მეწარმეთა ხელში. ასე, გრენადერთა ბრიგადის მეთაურმა თავადმა ერისთავმა გენერალ ერმოლოვისაგან ატენის ხეობაში მიიღო მთელი ლატიფუნდია (1500 ჰექტარზე მეტი მიწა). საფრანგეთის კონსულმა თბილისში გამბამ მთავრობისაგან მიიღო იმერეთში 20 ათასი ჰექტარამდე მიწა ბამბის პლანტაციების მოსაწყობად და ტყის მასივების სამრეწველო ექსპლოატაციისათვის. ფაქტიურად გამბას არავითარი პლანტაცია არ მოუწყვია, ის გაძლიერებით ჩეხდა ძვირფასი ჯიშის ხე-ტყეს, რომელიც საზღვარგარეთ გაჰქონდა, ძლიერ ავიწროებდა ადგილობრივ გლეხებს, უშლიდა მათ ტყეში პირუტყვის ძოვებასაც.

მრეწველობა და ვაჭრობა

ცარიზმს, რომელიც გართული იყო ახალ სამფლობელოთა დაპყრობით და ირანთან და თურქეთთან მტკიცე სტრატეგიული საზღვრების დაწესებით, რა თქმა უნდა, არ შეეძლო მაშინ საჭირო ყურადღება დაეთმო საქართველოში მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის. „რუსეთის მიერ მისი (ამიერ-კავკასიისა და საქართველოს) ეკონომიური დაპყრობა გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა“ (ლენინი).

ძლივს ბოგინობდა ჯერ კიდევ ქართველ მეფეთა დროიდან ბორჩალოს რაიონში არსებული სპილენძსადნობი და ვერცხლ-ტყვიის ქარხნები, რომლებიც კონცესიად გადაცემული იყო მუსინ-პუშკინზე. თუ რამდენად დაბალი იყო სპილენძსადნობი ქარხნების პროდუქტიულობა, სჩანს შემდეგი ცნობებიდან. 1805 წელს მარტო მაღაროებში გამოგზავნილი სახაზინო ექსპედიციის ხარჯები უდრიდა 41.555 მანეთს, სპილენძის მოპოვებით მიღებული შემოსავალი კი არ აღემატებოდა 3.065 მანეთს.

იმ დროს საქართველოში სამთო მრეწველობის სუსტი განვითარების მიზეზები იყო: საკმაო კაპიტალების უქონლობა, დაბალი ტექნიკა, მიწერილი გლეხთა შრომის სუსტი ნაყოფიერება, გასაღების არაუზრუნველყოფა. ამიერ-კავკასიაში მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ისეთი საწარმონი,

რომელნიც შეიძლებოდა სპილენძის მსხვილი მომხმარებლები ყოფილიყვნენ. ვინაიდან სამთო მრეწველობა ხაზინისათვის საზარალო იყო, ალავერდის და სხვა მაღაროები 1816 წელს იჯარით გადასცეს მეტალურ მრეწველ ბერძნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში სრულებით არ იყო ფაბრიკები. 1802 წელს, მართალია, დაიწყეს მაუდის სახაზინო ფაბრიკის აგება, მაგრამ ეს წამოწყება განუხორციელებელი დარჩა. ჯერ კიდევ თავადი ციციშვილი ღებულობდა ზომებს საქართველოში მესელეობის განსავითარებლად და სელის მანუფაქტურის მოსაწყობად, მაგრამ ეს წარმოებაც აქ ვერ განვითარდა.

საქართველოში იმ პერიოდში არსებობდა მხოლოდ საშენ მასალათა დამამზადებელი შინამრეწველური ტიპის პატარა საწარმონი (აგურის, კრამიტის, ხე-ტყის სახერხი ქარხნები), ტყავის, სანთლის, საპნის და სხვა საწარმონი.

საქართველოში, მართალია დიდიხნიდან გავრცელებული იყო მეაბრეშუმეობა. მიღებული აბრეშუმის ერთ ნაწილს ადგილობრივ წარმოებას აწვდიდნენ. ხამი აბრეშუმი რუსეთში გაჰქონდათ რუსული ფაბრიკებისათვის. დასამზადებელი აბრეშუმის 'ოდენობის გადიდების და მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მეფის მთავრობამ, მალე საქართველოს შემოერთების შემდეგ, გაატარა მთელი რიგი ღონისძიებანი თუთის ნარგავთა გაფართოებისა და მოსახლეობისათვის აბრეშუმის საუკეთესო ჯიშების თესლის მისაწოდებლად და ა. შ.

ხაზინის მნიშვნელოვანი სუბსიდიებით და რუს მრეწველთა და თავადაზნაურთა კაპიტალებით ფრანგმა მეწარმემ კასტელომ 1823 წელს თბილისში დააარსა აბრეშუმსახფაბრიკა. ფაბრიკაში დადგეს იმ დროისათვის საუკეთესო მანქანები. ფაბრიკაში ფართოდ იყენებდნენ ქალთა იძულებით შრომას, რისთვისაც თბილისში მოაწყეს „მუშა ქალთა სახლი", სადაც თავს უყრიდნენ დამნაშავე ქალებს, ფაბრიკის პროდუქციამ მაღალი შეფასება მიიღო უცხოეთის ბაზარზეც. მიუხედავათ ამისა, ფაბრიკამ ბატონყმობის პირობებში დიდხანს ვერ იარსება და 1835 წელს გადაკეთებულ იქნა აბრეშუმსახვევ სასწავლებლად ადგილობრივ მცხოვრებთათვის აბრეშუმის პარკის ამოხვევის მექანიკური წესის შესასწავლად.

გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო საქართველოში იმავე დროს სახალხო მეურნეობის მეორე დარგის — ვაჭრობის მდგომარეობა.

მარტო მეფის არმია, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა, წელიწადში ერთ მილიონ მანეთზე მეტს ხარჯავდა სურსათის, ფორმის ტანსაცმელის და სხვ. შესასყიდად. სავაჭრო ბრუნვის გადიდებას განსაკუთრებით დიდად შეუწყო ხელი გენერალ ერმოლოვის დროს გამოცემულმა კანონმა შეღავათიანი სატრანზიტო ტარიფის შესახებ ირანიდან ევროპის ქვეყნებში გაგზავნილ და საქართველოში გამოტარებულ საქონელზე, აგ-

რეთვე ადგილობრივი ვაჭრობისათვის მინიჭებული სხვა შეღავათების შესახებ.

იმ ხანებში ვაჭრები საქართველოდან საქონელზე მიდიოდნენ არა მარტო მოსკოვზე, ნიჟნი ნოვგოროდს — მაკარიევის ბაზრობაზე, სადაც ყიდვა-მიცემობა ჰქონდათ საზღვარგარეთთანაც. მათ უხდებოდათ მგზავრობა ლაიპციგში, ტრიესტში, მარსელში და ევროპის სხვა სავაჭრო ქალაქებში, სადაც სავაჭრო გარიგებებს ჰკრავდნენ დიდ თანხაზე. საქართველოდან ყოველწლიურად გაქონდათ 3000 ფუთამდე მარტო ხამი და შელებილი აბრეშუმი. ცარიზმის ბატონობის პირველ ათეულ წლებში, მარჯვე და იაფი გზების უქონლობის გამო, ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით შემოდიოდა საქართველოში რუსეთის მრეწველობის მიერ გამოშვებული საქონელი. ამიტომ აქ თავისუფლად შემოქონდათ უფრო იაფი ინგლისური ბამბის ქსოვილი და სხვა საქონელი ევროპული წარმოებისა. საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილი შემოდიოდა მეზობელ ირანიდან და თურქეთიდან. თუ რამდენად დიდი იყო საქართველოში იმ დროს ცალკეული სავაჭრო ფირმების ბრუნვა, შეგვიძლია დავასკვნათ იმ ფაქტიდან, რომ 1814 წელს, მაგალითად, ვაჭრის დავით სარაჯიშვილის ბრუნვა იმ დროისათვის ძალიან მნიშვნელოვან თანხას — მილიონს აღწევდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

საქართველო XIX საუკუნის 30-იან წლებიდან მასში საგლეხო რეფორმის გატარებამდე

სამოქალაქო მმართველობის რეფორმა

გენერალ ერმოლოვის მაგივრად 1827 წელს მთავარმართებლად დაინიშნა გენერალი პასკევიჩი. იგი ოთხი წლის განმავლობაში განაგებდა კავკასიას და საქართველოს.

კავკასიაში გენერალი პასკევიჩი იყო რიცხვით მერვე სატრაპი მეფისა მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა. უკვე ასეთ ხშირ ცვლას მთავარსარდლებისას, რომელთაგან თვითეული თავისებურად თვითნებობდა, მეფის დანარჩენ მოხელეთა აღმაშფოთებელ ბოროტმოქმედებას და შეუწყვეტელ სახალხო აჯანყებებს საქართველოში უნდა დაენახვებინა მეფის მთავრობისათვის, რომ საქართველოში ყველაფერი რიგზე როდია და რომ ამიერიდან შეუძლებელია მმართველობის არსებული წესის დატოვება ამ ქვეყანაში.

ამიერ-კავკასიის მხარის მდგომარეობის გამოსაკვლევად 1829 წელს პეტერბურგიდან დაინიშნა სენატის რევიზია. სენატორები ე. კუტაისოვი და ე. მეჩნიკოვი უკვე 1830 წელს ატყობინებდნენ იუსტიციის მინისტრს: „ამ ბოლო დროს ჩვენ მიერ შეკრებილი ცნობები გვიჩვენებენ, რომ ბოროტმოქმედება და უწესობა საკუთრივ საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეში ყოველგვარ ზომას აჭარბებს, ხოლო, თუ მაჰმადიანური პროვინციების მმართველობას განვიხილავთ, შემაძრწუნებელია მმართველთა სიცოფე და ხალხის ტანჯვა“. (ცენტრალური ისტორიული არქივის ლენინგრადის განყოფილება; კავკასიის კომიტეტი, საქმე 56, ფურც. 50—52).

მაგრამ რანაირ წინადადებას იძლეოდნენ სენატორები ასეთი გაუგონარი ბოროტმოქმედებისაგან ქვეყნის გადასარჩენად? მათ უკეთესი ვერაფერი გამონახეს და წარმოადგინეს შემდეგი პროექტი, რომელსაც, უნდა აღინიშნოს, სავსებით ეთანხმებოდა გენერალი პასკევიჩი. ამიერ-კავკასიის და საქართველოს მართვა-გამგეობის სისტემა უნდა შეცვლილიყო, იგი უნდა გარდაექმნათ ცენტრალური რუსეთის საგუბერნიო დაწესებულებათა ზუსტი ნიმუშის მიხედვით. ახლად მოწყობილ დაწესებუ-

ლებაში სენატორთა აზრით, სამსახურში უნდა ჩაებათ მხოლოდ და მხოლოდ რუსი მოხელეები იმ მოსაზრებით, რომ ადგილობრივი ელემენტები „სრულიად უსარგებლონი არიან რუსული ენის უცოდინრობით და საქმეში გამოუცდელობით“.

ბიბლიოთეკა

ერთბაშად ასეთი ძირითადი ადმინისტრატიული რეფორმის გატარება ამიერ-კავკასიაში ცარიზმმაც ვერ გაბედა. ამ სახით ეს რეფორმა არ გატარებულა არც გენერალ პასკევიჩის, არც მისი მონაცვლის ბარონ როზენის დროს (1831—1837 წ. წ.). 1837 წელს რეფორმის საკითხის დამატებით შესასწავლად, ამიერ-კავკასიაში გამოიგზავნა ახალი სპეციალური კომისია სენატორ განის მეთაურობით. 1838 წელს განმა წარადგინა ამიერ-კავკასიის ადმინისტრატიული რეფორმის საკუთარი გეგმა. არსებითად ამ გეგმაში ახალი არაფერი იყო მეჩნიკოვისა და კუტაისოვის წინადადებებთან შედარებით, მაგრამ სამაგიეროდ მასში დასახული იყო ერთგვარი თანამიმდევრობა ბიუროკრატიული ცენტრალიზაციის, ძალდატანებითი რუსიფიკაციისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების სრული უგულვებელყოფის სისტემის გასატარებლად ამიერ-კავკასიის ცალკეულ ნაწილებში. 1840 წლის 10 აპრილს დამტკიცებულ იქნა განის პროექტი და გამოქვეყნებულ იქნა ეგრეთწოდებული „დ ე ბ უ ლ ე ბ ა ა მ ი ე რ-კ ა ვ კ ა ს ი ი ს მ ხ ა რ ი ს მ ა რ თ ვ ა-გ ა მ გ ე ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ“.

ჯერ კიდევ ამ კანონის შემოღებამდე, 1838 წელს გაუქმებულ იქნა საქართველოს უმაღლესი მმართველობა, ხოლო 1835 წელს დაიხურა საქართველოს ზარაფხანა, რომლებიც ჯერ კიდევ მოგვაგონებდნენ საქართველოს სახელმწიფოს ოდესღაც დამოუკიდებელ არსებობას. ახალი დებულების მიხედვით, საქართველოს ეწოდა საქართველო-იმერეთის გუბერნია, რომელიც იყოფოდა თბილისის, გორის, თელავის, ქუთაისის, ახალციხის და გურიის მაზრებად. მთავარსარდალი უფლებებით გაუთანაბრდა რუსეთის გენერალ-გუბერნატორებს. ამიერ-კავკასიის საქმეთა მთავარ მმართველობა თავმოყრილი იყო პეტერბურგში, რისთვისაც დაარსებულ იქნა მეფის კანცელარიის სპეციალური განყოფილება. ვერც ერთი ასე თუ ისე სერიოზული საკითხი ადგილობრივ ვერ გადაიჭრებოდა ცენტრის სანქციის გარეშე.

მაზრების სათავეში დააყენეს მაზრის უფროსები. ადმინისტრაციის განკარგულებათა და სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღმასრულებლებად იყენენ განსაკუთრებული მოხელეები, რომელთაც საუბნო მსაჯულები (заседатели) ეწოდებოდათ. ისინი აგრეთვე თვალყურს ადევნებდნენ, რომ გლეხებს წესიერად შეეტანათ გადასახადები და მოეხადათ ყოველგვარი სხვა ბეგარა. ყველა დაწესებულებაში და სასამართლოში საქმის წარმოება მარტო რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. საქართველოში გააუქმეს მეფე ვახტანგ მეექვსის კანონები, რომლებიც მანამდე მოქმედებდა. ადგილობრივ ელემენტებს ანუ, როგორც ისინი უწოდებდნენ „ტუზემ-

ცებს“ აძევებდნენ სახელმწიფო სამსახურიდან და ყველგან რუსი მოხელეებით სცვლიდნენ. უსულგულო ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება, ადმინისტრატიული თვითნებობა, მექრთამეობის სისტემა და ყველგვარ სხვა სამსახურებრივი ბოროტმოქმედება ამით, რა თქმა უნდა, არა თუ მცირდებოდა, არამედ წინანდელზე მეტად ჰყვაოდა.

ადგილობრივი საადათო სამართლის სრულმა უგულვებელყოფამ, სახელმწიფო დაწესებულებებიდან და სასამართლოდან საქართველოს ძირითადი მოსახლეობიდან გამოსულ მოსამსახურეთა მოცილებამ გამოიწვია თავად-აზნაურთა და ბურჟუაზიის უკმაყოფილება. ხოლო სულადობრივი ფულადი გადასახადის შემოღებამ ნაცვლად მანამდე არსებული ნატურალური გადასახდელისა უფრო მეტად დაამძიმა გლეხთა მდგომარეობა. ამის შედეგად საქართველოში, სამხრეთ-ოსეთში და სხვაგან დაიწყო ცარიზმის ახალი ღონისძიებებისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა.

მთავრობას არ გაუმართლდა ის იმედი, რომ საქართველოში რუსულ დაწესებულებათა შემოღება ადმინისტრატიულ ხარჯებს შეამცირებსო. მოხელეთა რიცხვი ქვეყანაში თითქმის ერთი-ორად გაიზარდა. ცარიზმი თვითონ მალე დარწმუნდა გატარებული რეფორმის უსაფუძვლობაში და იძულებული შეიქნა მთელი რიგი შესწორებანი შეეტანა საქართველოს ადმინისტრატიულ მართვა-გამგეობაში.

ერთერთი მთავარი შესწორება ის იყო, რომ აღიარეს აუცილებლობა ყოველმხრივ განამტკიცონ კავშირი ქართველ თავად-აზნაურობასთან და ნაწილობრივ ბურჟუაზიასთან, რომელთა წარმომადგენლებს კვლავ აბამენ მმართველობის აპარატში. სამოქალაქო საქმეებში ნებადართული იყო ვახტანგ მეფის კანონების ცალკეული მუხლების შეფარდება. ხოლო ამიერ-კავკასიაში და საქართველოში უფრო მოქნილი სოციალური პოლიტიკის გასატარებლად, მას შემდეგ რაც აქ მოკლე ხნით მთავარმართებლის თანამდებობაზე დაჰყვეს გენერალმა გოლოვინმა (1837 — 1842) და გენერალმა ნეიდგარდტმა (1842 — 1844), ცარიზმმა შეჰქმნა კავკასიის სამეფისნაცვლო.

პოლიტიკის „ახალი“ კურსის განსაპორციელებლად. კავკასიაში მეფის უფლებამოსილ ნაცვლად, რომელიც პეტერბურგის სამინისტროებს არ ექვემდებარებოდა და უშუალოდ იმპერატორს ემორჩილებოდა, ნიკოლოზ პირველმა დანიშნა მ. ს. ვორონცოვი, რომელიც მანამდე იყო ნოვოროსიისკის გენერალ-გუბერნატორად და მეფის უფლებამოსილ ნაცვლად ბესარაბიის ოლქში.

ცარიზმის ერთგული მსახური თავადი მ. ვორონცოვი თავის დროის ერთერთი განათლებული ადამიანი იყო. იგი იყო ნიჭიერი და ენერგიული ადმინისტრატორი და, რაც მთავარია, მოხერხებული და გამოცდილი დიპლომატი, რომელმაც შესძლო საქართველოს გაბატონებულ კლასებთან ცარიზმის კავშირის აღდგენა და კიდევ უფრო მეტად განმტკიცება.

კავკასიაში მეფისნაცვლის თანამდებობის მიხედვით ვორონცოვის ხელში შეერთებული იყო ყველა მინისტრის უფლებები და მას ადგილობრივ შეეძლო მიეღო ყველა გადაწყვეტილება, რასაც უშუალოდ ბოლოს მეფეს მოახსენებდა. გაუქმებულ იქნა მეფის კანცელარიის მეექვსე განყოფილება, რომელიც მანამდე განაგებდა ამიერ-კავკასიის მხარის საქმეებს. მის ნაცვლად დატოვებულ იქნა მხოლოდ კანცელარია, რომელიც კავკასიის კომიტეტის სახელწოდებით განაგებდა ამიერ-კავკასიის მხარისა და კავკასიის ოლქის საქმეებს.

მრეწველობა, ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა

XIX საუკუნის 30-იან წლებისათვის ამიერ-კავკასიის დაპყრობა ცარიზმის მიერ ძირითადად დამთავრებული იყო და აქ განმტკიცებული იყო რუსეთის პოზიციები. მეფის რუსეთის უფრო შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსებს და ეკონომისტებს ესმოდათ, თუ რა უზარმაზარი მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა იმპერიისათვის ამიერ-კავკასიას მისი უმდიდრესი ბუნებრივი შესაძლებლობით, როგორც რუსეთის მრეწველობისათვის იაფი და ძვირფასი ნედლეულის მიმწოდებელს, ხოლო მეორე მხრივ, როგორც რუსეთის საქონლის გამსაღებელ ბაზარს. ჯერ კიდევ 1827 წელს რუსეთის ფინანსთა მინისტრი, გრაფი კანკრინი აყენებდა პროექტს, რომლის მიხედვით ამიერ-კავკასია უნდა გადაქცეულიყო რუსეთის თავისებური „ახალ აღმოსავლეთ ინდოეთად“.

თავის მოხსენებაში ის სწერდა: „უსაფუძვლო არ იქნება, რომ ამიერ-კავკასიის პროვინციებს ეწოდოს ჩვენი კოლონია, რომელიც სახელმწიფოს მეტად დიდ სარგებლობას მოუტანს სამხრეთის ჰავის ნაწარმოებებით. საჭიროა სოფლის სახალხო დოვლათის გამრავლება: მიწადმოქმედების და სოფლის მრეწველობის გაძლიერება, მეაბრეშუმეობის განვითარება, ბამბის, ბრინჯის, ზეთისხილის და ჰავის შესაფერი სხვა საგნების გაშენება“.

მთავრობას წარუდგინეს რამდენიმე გეგმა და მოხსენება ამიერ-კავკასიის ეკონომიური ექსპლოატაციის თაობაზე. ამ გეგმებს შორის ყურადღების ღირსია მოხსენება „რუსეთის ამიერ-კავკასიური კამპანიის დაფუძნების შესახებ“. ეს მოხსენება შეადგინეს: რუსეთის გამოჩენილმა მწერალმა ა. ს. გრიბოედოვმა, რომელიც 1826 წლიდან მთავარსარდალ გენერალ პასკევიჩთან მსახურობდა და განაგებდა სასაზღვრო ურთიერთობას ირანთან და თურქეთთან და პ. დ. ზავილეისკიმ, რომელსაც 1829 წლიდან საქართველოს გუბერნატორის პოსტი ეკავა.

იმ მიზნით, რომ განვითარებულიყო ამიერ-კავკასიის საწარმოო ძალები და ამ საქმიდან რუსეთს უკიდურესი სარგო მიეღო, მოხსენების ავტორები წინადადებას იძლეოდნენ — აქ რუს კაპიტალისტთა მონაწილეობით შექმნილიყო მსხვილი სააქციო წამოწყება, რომელიც ამიერ-კავკა-

სიის სიმდიდრეთა მონოპოლური ექსპლოატატორი იქნებოდა. მსხვილი სასოფლო კაპიტალისტური მეურნეობის მოსაწყობად განზრახულ საქციო კომპანიას თავის განკარგულებაში უნდა მიეღო მხარეში 130 ათასი ჰექტარი საუკეთესო მიწა და ყველა სახაზინო ბაღი. [illegible] კომპანიისათვის უნდა მიეცათ შავ ზღვაზე მოხერხებული ნავსადგური და როგორც შიგნით რუსეთთან, ისე უცხოეთთან უბაჟო ვაჭრობის უფლება.

ა. ს. გრიბოედოვის და პ. დ. ზავალეისკის პროექტი ვერ განხორციელდა. რუსეთს არ გააჩნდა თავისუფალი კაპიტალი, რუსმა კაპიტალისტებმა არ გამოიჩინეს კომპანიაში აქციონერებად შესვლის სურვილი, და ეს საქმე გაიყინა. მაგრამ ა. ს. გრიბოედოვის დამსახურება ისაა, რომ მისი ინიციატივით დაიწყო ამიერ-კავკასიის მხარის უფრო სერიოზული ეკონომიური შესწავლა. პეტერბურგიდან აქ გამოიგზავნა სპეციალური გამომკვლევი კომისია, რომლის მუშაობის შედეგად 1835 წელს გამოქვეყნებულ იქნა ოთხტომიანი შრომა: „კავკასიაში არსებულ რუსეთის სამფლობელოთა მიმოხილვა“.

კოლონიური პოლიტიკის საფუძვლები, რომლებიც უწინარეს ყოვლისა მოითხოვდნენ ამიერ-კავკასიის გადაქცევას რუსეთის მრეწველობის მიერ დამზადებული საგნების გამსაღებელ ბაზრად, ფიქრადაც კი გამორიცხავდნენ აქ ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე საქართველოში არ გაუტარებიათ არც ერთი სერიოზული ღონისძიება აქ მსხვილ სამრეწველო საწარმოთა მოსაწყობად. ხოლო თუ ასეთი საწარმონი ჩნდებოდნენ, ისინი ან საწყლად ბოგინობდნენ, ან მალე სწყვეტდნენ მუშაობას.

ამას განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენებს თბილისის მაუდის ფაბრიკის მაგალითი. ამ ფაბრიკის აგება განზრახული იყო ჯერ კიდევ ციციშვილის დროს 1803 წელს, მას მოეპოვებოდა ნედლეულის მტკიცე ბაზა, უზრუნველყოფილი იყო მის მიერ დამზადებული მაუდის გასაღება კავკასიის არმიისათვის მისაწოდებლად, მაგრამ ეს ფაბრიკა გაიხსნა მხოლოდ 1853 წელს თბილისიდან 25 კილომეტრის მანძილზე. ფაბრიკის წოწყობა და ექსპლოატაცია მთავრობამ გადასცა ვინმე მაიცნერს. მაგრამ წარმოების ზარალიანობის გამო ფაბრიკა მალე დაიხურა.

მცირე ხანს არსებობდა აგრეთვე მინის ქარხანა, რომელიც თავადმა ერისთავმა გახსნა ატენის ხეობაში, და ბორჯომის სახაზინო მამულში ლევაშევის მიერ გახსნილი მინის ქარხანა. ვერ განხორციელდა აგრეთვე შაქრის ქარხნის აგება თბილისში, თუმცა მეწარმეებმა — შადინოვმა, თამამშევმა და ზუბალაშვილმა სხვადასხვა დროს მიიღეს მისი გახსნის ნებართვა, ხოლო ზოგიერთ მათგანს გამოუყვეს მიწის დიდი ნაკვეთებიც შაქრის ლერწმის გასაშენებლად.

ამიერ-კავკასიაში ცარიზმის მიერ გატარებული კოლონიური პოლიტიკის გავლენა დაეტყო აქ სავაჭრო ბრუნვის განვითარებასაც. ამიერ-კავ-

კასიაში 1821 წლიდან მოქმედი შელავათიანი ტარიფი დასავლეთ ევროპის საქონლის აქ შემოტანისა და ტრანზიტისა ირანში და იქიდან დასავლეთ ევროპის ბაზრებზე საქონლის გამოზიდვისა ძლიერ ეწყობოდა ხელს ვაჭრობის გაცხოველებას საქართველოში. მაგრამ ეს ტარიფი — ასებითად არღვევდა რუსი მრეწველების და ვაჭრების ინტერესებს. ამიერ-კავკასია ავსებული იყო უფრო იაფი და კარგი ხარისხის უცხოური წარმოების საქონლით. რუს მრეწველთა გავლენით 1831 წელს გაუქმეს კანონი შელავათიანი ტარიფის შესახებ, რათა ამიერ-კავკასიის ბაზრებისაკენ გზა გაეხსნათ რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებში დამზადებული საქონლისათვის. ამიერ-კავკასიაში „რუსეთის" წარმოების საქონლის შემოსატანად ეწყობა რუს მეწარმეთა სავაჭრო კომპანიები, რომელთაც ეძლევათ შელავათები და მთავრობის სუბსიდიები. ასეთი შელავათები 1840 წელს მიიღეს ქალ. ოდესის შტიგლიცის სავაჭრო სახლმა, მარინოს, მეიენდორფის და სხვათა წამოწყებებმა. თბილისში, თავად ვორონცოვის აქტიური დახმარებით, იხსნება და წარმატებით საქმიანობს მოსკოვის საფეიქრო მრეწველობის (ძმების პროხოროვებისა და კომპანიის, გუჩკოვების, ჩეტვერიკოვების, როგოჟინისა და კომპანიის, პოსილინისა და სხვათა) ნაწარმოებთა გამსაღებელი სავაჭრო დეპო.

საქონელი რუსეთიდან საქართველოში მოქონდათ უმთავრესად საქართველოს სამხედრო გზით და შავი ზღვით. რუსეთიდან წლიურად შემოტანილი საქონლის ღირებულება განისაზღვრებოდა 1.800 ათასიდან 2.500 ათას მანეთამდე. ფართოდ ეწყობა ნედლეულის ექსპორტი საქართველოდან როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. აქედან, მაგალითად, გაქონდათ ძვირფასი ხე-ტყის მასალები (კაკლის და ბზის მერქანი), აბრეშუმი, მატყლი და ა. შ. იმ მიზნით, რომ რუსეთის მრეწველობის საქონელს გზა გაეკვლია საქართველოს უშორესი კუთხეებისაკენ თბილისში და მთელ რიგ სხვა ქალაქებში და სოფლებშიაც. აწყობენ არბობას და ბაზრობას, ხოლო საქართველოს სოფლებში ჩნდებიან რუსი მეწვრილმანეებიც. მოსკოვსა და რუსეთის სხვა ადგილებში საქონელზე მიდიან ვაჭრები არა მარტო თბილისიდან, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებიდანაც: ქუთაისიდან, გორიდან, თელავიდან და ა. შ.

ჩნდებიან ახალი სავაჭრო ცენტრები. ჯერ კიდევ შელავათიანი სატრანზიტო ტარიფის მოქმედების დროს განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა ყულევი — სავაჭრო დაბა შავი ზღვის პირად (სამეგრელოში). აქ მოეწყო ნავსადგური და გამოცხადებული იყო პორტო-ფრანკო. მთელი ყულევი ქალაქად გადაკეთდა და მას რედუტ-კალე ეწოდა.

შესამჩნევად იზრდებოდნენ და ვითარდებოდნენ საქართველოს ძველი ქალაქები, განსაკუთრებით თბილისი, რომელიც მთელი კავკასიის მხარის ადმინისტრატიული ცენტრი იყო. ჯერ კიდევ 1825 წელს საქართველოში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობებით, ირიცხებოდა მხოლოდ ექვსი ქალაქი: თბილისი, ქუთაისი, ვორი, თელავი, სიღნაღი და რედუტ-კალე.

რომელთა ორივე სქესის მოსახლეობა 53.122 სულს უდრიდა. 1850—52 წლებში საქართველოში უკვე 12 ქალაქია, რომელთა მოსახლეობა უდრის 73.394 კაცს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში სავაჭრო ბრუნვა, რომელიც 1832 წელს 2.260 ათას მანეთს უდრიდა, 1850 წელს უკვე 7 მილიონ მანეთს შეადგენდა, ანუ გაიზარდა 280 პროცენტზე უფრო მეტად. დაიწყო ხელისუფალთა ზრუნვა ქალაქების კეთილმოწყობისათვის. გენერალ პასკევიჩის დროს თბილისი ჯერ კიდევ იყო წმინდა აზიური ქალაქი, რომელსაც ქუჩების ნაცვლად ჰქონდა ვიწრო და უსწორო გასავლელები. ქალაქში არ იყო არც მოკირწყლული ქუჩები, არც წყალსადენი, არ იყო არცერთი საავადმყოფო. ბიბლიოთეკაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. თბილისის საქალაქო მშენებლობის მოსაწესრიგებლად და კეთილმოწყობის გასაუმჯობესებლად გენერალ პასკევიჩის დროს მოეწყო სპეციალური კომიტეტი, რომელსაც ამოცანად ეკისრება ახალი ქუჩების დაგეგმვა, ცალიერი ადგილების განაშენიანება და სხვ. თბილისში მაშინვე დაიგეგმა ახალი ქუჩები და თანდათან გაჩნდა ევროპული ნიმუშის მიხედვით აგებული შენობები. 1837 წელს თბილისში გაიხსნა პირველი 50-საწოლიანი საავადმყოფო. განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა თბილისის კეთილმოწყობისა და აქ ახალი მშენებლობისათვის მეფისნაცვლის თავად მ. ს. ვორონცოვის დროს.

ცვლილებები მოხდა აგრეთვე საქართველოს ქალაქების მმართველობის წესში და საქალაქო მეურნეობის წარმოების საქმეში.

1840 წლის 10 აპრილის კანონის საფუძველზე თბილისში შემოღებულ იქნა საქალაქო საზოგადოებრივი მმართველობა. თუმცა უკანასკნელი არსებითად საგუბერნიო მმართველობის დანამატი და გუბერნატორის ნება-სურვილის მორჩილი აღმასრულებელი იყო, მაგრამ მაინც ქალაქის მართვა-გამგეობაში მოსახლეობის არჩეულ წარმომადგენელთა ჩაბმა მაინც წარმოადგენდა წინ გადადგმულ ნაბიჯს საქალაქო მეურნეობის მოწყობის საქმეში. საქალაქო მმართველობა შესდგებოდა ქალაქის თავისა და ექვსი ხმოსნისაგან, რომელთაც ირჩევდნენ ქალაქის მოსახლეობის ცენზიანი ელემენტები (ვაჭრები, ხელოსნები, რომელთაც საკუთარი სახელოსნო ჰქონდათ, და სახლის პატრონები).

საქართველოს დანარჩენ ქალაქებში საქალაქო მეურნეობის გამგებლობა პოლიციის ხელში რჩებოდა, მაგრამ ყველა ქალაქში შემოღებულ იქნა მტკიცე ბიუჯეტი, მოითხოვდნენ ანგარიშების წარდგენას, ინიშნებოდა რევიზიები.

ღონისძიებანი კეთილმოწყობის დარგში ტარდება არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიაც. ხდება საბაზრო მოედნების გამოყოფა, ეწყობა ქუჩების განათება, იქმნებიან სახანძრო რაზმები, აგებენ სახაზინო შენობებს დაწესებულებებისა და სკოლებისათვის და ა. შ.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, მას შემდეგ, რაც მეფის მთავრობამ ჩაატარა ქვეყნის მთელი რიგი გამოკვლევანი და შეადგინა მისი კო-

ლონიური ექსპლოატაციის პროექტები, იგი აქ ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს საქართველოში რუსეთის მრეწველობისათვის საჭირო ახალი კულტურების დანერგვისათვის და მათ დასამუშავებლად გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოყენებისათვის. ჯერ კიდევ გენერალ პასკევიჩის დროს ამერიკიდან გამოიწერეს ბამბის გაუმჯობესებული თესლი, დაიწყეს ინდიგოს, ბუჟლენდის, შაქრის ლერწმის გაშენების ცდები, ახალი (ევროპული) ჯიშის ვაზისა და ხეხილის დანერგვა. 1833 წელს თბილისში დაარსებულ იქნა „სოფლის მანუფაქტურული მრეწველობის და ვაჭრობის ხელშემწყობი საზოგადოება“, ხოლო 1836 წელს დაარსდა „საქართველოს ღვინის კომპანია“.

ლონისძიებანი სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებით ძლიერ ტარდება თავად მ. ს. ვორონცოვის დროს. მისობას ფართოდ ანვითარებს მუშაობას თბილისის სანიმუშო ფერმა, აწვდის სოფლის მეურნეებს ევროპული ჯიშის ვაზს, ხეხილის ნერგს და ა. შ. დასავლეთ საქართველოში ფართოდ ინერგება სოკოვან სნეულებათა გამძლე ვაზის ჯიში „იზაბელა“, რომელსაც ადგილობრივ „ადესა“ უწოდეს (ამ ვაზის ნერგი ოდესიდან მოქონდათ), სიმინდის ამერიკული ჯიშები. დაიწყო ჩაის კულტურის გაშენების პირველი ცდები. ასე, 1847 წელს ჩაის პირველი ბუჩქები დარგეს სოხუმის ბოტანიკურ ბაღში და ოზურგეთის საცდელ ბაღში. უფრო გვიან ჩაის ბუჩქის საცდელი დარგვა ჩაატარეს ზუგდიდში, სამეგრელოს მთავრობის ბაღში, და თავად მ. ერისთავის მამულში, ოზურგეთის მაზრის სოფ. ჩოხატაურის მახლობლად.

თბილისის ბოტანიკურ ბაღში აწყობენ ცდებს მემცენარეობის დარგში, მნიშვნელოვნად აფართოებენ მანამდე არსებულ საცდელ ბაღებს ქუთაისში, ოზურგეთში, სოხუმში. ფოთში აწყობენ ფორთოხლის და მანდარინის ხის სანერგეებს. საქართველოში იწერენ გამოცდილ აგრონომებს, ხოლო ადგილობრივ მცხოვრებთაგან მებაღეების მომზადების მიზნით ახალგაზრდებს სასწავლად აგზავნიან ყირიმში, ბესარაბიაში და ყიზლარში. იწყება საუკეთესო ჯიშების თამბაქოს სამრეწველო გაშენება და საქართველოს თამბაქო სულ მალე გააქვთ მოსკოვში, სადაც წარმატებით კონკურენციას უწევს თურქეთის თამბაქოს. გადმოსახლებულ რუსთა მეშვეობით ვრცელდება ახალი ბოსტნეული კულტურები, როგორიცაა კარტოფილი და სხვ. საზღვარგარეთიდან საქართველოში შემოაქვთ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. თბილისში იხსნება წმინდამატყლოვანი მეცხვარეობის ფერმა, ხოლო მეცხენეობის განსავითარებლად ეწყობა საპრიზო დოღები.

ნაცვლად „სასოფლო და მანუფაქტურული მრეწველობის ხელშემწყობი საზოგადოებისა“, რომელიც მოხელეებისაგან შესდგებოდა, თავადმა ვორონცოვმა 1850 წელს დააარსა „სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოება“. ამ საზოგადოების წევრებად, უწინარეს ყოვლისა, აბამდნენ ადგილობრივ მემამულეებს და იმ პირებს, რომელთაც თავი გამოიჩინეს

ცოდნით და გამოცდილებით სოფლის მეურნეობის დარგში. ეს საზოგადოება, რომელმაც 1919 წლამდე იარსება, ანვითარებს ფართო საქმიანობას, სცემს საკუთარ ჟურნალს, სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას სოფლის მეურნეობიდან, აწყობს სასოფლო-სამეურნეო გამოფენებს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენებს, რომლებიც დროგამოშვებით ეწყობოდა თბილისში. ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის საუკეთესო ექსპონატები იგზავნებოდა ასეთსავე გამოფენებზე რუსეთში და დასავლეთ ევროპის ქალაქებშიაც.

თავად მ. ს. ვორონცოვის ყველა ეს ღონისძიება, უეჭველია, ერთგვარ დადებით როლს თამაშობდა საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ცარიზმის საერთო სასტიკი კოლონიური პოლიტიკის და ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ბატონობის პირობებში, აღნიშნული ღონისძიებანი სრულიად არასაკმაო იყო. ეს ღონისძიებანი, უწინარეს ყოვლისა, თითქმის არ შეხებია გლეხურ მეურნეობას, რომელიც უმწვავეს კრიზისსა და რღვევას განიცდიდა.

მართალია, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე 1852 წელს სხვა ექსპონატებს შორის პირველად ღებულობდა მონაწილეობას სოფ. მარტყოფის მცხოვრების, სახელმწიფო გლეხის დ. ჩუბინიძის მეურნეობის პროდუქტები. თავისი ექსპონატებისათვის მან მიიღო ფულადი ჯილდოც 50 მანეთის რაოდენობით. მაგრამ ეს იყო სრულიად გამონაკლისი და ერთეული მოვლენა. როგორც წესი გლეხურ მეურნეობებში არავითარი გაუმჯობესება არ შედიოდა. ტექნიკა და ნიადაგის დამუშავება განსაკუთრებით პრიმიტიული რჩებოდა. ყმები კვლავ მამა-პაპეული წესით მუშაობდნენ წვრილ ნაკვეთებად დაქუცმაცებულ თავიანთ მეურნეობებში. ძირითად სახნავ იარაღს ხის პრიმიტიული კავი წარმოადგენდა.

გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენებას, ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენებას იწყებენ მხოლოდ კაპიტალისტური განვითარების გზაზე შემდგარ ზოგიერთ საბატონო მეურნეობაში. ასეთ მეურნეობათა შორის შეიძლება დავასახელოთ ბაგრატიონ-მუხრანბატონის მამული სოფ. მუხრანში, ბარონ ნიკოლაის მამული სოფ. ლაჩინოში, ანანოვის მამული—ვარციხეში, დიასამიძის, ერისთავის, ფურცელაძის, ამილახვრის მამულები ქართლში, ქორქაშვილის მამული იმერეთში, იაკობ მარრის და მ. ერისთავის მამულები გურიაში და სხვ.

ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ ამ პერიოდის მანძილზე სოფლის მეურნეობის დარგში შესამჩნევი გარდატეხა ხდება მხოლოდ იმ მხრივ, რომ იზრდება მარცვლეული კულტურების ნახნავ-ნათესები. თუ გენერალ პასკევიჩის დროს ჯარების მოსამარაგებლად რუსეთიდან ყოველწლიურად შემოქონდათ ამიერ-კავკასიაში საშუალოდ 13,5 ათასი ტონა

ფქვილი და ბურღული, თავად ვორონცოვის დროს უკვე არ უხდებოდა ჯარების მოსამარაგებლად არც ერთი ფუთი ფქვილის გამოგზავნა საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტის მიღწევა, საქართველოს გადაქცევა რუსეთის მრეწველობის საბოლოოდ ბაზად, ცარიზმმა ვერ მოახერხა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ამას ხელს უშლიდა, ერთი მხრივ, თვით რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენილობა და, რაც მთავარია, ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ბატონობა საქართველოში და ამის გამო ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების უზომო ჩამორჩენა.

1832 წლის შეთქმულება

1832 წელს მეფის ხელისუფლებამ თბილისში აღმოაჩინა შეთქმულება, რომლის მონაწილენი უმთავრესად ქართველი წარჩინებული თავადაზნაურებისაგან შესდგებოდნენ.

თავად-აზნაურული დიდკაცობა ჯერ კიდევ ვერ შერიგებოდა აზრს პოლიტიკური ძალაუფლების დაკარგვის შესახებ, ის უკმაყოფილო იყო მმართველობის აპარატიდან თავად-აზნაურთა ჩამოშორებით და ლამობდა აღედგინა საქართველოში ის პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც აქ არსებობდა მეფის რუსეთთან შეერთებამდე. შეთქმულებაში ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ ბატონიშვილები ოქროპირი და დიმიტრი, მეფის ასული თამარი და სხვ. შეთქმულების გამარჯვების შემთხვევაში განზრახული ჰქონდათ საქართველოს ტახტზე დაესვათ ბატონიშვილი ალექსანდრე, რომელიც იმ დროს ირანში იმყოფებოდა და უარყოფდა ყოველგვარ შერიგებას ცარიზმთან. ამ ჯგუფს კავშირი ჰქონდა გაბმული თურქეთთან და ირანთან და იმედს მათ აქტიურ დახმარებაზე ამყარებდა. ბატონიშვილ ალექსანდრეს ფულად დახმარებას უწევდა ინგლისიც. ინგლისი მუდამ ფხიზლად თვალყურს ადევნებდა კავკასიის საქმეთა ვითარებას და ცარიზმის დამკვიდრებას ამიერ-კავკასიაში. ინგლისი განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო ირანთან მისი ვაჭრობის შევიწროებით რუსეთის მიერ, როცა 1831 წელს ამიერ-კავკასიაში გაუქმებულ იქნა შეღავათიანი სატრანზიტო ტარიფი და მეფის მთავრობამ დაიწყო შავი ზღვის სანაპიროების მკაცრი ბლოკადა, რითაც ილახებოდა ინგლისის სავაჭრო ბურჟუაზიის ინტერესები. ინგლისი მზად იყო მხარი დაეჭირა ყოველი ღონისძიებისათვის, რომელიც შეასუსტებდა რუსეთის პოზიციებს კავკასიაში და ხელს შეუშლიდა მის შემდგომ ექსპანსიას ახლო აღმოსავლეთში. ქართველ თავად-აზნაურთაგან შემდგარ შეთქმულთა საზოგადოებას ჰქონდა თავისი წესდება, რომელიც შეიმუშავეს ფილადელფოს კიკნაძემ და სოლომონ დოდაშვილმა. „საზოგადოების“ საქმიანობა სასტიკი კონსპირაციის პირობებში მიმდინარეობდა და ხელისუფლებას რამდენიმე წლის მანძილზე ეჭვადაც ვერ წარმოედგინა თავად-აზნაურთა შეთქმულებითი ორგანიზაციის არსებობა.

შეთქმულებაში ისეთ პირთა მონაწილეობა, როგორიც იყვნენ დიდი საზოგადო მოღვაწე და პოეტი ა. ჭავჭავაძე, დრამატურგი გ. ერისთავი, ფილოსოფოსი და თავისი დროის დიდი მეცნიერი „თბილისის უწყებანის“ რედაქტორი ს. დოდაშვილი, გრ. ორბელიანი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე დ. ყიფიანი და სხვ. შეთქმულების განდობა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის პ. დ. ზავილეისკისათვის (წარმოშობით პოლონელი იყო), აგრეთვე ცალკეულ შეთქმულთა კავშირი საფრანგეთის კონსულის მდივანთან დეტელიესთან გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ შეთქმულთა შორის იყო ჯგუფი, რომელიც იცნობდა დასავლეთ-ევროპულ ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ იდეებს და მათი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამ ჯგუფს შეეძლო საქართველოს მომავალი წყობილება უმეფოდ წარმოედგინა, ტყუილუბრალოდ კი არ იყო შეთქმულთა ამ ჯგუფში ლაპარაკი რესპუბლიკურ წყობილებაზე, სეიმის ორგანიზაციაზე და სხვ.

ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეთქმულნი უკავშირებდნენ ამიერკავკასიის ყველა ხალხის გამოსვლას ცარიზმის წინააღმდეგ. შეთქმულების მონაწილეთა უმრავლესობა (ოფიციალური ცნობებით, შეთქმულთა რიცხვი 145 კაცამდე აღწევდა) მტკიცედ იზიარებდა მონარქიულ იდეებს. მათ განზრახული ჰქონდათ მეფის ძალაუფლების შეზღუდვა მხოლოდ თავად-აზნაურთა სასარგებლოდ. ამ მიზნით უნდა შექმნილიყო ორი პალატა: ზედა პალატა („ზედა სამმართველო“), რომელშიაც უნდა შესულიყო მეფეც, და ქვედა პალატა („ქვედა სამმართველო“), რომელიც შესდგებოდა მაზრების თავად-აზნაურ დეპუტატთაგან.

„ფარული საზოგადოების“ ორგანიზაციის იდეა, როგორც ახლა გამორკვეულია, ჩაისახა 1825 — 1827 წლებში. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მას ბიძგი მისცა დეკაბრისტთა 1825 წლის აჯანყებამ. საქართველოში თავად-აზნაურული დიდკაცობის გამოსვლის მომზადებაზე ერთგვარი გავლენა შეეძლო მოეხდინა პოლონეთის აჯანყებას 1830 — 1831 წლებში. გამოსვლის უკანასკნელ ვადად დანიშნული იყო 1832 წლის 20 დეკემბერი. განზრახული იყო პირველ რიგში თბილისის მთელი უმაღლესი რუსი მოხელეობის ამოწყვეტა და ჯარის განიარაღება. შეთქმულებს იმედი ჰქონდათ განეხორციელებინათ ეს განზრახვა საზეიმო ვახშამზე, რომელიც უნდა მოეწყო ქართველ თავად-აზნაურობას. მაგრამ თავად-აზნაურობის გამოსვლა არ მომხდარა, ვინაიდან შეთქმულების ერთერთმა ახლო მონაწილემ იასე ფალავანდიშვილმა გასცა თავისი თანამოაზრენი და შეთქმულება მეფის ხელისუფლებას შეატყობინა.

ორგანიზაციის ყველა წევრი დააპატიმრეს და სამართალში მისცეს.

შეთქმულნი თითქმის მარტო ქართველი თავად-აზნაურები იყვნენ და მათ არავითარი კავშირი არ ჰქონდათ გლეხთა მასებთან. შეთქმულთა უფრო მემარცხენე ჯგუფშიაც არ დასმულა ბატონყმობის ლიკვიდაციის საკითხი. ამრიგად, 1832 წლის შეთქმულება საქართველოში თავისთავად

დასამარცხებლად იყო განწირული. მას არავითარი დასაყრდენი არ ჰქონდა გლეხთა მასებში, იგი ანგარიშს არ უწევდა გლეხთა შესაძლო გამოსვლებს ორმაგი ჩაგვრის — კოლონიური და ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1832 წლის თავად-აზნაურულ შეთქმულებას საქართველოში შეიძლება სავსებით შეუფარდდეს ის შეფასება, რომელიც ფ. ენგელსმა მისცა პოლონეთის აჯანყებას. „პირდაპირ ვიტყვით — ამბობდა იგი, — 1830 წლის აჯანყება არ ყოფილა არც ნაციონალური რევოლუცია (ის გამორიცხავდა პოლონეთის სამმეფოთხედს), არც სოციალური ანუ პოლიტიკური რევოლუცია: იგი არაფერს სცვლიდა ხალხის შინაგან მდგომარეობაში, ეს იყო კონსერვატიული რევოლუცია“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. V, გვ. 265).

შეთქმულების მონაწილენი გასამართლების შემდეგ გადაასახლეს ევროპულ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, ხოლო ს. დოდაშვილი, რომელიც არ ეკუთვნოდა აზნაურთა წოდებას სამუდამოდ გადაასახლეს ჯერ ციმბირში, შემდეგ კი მას ეს სასჯელი შეუცვალეს ქალაქ ვიატკაში (ამჟამად ქალაქი კიროვი) გადასახლებით.

შეთქმულების მონაწილენი, ამრიგად შედარებით მსუბუქად დაისაჯნენ. ყველა მათგანმა თავისი დანაშაული ძალიან მალე მოინანია. ისინი დაბრუნდნენ გადასახლებიდან, მოეწყვნენ და დაწინაურდნენ მეფის სამსახურში. ერთი მათგანი — გრიგოლ ორბელიანი XIX საუკუნის 60-ან წლებში კავკასიაში მეფის ნაცვლის თანაშემწედაც კი დაინიშნა.

მეფის მთავრობას, რომელმაც ასე მსუბუქად დასაჯა თავად-აზნაურული შეთქმულების უშუალო მონაწილენი, არ შეუცვლია მთლიანად თავისი სოციალური პოლიტიკა საქართველოს თავად-აზნაურთა წოდების მიმართ. „ღალატი“ მალე დავიწყებას მიეცა და თავად-აზნაურობაც ამის მეტად არ ცდილა „ჯანყი“ მოეწყო. ის უყოყმანოდ ჩადგა ცარიზმის სამსახურში.

1848 წელს, როცა საფრანგეთში იფეთქა რევოლუციამ და ევროპის ჟანდარმმა — რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა თავისი ჯარები დასძრა ავსტრიისაკენ, რათა სისხლში ჩაეხრჩო უნგრეთში დაწყებული რევოლუცია, ქართველმა თავად-აზნაურობამ რუსეთის თვითმპყრობელს მიართვა ადრესი, რომელშიაც აცხადებდა: „თუ არეულობა, რომელიც დასავლეთ ევროპას აღელვებს, სახელმწიფოს კეთილდღეობას დაემუქრებოდა“, ქართველი თავად-აზნაურები „უკლებლივ ყველანი დაიძროდნენ დიადი სამშობლოს დასაცავად“.

გლეხთა აჯანყებანი 30-ან და 40-ან წლებში

კოლონიური ჩაგვრისა და ფეოდალურ ბატონყმური ექსპლოატაციის გაძლიერების შედეგად საქართველოში XIX საუკუნის მეორე მეოთხედში ყველგან ხდება გლეხთა ახალი მასობრივი გამოსვლები.

1832 წელს იმერეთში თავად წერეთლებს მათმა ყმა-გლეხებმა ურჩობა და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. თავიანთი გამოსვლა გლეხებმა იმით დაასაბუთეს, რომ „სხვადასხვა ბეგრით და სამუშაოთა ჩვენი დატვირთვა ყოველგვარ ზომას აჭარბებსო“. გლეხები ძლივს დაამორჩილეს, ისიც მხოლოდ მას შემდეგ, როცა მებატონეთა დასახმარებლად გაიგზავნა სამხედრო ექსპედიცია.

1833 წლის აპრილს ქართლში აჯანყდნენ დიმიტრი ერისთავის, თავად წერეთლების, აზნაურ აბაშიძეების გლეხები. როგორც ოფიციალურ მოხსენებაში იყო ნათქვამი, გლეხები „შეიარაღებულნი ტყედ გაიქცნენ და ნაცვალს გამოუცხადეს, ზედმეტი ღალის გადახდევინებისათვის და სხვ. ჩვენს მემამულეებს არ ვემორჩილებითო“.

1833 წლის თებერვალს გურიაში გლეხებმა ხაბულა, გოგია და სეხნია ბოლქვაძეებმა მოჰკლეს მემამულე გოთია ჟღენტი იმისათვის, რომ მან გადასწყვიტა თავისი ქალიშვილისათვის მზითვად გაეყოლებინა გოგია ბოლქვაძის ქალიშვილი. სამხედრო სასამართლომ ამ საქმეზე ასეთი განაჩენი გამოიტანა: „გლეხი სეხნია ბოლქვაძე ბორბლით დაიმტვრეს და მისი სხეული ბორბალზე დაიდოს; გლეხები — ივანე სიხარულიძე, მისი ცოლი ხვარამზე მეგრელიშვილის ასული, გოგია დოლიძე, მისი ცოლი ხვარამზე იესეს ასული და გაბრიელ ჯიბლაძე, რომელთაც მკვლელები შინ დამალეს, სიკვდილით დაისაჯონ“.

იმ პერიოდში საყოველთაო მოვლენად იყო გადაქცეული გლეხების გავარდნა მიუვალ ტყეებში და მთებში, შედგენა იქ შეიარაღებული რაზმებისა, რომელნიც გლეხთა მასების დახმარებით პარტიზანულ ბრძოლას ეწეოდნენ მებატონეთა და მეფის ხელისუფალთა წინააღმდეგ. 30-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით ცნობილი გახდა გლეხთა ერთერთი ასეთი რაზმი, რომელსაც სათავეში ედგა ყმა არსენ ოძელაშვილი. მასში ხალხი ანსახიერებდა მებრძოლს გლეხთა საქმისათვის მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ. არსენას გმირობა აწერილია მრავალ ხალხურ გადმოცემასა და სიმღერაში და ფართოდ არის ასახული ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

1830 წელს გლეხთა გამოსვლები მოხდა სამხრეთ ოსეთში. ოსმა გლეხებმა უარი სთქვეს მოეხადათ ბეგარა მემამულეთა სასარგებლოდ. ისინი ჰკლავდნენ მემამულეებს და მათ მოურავებს, სწვავდნენ მათ სახლ-კარს, ანგრევდნენ ეკლესიებს, იტაცებდნენ მემამულეთა პირუტყვს და სხვ. ცარიზმს მემამულეებთან ერთად მოუხდა მაშინ სამხრეთ ოსეთის ხელმეორედ დაპყრობა. სამხედრო ექსპედიციის უფროსად დაინიშნა გენერალი რენენკამპფი, რომელმაც მიიღო ბრძანება: „როგორც კი თავიანთ სოფლებში თავდაცვას შეეცდებიან, ყოველი მხრით ალყა შემოარტყით და ამოსწყვიტეთო“. და მართლაც ბევრგან გასწყვიტეს უკლებლივ მთელი მოსახლეობა, ხოლო ცოცხლად დარჩენილნი სხვა რაიონებში გადაასახლეს. ამის შემდეგ მემამულეებმა — ერისთავებმა და მაჩაბელებმა არა

მარტო აღადგინეს ბატონყმობა იმ სოფლებში, რომლებმაც მათ ურჩობა გაუწიეს, არამედ რუსეთის ჯარის დახმარებით დაიყმევეს ის შორეული სოფლებიც, რომლებიც ჯერ კიდევ მათი საბატონო არ იყო.

თავისუფლების მოყვარული მთიელები მაინც არ ურიგდებოდნენ თავის ჩაგრულ მდგომარეობას და კვლავაც მედგრად იბრძოდნენ ბატონყმური ექსპლოატაციის, სამხედრო ძალადობისა და ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ. როცა ხელისუფლებამ წინადადება მისცა მათ დამორჩილებოდნენ მემამულეებს, გლეხებმა უპასუხეს: „თუ ფიქრობთ ძალით გაგვხადოთ თავად მაჩაბლების ქვეშევრდომებად, ჩვენ იარაღით ხელში დავიცავთ მართალ საქმეს და უმალ ყველანი დავიღუპებით, მაგრამ მაჩაბლების მონები არ გავხდებით; საქმით დავამტკიცებთ, რომ ჩაჩნებზე ნაკლებ არ ვიცით ბრძოლა, ხოლო ჩვენი ადგილი კიდევ უფრო მიუვალია“.

1840 წელს ოსი გლეხები ბაბე ბიბისაშვილის მეთაურობით კვლავ აჯანყდნენ. აჯანყებულებმა დაამყარეს კავშირი ჩრდილო-კავკასიის მთიელებთან, რომელნიც იმ დროს, გამოჩენილი პოლიტიკური ხელმძღვანელისა და მამაცი სარდლის შამილის მეთაურობით, ეწეოდნენ ბრძოლას თავისი დამოუკიდებლობისათვის. ამ აჯანყების ჩასაქრობად გაიგზავნა დიდი სამხედრო ექსპედიცია პოლკოვნიკ ანდრონიკაშვილის მეთაურობით.

აჯანყებულებს წინადადება მისცეს იარაღი დაეყარათ და დამორჩილებოდნენ მემამულეებს. მათ უპასუხეს: „ჩვენი შერცხვენა იქნება მემამულეთა მონები ვიყოთ. და თუ ჩვენ, ნარის ხეობის ოსებს, ხელწერილს მოგვცემთ, რომ მხოლოდ ხაზინას მივეკუთვნებით, მაშინ მზად ვართ დავიშალნეთ. მაგრამ თუ განზრახული გაქვთ მაჩაბლების გლეხებად გადაგვაქციოთ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთო“.

და მართლაც, ოსი გლეხები განსაკუთრებული გმირობით იბრძოდნენ. ქალები, მოხუცები და ბავშვები ამჯობინებდნენ დაღუპულიყვნენ ცეცხლსა და ნანგრევებში, ვინემ ტყვედ ჩავარდნილიყვნენ. როცა აჯანყებულებს გამოელიათ ტყვია-წამალი და აღარ იყო წინააღმდეგობის გაწევის მეტი შესაძლებლობა, ისინი უფსკრულში იჩეხებოდნენ და იქ ილუპებოდნენ.

მთელი რიგი ოსური სოფლების განადგურების შემდეგ, ანდრონიკაშვილი, ბოლოს, შეიჭრა მამისონის ხეობაში, რომელიც აჯანყებულთა მთავარ და უკანასკნელ დასაყრდენს წარმოადგენდა. ყველაზე მედგრად იცავდა თავს სოფელი ტიბი, სადაც ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დანგრეული იყო ყველა ციხე-კოშკი და სახლი. სოფელ ბაგიეთკარში, როგორც ოფიციალური დოკუმენტი აგვიწერს, მაგალითად, ადგილი ჰქონდა ასეთ ეპიზოდს: „ორი კოშკიდან ერთი სრულიად დანგრეული იყო, მეორე ნახევრად ჩამოინგრა. მასში ჯერ კიდევ იმალებოდა რამდენიმე კაცი ოჯახებიანად, მაგრამ მათ არ ჰქონდათ გადარჩენის არავითარი იმედი. ანდრონიკაშვილმა მათ შეუთვალა, ქალები და ბავშვები მაინც გამოუშვითო, მაგრამ ალყაშემორტყმულებმა უპასუხეს: „ეს კოშკი ჩვენ

სამარედ გაგვიხდია, უკეთესია ცოლები და ბავშვები ჩვენთან ერთად დაიღუპონ, ვიდრე მტრებს ჩაუვარდეთ ხელში". ალყაშემორტყმულნი გაგაფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. კოშკში ყუმბარები ჩაუყარეს ანთებული კონები ჩავყარეთ და ცეცხლი წავუკიდეთ". (აქტები, ტ. IX, გვ. 159).

სასტიკმა დასჯამ საბოლოოდ ვერ გასტეხა წინააღმდეგობა ოსი გლეხებისა, რომელთა არ სურდათ ქედის მოხრა ბატონყმობის უღელქვეშ. მათი გამოსვლები კვლავ გრძელდებოდა.

თვით კავკასიის ხელისუფალნი იძულებული იყვნენ აღეარებინათ ოსების წინააღმდეგ მიმართული დამსჯელი ზომების უშედეგობა. მეფის ნაცვალმა კავკასიაში თავადმა ვორონცოვმა ნიკოლოზ პირველის წინაშე დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ ოსი გლეხები განთავისუფლებული ყოფილიყვნენ ბატონყმობისაგან და ისინი სახაზინო გლეხებად გადაერიცხათ რაც კიდევაც განხორციელდა. მემამულე მაჩაბლები იმით დაკმაყოფილეს, რომ მათ დაუნიშნეს დიდი ყოველწლიური პენსია.

ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლოატაციის და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მრავალჯერ აჯანყდნენ აფხაზი გლეხები. 1830 წელს კოდორის რაიონის გლეხები თავს დაესხნენ ილორის მონასტერს და იქ გადასწვეს აფხაზეთის მთავარის ჩაჩბა შერვაშიძის სახლი. დიდი აჯანყება მოხდა აფხაზეთში 1840 წელს, როცა გამოვიდნენ წებელელი, დალელი და კოდორელი გლეხები გლეხის ისმაილ ჯოჯუას მეთაურობით. ეს აჯანყება ულმობელად ჩააქრეს აფხაზეთის ფეოდალებმა რუსეთის ჯარების დახმარებით. დასჯის სხვა ღონისძიებათა შორის ცარიზმმა აქ განახორციელა ურჩი აფხაზების გადასახლება თურქეთში. 1841 წელს აფხაზეთიდან გადაასახლეს დალის ხეობის მცხოვრებნი. 1850 — 1860 წლების პერიოდში ჯიქეთიდან გადაასახლეს 12000 კაცი, ფსხიდან 3.600, ახჩიფსხიდან — 4000.

ამ პერიოდის გლეხთა აჯანყებებს შორის თავისი ორგანიზებულობით ყველაზე შესანიშნავი იყო გურიის 1841 წლის აჯანყება. გლეხთა გამოსვლას აქ წინ უძღოდა ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობა. ფარულ კრებებზე ხდებოდა გლეხთა მოთხოვნების შემუშავება, აჯანყებულთა რაზმების შედგენა. მოძრაობის ხელმძღვანელთა უმრავლესობა გლეხები იყვნენ. ისინი აგზავნიდნენ მთელ გურიაში და მეზობელ იმერეთსა და სამეგრელოში აგენტებს და „ამაღელვებელ" წერილებს, რომლებიც მოუწოდებდნენ იარაღი აესხათ ცარიზმისა და მემამულეთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ წერილებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ. დარჩენილი ოფიციალური ცნობების თანახმად კი თვითონ გლეხები თავიანთ გამოსვლას ხსნიდნენ კოლონიური ჩაგვრით და აუტანელი მემამულური ექსპლოატაციით. გლეხები სჩიოდნენ, მეფის ხელისუფლების წარმომადგენლები გვაწუხებენ, უხეშად გვეპყრობიან, უსაფუძვლოდ გვაპატიმრებენ და გვამწყვდევენ,

ყოველგვარ ბეგარას გვაკისრებენო. გლეხები განსაკუთრებით უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ მეფის მთავრობამ ნატურალური გადასახდელის ნაცვლად შემოიღო სულადობრივი ფულადი გადასახადი, ამასთან, გადასახადში ხაზინა ღებულობდა მხოლოდ რუსეთის ფულის ნიშნებს, გურიაში კი მაშინ ჯერ კიდევ ხმარებაში იყო თურქული ფულიც. გლეხები გაბოროტებული იყვნენ მემამულეებზე, რომელნიც სასტიკად ეპყრობოდნენ ყმებს, თვითნებურად უდიდებდნენ მათ ბეგარას, იტაცებდნენ გლეხთა ბავშვებს და მათ ჰყიდნენ თურქეთში მონებად და სხვ.

გლეხები უჩიოდნენ სამღვდელოებასაც, რომელიც მას უზომო გადასახადს ახდევინებდა სხვადასხვა საეკლესიო წესის შესრულებისას.

გურიის თავად-აზნაურობას იმედი ჰქონდა თურქეთის და მაშინ ბათუმში მცხოვრები ინგლისის კონსულის ფ. გარაჩინოსი და ცდილობდა ხელთ ეგდო გლეხთა მოძრაობის მეთაურობა, რომ შემდგომ მოეხერხებინა მეფის რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლება თუ ვერა, ყოველ შემთხვევაში თავის უფლებათა გაფართოება ადგილობრივ მართვა-გამგეობაში. მაგრამ როცა მისთვის ნათელი გახდა აჯანყების აშკარა ანტიბატონყმური ხასიათი და როცა გლეხებმა ყველგან ხელი მოჰკიდეს ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის გაუქმებას, თავად-აზნაურები სწრაფად გადავიდნენ ცარიზმის მხარეზე და მათ ჯართან ერთად მონაწილეობა მიიღეს აჯანყებულ გლეხთა დათრგუნვაში.

გურიის აჯანყება დაიწყო 1841 წლის 22 მაისს. აგვისტოს დამდეგისათვის აჯანყება მთელ გურიას მოედო. შეიარაღებულ აჯანყებულთა რიცხვი 7.000 კაცს აღემატებოდა. აჯანყებულებმა მთელი რიგი სერიოზული გამარჯვება მოიპოვეს ჯარის ნაწილებზე, ხელთ იგდეს გურიის გამაგრებული ადგილები, მოსპეს კორდონები. ცარიზმის ხელში რჩებოდა მხოლოდ გურიის ადმინისტრატიული ცენტრი—ოზურგეთი (ამჟამად ქალაქი მახარაძე) და მასაც აჯანყებულნი მკვრივე რკალად გარშემორტყმოდნენ. მათ დაამარცხეს და უკან დაახევინეს სამეგრელოს მთავარს დადიანს, რომელიც ათასი ცხენოსნისაგან შემდგარი რაზმით მიეშველა ოზურგეთში ალყაშემორტყმულ გარნიზონს და გურულ თავად-აზნაურებს. გურიის აჯანყების ამბავი სწრაფად გავრცელდა შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროზე.

რუსეთის ჯარებს შეეშინდათ ამიერ-კავკასიის ჩაგრული ხალხების საყოველთაო აჯანყებისა და ისინი იძულებული გახდნენ შეეჩერებინათ შეტევა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ჯერ კიდევ დაუპყრობელ მთიელთა წინააღმდეგ. გურიის აჯანყების გავლენით დაიწყო გლეხთა მასის მღელვარება იმერეთსა და სამეგრელოში. აქ სდგება გლეხთა რაზმები გურულების მისაშველებლად. მეფის მთავრობას სერიოზულად ეშინოდა, გურიის აჯანყება შეიძლება კავკასიის საყოველთაო აჯანყებად გადაიქცესო. ერთერთ ოფიციალურ მოხსენებაში, მაგალითად ნათქვამი იყო: „თუ ზარბაზნის პირველი გასროლილი ყუმბარების ხმა გურიაში გაისმა,

მათი უკანასკნელი გასროლა შეიძლება ანაპაში და კასპიის ზღვის პირად მოხდესო". (საარქივო ფონდი. გურიის საქმეები. აპრეპის საქმე. ფურცელი 12).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურიის საზღვრებისაკენ სექტემბრის დამდეგს გაიგზავნა 4.000 კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული რაზმი 10 ქვემეხით და საჭურველის დიდი მარაგით. გაიყვანეს რა მთავარი ძალები ოზურგეთიდან, გურულები გამაგრდნენ და ელოდნენ რუსების შემოტევას ნასაკირალის ხეობით. მაგრამ რუსთა სამხედრო სარდლობამ, გურულ თავად-აზნაურთა რჩევით, მარჯვე სტრატეგიული მანევრით შემოუარა გურულების გამაგრებულ ადგილს. 5 სექტემბერს რუსთა ჯარები მოულოდნელად გამოჩნდნენ ოზურგეთთან. აჯანყებულებმა, რომელთაც უეცრად თავს დაესხნენ, მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ უამრავი ზარალის შემდეგ ისინი იძულებული გახდნენ ალყა მოეხსნათ ოზურგეთიდან და უკან დაეხიათ. ამან გადასწყვიტა გურიის აჯანყების ბედი. დაიწყო გლეხებთან ულმობლად ანგარიშის გასწორება. დამსჯელი რაზმები გაიგზავნა გურიის ყველა რაიონში. მოძრაობის 10 მეთაურმა მოასწრო მეზობელ თურქეთში გადამალვა, 50 კაცი დააპატიმრეს და დაამწყვდიეს ქუთაისის საპყრობილეში, შემდეგ კი გადასცეს სამხედრო სასამართლოს.

განათლება და კულტურა საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში

ა) სკოლა

რუსეთის განაპირა მხარეებში ცარიზმის მიერ წარმოებული პოლიტიკის ბრწყინვალე დახასიათება მოცემულია ამხანაგ სტალინის შემდეგ სიტყვებში: ...„ცარიზმი განზრახ ანვითარებდა განაპირა ქვეყნებში პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას იმ მიზნით, რომ მასები მონობაში და მცონარეობაში ჰყოლოდა. ცარიზმმა განზრახ დაახალა განაპირა ქვეყნების კუთხეები კოლონიზატორული ელემენტებით იმ მიზნით, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ყველაზე უარეს რაიონებში გაეძევებინა და ნაციონალური შუღლი გაეძლიერებინა. ცარიზმი ავიწროებდა, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმ მიზნით, რომ მასები ბნელეთში დაეტოვებინა"... (სტალინი. „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი", გვ. 83).

რუსეთთან შეერთებამდე ქართველ ხალხს უმდიდრესი ისტორიული წარსული ჰქონდა. მას მოეპოვებოდა უზარმაზარი კულტურული მემკვიდრეობა. უკვე მარტო ის გარემოება, რომ ქართველი ხალხის წიაღიდან XIX საუკუნემდე გამოსულ ფილოსოფოსთა, მწერალთა, მგოსანთა, დიდ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის, ქართველმა ხალხმა კაცობრიობას მისცა ისეთი გენიალური პოეტი, როგორიცაა უკვდავი

პოემის — „ვეფხის ტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთაველი, მარტო ეს გარემოებაც, გვიჩვენებს, რა უძვირფასესი განძი შეუტანია ქართველ ხალხს მსოფლიო კულტურის სალაროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცარიზმმა ყოველივე ეს უგულვებელჰყო, საქართველო [illegible] თანაბრა კულტურის პირველყოფილ სტადიაში მყოფ ქვეყნებს და დაიწყო აქ მძვინვარე და შეურიგებელი რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარება. დაიხურა საქართველოში 1801 წლამდე არსებული სკოლები. თბილისში 1802 წელს მთელი ქვეყნისათვის, ისიც მხოლოდ თავად-აზნაურთა ბავშვებისათვის, დაარსებულ იქნა ერთადერთი ორკლასიანი სასწავლებელი, რომელიც 1804 წელს გადაკეთდა „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლად“.

1817 წელს თბილისში გაიხსნა მართლმადიდებელი სასულიერო სემინარია, ხოლო 1822 წელს — სომეხ გრიგორიანთა სემინარია, რომლებშიაც უმთავრესად სარწმუნოების მსახურთ ამზადებდნენ. საქართველოს ყველა სკოლაში მაშინ სწავლობდა 400-მდე ბავშვი, მათ შორის სრულებით არ იყო გლეხთა ბავშვები.

1830 წელს „კეთილშობილთა“ სასწავლებელი გიმნაზიად გადააკეთეს, ხოლო თავად-აზნაურთა ქალიშვილების სწავლებისათვის გაიხსნა სპეციალური პანსიონი, რომელიც 1840 წელს გადაკეთდა ამიერ-კავკასიის საქალწულო ინსტიტუტად. 1830 წლიდან სამაზრო ქალაქებში იწყება ორკლასიან სასწავლებელთა გახსნა. რამდენად უმნიშვნელო იყო სასკოლო საქმის დაფინანსება საქართველოში, სჩანს იქიდან, რომ მთელი სასკოლო ქსელისათვის ამიერ-კავკასიაში 1830 წელს გაღებულ იქნა 30 ათასი მანეთი ვერცხლით.

სწავლება სკოლებში სწარმოებდა ბავშვებისათვის გაუგებარ, რუსულ ენაზე და დაბალ დონეზე იდგა. მომზადებული მასწავლებლები თითებზე ჩამოითვლებოდა, მათ მეტად მცირე ჯამაგირი ეძლეოდათ. ხსნიდა რა სკოლებს, მეფის მთავრობას მხედველობაში ჰქონდა არა იმდენად ხალხის კულტურის ამაღლება, რამდენადაც ქვეყანაში რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელ ერთგულ მოხელეთა კადრების შექმნა.

40-იან წლებში წამოიჭრა თბილისში უნივერსიტეტის გახსნის საკითხი. მაგრამ ცარიზმი ამას გადაჭრით წინააღუდგა იმ საბაბით, რომ ქვეყანას უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად მომზადებული ახალგაზრდობა არ ჰყავსო. ნამდვილად კი ცარიზმს ეშინოდა, ქართველთა შორის სწავლა-განათლების გავრცელება „რამდენადმე აღუძრავს მათ ოცნებას ყალბი ეროვნულობის შესახებ, რაც შფოთიერებისა და არეულობის მიზეზს წარმოადგენსო“. ცარიზმს ეშინოდა, რომ უნივერსიტეტის გახსნას თბილისში მოჰყვება ნაციონალური კულტურის განვითარება, ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წარმოშობა და განვითარება ამიერ-კავკასიის ჩაგრულ ხალხებში.

ცარიზმის მიზანი იყო რუსიფიკატორული პოლიტიკის გზით მიეღწია იმისათვის, რომ „ინოროდცებს“ (ასე იწოდებოდა ოფიციალურად ყველა არარუსი: ქართველი, სომეხი, აზერბეიჯანელი და სხვ.) დავიწყებოდათ — თავიანთი მდიდარი ისტორიული წარსული, თავიანთი დედა-ენა და ისინი „შეჩვეოდნენ რუსულად ლაპარაკს, აზროვნებას და გრძნობას“.

1849 წელს, კავკასიაში მთელი სასკოლო საქმის ხელმძღვანელობისათვის მოეწყო კავკასიის სასწავლო ოლქი, რომლის სათავეში დააყენეს ბარონი ნიკოლაი. მაშინ საქართველოში სახალხო განათლების ბიუჯეტი შეადგენდა 128.270 მანეთს. 1859 წელს თბილისში გაიხსნა პირველი კომერციული სასწავლებელი, სადაც უმთავრესად შედიოდნენ სავაჭრო ბურჟუაზიის შვილები. დაახლოებით იმ ხანებში სამაზრო ქალაქებსა და სოფლებში იწყება ეგრეთწოდებულ „პირველდაწყებით სასწავლებელთა“ გახსნა. ამ სასწავლებელში შესვლა გლეხთა ბავშვებსაც შეეძლოთ. მაშინ საქართველოში სახალხო განათლების სამინისტროს მთელი სასკოლო ქსელი შესდგებოდა 2 გიმნაზიისა, 14 სამაზრო სასწავლებლისა, 11 დაწყებითი და 12 კერძო სკოლისაგან. ყველა უწყების სასწავლებლებში ირიცხებოდა 3.000-მდე მოსწავლე. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქართველოში მაშინ ირიცხებოდა დაახლოებით 800 ათასი სული მცხოვრები ორივე სქესისა, მოსწავლეთა რიცხვი 0,4 პროცენტს არ აღემატებოდა.

ბ) პერიოდული პრესა

მხოლოდ გენერალ ერმოლოვის დროს 1819 წელს დაიწყო საქართველოში პირველი ყოველკვირეული გაზეთის — „საქართველოს გაზეთის“ გამოცემა. ეს იყო მთავრობის გამოცემა, რომელიც გამოდიოდა კავკასიის კორპუსის შტაბთან განსაკუთრებული კომიტეტის რედაქციით. გაზეთის ტექსტს ადგენდნენ რუსულად, ხოლო შემდეგ თარგმნიდნენ ქართულ ენაზე. გაზეთში იბეჭდებოდა მთავრობის განკარგულებანი, საშინაო და უცხოეთის ცხოვრების ქრონიკა, პატარა ფელეტონები და სხვ. განცხადებათა განყოფილებაში ჩვეულებრივ ათავსებდნენ უწყებებს ყმათა გაყიდვის შესახებ. გაზეთზე ხელისმოწერის ფასად გადაგზავნით დანიშნული იყო 3 მან. და 20 კაპ. წელიწადში. მაგრამ მიუხედავად ამისა, გაზეთს ჰყავდა მხოლოდ 17 ხელისმომწერი და იგი 1821 წელს დაიხურა.

1828 წელს თბილისში დაიწყო პირველი ყოველკვირეული რუსული გაზეთის „ტიფლისკიე ვედომოსტის“ გამოცემა. ხოლო 1829 წლის იანვრიდან ეს გაზეთი, გარდა რუსულისა, გამოდიოდა ქართულ და ფარსულ ენებზე. „ტიფლისკიე ვედომოსტის“ ქართული გამოცემის — „თბილისის უწყებანის“ რედაქტორი იყო სოლომონ დოდაშვილი. ქართული გამოცემა, ნაცვლად რუსული ტექსტის სიტყვა სიტყვით, თარგმანისა, თანდათან დამოუკიდებელი გაზეთის ხასიათს ღებულობდა. მასში იბეჭდებოდა ორიგინალური სტატიები, ცნობილი რუსი მწერლების და პოეტების ნა-

წარმოებთა თარგმანი. მაგალითად, „თბილისის უწყებანში“ დაიბეჭდა ა. ს. პუშკინის რომანის — „ევგენი ონეგინის“ ცალკეული თავები. გაზეთმა მცირე ხანს იარსება. იგი დახურეს 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის სოლომონ დოდაშვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებით.

1838 წლიდან თბილისში რუსულ ენაზე გამოდიოდა „ზაკავკაზსკი ვესტნიკ“, რომელმაც დამოუკიდებელი გამოცემის სახით იარსება 1856 წლამდე. ამ გამოცემის არაოფიციალური (სალიტერატურო) ნაწილის რედაქტორად 40-იანი წლების დამლევიდან იყო მაშინ ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და პუბლიცისტი პლატონ იოსელიანი. გაზეთში იბეჭდებოდა როგორც თვით პ. იოსელიანის, ისე გაზეთის მუდმივი თანამშრომლების — ბროსეს, ბერძენიშვილის და სხვათა სტატიები და შენიშვნები საქართველოს ისტორიიდან, ეკონომიკიდან და კულტურიდან.

1846 წლიდან თბილისში გამოდიოდა გაზეთი „კავკაზ“, რომელმაც იარსება 1918 წლამდე. 1856 წლიდან „კავკაზ“ გადაკეთდა კავკასიის სამეფისნაცვლოს ოფიციალურ ორგანოდ და გადაიქცა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთგულ გამტარებლად.

1852 წლიდან ცნობილი ქართველი დრამატურგის გ. ერისთავის რედაქტორობით დაიწყო პირველი ყოველთვიური ქართული ჟურნალის — „ცისკარის“ გამოცემა. ჟურნალს ჯერ კიდევ არ ჰყავდა მასობრივი მკითხველი, მცირე იყო მისი ტირაჟი, მაგრამ ეს ჟურნალი რამდენადაც შესაძლო იყო მეფის სასტიკი ცენზურის პირობებში, ეხებოდა და განსახილველად აყენებდა აქტუალურ საზოგადოებრივ საკითხებს. აქ იბეჭდებოდა პოეტების — ა. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის და სხვათა ნაწარმოებნი, რუსი და უცხოელი კლასიკოსების ნაწარმოებთა თარგმანი, რომლებიც მკითხველებს აცნობდნენ რუსეთის და დასავლეთ ევროპის ახალ ლიტერატურას. ჟურნალმა „ცისკარმა“ გ. ერისთავის რედაქტორობით ძლივს იარსება ორი წელიწადი და გამომცემელთა უსახსრობით შეჩერებულ იქნა. ეს გაზეთი განახლდა 1857 წელს უკვე ი. კერესელიძის რედაქტორობით.

ბ) გაბატონებულ კლასთა საზოგადოებრივ-კულტურული ორგანიზაციები

განამტკიცებს რა ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობას ქართველი თავად-აზნაურობის სასარგებლოდ, ცარიზმი ამავე დროს იჩენს მზრუნველობას „კეთილშობილი წოდების“ კულტურული დონის ამაღლებისათვის. მთავრობა არა მარტო საქართველოში ხსნის სკოლებს თავადაზნაურთა შვილებისათვის. თავად-აზნაურთა ჩამომავლობის ჭაბუკებს ის ჰგზავნის ხოლმე რუსეთის სამხედრო სასწავლებელში და რუსულ უნივერსიტეტშიაც. იგი საჭიროდ სთვლის თავად-აზნაურობის მასას შეათვისებინოს ევროპული კულტურის თუნდაც გარეგნული მხარე, შეაჩვიოს ისინი ევროპულ ზრდილობიანობას, მოდურ ტანსაცმელს, ბინის ევროპულ მოწყობილობას და სხვ. ამაზე განსაკუთრებულ მზრუნველობას

ჩენს მეფის ნაცვალი კავკასიაში თავადი ვორონცოვი. ვორონცოვმა ჩინებულად მოაწყო მეფის ნაცვლის სასახლე, ის პატიჟობს მეჯლისებზე თავად-აზნაურებს და ხელს უწყობს მათთვის ოჯახური, ზოგადოებრივი საცეკვაო საღამოების მოწყობას. საზოგადოებრივ საღამოები იმართებოდა ამ მიზნით მოწყობილ საქალაქო კლუბებში.

ჯერ კიდევ 1839 წელს გაიხსნა თბილისში ასეთი კლუბი „კეთილშობილთა საკრებულოს" სახელწოდებით. აქვე 1852 წელს დაიწყო არსებობა ვაჭართა „ბიურგერ კლუბმა". 1852 წელს „კეთილშობილთა საკრებულო" გაიხსნა ქუთაისში, ხოლო შემდეგ ასეთივე კლუბები იხსნება ყველა სამაზრო ქალაქში.

დ) თეატრი

1846 წელს თბილისში დაარსდა მუდმივი რუსული თეატრი. მალე ამის შემდეგ თბილისში მოწვეულ იქნა იტალიური ოპერა, რომელმაც აქ ძალიან სწრაფად მოიკიდა ფეხი.

1850 წლის 2 იანვარს თბილისის პირველ გიმნაზიის პატარა სცენაზე ვორონცოვის თანდასწრებით პირველად დაიდგა ქართულ ენაზე ახალგაზრდა დრამატურგის გიორგი ერისთავის ორიგინალური კომედია „გაჟრა". პიესას დიდი წარმატება შეხვდა. გ. ერისთავს დაეკალა ქართული დასის ჩამოყალიბება. გ. ერისთავის განსაკუთრებით დაუცხრომელი მოღვაწეობის შედეგად, მისი ერთერთი თანამედროვის — ქართველი მწერლის მ. თუმანიშვილის თქმით, მოხერხდა „საქართველოს დრამატიულ ცხოვრებაში არსებული წყვდიადისა და სიცალიერის გარღვევა" და მსახიობთა და რეპერტუარის შექმნა. გარდა თვით გ. ერისთავისა, პირველი ქართველი დრამატურგები იყვნენ ი. კერესელიძე, ანტონოვი, მეიპარიანი, ჯაფარიძე, დვანაძე. ყველა ისინი, გარდა ი. კერესელიძისა, იყვნენ სცენაზე თავიანთი პიესების როლების შემსრულებლებიც, ასე რომ ისინი იყვნენ ქართული დრამატიული დასის პირველი კადრებიც. მსახიობ ქალებში გამოირჩეოდნენ კორძაია, ნათიშვილი და სხვ.

1851 წელს თბილისში კერძო მეწარმემ (თამამშევმა) დაამთავრა საუცხოო თეატრის აშენება ერევნის მოედანზე (ამჟამად ლ. ბერიას მოედანი). ეს თეატრი თანამედროვეებს ანცვიფრებდა თავისი განსაკუთრებული გარეგნული და შინაგანი მორთულობით. მან 23 წელიწადს იარსება, ის ხანძარმა მოსპო 1874 წელს.

ე) რუსი ხალხის კულტურის გავლენა

საქართველოს შეერთებამ რუსეთთან, უეჭველია ბევრად ხელი შეუწყო დიდი რუსი ხალხის უშუალო დაახლოებას ქართველ ხალხთან. ჯარებთან, პოლიციელებთან და მოხელეებთან ერთად, რომელნიც იგზავნებოდნენ საქართველოში ცარიზმის დასამკვიდრებლად და ძალდატანებითი რუსიფიკაციისათვის, აქ გვევლინებოდნენ დიდი რუსი ხალხის მოწი-

ნავე წარმომადგენლებიც. კავკასიაში გადმოასახლეს დეკაბრისტები — ცარიზმის წინააღმდეგ 1825 წელს მომხდარი შეიარაღებული აჯანყების მონაწილენი. საქართველოში დიდხანს ცხოვრობდა დიდი რუსი მწერალი ა. ს. გრიბოედოვი, რომელიც როგორც ბევრი სხვა მოწინავე რუსი, ალერგიულად იყო მეფის ადმინისტრაციის თვითნებობით და დესპოტიზმით, მისი აღვირახსნილი, სისხლიანი მოქმედებით, რომელიც სასტიკად უსწორდებოდა დაპყრობილ ხალხებს. ა. ს. გრიბოედოვი დაახლოებული იყო ქართველ საზოგადოების მოწინავე და პროგრესიულ ნაწილთან. მას ცოლად ჰყავდა ცნობილი ქართველი პოეტის ა. ჭავჭავაძის ასული, უყვარდა თბილისი, როგორც თავისი მშობლიური ქალაქი. საქართველოს ესტუმრა რუსი ხალხის დიდი პოეტი, გენიოსი, სიამაყე და დიდება — ა. ს. პუშკინი, რომელმაც თავის ნაწარმოებში „მოგზაურობა არზრუმში" გენიოსი ხელოვანის ხელით უკვდავყო საქართველოს ცალკეული სურათები. „მგზნებარე მეამბოხემ" ა. ს. პუშკინმა მთელ რიგ წკრიალა ლექსებში გამოხატა თავისი აღშფოთება თავისუფლების მოყვარული კავკასიის ხალხების მიმართ ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკის გამო. კავკასიაში მსახურობდა მ. ი. ლერმონტოვი, ის ხვდებოდა დეკაბრისტებს, მან იმგზავრა კახეთში. ლერმონტოვის პოეტურ ნაწარმოებებში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მზიურ საქართველოს. 50-იან წლებში ნახევარ წელიწადზე მეტ ხანს დაჰყო თბილისში მხატვრული სიტყვის გენიოსმა ლევ ტოლსტოიმ, რომელიც ხვდებოდა მოწინავე ქართველ საზოგადოებას. აქ მან დასწერა თავისი პირველი დიდი ნაწარმოები „ბავშვობა და სიყრმე".

XIX საუკუნეში, როცა თვითმპყრობელობა „ევროპის ჟანდარმად", თავისუფლების და რევოლუციური აზროვნების ჩამხშობად გამოდიოდა, დიდმა რუსმა ხალხმა, ლიტერატურის, ხელოვნებისა, მეცნიერებისა და პოლიტიკის გენიალური წარმომადგენელთა სახით, თვალსაჩინო ადგილი დაიკავა მოწინავე, პროგრესიულ კაცობრიობაში. ამ ხნის განმავლობაში მან შეჰქმნა ძლიერი კულტურა, აღზარდა და მსოფლიოს მისცა დიდი ტალანტები, როგორნიც იყვნენ: პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ბელინსკი, ტურგენევი, დოსტოევსკი, ლ. ტოლსტოი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ნეკრასოვი და მთელი ხომლი მეცნიერთა, მხატვართა და მსახიობთა. რუსი ხალხის ამ ჭეშმარიტმა შვილებმა დიდება მოუხვეჭა რუსულ ნაციონალურ კულტურას. ისინი დიდ გავლენას ახდენდნენ მსოფლიო კულტურაზე და, რა თქმა უნდა, მისი ძლიერი გავლენის გარეშე ვერ დარჩებოდა ქართველი ხალხის კულტურაც.

3) ლიტერატურა

ძლიერი რუსული ლიტერატურის გავლენის ქვეშ მიმდინარეობს ქართველი ხალხის ნაციონალური ლიტერატურის სწრაფი აღორძინებისა და შემდგომი განვითარების პროცესი. XIX საუკუნის პირველ ნახევარში

ქართული ლიტერატურა ცდილობს, უწინარეს ყოვლისა, ასახოს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება. ყალიბდება ახალი საზოგადოებრივი იდეალები, ლიტერატურული [illegible]ბა და შეხედულებანი. ლიტერატურის განვითარება ხდება [illegible] რობებში. უკიდურესად სუსტი იყო მატერიალური ბაზა, არ იყო სტამბები, გაზეთები, ჟურნალები. ლიტერატურული ნაწარმოებნი ვრცელდებოდა მეტად მცირე რაოდენობით, უმთავრესად ხელნაწერის სახით. მკითხველებს უმთავრესად მემამულენი, თავად-აზნაურნი წარმოადგენდნენ. გლეხთა მასები, რომელთაც ჩაგვრითა და ექსპლოატაციით სული ეხუთებოდათ, მოკლებული იყვნენ არა მარტო ლიტერატურისა და ხელოვნების ნაყოფით სარგებლობის შესაძლებლობას, მათთვის ხელმიუწვდომელი იყო ელემენტარული წერა-კითხვაც.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ მწერალთა და პოეტთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავი არიან ვახტანგ ორბელიანი (1812—1890 წ. წ.), ა. ჭავჭავაძე (1786—1846 წ. წ.), გრიგოლ ორბელიანი (1800—1883 წ. წ.). ყველა ისინი რომანტიკული მიმართულების წარმომადგენელნი იყვნენ ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ ამ პერიოდის ყველაზე გამოჩენილი და შესანიშნავი პოეტია ნიკოლოზ ბარათაშვილი (1816—1845 წ. წ.). მას აკუთვნებენ „მსოფლიო სევდის“ მომღერალ პოეტთა რიცხვს, უწოდებენ ხან „ქართველ ბაირონს“, ხან „ქართველ ლერმონტოვს“. პირადი ცხოვრების უკუღმართობას, მკაცრ გარემომცველ სინამდვილეს არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ნ. ბარათაშვილის პოეზიაზე. მას იპყრობს სასოწარკვეთილების და მარტოობის გრძნობა. მაგრამ როგორც მართებულად აღნიშნა ჯერ კიდევ ი. ჭავჭავაძემ, „მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი საყოველთაო, საკაცობრიონი არიან“. ნ. ბარათაშვილი სძლევს თავის პესიმიზმს და ღრმა ფილოსოფიურ ლექსში — „მერანში“ მოუწოდებს, მაგალითად, გადამწყვეტი ბრძოლისაკენ თავისუფლებისათვის, ადამიანთა და სამშობლოს საბედნიეროდ. ნ. ბარათაშვილი გახდა ახალი ქართული პოეზიის ფუძემდებელი. ის ანთავისუფლებს ქართულ პოეზიას ირანული პოეტიკის მაღალფარდოვანი ფორმებისაგან, შემოქმედებით ითვისებს ლექსის ტონურ ფორმას. თავის პოეტურ შემოქმედებაში ნ. ბარათაშვილმა პირველმა მიმართა უმდიდრეს ხალხურ შემოქმედებას და ამ ოქროს ფონდიდან ამოკრეფილი განძეულით იწყო ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრება. მას მხურვალედ უყვარდა სამშობლო, თავისი ხალხი, რომლის ბედი მას ძლიერ აღელვებდა. პოეტის დანიშნულებად მას გაუხდია ხალხის სამსახური, მისი იდეალია პოეტი—მოქალაქე.

ნ. ბარათაშვილი ღრმად გრძნობდა იმ ნაციონალურ-კოლონიურ ჩაგვრას, რომელსაც განიცდიდა საქართველო ცარიზმის მხრით. თავის წერილებში ნ. ბარათაშვილი ემდურის მეტად მკაცრ სინამდვილეს, მაგრამ მეფის რუსეთთან საქართველოს შეერთებაში ის მაინც უმცირეს ბორო-

ტებას ხედავდა. მან უკეთ, ვინემ რომელიმე მისმა თანამედროვემ, შეიგნო რომ გარეშე მტრებისაგან თავდაღწეულმა საქართველომ არა მარტო ფიზიკურად შეინარჩუნა თავისი თავი, არამედ მოიპოვა [illegible] ეკონომიური განვითარებისა და რუსი ხალხის ძლიერი კულტურული [illegible] სების შესაძლებლობაც. ნ. ბარათაშვილი სიცოცხლეში ცნობილი არ გამხდარა, მისი ლექსები არც დაბეჭდილა. პოეტის შესახებ ალაპარაკდნენ მხოლოდ 50-იანი წლებიდან. მას განსაკუთრებით გულთბილი, გულის სიღრმეში ჩამწვდომი ლექსი მიუძღვნა დიდმა ქართველმა მწერალმა ილია ჭავჭავაძემ. ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებული პირველად მხოლოდ 1875 წელს გამოიცა. პოეტი ნამდვილად ცნობილი გახდა მხოლოდ ჩვენს დროში. ქართველი ხალხი და დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ძმური ხალხები პატივისცემით იგონებენ პოეტ-მოქალაქის ხსოვნას, მისი ლექსები წარმოადგენს მათთვის უძვირფასეს ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

ქართულ ლიტერატურაში რეალისტური მიმართულების პირველ წარმომადგენლად ითვლება ცნობილი დრამატურგი გიორგი ერისთავი (1811 — 1864 წ. წ.), ის იყო პირველი ქართული ჟურნალის — „ცისკარის" დამაარსებელი, მისი მთავარი დამსახურება კი ის იყო, რომ მან ააღორძინა ქართული ნაციონალური თეატრი. გ. ერისთავი გამოდის ლიტერატურაში სამშობლოს, ხალხის მხურვალე სიყვარულისაკენ მოწოდებით და ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტით. თავის პიესებში ის დიდი თანაგრძნობით გვიჩვენებს მდაბიო ხალხიდან გამოსულ ადამიანთა დადებითს ტიპებს და, პირიქით, ფერადების დაუზოგავად დასცინის გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა დამახასიათებელ უარყოფით მხარეებს.

ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ პერიოდში დანიელ ჭონქაძეს (1830 — 1860 წ. წ.). გლეხთა წრიდან გამოსული დ. ჭონქაძე იყო პირველი ქართველი მწერალი, რომელიც იმყოფებოდა ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის და სხვა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა უძლიერესი გავლენის ქვეშ. თავის ერთადერთ ნაწარმოებში — „სურამის ციხეში" (დაწერილია ჯერ კიდევ 1847 წელს, მაგრამ დაბეჭდილია ჟურნალ „ცისკარში" მხოლოდ 1859 წელს) დ. ჭონქაძე გამოვიდა უძლიერესი პროტესტით საქართველოში არსებული ბატონყმობის წინააღმდეგ. მან დაგვიხატა მკაფიო სურათი ქართველი ყმის საშინელი მდგომარეობის, რომელსაც სჩაგრავს და ექსპლოატაციას უწევს ხელისუფლებისა და სამღვდელოების მიერ ზურგგამაგრებული ბატონი-მემამულე. მთელი მგზნებარებით გამოდის დ. ჭონქაძე ყმების დასაცავად მათი მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორების წინააღმდეგ. „სურამის ციხეს" მტრულად შეხვდა თავად-აზნაურული კრიტიკა, მაგრამ ქართველ ხალხში ამ მოთხრობამ დიდი პოპულარობა მოიხვეჭა და ძლიერი გავლენა მოახდინა მომდევნო ქართულ რევოლუციურ ლიტერატურაზე.

მეფის რუსეთთან საქართველოს შეერთების შედეგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

(საერთო შეფასება)

XIX საუკუნის დამდეგს ისტორიული ამბების განვითარების მსვლელობამ ქართველი ხალხი მიიყვანა უზარმაზარ და ბნელ „ხალხთა საპყრობილეში". მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომ ქვეყანაში დამყარდა კოლონიური რეჟიმი და გაძლიერდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა, — საქართველომ ამავე დროიდან დაიწყო თავისი ცხოვრების ახალი პერიოდი. ტანჯვისა და ჩაგვრის სუსხიანი გზით მიმავალმა ქართველმა ხალხმა ფიზიკურად შეინარჩუნა თავისი თავი, თავიდან აიცილა კიდევ უფრო უარესი ხვედრი ირანის და თურქეთის მხრით დამონებისა.

უკვე XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთის მეოხებით, აღდგენილ იქნა საქართველოს თითქმის ყველა ისტორიული საზღვრები, ისტორიულ წარსულს ჩაბარდა ის ბნელი და სუსხიანი დროება, როცა გლეხი გუთანს მხარზე თოფგადაგდებული მიყვებოდა და თავისი ავი მტრების ხშირი თავდასხმების დროს ზოგჯერ იძულებული იყო დაეგდო აუღებელი ყანა და თავისი ქონება მოძალადეთა კერძად.

რუსეთთან შეერთებით საქართველო ჩაება მსოფლიო კავშირ-ურთიერთობის სისტემაში, და ამ გარემოებამ ბიძგი მისცა საწარმოო ძალების და ახალი წარმოებითი ურთიერთობის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. გაძლიერდა სავაჭრო-ფულადი ურთიერთობის განვითარებისა და მასში სოფლის მეურნეობის ჩაბმის პროცესი. სწრაფად იზრდება მოსახლეობა, ვითარდება საქალაქო ცხოვრება. ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის წიაღში ჩაისახნენ და გაიზარდნენ ახალი საწარმოო ძალები და მათი შესაბამისი ახალი წარმოებითი ურთიერთობა, რომელნიც მოექცნენ წინააღმდეგობაში ბატონყმობის მიმართ და რომელთაც გარდუვალი გახადეს თვით ბატონყმობის ლიკვიდაცია. წარმოიშვა და განმტკიცდა დიდი რუსი ხალხის და ქართველი ხალხის ურთიერთკავშირი და შეგობრობა. აღორძინდა და სწრაფად ვითარდება ქართველი ხალხის კულტურა. როცა რუსეთში XIX საუკუნის პირველ ნახევარში გაძლიერებული ტემპებით იზრდებოდნენ ცარიზმისადმი მტრულად განწყობილი ძალები და სიკვდილით დასჯილ და ციმბირსა და კავკასიაში გადმოსახლებულ დეკაბრისტთა ადგილზე გაჩნდნენ პეტრაშეველები, 1861 წლის საგლეხო რეფორმის წინა ხანისა და ამ რეფორმის პერიოდის რევოლუციონერ-დემოკრატები, — ყოველივე ამან სათანადო გამოძახილი ჰპოვა საქართველოს ცხოვრებაში. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მოწინავე ახალგაზრდობაში ნ. გ. ჩერნიშევსკის გავლენა, რომელსაც ფ. ენგელსი სოციალისტურ ლესინგს უწოდებდა, ვ. ი. ლენინი კი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ წინამორბედად სთვლიდა. საერთო ბრძოლაში ცარიზმის, ნაციონალური ჩაგვრისა, მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ მკვიდრი

საფუძველი ეყრება იმ ხანებში და შემდგომ მტკიცდება ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობა.

ამხანაგ სტალინის უახლოესმა თანამებრძოლმა, მგზნებარე რევოლუციონერმა ლადო კეცხოველმა 1901 წელს დაწერილ სტატიაში, ამხილა რა ცარიზმის ნაციონალურ-მჩაგვრელური პოლიტიკა და დაუზოგავად კამოააშკარავა ცარიზმთან ქართველ თავად-აზნაურთა და ბურჟუაზიის კავშირის სოციალურ-პოლიტიკური დედაარსი, — შესანიშნავად მკაფიოდ და დამაჯერებლად აღნიშნა ის დადებითი მომენტები, რომლებიც მისცა ქართველ ხალხს რუსეთთან შეერთებამ.

„... ამ დროიდან (1801 წლიდან. — გ. ხ.) საქართველოს ცხოვრება ახალ კალაპოტში ჩადგა.

გარეშე მტრებისგან უზრუნველყოფილი, იგი შინაური ცხოვრების გარემოებას ჩაუფიქრდა და რუსეთის ცხოვრებით გამოფხიზლებული მოქალაქობრივი ძალ-ღონის მოკრებას შეუდგა. საქართველო ამ დღიდგან დამოკიდებული გახდა ეკონომიურად და კიდევ უფრო პოლიტიკურად რუსეთისაგან და უკანასკნელის კანონი, ზნე-ჩვეულება, ენა, ვაჭრობა-მრეწველობა ნებით თუ უნებლიეთ ფეხს იკიდებდა ახლად შეერთებულ ქვეყანაში. რუსეთში კი ამ დროს ვაჭრობა-მრეწველობა წამოჩიტებული იყო და ევროპის გავლენით და შინაური ცხოვრების საჭიროებით საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. მეცხრამეტე საუკუნის ისტორია ამ ზრდის და ვითარების ისტორიაა. რკინის გზებმა, პოჩტა-ტელეგრაფებმა დასერეს და შეაერთეს ვეებერთელა სახელმწიფოს დაშორებული ადგილები ერთმანეთს და მასთან ერთად ჩვენი საქართველოც. გემებმა შავი და კასპიის ზღვები გააპეს და ორ ზღვათა შუა ხმელეთის მიუვალი მთები, სადაც მეფეები და მთავრები ომიანობის დროს მტრისაგან თავს იფარავდნენ, რკინისგზებმა გახვრიტეს და ახალმა „ვეშაპებმა“ მიაკივლა მიყრუებულ მიდამოებს. ბუნება და ადამიანები შეკრთენ, გამოიღვიძეს და თვალების ფშვნეტით ქართველი ჯერ შორიდან მიაჩერდა ამ ცხოველს და მერმე თვითვე შეაჯდა და გაჰყვა!“ (გაზეთი „ბრძოლა“. 1901 წ. № 1).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მესამე

კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში

რუსეთ-თურქეთის ომი 1853 — 56 წლებში

მეფის რუსეთმა, რომელიც ესწრაფოდა შემდგომს კოლონიურ დაპყრობებს, შავი ზღვის „რუსულ ზღვად“ გადაქცევას, თურქეთის დაყოფას და კონსტანტინეპოლის დაუფლებას, ერუსალიმის „წმინდა ადგილების“ დაცვის საბაბით, ომი გამოუცხადა თურქეთს 1853 წლის 14 ივნისს.

მაგრამ ცარიზმის სწრაფვას გადაჭრით წინააღუდგა ბურჟუაზიული ევროპა, რომელსაც არ სურდა შერიგებოდა ბატონყმური რუსეთის პოლიტიკურ ბატონობას და აშინებდა მისი შემდგომი გაძლიერება ახლო აღმოსავლეთში. თურქეთის მხარეზე გამოვიდნენ უაღრესად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები: ინგლისი და საფრანგეთი. საომარ მოქმედებათა ძირითად ასპარეზად იქცა ყირიმი. 1854 წლის სექტემბრიდან მოკავშირეთა — ინგლისის, საფრანგეთის და თურქეთის ჯარებმა ალყა შემოარტყეს რუსეთის საზღვაო ციხე-სიმაგრეს სევასტოპოლს, რომელიც შავ ზღვაზე ცარიზმის მთავარი დასაყრდენი იყო. ჯერ კიდევ უფრო ადრე ომი დაიწყო კავკასიის ფრონტზე. 1853 წლის შემოდგომაზე თურქებმა დაიწყეს საომარი მოქმედება გურიაში, ხელთ იგდეს შავ ზღვაზე ნიკოლოზის ფორტი, ხოლო 30 ოქტომბერს თურქეთის ჯარები შემოიჭრნენ ახალციხის მაზრაში.

რუსეთის ბრძოლა ყირიმის ნახევარკუნძულზე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, ენგელსის თქმისა არ იყოს, „შეიძლება დახასიათებულ იქნას როგორც წარმოების პირველყოფილი წესების მქონე ერის უიმედო ბრძოლა წარმოების უახლესი ფორმების მქონე ერების წინააღმდეგ“ („მარქსიზმის მატიანე“, ტ. III (XIII), გვ. 138). რუსეთი მისი ეკონომიური, სამხედრო და პოლიტიკური ჩამორჩენილობის გამო სასტიკად დამარცხებულ იქნა ყირიმში. მიუხედავად ჯარისკაცთა და მეზღვაურთა განსაკუთრებით გმირული თავდაცვისა, 11 თვის განმავლობაში ალყაშემორტყმული სევასტოპოლი იძულებული იყო მტერს დანებებოდა 1856 წლის 9 სექტემბერს.

კავკასიაში რუსეთის ჯარები მოქმედებდნენ მეტი წარმატებით, ვიდრე ყირიმში. 1853 წლის 12 ნოემბერს თურქები სასტიკად დაამარცხეს ახალციხესთან, ხოლო 19 ნოემბერს ბაშკადიკლიართან. 1854 წელს რუსეთის ჯარებმა გამარჯვება მოიპოვეს ბაიზეთთან და კიურიკ-დარიასთან. 1855 წელს აიღეს არტაანი და ყაგიზმანი და ალყაშემოარტყეს თურქეთის ერთ-ერთ უძლიერეს ციხე-სიმაგრეს — ყარსს. რუსეთის ჯარებს სარდლობდა მეფის ნაცვალი კავკასიაში გენერალი ნ. ნ. მურავიოვი, რომელმაც შეცვალა სამსახურიდგან გადამდგარი თავადი ვორონცოვი. ყარსის ციხე-სიმაგრეში ალყაშემორტყმული თურქთა გარნიზონის დასახმარებლად, თურქეთის მთავრობამ მოკავშირეთა ინგლის-საფრანგეთის სარდლობის წინაშე წამოაყენა გეგმა ამიერ-კავკასიაში, სამეგრელოზე გავლით გაგზავნილიყო სამხედრო ექსპედიცია ომარ-ფაშის მეთაურობით. კ. მარქსის თქმით, ეს გეგმა „თავისი საერთო განზრახვით თამამი, სწორი იყო და წარმოადგენდა... ამ ომით შობილ ერთადერთ სტრატეგიულ გეგმას: მისი მიზანი იყო ექსცენტრული პოზიციის დაჭერა საალყო არმიის მიმართ, თბილისისათვის მუქარის შექმნა... და მურავიოვისათვის ყარსიდან უკანდახევინება ოპერატიული ბაზისა და კომუნიკაციური ხაზიდან მოწყვეტის შიშით. შეიძლება, ეს სამეგრელოს ექსპედიცია არა მარტო დაიხსნიდა ყარსს, არამედ აგრეთვე შეჰქმნიდა პირობებს იმისათვის, რომ ყველგან შეტევითი ტაქტიკა ეწარმოებინათ და ამ გზით მოეპოვებინათ ომში შესაძლებელი ყველაზე დიდი უპირატესობა აიძულო მტერი თავდაცვაზე გადავიდეს“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. X, გვ. 555).

მაგრამ ეს გეგმა თავის დროზე არ შესრულებულა. ომარ-ფაშამ ხელიდან გაუშვა ხელსაყრელი მომენტი, მან თურქეთის არმია გადმოსხა აფხაზეთში მხოლოდ 1855 წლის შემოდგომაზე. რიონის ხეობაში ომარ-ფაშასთან ერთად მოვიდა 20 ათასამდე ჯარისკაცი. თურქებმა რამდენიმე გამარჯვება მოიპოვეს იქ მყოფ გურულთა რაზმზე, რომელსაც გენერალი ბაგრატიონ-მუხრანბატონი მეთაურობდა, დაიკავეს სამეგრელო, მაგრამ შემდეგ მათ წინ ვერ წაიწიეს. 1855 წლის 15 ნოემბერს რუსეთის ჯარების იერიშის შემდეგ დაეცა ყარსი და მალე მას შემდეგ თურქები იძულებული გახდნენ დაეცალათ სამეგრელო. რუსეთის ჯარების წარმატებას კავკასიის ფრონტზე დიდად ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ საქართველოს და სომხეთის მოსახლეობამ უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო. თავიანთი მიწა-წყლის და კერების დაცვაში თავიანთი ძველის-ძველი მტრის და დამმონებელის — თურქეთის წინააღმდეგ. გურიის, სამეგრელოს და იმერეთის მთელი მოსახლეობა, რომელსაც იარაღის ტარება შეეძლო, შეიარაღდა და მედგარ წინააღმდეგობას უწევდა თურქეთის არმიას. 1853 წლის ნოემბერს ერთი გურული მილიციის შემადგენლობა 3 ათას კაცამდე აღწევდა. ყოფილ თბილისის გუბერნიაში ომის ორი წლის მანძილზე მილიციაში გაიწვიეს 23.000-ზე მეტი კაცი. 1853 — 56 წლების ომი შეეხო საქართველოს არა მარტო იმ რაიონებს,

რომლებიც თურქეთს ესაზღვრებოდა, არამედ კახეთსაც, სადაც ერთმორწმუნე თურქებისადმი თანაგრძნობით და მათთვის დახმარების გაწევის სურვილით, შემოიჭრა დაღისტნელ მთიელთა რაზმები [illegible] ანადგურეს 20-ზე მეტი სოფელი.

ბიბლიოთეკა

ომის დროს განსაკუთრებით დაზარალდნენ თურქეთის მოსაზღვრე საქართველოს რაიონები — გურია და სამეგრელო, რომლებიც გადაიქცა უშუალო საომარ მოქმედებათა ასპარეზად. განსაკუთრებით მძიმე იყო თავისი შედეგებით სამეგრელოს ოკუპაცია თურქების მიერ. ყველაფერი, რაც მტერმა ვერ გაძარცვა და ვერ გაიტანა დაიწვა და განადგურებულ იქნა.

ტყვე ქალები და ბავშვები გაგზავნეს თურქეთში. სამეგრელოს მთავარი ცენტრი—ზუგდიდი თურქებმა გადასწვეს და იქიდან გაიტანეს ყველაფერი, რაც ძვირფასი რამ იყო.

საზავო ხელშეკრულებით, რომელიც დაიდვა 1856 წელს პარიზში მეფის რუსეთს წაერთვა უფლება სამხედრო ნაგებობანი ჰქონოდა შავ ზღვაზე და მის წყლებში სამხედრო ფლოტი ჰყოლოდა. გარდა ამისა, თურქეთისათვის რუსეთს უნდა დაებრუნებინა მის მიერ აღებული არტაანი და ყარსი. თავის მხრით თურქეთს თავისი ჯარები უნდა გაეყვანა სოხუმ-კალედან, რედუტ-კალედან და გურიისა და სამეგრელოს სანაპიროებიდან (1856 წ. მაისს).

თურქებისა და მთიელთა წინააღმდეგ მიმართულ ომში საქართველოს მოსახლეობის აქტიურმა მონაწილეობამ იმ მძიმე დღეებშიაც დღის წესრიგიდან ვერ მოხსნა საკითხი გლეხობის ბრძოლისა კოლონიური ჩაგვრის და ბატონ-ყმური ექსპლოატაციის წინააღმდეგ. 1853—56 წლების ომის დროს ადგილი ჰქონდა ცარიზმის და მემამულეთა წინააღმდეგ გამოსვლის შემთხვევებს ქუთაისში, შორაპნის და ახალციხის მაზრებში, სამეგრელოში, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ხმა გავარდა „მოკავშირენი ბატონყმობას მოსპობენო“.

ცარიზმის მიერ კავკასიის საბოლოო დაპყრობა

ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესთა წინააღმდეგობამ ის შედეგი მოიტანა, რომ კავკასიაში თავისი დაპყრობითი პოლიტიკის გატარებისას ცარიზმი არ წააწყდა საკმაოდ შეთანხმებულ და მტკიცე წინააღმდეგობას ინგლისისა და საფრანგეთის მხრით. როცა მეფის ნაცვლად კავკასიაში დაინიშნა თავადი ბარიატინსკი (1856 წ.), დაიწყო მეფის ჯარების გადამწყვეტი შეტევა ჯერ კიდევ დაუპყრობელი მთიელი ხალხების წინააღმდეგ. უკანასკნელნი გმირულად იცავდნენ თავის დამოუკიდებლობას იმ უღლის წინააღმდეგ, რომელიც მათთვის თვითმპყრობელობას მოჰქონდა. მაგრამ განცალკევება, საერთო ხელმძღვანელობის უქონლობა, მემამულე-ფეოდალთა გამცემლობა დაეხმარა ცარიზმს საბოლოო გამარჯვება

მოეპოვებინა კავკასიის ხალხებზე. „კავკასიის მთები, — სწერდა ამის გამო კ. მარქსი, — ყოფენ სამხრეთ რუსეთს საქართველოს, სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის საუცხოო პროვინციებისაგან, რომელიც [illegible] ველებმა მუსლიმანებს მოსწყვიტეს. ამით გიგანტური [illegible] მოჭრილია ტანისაგან. ერთადერთი სამხედრო გზა, რომელიც ახალ სახელწოდების ღირსია, მოზდოკიდან თბილისისაკენ დარიალის ვიწრო ხეობით მიიკლაკნება: ის დაცულია სიმაგრეთა განუწყვეტელი ჯაჭვით და მტრულად განწყობილი კავკასიის ტომების მუდმივ თავდასხმებს განიცდის ორივე მხრით. კავკასიის ყველა ეს ტომები ერთი სამხედრო ბელადის მეთაურობით რომ გაერთიანებულიყვნენ, ისინი სერიოზულად საშიშარნი გახდებოდნენ მეზობელ კაზაკთა ოლქებისათვისაც" (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. IX, გვ. 533).

25 წელზე მეტი ხნის განმავლობაში აწარმოებდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შამილი — ეს „დიდი დემოკრატი" (კ. მარქსი), სტრატეგი და მეფის მთავრობის ჯარებზე მთიელების გამარჯვებათა ორგანიზატორი. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მთიელები კარგად შეიარაღებული იყვნენ და ამ მხრივ თავდაპირველად უპირატესობაც კი ჰქონდათ მეფის ჯარების წინაშე, მათ უკვე ვერ გაუძლეს ცარიზმს, რომელიც სულ უფრო მეტად ამრავლებდა თავის სამხედრო ძალებს და საშუალებებს. მრავალწლოვანმა ბრძოლამ მეფის ჯარებთან, რომელნიც სპობდნენ ნათესებს, იტაცებდნენ პირუტყვს, ჩეხდნენ ტყეებს და მთიელებს თანდათან უფრო მეტად უკან ახევინებდნენ ნაყოფიერი ველებიდან თოვლიანი მთებისაკენ, ამ ბრძოლამ საბოლოოდ გაანადგურა მთიელი ხალხები. შამილის მიერ ჩაჩნეთსა და დაღისტანში შექმნილი სახელმწიფო შინაგან კრიზისს განიცდიდა. მღელვარებდა ჩაჩნეთის და დაღისტნის გლეხობა, რომელსაც ნაიბები უზომო გადასახადებს და ღალას ახდევინებდნენ. შამილის ჯარი თანდათან უფრო და უფრო დნებოდა. გამდიდრებული მიურიდები და ნაიბები სულ უფრო ხშირად მეფის მთავრობის მხარეზე გადადიოდნენ. შამილს უღალატა ერთერთმა უახლოეს თანაშემწემაც — ხაჯი-მურატმა. 1859 წელს განსაკუთრებით გმირული წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ შამილი იძულებული გახდა დაენებებინა თავისი უკანასკნელი სიმაგრე—სოფელი გუნიბი და მოეხდინა კაპიტულაცია ცარიზმის წინაშე. ის გაიგზავნა პეტერბურგში, ხოლო იქიდან საცხოვრებლად გადასახლებულ იქნა კალუგაში.

მალე გუნიბის დაცემის შემდეგ, კავკასიაში მეფის ნაცვლის მიხეილ ნიკოლოზის-ძე რომანოვის დროს (1862 — 1881 წ. წ.) იარაღი დაყარეს თავიანთი დამოუკიდებლობისათვის ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლმა დასავლეთ-კავკასიის მთიელთა უკანასკნელმა ტომებმა. 1864 წლის მაისში მეფის რუსეთმა დაამთავრა კავკასიის დაპყრობა. დასავლეთ კავკასიის ფარგლებიდან 1858 წლიდან 1864 წლამდე იძულებით გადაასახლეს თურქეთში 400 ათასზე მეტი მთიელი. განთავისუფლებულ მიწებზე ცა-

რიზმი ასახლებდა კაზაკებს და რუსი გლეხობის კულაკურ ელემენტებს, და ამით საიმედო დასაყრდენს იქმნიდა შემდგომი დაპყრობითი კოლონიური პოლიტიკის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის ომის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე, 1863 წელს, თავისუფლებისათვის, ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო პოლონელმა ხალხმა, რომელიც წარმოადგენდა „ცარიზმის წინააღმდეგ ცივილიზაციის ნამდვილ დასაყრდენს, დემოკრატიის მოწინავე რაზმს“ (ლენინი, ტ. V, გვ. 340). ეს აჯანყება განსაკუთრებული სისასტიკით ჩააქრო ჯალათმა გენერალმა მურავიოვმა.

კავკასიის დაპყრობას, ისე როგორც პოლონეთის 1863 წლის აჯანყების ჩაქრობას, დიდი საერთო-ევროპული მნიშვნელობა ჰქონდა, იგი ევროპაში აძლიერებდა რეაქციას და ასუსტებდა რევოლუციურ ძალებს. ფ. ენგელსისათვის 1864 წლის 7 ივნისს გაგზავნილ წერილში კ. მარქსი ამის შესახებ ამბობდა: „არაჩვეულებრივი ნაბიჯი, რომელიც რუსებმა ახლა კავკასიაში გადადგეს და რომელსაც ევროპა იდიოტური გულგრილობით აცქერდება თითქმის აიძულებს მათ თვალები დაჭუტონ იმაზე, რაც მეორე მხარეზე ხდება, და უადვილებს მათ ამ შესაძლებლობას. ეს ორი საქმე: პოლონეთის აჯანყების ჩაქრობა და კავკასიის დაპყრობა ევროპის ყველაზე სერიოზულ ამბებად მიმაჩნია 1815 წლის დროიდან“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. XXIII, გვ. 188).

საგლეხო რეფორმის წინამძღვრები საქართველოში

1861 წელს ცარიზმი იძულებული იყო გაეუქმებინა რუსეთში ბატონყმობა.

„რა ძალამ აიძულა ისინი (მემამულე-მებატონენი. — გ. ხ.) ხელი მოეკიდათ რეფორმისათვის?“ — აყენებდა საკითხს ვ. ი. ლენინი და უპასუხებდა: „ეკონომიური განვითარების ძალამ, რომელიც კაპიტალიზმის გზაზე აყენებდა რუსეთს. მემამულე-მებატონეთ არ შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასაქონლო გაცვლა-გამოცვლისათვის რუსეთსა და ევროპას შორის, არ შეეძლოთ დაეცვათ მეურნეობის ძველი, დაშლილი ფორმები. ყირიმის ომმა გამოააშკარავა ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება. გლეხთა „ამბოხებებმა“, რომლებიც ყოველ ათწლეულში თანდათანობით ფართოვდებოდა განთავისუფლების წინ, აიძულა პირველი მემამულე, ალექსანდრე II, აღიარებინა, რომ უკეთესია განთავისუფლება ზ ე ვ ი დ ა ნ, ვიდრე ქ ვ ე ვ ი დ ა ნ დაგვამხობდნენო“ (ლ ე ნ ი ნ ი, ტ. XV, გვ. 177).

სოციალურ-ეკონომიური მიზეზები აიძულებდნენ ცარიზმს გაეუქმებინა ბატონყმობა საქართველოშიც.

მას შემდეგ, რაც ცარიზმმა დაამთავრა ამიერ-კავკასიის და საქართველოს პოლიტიკური დაპყრობა, მის წინაშე XIX საუკუნის მეორე ნახევარში უფრო აქტუალური გახდა საკითხი ამ განსაკუთრებულად ბუნებრივი სიმდიდრის მქონე მხარის ეკონომიური ათვისებისა, ამავე ... ვისა რუსეთის მრეწველობის სანედლეულო ბაზად.

კოლონიის ექსპლოატაციის კაპიტალისტური წესი მოითხოვდა საქართველოს ეკონომიკის რეორგანიზაციას, მეურნეობის ნატურალურ-პატრიარქალური ფორმების მეტი სიმტკიცით დაშლას, სავაჭრო-ფულადი ურთიერთობის განვითარებას და სასაქონლო მიწათმოქმედების დანერგვას.

საზოგადოების ახალ ეკონომიურ მოთხოვნილებათა საფუძველზე და რუსი ხალხის მოწინავე რევოლუციური იდეების გავლენით იმ ხანებში ჩნდება ახალი შეხედულებანი, ახალი იდეები, რომლებიც ამხილებენ ძველ ფეოდალურ-ბატონყმურ იდეოლოგიას.

ამ მოწინავე იდეოლოგიის ერთერთი მატარებელი საქართველოში იყო „სურამის ციხის" ავტორი დ. ჭონქაძე. ის პირველი გამოვიდა გაბედულად ქვეყანაში მაშინ არსებული ბატონყმური ექსპლოატაციის წინააღმდეგ. ჩაგრული და ექსპლოატირებული გლეხობის დასაცავად აღიმაღლეს ხმა: დიდმა ქართველმა მწერალმა ილია ჭავჭავაძემ, იმ დროის ერთერთმა მოწინავე მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ანტონ ფურცელაძემ და სხვებმა.

საქართველოში გლეხური რევოლუციის საშიშროებაც აგრეთვე აიძულებდა მეფის მთავრობას დაეჩქარებინა აქ მზადება ბატონყმობის გაუქმებისათვის. გლეხთა აჯანყებანი თანდათან უფრო ხშირდებოდა და ედებოდა სულ უფრო მეტწილ რაიონებს.

გლეხთა ყველაზე დიდი გამოსვლა, მიმართული ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობის წინააღმდეგ თვით 60-იანი წლების წინანანებში, — იყო სამეგრელოს გლეხთა აჯანყება 1857 წელს.

1853—56 წლების ომმა სრულიად გაანადგურა სამეგრელო, მაგრამ შინ დაბრუნებულმა მეგრელმა მემამულეებმა განიზრახეს თავიანთი მატერიალური კეთილდღეობა აღედგინათ ყმათა ექსპლოატაციის უფრო მეტი გაძლიერებით. მემამულურ-ბატონყმური ჩაგვრა სრულიად აუტანელი გახდა. ამავე დროს გლეხობაში თანდათან უფრო მეტად მწიფდება ბატონყმური ბორკილების დამსხვრევის აზრი.

თავისი შვილის ნიკოლოზ დადიანის მცირეწლოვანების გამო სამეგრელოს მმართველად მაშინ იყო დედა მისი ეკატერინე დადიანი. 1856 წლის აგვისტოს ის გაემგზავრა მოსკოვს ალექსანდრე მეორის მეფედ კურთხევაზე დასასწრებლად. მისი არყოფნისას ქვეყანას განაგებდა გარდაცვლილი მთავრის ძმა, თავადი გ. დადიანი.

გლეხთა აჯანყება დაიწყო 1857 წლის მაისს სოფელ ხობში, ჯვარში, ლიაში, წალენჯიხაში, სალხინოში და მალე მთელ სამეგრელოს მოედო.

აჯანყებას სათავეში ჩაუდგა მჭედელი უტუ მიქავა, რომელმაც წალენ-ჯიხის და ზუგდიდის რაიონებში თავი მოუყარა თოფით, ცულით, ხან-ჯლით და ხელკეტით შეიარაღებულ 10 ათასზე მეტ აჯანყებულ გლეხს. აჯანყებულებმა დადვეს ერთგულების ფიცი და მისცეს აღთქმა, რომ ღალატს არ ჩაიდენენ და საერთო საქმისათვის ბოლომდე იბრძოლებენ.

ცარიზმის მიერ სამეგრელოს მთავარის ფეოდალურ უფლებათა დასაცავად გამოგზავნილ გენერალ კოლიუბაკინთან შეხვედრის დროს, გლეხების მიერ „კეისრად" წოდებული უტუ მიქავა ასე განმარტავდა იმ მიზეზებს, რომლებმაც აიძულეს გლეხები იარაღი აღემართათ თავიანთ მჩაგვრელთა წინააღმდეგ:

„ამ ერთი წლის წინათ, — ამბობდა მიქავა, — ჩვენს ქვეყანას ოსმალთა (თურქთა) ჯარი შემოესია, მტერმა მოსპო ყველაფერი, რაც ხელში მოხვდა. შველა არსაიდან გვქონდა; რუსის ჯარმა თავი დაგვანება, ხოლო ჩვენი ბატონები, იმის მაგიერ რომ დავეფარნეთ, ბიჭებსა და გოგოებს გვტაცებდნენ და ოსმალებზე ჰყიდნენ. აუარებელი წაასხეს ოსმალებმა ოსმალეთში. ოსმალები წავიდნენ და ჩვენი ბატონები წინანდელზე უარესად, ოსმალებზე უარესად, მოგვდგნენ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთელი ჩვენი შრომის ნაყოფი იმათა რჩებათ; მათ რომ კაცმა ჰკითხოს, გლეხს არაფერი უნდა ჰქონდეს, და რაც რამ აბადია ყველაფერს ართმევენ თუ მოხერხებით არა, ძალით მაინც. ჩვენ ამას შევეჩვიენით. ამას კიდევ თქვენი ჭირი წაუღია, საქმე ის გახლავთ, რომ ამბობენ, ვითომ ჩვენ ადამიანის სულიც კი არ უნდა გვედგასო. მათი აზრით, რა პირუტყვი გნებავთ, ჩვენ არა გვჯობდეს! ვთქვათ, ბატონს მეზობლის მიმინო მოეწონა, ადგება და ერთ კომლს გლეხს აძლევს მეზობელს, ოღონდ კი იმან ეს მიმინო დაუთმოს; მწევრის ან მეძებრისათვის რამდენსამე კომლს აძლევს. პირუტყვები უფრო მეტად ფასობენ, ვიდრე ადამიანები... გვეჩივლა? აბა ვისთან გვეჩივლა?... თვითონ დედოფლის მოურავები ისე გაგულქვავდნენ და ისე უდიერად იქცევიან, რომ მისმა საკუთარმა გლეხებმაც კი გადასწყვიტეს არ დამორჩილებოდნენ და ხატზე დაიფიცეს... ერთიმეორეს არ უღალატონ... ჩვენი სამშობლო შეგვზიზღდა, გადავწყვიტეთ მოვშორდეთ აქაურობას სამუდამოდ და სადმე ჯანდაბას გადავიკარგნეთ" (ბოროზდინი. „სამეგრელო და სვანეთი", გვ. 114 — 116).

სამეგრელოს აჯანყებულ გლეხთა ძირითადი მოთხოვნა იყო ბატონყმობისაგან განთავისუფლება. ისინი მოითხოვდნენ გლეხთა განთავისუფლებას ყველა სახის საბატონო ბეგარისაგან, სახაზინო გადასახადთა და გამოსაღებთა შემცირებას, გლეხების მიწიანად განთავისუფლებას, წოდებრივი პრივილეგიების გაუქმებას, თანასწორუფლებიანობის დამყარებას და სხვ.

ყველა მემამულეს მოუხსნეს შინა-ყმები. რევოლუციური გზით შესწყვიტეს ყველა ბეგარის შესრულება და გადასახადის შეტანა. ყველაზე მეტად საძულველ მემამულეებს აჯანყებულნი ჰკლავდნენ, ხოლო მათ

მამულებს ანადგურებდნენ. გლეხები სასტიკად უსწორდებოდნენ სამეგ-
დელოებასაც განსაკუთრებით კი მის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც
წინააღმდეგობას უწევდნენ ან-და ცდილობდნენ დაეყოლიებინათ გლეხ-
ები ბრძოლის შეწყვეტაზე.

აჯანყებულებმა მალე ჩამოაყალიბეს საკმაოდ მტკიცე ორგანიზაცია, ისინი იცავდნენ დისციპლინას. ერთერთ თავის მოხსენებაში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი კოლიუბაკინი აღნიშნავს მეგრელ გლეხთა მოძრაობაში „ორგანიზებულობას დისციპლინას და მოქმედების თანამიმდევრობას". „მას ჰყავს,—სწერდა გენერალი კოლიუბაკინი, — მთავარი უფროსი, რომელსაც კეისარს უწოდებენ, იგი იყოფა რაზმებად, ასეულებად და ა. შ. მას ჰყავს თავისი დროებითი გამგეობა, რომელიც აჯანყებულ სოფლებში სტოვებს ნდობით აღჭურვილ მამასახლისებს. დასასრულ, მისი მიზანი იციან მხოლოდ წინამძღოლებმა ან იმათ, ვისაც ეს გაანდეს, მაგრამ ხალხში თითქოს ლოზუნგებად გადასროლილი ზოგიერთი იდეა, სიტყვა მას ისეთ ხასიათს აძლევს, რომლის სახელწოდებისათვის საჭირო იქნებოდა დასავლეთ ევროპის რევოლუციური ნომენკლატურის გამოყენება. მაგალითად, თავად-აზნაურთა წოდება არ უნდა არსებობდეს, „ვინაიდან ადამიანები ყველანი ძმები არიან", „ფუფუნება ცოდვაა", ამიტომ აკრძალულია მაუდის შალიდან შეკერილი სირმით მორთული ჩოხის ტარება"... „სავაჭრო მოგება შეზღუდული, ზომიერი უნდა იყოს, ამიტომ წესდება ნიხრი არა მარტო ბუნების ყველა ნაწარმოებზე, არამედ საერთოდ ყველა საქონელზე" (აქტები, ტ. XII, გვ. 253 — 254).

მიიღო რა ცნობები გლეხთა ესოდენ გაზრდილი მოძრაობის შესახებ მმართველი ე. დადიანი სასწრაფოდ დაბრუნდა მოსკოვიდან. გლეხებთან მოლაპარაკებისას ის თავდაპირველად ცდილობდა მოტყუებით და ყალბი დაპირებით მოესპო აჯანყება. მაგრამ უშედეგო ცდების შემდეგ შეიარაღებული დახმარებისათვის მიმართა რუსთა ხელისუფლებას.

„სამეგრელოს სამთავროს მდაბიო ხალხში, — სწერდა იგი გენერალ კოლიუბაკინს, — არეულობა დაიწყო; ბრბო განუდგა თავიანთი მემამულეებისა და ადგილობრივი ხელისუფლებისადმი ჯეროვან მორჩილებას და საერთო ფიცს სდებს: „ერთმანეთის ერთგული ვიყოთო ყოველ გარემოებაში ხელი ხელს მივცეთო"... თუ ბრბო კვლავაც ასეთ ურჩობას გასწევს, საჭიროდ მიმაჩნია მათი ალაგმვა შიშით და უკეთესია იარაღის ძალით. რომ მათ შიში მოვგვარო, უნდა მყავდეს დონის კაზაკები, რომელთაც აქ ჩემი მითითებებით უნდა იმოქმედონ". (აქტები, ტ. XII, გვ. 252).

სამეგრელოში გაიგზავნა დიდი სამხედრო ძალები ქუთაისის იმავე სამხედრო გუბერნატორის გენერალ კოლიუბაკინის მეთაურობით. სამხედრო ხელისუფალნი მტკიცედ მოქმედებდნენ, ვინაიდან ეშინოდათ, ანტიბატონყმური მოძრაობის ალი მეზობელ აფხაზეთს, გურიას და იმერეთს გადაედებაო.

რუსეთის ჯარებმა სამეგრელოს თავად-აზნაურობის რაზმებთან ერთად მალე ჩააქრეს აჯანყება. საძულველი ბატონყმობა სრული მოცულობით აღადგინეს სამეგრელოში. მაგრამ ცარიზმმა გამოიყენა სამეგრელოს გლეხთა აჯანყება, რათა 1857 წლის სექტემბერს გამოეცხადებინა სამეგრელოს სამთავროს ლიკვიდაცია და სამეგრელოზე გაევრცელებინა მთელი იმპერიისათვის საერთო მმართველობის სისტემა.

1858 წელს ცარიზმმა გააუქმა აგრეთვე სვანეთის ავტონომიური სამთავრო, რომელიც რუსეთის ქვეშევრდომობაში გადავიდა 1833—1834 წლებში. ამ სამთავროს გაუქმებას ცარიზმისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მას იგი სჭიროდა როგორც დასაყრდენი პუნქტი ჩრდილო კავკასიის მთიელებზე შესატევად. სვანეთში გაიგზავნა სამხედრო ექსპედიცია. სამთავროს გაუქმების შემდეგ სვანეთი შევიდა 1857 წელს მოწყობილი ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში როგორც ცალკე საბოქაულო.

ბატონყმობის გაუქმების წინ გლეხთა მასობრივ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოშიც, განსაკუთრებით გორის მაზრაში. 1858 წელს „ბატონ-ყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების მიზნით შეთქმულება მოაწყეს“ ამაღლების რაიონის (იმერეთშია) ყმა გლეხებმა, მოძრაობა სწრაფად გადაედო მეზობელ ბალდათის რაიონს. მასობრივ ანტიბატონყმურ გამოსვლას ადგილი ჰქონდა 1862 წელს გურიაში და 1863 წელს სამეგრელოში (სოფელი თამაკონი, სენაკის რაიონისა). გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა, როცა მათ შორის გავრცელდა ხმები, რუსეთში მეფის მთავრობა ბატონყმობის გასაუქმებლად ემზადება, საქართველოში კი, მემამულეთა ზეგავლენით, ყველაფერი უცვლელად დარჩებაო.

იმ დროის ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ნიკო ნიკოლაძე გერცენის „კოლოკოლში“ იძლევა საქართველოში 60-იანი წლების დამდეგს შექმნილი სიტუაციის სწორ შეფასებას. ნიკოლაძე მაშინ სწერდა: „ჯერ კიდევ ცნობილ „რესკრიპტებამდე“, რომელთა პირველი სიები 1857 წლის დამლევს გამოჩნდა, ქართველმა გლეხებმა მანიფესტაციებს არ მიჰყვეს ხელი, — არამედ იარაღით ამჟღავნებდნენ თავის უკმაყოფილებას ბატონყმობის მიმართ. სამეგრელოს აჯანყებამ, რომელიც 1857 წლის ზაფხულს მოხდა, მთავრობას საბაბი მისცა, სამთავროდან გაეძევებინა დედოფალი დადიანი და მის ნაცვლად შეექმნა „სამეგრელოს დროებითი მმართველობა“. გურიის, იმერეთის და ქართლ-კახეთის გლეხთა სხვა აჯანყებანი დააცხრეს ჯარისკაცებმა და აზნაურთა მილიციამ, რომელიც საგანგებოდ ამ მიზნით შეადგინეს. გლეხები სრულებითაც არ მალავდნენ, რომ მათი აჯანყების ერთად-ერთი მიზეზი — ბატონყმობა იყო, ხოლო ერთად-ერთი მიზანი — მისი მოსპობა. 1858 წელს რომ განთავისუფლების ხმა გავარდა, ამ ამბავმა ცეცხლს ნავთი დაასხა და გლეხთა მოძრაობა უკიდურესად გაძლიერდა“ („კოლოკოლი“, № 198, 1865 წ.).

თუმცა მეფის ხელისუფალნი იარაღით აქრობდნენ გლეხთა გამოსვლებს, მაინც ეკონომიური განვითარების ძალამ და საქართველოში გლეხური რევოლუციის საშიშროებამ აიძულა ცარიზმი აქაც [illegible] ბატონყმობის გაუქმება. საქართველოში გლეხთა მოძრაობა [illegible] ბატონყმობის გაუქმებას შორის ამ კავშირის არსებობა სწორად აღნიშნა ჯერ კიდევ გერცენის „კოლოკოლმა". „მთავრობა ფიქრობდა, — სწერდა „კოლოკოლი", — იმერეთისა, გურიისა და სამეგრელოს გლეხებისათვის პირში ბურთი ჩაეჩარა მომავალი განთავისუფლების პერსპექტივით და ამავე დროს არ შეელახა ამ ოლქების თავად-აზნაურობის ინტერესები" („კოლოკოლი", № 198, 1865 წ.).

ქართველი მემამულენი ყოველნაირად ხელს უშლიდნენ ბატონყმობის გაუქმების განხორციელებას საქართველოში. ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ მთავრობისა და საზოგადოებისათვის, რომ გლეხთა და მემამულეთა შორის მუდამ არსებობდა წმინდა ოჯახური მამა-შვილური დამოკიდებულება. საქართველოში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის აშკარა დამცველად გამოვიდა 1859 წელს ჟურნალ „ცისკარში" ცნობილი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი.

განსაკუთრებული მძულვარებით და აღშფოთებით ახსენებდნენ თავადაზნაურები საქართველოს დიდ მწერალს ილია ჭავჭავაძეს მას შემდეგ, როცა მან მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა ყოფილი თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე და მოითხოვა ბატონყმობიდან გლეხების მიწიანად განთავისუფლება.

როცა გამოირკვა, რომ საგლეხო რეფორმა საქართველოში მაინც გატარდებოდა, ქართველი თავად-აზნაურები თავიანთ ყრილობებზე და მთავრობისათვის სპეციალურად წარდგენილ მოხსენებით ბარათებში მოითხოვდნენ თავიანთი კლასობრივი ინტერესების მაქსიმალურად დაცვას რეფორმის გატარების დროს. ასე, მაგალითად, თელავის მაზრის თავადაზნაურები მათ მიერ **წარდგენილ მოხსენებითი ბარათში** უარყოფდნენ გლეხთა ყოველგვარ უფლებას არა მარტო მიწაზე, არამედ სხვა რომელიმე ქონებაზეც. ბატონყმობის მოტრფიალეთა აზრით, გლეხებს შეუძლიათ მოიხმარონ ჰაერი და თავიანთი სული, ყოველივე დანარჩენი კი მათი მემამულეების საკუთრებაა. კახელ მემამულეთა შორის ზ. ჭავჭავაძე იყო თითქმის ერთადერთი, რომელიც მოხსენებით ბარათში მოითხოვდა გლეხებისათვის მიწების უსასყიდლოდ მიცემას. „მათ (გლეხებს) ვერაფერს ჩამოაჭრი, — სწერდა ზ. ჭავჭავაძე, — უამისოდაც ყველაფერი ჩამოეჭრათ" (ს. ავალიანი. „გლეხთა საკითხი ამიერ-კავკასიაში". გვ. 362).

ბატონყმობის გაუქმება

ბატონყმობა საქართველოს ცალკეულ ნაწილებში გაუქმებულ იქნა სხვადასხვა დროს. 1864 წლის 8 ნოემბერს გამოქვეყნდა კანონი ქართლის და კახეთის გლეხთა განთავისუფლების შესახებ, 1865 წლის 13 ოქ-

ტომბერს ბატონყმობიდან განთავისუფლებულ იქნენ იმერეთის და გურიის გლეხები. სამეგრელოს და ლეჩხუმის გლეხების განთავისუფლების შესახებ კანონების გამოცემა იწყება მხოლოდ 1866 წლის 1-ლ დეკემბერ-დან. აფხაზეთში ბატონყმობა გაუქმებულ იქნა 1870 წელს, სვანეთში 1871 წელს. მაგრამ საქართველოში იყო კატეგორიები ისეთი გლეხებისა, რომელთაც რეფორმა ან სულ არ შეხებია ან რომელთა შორის ბატონყმური ურთიერთობა გაცილებით უფრო გვიან უქმდება. ასე, მაგალითად, აფხაზეთში ახალი ათონის მონასტრის მამულებში, სადაც 1000-ზე მეტი ყმა ირიცხებოდა, ბატონყმური ურთიერთობის ლიკვიდაცია მოხდა მხოლოდ 1885 წელს. საგლეხო რეფორმა საქართველოში სულ არ შეხებია ეგრეთწოდებულ სახელმწიფო გლეხებს. 1901 წლამდე ისინი განაგრძობდნენ „საკომლო" გადასახადის შეტანას და მხოლოდ ამ წლიდან დაიწყო მუშაობა საქართველოს სახელმწიფო გლეხების მიწადმოწყობისათვის, მათთვის მიწის გამოყოფა და სრულიად უსამართლო „საკომლო" გადასახადი შეიცვალა ეგრეთწოდებული „საღალო" გადასახადით. ამ ღალიდან განთავისუფლებას, თავისი მიწადმოწყობის დამთავრებას და მესაკუთრე გლეხების კატეგორიაში გადარიცხვას საქართველოს სახელმწიფო გლეხებმა ვერ მიაღწიეს თვით 1917 წლამდე.

გაურკვეველ მდგომარეობაში იყო მიწის მხრივ ოსი გლეხების ერთი ნაწილიც, რომელიც თავად მაჩაბლის მიწებზე ცხოვრობდა. არ იყო მოწესრიგებული ამ ოსი გლეხების ურთიერთობა მემამულეებთან, რის გამო საქმე ხშირად შეიარაღებულ შეტაკებამდე მიდიოდა.

დასასრულ, იყო მთელი კატეგორია ხიზნებად წოდებული გლეხებისა, რომელთათვის სრულად არ შეუფარდებიათ ბატონყმობის გამაუქმებელი კანონი. ხიზნობის საშუალო-საუკუნებრივი ინსტიტუტის დედაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ სხვა რაიონებიდან გამოხიზნული გლეხები ან ბარად ჩამოსული მთიელები სახლდებოდნენ მემამულეთა მიწებზე განსაკუთრებული ხელშეკრულების პირობებში (მათ გაუფორმებლად), უხდიდნენ მემამულეებს მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთზე (ყანა, ბაღი, ბოსტანი და სხვ.) მიღებული მოსავლის $^1/_{10}$ — $^1/_5$ ნაწილს.

60-ანი წლების შემდეგ, როცა გამრავლდა მოსახლეობა და გაიზარდა გლეხთა მოთხოვნილება მიწაზე, აგრეთვე, ამის გამო, მკვეთრად იმატა მიწის საიჯარო გადასახადმა, ქართველი მემამულეებისათვის უკვე ხელსაყრელი არ იყო ძველ პირობებში დაეტოვებინათ ხიზნები. მემამულეებს არ უნდოდათ ანგარიში გაეწიათ იმ გარემოებისათვის, რომ ამა თუ იმ მიწის ნაკვეთზე ცხოვრობს ზედიზედ ხიზანთა რამდენიმე თაობა, რომ მათ ოფლითა და შრომით ეს ცალიერი, ვერანი მიწები კულტურულ ადგილ-მამულებად გადააქციეს, ააგეს იქ საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები და სხვ. რამდენადაც მეფის კანონმდებლობა გლეხთა შესახებ დუმილით გვერდს უვლიდა საქართველოს ხიზანთა საკითხს, მემამულეები საგლეხო რეფორმის შემდეგ მოითხოვდნენ ხიზნებისაგან საიჯარო

გადასახადის მკვეთრად გადიდებას (მთელი მოსავლის ნახევრამდე), ან მათ აყრას შეჩვეული ადგილებიდან, რასაც ჩვეულებრივ კიდევაც ახერხებდნენ იმავე ადმინისტრაციის დახმარებით. ამგვარად, ბატონყმობის ლიკვიდაციის შემდეგ ხიზანთა მდგომარეობა საქართველოში განსაკუთრებით მძიმე გახდა. მემამულეთა მიწა-ადგილიდან აყრისას ისინი ჩვეულებრივ კარგავდნენ რამდენიმე თაობის მრავალწლოვანი შრომის ნაყოფს: ბაღებს, ვენახებს, შენობებს და სხვ.

XX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში ირიცხებოდა ხიზანთა არანაკლებ 12.000 კომლისა და ორივე სქესის ხიზნები არანაკლებ 75 ათასი სულისა. ხიზანთა საკითხი ჯერ კიდევ XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში იმდენად გამწვავდა, რომ მეფის მთავრობა იძულებული გახდა 1891 წელს გამოეცა მათ შესახებ განსაკუთრებული კანონი, რომელიც რამდენადმე აწესრიგებდა მათ დამოკიდებულებას მემამულეებთან და ამსუბუქებდა მათ მდგომარეობას. ხიზნებს ძველებურად უნდა ეხადათ ყველა ბეგარა მემამულეთა სასარგებლოდ, მაგრამ უკანასკნელებს უკვე არ შეეძლოთ თვითნებურად გაეიდიდებინათ ეს ბეგარა და გაესახლებინათ მამულიდან ხიზნები, თუ მათ კომპენსაციას არ გადაუხდიდნენ მემამულის მიწაზე შეტანილი გაუმჯობესებისა და მათ მიერ აგებული შენობებისათვის. მაგრამ ეს კანონი სრული მოცულობით მოკლე ხანს მოქმედებდა. 1900 წელს, ქართველ მემამულეთა გავლენით, შეიცვალა 1891 წლის კანონი ხიზანთა შესახებ. ხიზნებს მნიშვნელოვნად შეუკვეცეს უფლებები მემამულეთა სასარგებლოდ. მიუხედავად ხიზანთა ესოდენ გაურკვეველი უფლებრივი და აუტანელი ეკონომიური მდგომარეობისა, ეს ინსტიტუტი საქართველოში გაუქმებულ იქნა მხოლოდ 1917 წლის დეკემბერს.

ვნახოთ ახლა, როგორ გატარდა საქართველოში საგლეხო რეფორმა.

გლეხებისათვის მიწის გამოყოფისას ყოფილი თბილისის გუბერნიის მემამულეებმა თავის სარგებლობაში დაიტოვეს 1.050,4 ათასი ჰექტარი, გლეხებს კი მიეზომა 174,2 ათასი ჰექტარი. ყოფილ ქუთაისის გუბერნიაში მემამულეებს დაუტოვეს 890,8 ათასი ჰექტარი, გლეხებმა კი მიიღეს 230,2 ათასი ჰექტარი. მცირემიწიანი თავად-აზნაურები, რომელთაც ყოფილ თბილისის გუბერნიაში 33 ჰექტარზე ნაკლები ჰქონდათ, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 12,5 ჰექტარზე ნაკლები, სრულიად გაანთავისუფლეს გლეხებისათვის მიწის გამოყოფისაგან. მიწის არავითარ ნაკვეთებს არ ღებულობდნენ ყოფილი მოჯალაბე გლეხებიც. ამრიგად ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოში 28.200-ზე მეტი ყმა ანუ დაახლოებით 5.444 მეკომური გლეხი „განთავისუფლების“ პირველ დღეებიდანვე, უმიწაწყლოდ დარჩა, ისინი თავის მეურნეობას ვერ გაიჩენდნენ. შიმშილით რომ არ ამოწყვეტილიყვნენ, ისინი იძულებული იყვნენ იმავე მემამულეებს მოჯამაგირეებად დადგომოდნენ და ქალაქად საშოვარზე გასულიყვნენ.

ჩვეულებრივ გლეხები ღებულობდნენ ნაბატონარის მამულებში აქა-იქ მცირე ნაკვეთებად გაბნეულ მწირ მიწებს. გლეხებისათვის არ გამოუყვიათ ტყე და სპეციალური საძოვრები. გასადევარით საბალახოებით სარგებლობა მათ შეეძლოთ მხოლოდ „ადათით“, მემამულის თანხმობით. მცირეწყლოვან რაიონებში გლეხებს მემამულის ნებადაურთველად არ შეეძლოთ წყალსალევის მოწყობა და წყაროებით სარგებლობაც.

შედეგად ამგვარად გატარებული საგლეხო რეფორმისა, რომელიც მემამულეთა ინტერესებს ყოველნაირად იცავდა, აღმოსავლეთ საქართველოში თითო თავად-აზნაურულ მფლობელობაზე საშუალოდ მოდიოდა 18,5 ჰექტარი, მაგრამ მემამულეთა შორის იყვნენ ისეთები, როგორც, მაგალითად, თავადი ორბელიანები, რომლებიც ფლობდნენ 80 ათას ჰექტარზე მეტ მიწას, თავადი ციციშვილები, რომელთაც ჰქონდათ 70 ათასი ჰექტარი მიწა და სხვ. ამავე დროს ყოფილ გორის მაზრაში ყველა კატეგორიის გლეხთა 25 პროცენტი ფლობდა საშუალოდ 1 ჰექტარს თითო კომლზე და ამ მაზრის გლეხთა მხოლოდ 7,9 პროცენტს ჰქონდა 5,5 ჰექტარიდან 8 ჰექტარამდე თითო მეურნეობაზე.

დასავლეთ საქართველოში თავად-აზნაურთა ხელში თავმოყრილი იყო მიწის მთელი ფართობის 42 პროცენტი. თავად-აზნაურთა შორის იყვნენ ისეთი პირები, როგორც თავადი მინგრელსკი, რომელიც ფლობდა 206,2 ათას ჰექტარ მიწას, თავადი გურიელი, რომელიც ფლობდა 33,4 ათას ჰექტარ მიწას და სხვ. თითო მეკომურ გლეხს კი საშუალოდ 2,9 ჰექტარი მიწა უწევდა. ქართლში იყო ისეთი სოფლები, სადაც გლეხი თავისი სახლის კარს რომ გააღებდა, პირველსავე ნაბიჯს მემამულის მიწაზე დასდგამდა. ერთმა გურულმა გლეხმა სოფელ ასკანიდან მეტად მოსწრებულად სთქვა გლეხთა უმიწაწყლობის შესახებ: „დასაძინებლად რომ ვწვები, თავი ერთის მამულში მიძევს, ფეხები მეორეშია“. გლეხს რომ მისთვის გამოყოფილი მიწები საკუთრებად დაემტკიცებინა, მას მემამულისათვის უნდა გადაეხადა განსაკუთრებული გაანგარიშების მიხედვით ეგრეთწოდებული გამოსასყიდი გადასახადი. ევროპის რუსეთში მემამულეთა გლეხებმა მათთვის გამოყოფილ თითო ჰექტარ მიწაში საშუალოდ გადაიხადეს 41 მანეთი. საქართველოში კი მიწის სავალდებულო გამოსყიდვა ისე გაჭიანურდა, რომ გლეხს ბოლოს და ბოლოს თითო ჰექტარი 387 მანეთად დაუჯდა.

მიწის გამოსყიდვამდე გლეხები მემამულეებს დაუტოვეს დროებით ვალდებულთა მდგომარეობაში. მათთვის გამოყოფილი მიწით სარგებლობისათვის გლეხებს მემამულეთათვის უნდა ეხადათ ღალა ამ მიწაზე მოწეული მოსავლის ერთი მეოთხედის რაოდენობით და უნდა ყოფილიყვნენ მემამულეებთან ნახევრად-ბატონყმურ დამოკიდებულებაში. ევროპის რუსეთში „დროებით ვალდებულება“ საბოლოოდ გაუქმებულ იქნა 1881 წელს საკანონმდებლო წესით. საქართველოში კი ანალოგიური კანონი გამოიცა მხოლოდ 1912 წლის დეკემბერს.

გლეხებმა საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მიიღეს სრულიად არასაკმაო მიწა-ადგილი. ამიტომ „თავისუფლების“ პირველ დღეებიდანვე ისინი იძულებული იყვნენ იჯარით აეღოთ მემამულეთა მიწები მეტად მძიმე პირობებში, რათა უზრუნველეყოთ თავისთვის პურის აუცილებელი მარაგი. უფრო ხშირად გლეხები იძულებული არიან მემამულეს უხადონ იჯარა ნატურით მთელი მოსავლის ერთი მეოთხედიდან ნახევრამდე. გარდა ამისა, გლეხებს მემამულეთათვის უნდა მიერთმიათ სავალდებულო ძღვენი, ემუშავნათ რამდენიმე დღე მემამულის მამულში. სტატისტიკური გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ შემამულის სასარგებლოდ მიდიოდა გლეხების მიერ დაკავებული მიწის შემოსავლის 75 პროცენტამდე — დასავლეთ საქართველოში და 81 პროცენტამდე — აღმოსავლეთ საქართველოში. ამრიგად, გლეხთა ეგრეთწოდებული განთავისუფლების შემდეგაც საქართველოში არსებითად რჩებოდა იგივე მდგომარეობა, როგორიც იყო ბატონყმობის დროს. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ გლეხი პირადათ თავისუფალი იყო და არ შეიძლებოდა მისი არც ყიდვა, არც გაყიდვა.

საქართველოში გატარებულ საგლეხო რეფორმას კიდევ უფრო მეტად შეეფერება ის დახასიათება, რომელიც მისცა ამ რეფორმას ვ. ი. ლენინმა: „რუსეთში გლეხებს „ანთავისუფლებდნენ“ თვით მემამულენი, თვითმპყრობელი მეფის მემამულეთა მთავრობა და მისი მოხელენი. და ამ „გამანთავისუფლებლებმა“ ისე წაიყვანეს საქმე, რომ გლეხები „განთავისუფლდნენ“ გაძარცულ-გაღატაკებულნი, გამოვიდნენ მემამულეთა მონობიდან და იმავ მემამულეთა და მათი დამქაშების კაბალაში მოექცნენ.“ (ლენინი, ტ. XV, გვ. 132).

სასოფლო მმართველობის და სხვა რეფორმების შემოღება საქართველოში

1865 წლის 14 ოქტომბრის კანონით საქართველოში შემოღებულ იქნა ეგრეთწოდებული სასოფლო მმართველობა და მოეწყო სასოფლო საზოგადოებანი, რომლებშიც შედიოდა ერთი დიდი ან რამდენიმე პატარა სოფელში მცხოვრები ყველა გლეხი, მიუხედავად იმისა, იყვნენ ისინი ყოფილი მემამულისეული, ან სახელმწიფო გლეხები. სასოფლო მმართველობა შესდგებოდა გლეხთა სასოფლო ყრილობისა და სოფლის მამასახლისისაგან, რომელთანაც არსებობდა კანცელარია. სასოფლო ყრილობაზე მონაწილეობას ღებულობდა „კამერალურ“ სიებში შეტანილი ყველა სახლის პატრონი. ეს იყო ვეებერთელა და ძნელად შესაკრები დაწესებულება, ამიტომ მისი როლი გაქარწყლებული იყო. არსებითად მთელი ძალაუფლება სოფლად თავმოყრილი იყო მამასახლისისა და მწერლის ხელში, რომელნიც სავსებით ემორჩილებოდნენ პოლიციის ბოქაულებს. მათ ჩვეულებრივ გლეხები კი არ ირჩევდნენ, არამედ ნიშნავდნენ მაზრის უფ-

როსები ადგილობრივ მემამულეებთან შეთანხმებით. სასოფლო მმართველობაში გამეფებული იყო სრული თვითნებობა და უკანონობა. აქ მტკიცედ დაიბუდა მექრთამეობამ და ძალმომრეობამ. ტიპი მამასახლისისა — სოფლის ამ პატარა მეფისა, რომელიც ულმობელად ექსპლოატაციას უწევდა და სჩაგრავდა ღარიბ გლეხობას, საუკეთოდ დაგვიხატა თავის მოთხრობა — „მოსე მწერალში“ ცნობილმა ქართველმა მწერალმა ე. ნინოშვილმა, რომელიც ჩინებულად იცნობდა რეფორმისშემდეგდროინდელი სოფლის ყოფაცხოვრებას.

ცენტრალურ რუსეთში ცარიზმმა საგლეხო რეფორმის შემდეგ გაატარა მთელი რიგი სხვა რეფორმები: საერობო, სამოსამართლო, საქალაქო და სამხედრო ბეგარის მოხდისა. მაგრამ იმ შეკვეცილ რეფორმასაც, რომელიც ცნობილია „ადგილობრივი საერობო თვითმმართველობის“ სახელწოდებით, საქართველო ვერ მოესწრო ცარიზმისაგან. ადგილობრივი საერობო მეურნეობა და მის შესანახად დაწესებული საერობო გამოსაღები იყო წინანდებურად არა არჩეულ საერობო წარმომადგენელთა ხელში, არამედ გუბერნატორების და სამაზრო ადმინისტრაციის განკარგულებაში. ამ გამოსაღების მეტი ნაწილი ხმარდებოდა სოფლის მცველთა („სტრაჟნიკების“) შენახვას და მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტი ვადაირიცხებოდა ხოლმე სოფლად გზების და სკოლების შესანახად და სამედიცინო დახმარებისათვის.

სამოსამართლო რეფორმა საქართველოში შემოიღეს 1868 წელს, მაგრამ აქ მოეწყო მხოლოდ „მთავრობის სასამართლო“ მეფის მთავრობის მიერ დანიშნულ მოსამართლეთაგან. აქ არ შემოუღიათ მოსახლეობიდან არჩეულ ეგრეთწოდებულ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით შემდგარი სასამართლო, რომელიც სწყვეტდა სისხლის სამართლის საქმეებს. მეფის მთავრობა ამას იმით ასაბუთებდა, რომ ნაფიცთა სასამართლო მხოლოდ კულტურულ და განვითარებულ ქვეყნებში შეიძლება არსებობდესო. მოსამართლის თანამდებობაზე საქართველოში უმთავრესად რუს მოხელეებს ნიშნავდნენ. სასამართლოებში ყველა საქმის წარმოება, როგორც წინათაც, მიმდინარეობდა მოსახლეობის უმრავლესობისათვის გაუგებარ, რუსულ ენაზე.

რაც შეეხება 1870 წლის საქალაქო რეფორმას, იგი შეკვეცილი სახით გატარებულ იქნა პირველად თბილისში, შემდეგ კი ქუთაისში, ფოთში, ბათუმში (1888 წ.) და სოხუმში (1892 წ.), დანარჩენ ქალაქებში, სადაც მანამდე საქალაქო მეურნეობას პოლიცია განაგებდა, შემოღებულ იქნა „გამარტივებული“ საქალაქო მმართველობა არჩეული ქალაქის მამასახლისის მეთაურობით (ნაცვლად ქალაქის გამგეობისა და არჩეული ქალაქის თავისა).

გლეხთა ბრძოლა „მემამულური თავისუფლების“ წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგლეხო რეფორმამ ვერ დააკმაყოფილა გლეხები, რომელნიც მოითხოვდნენ სრულ განთავისუფლებას მემამულეთა ბატონობისაგან და მათ სარგებლობაში არსებული მთელი მიწის გამოუსყიდავად გადმოცემას.

მეფის ხელისუფალთ საფუძვლიანად ეშინოდათ — კანონით დამყარებულ ასეთ „თავისუფლებას“ საქართველოს გლეხები ახალი აჯანყებებით უპასუხებენო. ამიტომ საქართველოში „თავისუფლების“ გამოცხადებას დიდი სიფრთხილით ატარებდნენ. „ჩვეულებრივ ეს ასე ხდებოდა. სოფელში მოვიდოდა ჯარისკაცთა ასეული, დაეწყობოდა სამხედრო წესზე, შემდეგ იწყებდნენ დოლისცემას და მის ხმაზე ხალხი მდუმარედ ისმენდა მანიფესტის სიტყვებს“ (ო. სომინი. „დიადი წლისთავი“, გვ. 17).

მაგრამ, როგორც სჩანს, სიფრთხილის ასეთი ზომებიც მიზანს ვერ აღწევდა. მას შემდეგ, რაც გამოცხადებულ იქნა დებულება საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შესახებ, აქ მოხდა გლეხთა მთელი რიგი გამოსვლები. გლეხთა ყველაზე დიდი აჯანყება, რომელიც დაკავშირებულია საგლეხო რეფორმასთან, მოხდა აფხაზეთში 1866 წელს. აფხაზი გლეხები ვერ შეურიგდნენ იმას, რომ რეფორმის შემდეგ მათთვის უნდოდათ ჩამოეჭრათ საუკეთესო მიწები მემამულეთა სასარგებლოდ, რომ ფეოდალთა ბატონობიდან „განთავისუფლებისათვის“ მათ უნდა გაეღოთ მიწის გამოსასყიდი და ეკისრნათ პირადი ვალდებულებანი. აფხაზეთის გლეხობას არ შეეძლო არ შეეფასებინა ბატონყმობის ამგვარად გაუქმება, თუ არა როგორც „თავისი უდიდესი უბედურება“.

აჯანყება დაიწყო 1866 წლის ივნისს ბზიბის ოლქში და მალე მთელ აფხაზეთს მოედო. 27 ივლისს ორგანიზებულად, წითელი დროშით გამოსულმა აჯანყებულებმა, რომელთა რიცხვი 5 ათას კაცამდე აღწევდა, მიაღწიეს სოხუმს და იგი სწრაფად აიღეს. ცარიზმმა აფხაზეთისაკენ დასძრა ჯარი 8 ათას კაცამდე. შეკრეს მთისაკენ მიმავალი ყველა გზა. ზღვიდან ნაპირს ყუმბარებს უშენდნენ სამხედრო გემები. აჯანყებულ აფხაზ გლეხთა წინააღმდეგ მომქმედი სამხედრო ძალების უფროსად დაინიშნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი სვიატოპოლკ-მირსკი. აჯანყებულებს იმედი ჰქონდათ ჩვენი გამოსვლა მეფის რუსეთის წინააღმდეგ კავკასიის ყველა ჩაგრული ხალხის საერთო გამოსვლის სიგნალად გახდებაო. მაგრამ სამხედრო ხელისუფალთა მიერ მიღებული სწრაფი და გადამწყვეტი ზომების მეოხებით, აფხაზებს ეს იმედი ვერ გაუმართლდა. ისინი არავისგან არავითარ რეალურ დახმარებას არ ღებულობდნენ. აფხაზეთის თავად-აზნაურები მეფის ჯარებთან შეხმატკბილებულად მოქმედობდნენ. ძალა უკანასკნელთა მხარეზე აღმოჩნდა. ამიტომ, მიუხედავად გლეხთა გმირული წინააღმდეგობისა, აჯანყება სასტიკად ჩააქრეს.

აჯანყების ჩაქრობის შედეგად, აფხაზეთში საგლეხო რეფორმის გატარებისას სავსებით უზრუნველყოფილი იყო თავად-აზნაურთა ინტერესები. საშუალოდ თვითეული მემამულის ოჯახს მიუზომეს 275 ჰექტარამდე მიწა. გარდა ამისა, მემამულეებმა ხაზინისაგან ერთდროულად მიიღეს 400.000 მანეთი. ყოფილმა ყმებმა კი თითო კომლზე მიიღეს საშუალოდ 3,3 ჰექტარიდან 8 ჰექტარამდე. ბატონყმური დამოკიდებულებიდან პირადი განთავისუფლებისათვის თვითეულ მეკომურ გლეხს უნდა გადაეხადა, დამოკიდებულების კატეგორიების მიხედვით, 50 მანეთიდან 180 მანეთამდე.

მემამულეთა სასარგებლოდ გლეხებისაგან გადაჭარბებული ღალის მოთხოვნის ნიადაგზე და იმის გამო, რომ გლეხებს ამიერიდან აღარ უნდოდათ დროებით ვალდებულებად დარჩენა,—სამეგრელოში, სოფ. ლიასა და ფახულანში, 1876 წელს დაიწყო გლეხთა აჯანყება. მოძრაობამ იმდენად სერიოზული მასშტაბი მიიღო, რომ საფრთხე მთელ სამეგრელოს ემუქრებოდა. აჯანყების ჩასაქრობად ქუთაისიდან გაიგზავნა დიდი დამსჯელი ექსპედიცია პოდპოლკოვნიკ პრინცის მეთაურობით. სოფელ ლეწურწუმეში ამ რაზმთან გლეხთა შეტაკების შემდეგ დააპატიმრეს 100 გლეხი. მაშინ მთელი რაიონიდან თავი მოიყარეს გლეხებმა და მოითხოვეს დაპატიმრებულთა განთავისუფლება. როცა დარწმუნდნენ, თხოვნა ვერაფერს გასჭრისო, გლეხებმა გადასწყვიტეს ძალით გაენთავისუფლებიათ ამხანაგები. მოხდა ჯართან შეტაკება, რის შედეგად მოჰკლეს 18 და დასჭრეს 30 გლეხი.

სოფლის მეურნეობა საგლეხო რეფორმის შემდეგ

გლეხთა განთავისუფლების შემდეგ, საქართველოში მიუხედავად ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების არსებობისა, იწყება თუმცა ნელ-ნელა, პროცესი კაპიტალის შეჭრისა სოფლის მეურნეობაში. თანდათან ირღვევა სოფლის მეურნეობის ნატურალურ-პატრიარქალური ფორმები, იწყება გლეხობის ფენებად დაყოფა, სოფლის მეურნეობა ბაზრისაგან დამოკიდებული ხდება. რომ ფული ეშოვნათ ყოველგვარ გადასახადთა და გამოსაღებთა შესატანად, მეურნეობისათვის აუცილებელი ინვენტარის შესაძენად, გლეხები იძულებული იყვნენ მეტი რაოდენობით გაეყიდათ თავისი ნაწარმოები პროდუქტები, მეტწილად საკუთარი მოხმარების შემცირების ხარჯზე. სოფლად მატულობს ქონებრივი უთანასწორობა, ხოლო მასთან ერთად იზრდება კლასობრივი უთანასწორობაც.

გლეხების ფენებად დაყოფის ერთერთი მაჩვენებელია მათ შორის შინაური საქონლის განაწილება. XIX საუკუნის დამლევისათვის, სტატისტიკური ცნობების მიხედვით, ყოფილ თელავის მაზრაში ყველა გლეხური მეურნეობის 54 პროცენტს სრულებით არ ჰყავდა მუშა-საქონელი, 14 პროცენტს ჰყავდა მხოლოდ თითო სული საქონელი, ხოლო სოფლის ბურ-

ჟუაზიამ ხელთ იგდო გლეხთა მთელი შინაური საქონელის 44 პროცენტი. საქართველოს მთელ რიგ მაზრებში სოფლის ბურჟუაზიას ჰყავდა ცხვრის მთელი სულადობის 80 — 90 პროცენტი, ხოლო [illegible] ღარიბ გლეხებს ცხვარი თითქმის არ ჰყავდათ. ცოცხალ [illegible] განსაკუთრებით მუშა-საქონლის უყოლობა გლეხთა უმრავლესობას აყენებდა კაბალურ დამოკიდებულებაში სოფლის ბურუაზიასთან.

ვიდრე 1912 წელს გამოიცემოდა კანონი გლეხთა მიწის ნაკვეთების სავალდებულო გამოსყიდვის შესახებ გლეხებს მათთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა შეეძლოთ მხოლოდ მემამულის თანხმობით. იმის გამო, რომ არსებობდა გამოსყიდვის მძიმე პირობები, საჭირო ხდებოდა მთელი რიგი ფორმალობის გადალახვა ადმინისტრაციულ დაწესებულებებში, — გლეხები მეტწილად თავს ვერ აღწევდნენ მემამულეთაგან ფეოდალურ-ბატონყმურ დამოკიდებულებას. ბატონყმობის ლიკვიდაციის შემდეგ განვლილი 50 წლის მანძილზე ყოფილ თბილისის გუბერნიის გლეხებმა შესძლეს 30 პროცენტზე ნაკლები მიწის გამოსყიდვა.

გლეხებს ფული სისტემატიურად სჭირდებოდათ. მას ისინი მევახშეებისაგან სესხულობდნენ. სესხის წლიური პროცენტი სოფლად 200 — 300-ს აღწევდა. ზოგჯერ მოვალეს სესხი აყენებდა ფაქტიურ მონობაში მევალის მიმართ. მამის ვალის გასასტუმრებლად შვილი ხშირად რამდენიმე წლით მოჯამაგირედ უნდა დამდგარიყო კულაკთან.

„... ახლანდელი ჩვენებური გლეხის უმეცრებას, სიღარიბესა და დაცემას, — სწერდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და ლიტერატორი ს. მესხი, — სხვათა შორის, ორი ეკონომიური ძალა უწყობს ხელს: სოფლის ვაჭრები, ანუ უკეთ ვთქვათ, ფულის გამსესხებელნი და ნაბატონრები... ბევრიც რომ ვიყვიროთ, თუ იმ ნაბატონარმა თავის მიწაზე ნახევარი შემოსავლის გამორთმევა მოუხერხა გლეხს, გამოართმევს; რამდენიც გინდა ურჩიოთ ფულის გამსესხებელს, თუ კი შეიძლო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ერთს თუმანში სარგებლად ორ, სამ, ოთხ თუმანს ან ამის ღირებულ ნამუშევარს გადაახდევინებს წლის დამლევს გაჭირვებულ გლეხს“ (გაზეთი „დროება“ № 12, 1875 წ.).

გლეხობას, რომელიც „დაბალ“ წოდებად ითვლებოდა, ამასთან ერთად კისერზე აწვა სახელმწიფო გადასახადების, საერობო და სასოფლო გამოსაღებთა და ყოველგვარი ნატურალური ბეგარის მთელი სიმძიმე.

გატიალება და გალატაკება აიძულებდა გლეხთა მნიშვნელოვან ნაწილს სოფლიდან საშოვარზე გასულიყო. გლეხები მიდიოდნენ ბათუმის, თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში, ბაქოს ნავთის სარეწაოებში. გურულებს, ლეჩხუმელებს და საქართველოს სხვა რაიონების გლეხებს გაჭირვება ფანტავდა მთელ ევროპის რუსეთში და შორეულ აღმოსავლეთშიაც, შუა აზიაშიაც, სადაც ისინი რამდენიმე ათეული ათასობით ირიცხებოდნენ.

მემამულური მეურნეობა საქართველოში ძირითადად ბატონყმური რჩებოდა. იგი შემოსავალს ღებულობდა გლეხურ მეურნეობათა დაკაბა-

ლების გზით. მთელს ქართლში, მაგალითად, XIX საუკუნის დამლევს ირიცხებოდა კაპიტალისტურად მოწყობილი 4-5 მემამულური მეურნეობა. დანარჩენი მემამულენი თავიანთ მიწებს აძლევდნენ გლეხებს, ოჯახურ განსაკუთრებით მძიმე პირობებში.

ბიბლიოთეკა

თავის გენიალურ შრომაში — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" ლენინმა გვიჩვენა, რომ 60-იან წლების რეფორმის შემდეგ მემამულურ და გლეხურ მეურნეობაშიც ვითარდებოდა კაპიტალიზმი. მაგრამ კაპიტალიზმის ეს განვითარება შეიძლებოდა სხვადასხვა გზით წარმართულიყო. „ან ძველი საბატონო მეურნეობა, — სწერდა ვ. ი. ლენინი, — რომელიც ათასნაირად არის დაკავშირებული ბატონყმურ წესთან, რჩება და ნელ-ნელა იქცევა წმინდა კაპიტალისტურ, „იუნკრულ" მეურნეობად... ანდა ამ საბატონო მეურნეობას ამსხვრევს რევოლუცია და ანადგურებს ყველა ბატონყმურ ნაშთს და პირველ ყოვლისა მსხვილ მიწადმფლობელობას" (ლენინი, ტ. III, გვ. 10 — 11).

რუსეთის მემამულენი და ბურჟუაზია საგლეხო რეფორმის შემდეგ ესწრაფვოდნენ სოფლის მეურნეობის განვითარებას პირველი — პრუსიელი ევოლუციური გზით. გლეხობა ესწრაფვოდა განვითარების მეორე — ამერიკულ გზას, რაც მოასწავებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას.

საქართველოს გლეხთა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას 60-ანი წლების რეფორმის შემდეგ აორკეცებდა პოლიტიკური უუფლებობა და ნაციონალური ჩაგვრა. საგლეხო რეფორმის შემდეგ საქართველოს სოფლებში, კაპიტალიზმის განვითარების, გაძლიერებული ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის, მემამულური და ბურჟუაზიულ-კულაკური ექსპლოატაციის გავლენით, არა თუ ალმოიფხვრა წინაალმდეგობანი, არამედ უფრო მეტად გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა და იქმნებოდა ნამდვილად რევოლუციური სიტუაცია.

კაპიტალიზმის განვითარება მრეწველობაში

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ჯერ ნელ-ნელა, შემდეგ კი უფრო სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს კაპიტალიზმის განვითარების პროცესი, უმთავრესად მომპოებელი მრეწველობის ხაზით და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამმუშავებელ საწარმოთა შექმნის გზით. კაპიტალიზმის განვითარებაზე საქართველოში დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის სამრეწველო კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ იმ ხანებში.

ვ. ი. ლენინმა შესანიშნავად დაახასიათა რუსეთის კაპიტალიზმის გავლენა კავკასიის და საქართველოს ეკონომიკასა და შინაგან ურთიერთობაზე, მათ ჩაბმაზე მსოფლიო სასაქონლო ბრუნვაში „რეფორმის შემდგომდროინდელ ხანაში, — სწერდა ვ. ი. ლენინი, — ერთი მხრით, ხდე-

ბოდა კავკასიის ძლიერი კოლონიზაცია, მიწების ფართო დამუშავება კოლონისტების მიერ (განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიაში), რომელთაც გასაყიდად მოყავდათ ხორბალი, თამბაქო და სხ. და რომელნიც ასევე მრავალ დაქირავებულ მუშას იზიდავდნენ რუსეთიდან. მეორე მხრივ, თანდათან იდევნებოდა ადგილობრივი, საუკუნეთა განმავლობაში არსებული, „საშინამრეწველო“ სარეწავები, რომელთაც ამარცხებდა მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენცია. მარცხდებოდა იარაღის ძველებური წარმოება ტულიდან და ბელგიიდან შემოტანილ ნაწარმოებთა კონკურენციის გამო, — ეცემოდა რკინის შინამრეწველური დამუშავება შემოტანილი რუსული პროდუქტის კონკურენციით, აგრეთვე ეცემოდა სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თიხის, ქონის და სოდის, ტყავის და სხ. შინამრეწველური დამზადება; ყველა ეს პროდუქტი უფრო იაფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში, რომელნიც კავკასიაში აგზავნიდნენ თავის ნაწარმოებთ. ეცემა რქების დამუშავება ყანწებად საქართველოში ფეოდალური წყობილების და ისტორიული ნადიმების დაცემის გამო, — ეცემოდა ქუდის სარეწავი აზიური კოსტუმის ევროპიულით შეცვლის გამო, ეცემოდა ტიკების და კოკების წარმოება, ადგილობრივ ღვინოსთვის, რომელიც პირველად გამოვიდა გასაყიდად (რითაც იწვევდა კასრის წარმოების განვითარებას) და თავის მხრით იპყრობდა რუსეთის ბაზარს. ამნაირად, რუსეთის კაპიტალიზმი ითრევდა კავკასიას საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებას — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა თავის ფაბრიკებისათვის ბაზარს. რეფორმის შემდგომდროინდელი ხანის დასაწყისში ქვეყანა, ოდნავ დასახლებული მთიელებით, რომელნიც მსოფლიო მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი შორს იდგნენ, თანდათან ნავთის მრეწველობის, ღვინის ვაჭრობის, ხორბლის და თამბაქოს ფაბრიკატების ქვეყანად ხდებოდა და ბატონი კუპონი დაუნდობლად ხდიდა ამაყ მთიელს პოეტურ ნაციონალურ კოსტიუმს და ევროპიული ლაქიას კოსტიუმში აწყობდა მას (გლ. უსპენსკი)“ (ლენინი, ტ. III, გვ. 575).

დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ამიერ-კავკასიისათვის გზების განვითარებას. 1857 წელს დაარსდა „რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოება“ და დაიწყო რეგულარული მიმოსვლა ოდესასა, რედუტ-კალესა და ტრაპიზონს შორის. 1858 წელს ფოთში უცხოური ვაჭრობისათვის გაიხსნა ნავსადგური და დაიწყო ნაოსნობა მდინარე რიონზე.

1860 — 1862 წლებში საქართველო ტელეგრაფით უკავშირდება ცენტრალურ რუსეთს. 1857 — 1861 წლებში მოხდა საქართველოს სამხედრო გზის რეკონსტრუქცია და იმავე წლებში მყარდება რეგულარული მიმოსვლა სასწრაფო დილიჟანსებით თბილისსა, როსტოვსა და ამიერ-კავკასიის მთავარ ქალაქებს შორის.

პოლიტიკური და ეკონომიური მოსაზრებებით იმ პერიოდში წამოიჭრა გადაუდებელი საჭიროება — ამიერ-კავკასია რკინისგზით დაკავშირებოდა რუსეთს. 1865 წელს დაიწყო ამიერ-კავკასიის რკინისგზის მშენებლობა. პირველი ხაზი — ფოთი-ზესტაფონი საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა 1871 წლის 14 აგვისტოს. თბილისსა და ფოთს შუა რკინისგზის მოძრაობა გაიხსნა 1873 წლის 9 ივნისს. 1883 წელს დამთავრდა ხაზების მშენებლობა სამტრედიიდან ბათომამდე და თბილისიდან ბაქომდე. 1887 წლის დეკემბერს დამთავრდა ტყიბულის შტოს დაგება, ხოლო 1894 წლის აპრილს ბორჯომისა და ჭიათურის ხაზების გაყვანა. 1899 წლის დეკემბერს გაიხსნა რკინისგზის მოძრაობა ყარსსა და თბილისს შორის, 1902 წელს ალექსანდროპოლი (ამჟამად ლენინაკანი) შეერთებულ იქნა ერევანთან. 1900 წელს ამიერ-კავკასიის რკინისგზა შეუერთდა რუსეთის რკინისგზის საერთო ქსელს ბაქო-პეტროვსკის (ამჟამად მახაჩკალა) მიმართულებით და დამყარდა გადაუჯდომელი მიმოსვლა თბილისსა და მოსკოვ-პეტერბურგს შორის.

გაყვანა რკინისგზისა, რომელმაც რელსის ლიანდაგით შეაერთა შავი და კასპიის ზღვები და ამიერ-კავკასიის მხარე ევროპის რუსეთს დაუკავშირა, ნამდვილ ეკონომიურ გადატრიალებას მოასწავებდა. რკინისგზამ დააჩქარა ძველი წყობილების სოციალური და პოლიტიკური რღვევა და შეჰქმნა წანამძღვრები ამიერ-კავკასიაში მანქანური ინდუსტრიის წარმოშობისათვის.

უცხოეთის კაპიტალის დახმარებით იმ ხანებში საზღაპროდ სწრაფი ტემპებით ვითარდება ბაქოს ნავთის მრეწველობა. 90-იან წლებში ნავთის მოპოების მხრივ რუსეთი პირველ ადგილზე გამოდის მსოფლიოში და ქალაქი ბაქო ხდება მსოფლიო მნიშვნელობის სამრეწველო ცენტრად.

1860 წელს ინგლისელი რუკსი ხსნის თბილისში პირველ მექანიკურ ქარხანას. აქვე 1865 წელს ამუშავდა პირველი საფეიქრო ფაბრიკა საქართველოში, რომელიც ეკუთვნოდა მსხვილ კაპიტალისტს მირზოევს. საქართველოში არსებობდა ჩათახის თუჯსასხმელი ქარხანა, ალავერდის, შამპლუგის, ახტალის სპილენძსადნობი ქარხნები, მიმდინარეობდა მირზაანის ნავთიანი წიაღის დამუშავება, აქ ნავთის მოპოვება წელიწადში 40 ათას ფუთამდე აღწევდა.

რკინისგზის გაყვანის შემდეგ საქართველოში, უწინარეს ყოვლისა, იწყება სამთამადნო მრეწველობის განვითარება. 1871 წლიდან განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით იზრდება შავი ქვის მრეწველობა, რომლის ცენტრი—ჭიათურა თამაშობდა ამიერ-კავკასიის სამეცეცხლურეს როლს. შავი ქვის მოპოვება სწარმოებდა მხოლოდ საექსპორტოდ — გერმანიაში, ინგლისში და ჰოლანდიაში გასატანად. 1878 წელს საზღვარგარეთ გატანილ იქნა 51 ათასი ფუთი შავი ქვა; 1891 წელს კი—4.6 მილიონი ფუთი. ამავე დროს იზრდება ქვანახშირის მოპოება ტყიბულში, სადაც 1884

წელს მოპოვებულ იქნა 84 ათასი ფუთი ქვანახშირი, 1898 წელს კი 1.864 ათასი ფუთი.

სწრაფად იზრდება მრეწველობა ბათუმში, რაც უწინარეს ყოვლისა დაკავშირებული იყო ბაქოს ნავთის მრეწველობის განვითარებასთან და ნავთის საზღვარგარეთ გატანასთან ბათუმის ნავსადგურით. აქ აიგო როტშილდის, ნობელის, მანთაშევის, სიდერიდესის და სხვ. ნავთის და ყუთთუნუქის მსხვილი ქარხნები.

19 საუკუნის დამლევს საქართველოში, არაზუსტი ცნობებით, იმ ხანებში მუშათა საერთო რაოდენობა, რკინისგზელთა ჩათვლით, 24.000 კაცამდე აღწევდა.

მაგრამ მიუხედავად თავისი რაოდენობითი ზრდისა, საქართველოს მრეწველობას საერთოდ ახასიათებდა წვრილ, ტექნიკურად ჩამორჩენილ საწარმოთა არსებობა. თავის ცნობილ „წერილში კავკასიიდან" სტალინი ადარებდა თბილისის და ბაქოს სამრეწველო განვითარებას და სწერდა:

„მრეწველობის განვითარების მხრით, თბილისი სავსებით განსხვავდება ბაქოსაგან. თუ ბაქო საინტერესოა, როგორც ნავთის მრეწველობის ცენტრი, თბილისი შეიძლება საინტერესო იყოს მხოლოდ როგორც კავკასიის ადმინისტრატიულ-სავაჭრო და „კულტურული" ცენტრი. თბილისში სულ 20.000-მდე სამრეწველო მუშა, ე. ი. ნაკლები, ვიდრე ჯარისკაცნი და პოლიციელნი. ერთადერთი მსხვილი საწარმოა — რკინისგზის სახელოსნოები (3.500 მუშამდე). ცალკეულ საწარმოებში 200, 100, მეტწილად კი 40 — 20 კაცია. სამაგიეროდ თბილისი პირდაპირ გავსებულია სავაჭრო დაწესებულებებით და მათთან დაკავშირებული „სავაჭრო პროლეტარიატით" (სტალინი, „წერილი კავკასიიდან", გვ. 3).

რკინისგზის გაყვანამ, მრეწველობის წარმოშობამ და განვითარებამ, სოფლის მეურნეობის ჩათრევამ სავაჭრო-ფულად ურთიერთობაში ძლიერ გაზარდა საქართველოში სავაჭრო ბრუნვა. ასე, 1872 წელს საზღვარგარეთული ვაჭრობის მთელი ბრუნვა ამიერ-კავკასიაში უდრიდა 15.079.4 ათას მანეთს, 1893 წელს კი იგი უკვე 55.835 ათას მანეთს შეადგენდა. სწრაფად იზრდება ცალკეული ქალაქების ბიუჯეტი. 1860 წელს თბილისის ბიუჯეტი უდრიდა 84.9 ათას მანეთს, 1899 წელს კი მან 1.079.5 მანეთამდე მიაღწია. ქუთაისში ამავე ხნის განმავლობაში ბიუჯეტი გაიზარდა 11.9 ათასი მანეთიდან 149,9 ათას მანეთამდე.

1867 წელს თბილისში იხსნება რუსეთის სახელმწიფო ბანკის განყოფილება. 1871 წელს აქ თავის ოპერაციებს იწყებენ კომერციული ბანკი, საურთიერთო კრედიტის საზოგადოება და სხვ. 1874 წლიდან ასეთივე ბანკი ეწყობა ქუთაისში.

საქართველოს სოფლის მეურნეობა რომ ამ პერიოდში საგრძნობლად საქონლიანი ხდება, გვიჩვენებს, სხვათა შორის, ის ფაქტი, რომ მარტო დასავლეთ საქართველოდან 1894 წელს საზღვარგარეთ გატანილმა სიმინდმა 7 მილიონ ფუთამდე მიაღწია.

სოფლის მეურნეობაში, თუმცა ნელ-ნელა, ინერგება ძვირფასი კულ-ტურები. განსაკუთრებით იზრდება მეთამბაქოობა, რომლის ცენტრად ხდება ყოფილი სოხუმის ოლქი. აჭარაში იწყება ჩაის, ციტრუსების, ბამ-ბუკის და სხვა ძვირფას მცენარეთა გაშენება. დასავლეთ საქართველოში იზრდება აბრეშუმის წარმოება. ქართლში სამრეწველო მნიშვნელობას ღებულობს მეხილეობა, მეევნახეობა და მეღვინეობა, რომლის ცენტრს კახეთი წარმოადგენდა, ცალკეულ მეურნეობებში აღწევს განვითარების დასავლეთ-ევროპულ დონეს (საუფლისწულო უწყებისა და ცალკეულ მემამულეთა მამულები).

მოსახლეობა სწრაფად იზრდება. 1860 წელს ირიცხებოდა 1.038 ათასი კაცი, 1897 წლის აღწერით კი საქართველოში მცხოვრებთა რიცხვმა 2.034,6 ათას კაცამდე მიაღწია, ე. ი. 37 წლის მანძილზე 96 პროცენტით გაიზარდა.

მრეწველობის და ვაჭრობის განვითარებაში, ქალაქების და მოსახლეობის საერთო რიცხვის ზრდაში მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრა შესამჩნევად სცვლის თვით საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურასაც. გლეხობაში მიმდინარეობს დიფერენციაციის გაძლიერებული პროცესი, ქალაქად ჩნდება მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზია და ყალიბდება ნაციონალური პროლეტარიატი. ყოველივე ამის შედეგად, საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ განვლილი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, შესამჩნევად იცვლება ქვეყნის სახე, როგორც სამეურნეო, ისე კლასობრივი მხრივ.

სამრეწველო პროლეტარიატის წარმოშობა და მუშათა მოძრაობა

მრეწველობის განვითარებასთან ერთად იზრდება ნაციონალური სამრეწველო პროლეტარიატი. იგი სდგება ქალაქის გატიალებული ხელოსნებისაგან, რომელნიც თავიანთი კუსტარული წარმოებით უკვე მეტოქეობას ვერ უწევდნენ საფაბრიკო წარმოებას. თუ 1876 წელს თბილისში 11.500 ხელოსანი ირიცხებოდა, 1885 წელს მათი რიცხვი შემცირდა 6000-მდე. მაგრამ პროლეტარიატი ძირითადად გლეხთა მასისაგან სდგებოდა. ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს დაიწყო პროცესი ქალაქად გლეხთა ლტოლვისა ლუკმა პურის საძებნელად და მემამულეთა ბატონობისაგან თავის დაღწევის მიზნით. სწორედ სოფლიდან ლტოლვილნი იძლეოდნენ უმთავრესად პროლეტარიატის კადრებს.

მათი მდგომარეობა დაახასიათა თავის დროზე გერცენის „კოლოკოლ-მა“, სადაც თბილისიდან გამოგზავნილი ერთერთი კორესპონდენციის ავ-ტორი სწერდა:

„საქართველოში მუშას მოქალაქობის არავითარი უფლება არა აქვს. ის „მეშჩანინი“ და დროებით გათარხნებულიც კი არ არის, ის გამოქცე-

ული კაცია და სხვა არაფერი. ესენი არიან იმერელი, გურული, მეგრელი და რაჭელი გლეხები, რომლებიც არ ემორჩილებიან ბატონის ძალას და „ბატონის მათრახისათვის ვერ გაუძლიათ", თბილისში მეგობნ.. ოჯახსა და სამშობლოზე ხელის აღება გლეხს მემამულის ბატონობისაგან ანთავისუფლებს. მაგრამ სამაგიეროდ იგი ბურჟუაზიისა და მოხელეობის ხელქვეითი, ლუკმა-პურის ძებნის მონად ხდება. დიდი უმრავლესობა ქვასა, ქვიშასა და კირს ეზიდება შენობების ასაგებად, ტომრებსა და სხვა მძიმე ტვირთს — ვაჭრებისათვის, წყალსა და შეშას — მცხოვრებთათვის, და ასეთი ჯაფისათვის იშვიათად იღებს ორ-სამ აბაზს" („კოლოკოლი", 1865 წ. № 204).

საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ უფრო მეტად გაძლიერდა გაუბედურებულ, უმიწაწყლოდ დატოვებულ გლეხთა მასის ლტოლვა ქალაქად, სადაც დაიწყო ფაბრიკა-ქარხნების გახსნა. „რეფორმის შემდგომი მთელი ორმოცი წელი, — სწერდა ლენინი, — არის განგლეხების მთლიანი პროცესი", რომელიც გვიჩვენებს მიწა-წყლიდან გლეხის მოწყვეტასა და დაქირავებულ სამრეწველო მუშად მისი გადაქცევის პროცესს.

მუშების მდგომარეობა საქართველოში მაშინ განსაკუთრებით მძიმე იყო. სამუშაო დღის ხანგრძლიობა, სავალდებულო საზეგანაკვეთო მუშაობასთან ერთად, 15—17 საათამდე აღწევდა. მუშა ფაბრიკაში, ლენინის თქმის არ იყოს, იქცეოდა „არა მარტო დაქირავებულ, არამედ კაბალურ მონადაც". ფართოდ იყენებდნენ მცირეწლოვანთა და ქალთა შრომას, რომელნიც იმდენსავე მუშაობდნენ, რამდენსაც მოზრდილი მამაკაცი მუშები, მაგრამ გაცილებით ნაკლებ ხელფასს ღებულობდნენ. რკინისგზის მუშათა შორისაც, რომელთაც სხვებზე მეტი ხელფასი ეძლეოდათ, უმრავლესობა დღეში 70 კაპიკს ღებულობდა, და მხოლოდ ზოგიერთ, უაღრესად კვალიფიციურ მუშათა შორის რამდენადმე უფრო შაღალი იყო ხელფასის განაკვეთი. მუშები სრულიადაც უზრუნველყოფილი არ იყვნენ დასახიჩრების და ინვალიდობის შემთხვევისათვის. ლაპარაკიც ზედმეტია რაიმე დაზღვევაზე, შრომის რაიმე დაცვაზე, რის გამო მუშები ხშირად სახიჩრდებოდნენ და ზოგჯერ კიდეც იღუპებოდნენ.

ასე, მაგალითად, თბილისში, მირზოევის საფეიქრო ფაბრიკის მუშებში განსაკუთრებით გახშირებული იყო უბედური შემთხვევები. გამაფრთხილებელ ზომებს აქ არ ღებულობდნენ. სახიჩრობისათვის მეწარმენი არავითარ კომპენსაციას არ იხდიდნენ და დასახიჩრებულებს უბოდიშოდ ქუჩაში ისტუმრებდნენ. როცა ამის გამო მუშებში დრტვინვა ატყდებოდა, მათ აპატიმრებდნენ. ჩვეულებრივ მუშებს ქირაობდენ წლით, წელიწადში ფულად 20 მანეთს უხდიდნენ, აჭმევდნენ და წელიწადში ერთხელ ტანსაცმელს აძლევდნენ. როცა მუშებმა 1872 წელს პროტესტი განაცხა-

დეს ხელფასის თვითნებურად დაკლების წინააღმდეგ, მირზოევის ფაბ-
რიკის მმართველმა უტიფრად განაცხადა:

„ვისაც სარგებლობა აქვს, იმუშაოს, ვისაც არა, წავიდეს საცა უნდა“.

მუშები ბინით უზრუნველყოფილი არ იყვნენ. თბილისში ისინი
ცხოვრობდნენ განაპირა უბნებში, მეტწილად ნაძალადევში (ამჟამად
ლენინის რაიონი), ვიწრო შექუჩებულ ქოხმახებში. ჭიათურაში მუშე-
ბის უმრავლესობა ღია ცისქვეშ იძინებდა. თუ ბარაკები ჰქონდათ, ისი-
ნი იყო ნესტიანი, ბნელი, ჭუჭყიანი და იმდენად ვიწრო, რომ 12 კვ.
მეტრამდე ზომის ფართობზე მოთავსებული იყო 20 და უფრო მეტი
მუშა.

მეწარმენი თვითნებურად აჯარიმებდნენ მუშებს ყოველგვარი საბა-
ბით, მიხვდვით აწესებდნენ თვითნებურ გამოქვითვას ხელფასიდან. საწარ-
მოთა ადმინისტრაცია უაღრესად თვითნებურად ეპყრობოდა მუშებს. ხშირი
მოვლენა იყო მუშებისათვის მუშტი-კრივით გამასპინძლება, მათი ფი-
ზიკური დასჯა. თბილისის გუბერნატორის მოხსენებაში ძმების ვახტი-
ანსკების მექანიკური სახელოსნოს მუშათა მდგომარეობაზე პირდაპირ
აღნიშნული იყო, რომ „მეპატრონენი, გარდა უხეში მოპყრობისა, ზოგ-
ჯერ არ ერიდებიან მუშების განსაკუთრებით შეგირდების ცემასაც“.

საფაბრიკო-საქარხნო ინსპექცია საქართველოში შემოღებულ იქნა
მხოლოდ 1902 წელს, ე. ი. ევროპის რუსეთთან შედარებით 16 წლის
დაგვიანებით. არსებითად ამ ინსტიტუტს სრულიადაც არ შეუცვლია მუ-
შების მდგომარეობა, მით უმეტეს, რომ მუშების კაპიტალისტურ ექს-
პლოატაციას საქართველოში აძლიერებდა მათი სასტიკი პოლიტიკური
და ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრა.

ახასიათებდა რა საქართველოს პროლეტარიატის მდგომარეობას,
ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ლ. კეცხოველი არალეგა-
ლურ გაზეთ „ბრძოლაში“ 1901 წელს სწერდა:

„ქართველი მუშა, რუსის და სომხის მუშასთან ერთად იყვლიფება,
იტანჯება, წვალობს ძალმომრეობის სამეფოში სულ შეხუთული, ხელებ-
შეკრული, მიკრული უსულო მაშინაზე, რომლის გამონაღები მთლად
მათ პატრონს რჩება და ნამდვილ მშრომელთ კი გადანახვეტი ნასუფრა-
ლი-ღა გაწვალებულ ცხოვრებას ატარებინებს. ერთის მხრით მშრომე-
ლი, — მეორე მხრით — საწარმოო იარაღების პატრონი; ერთის მხრით —
სიღარიბე, მეორეს მხრით განცხრომა და ფუფუნება; პირველი ჰქმნის
სიმდიდრეს და თვით სიღარიბეში ლევს ტანჯულ სულს, მეორე მუქ-
თად, უშრომლად ისაკუთრებს იმ სიმდიდრეს და კოშკ-დარბაზებში ნა-
დიმებით თავს ირთობს. მილეთის ხალხის კვნესა, ბინძური და ნახევრად-
პირუტყვული ცხოვრება სადმე დამპალ სარდაფებში...“ (გაზეთი „ბრძო-
ლა“ 1901 წ. № 1).

საშინელი ექსპლოატაციით და ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრით გა-
წამებული საქართველოს მუშები თავისთვის სხვა გამოსავალს ვერ პო-

ულობენ გარდა იმისა, რომ დაიწყონ ბრძოლა თავიანთ ექსპლოატატორებთან. ისინი სტიქიურად იწყებენ გაფიცვებს, რაც თანდათან საწარმოთა სულ უფრო მეტ რაოდენობას ედება. ასე, ჯერ კიდევ 1869 წელს თბილისში გაფიცულნი იყვნენ არსენალის მუშები. 1872 წელს და შემდეგ წლებში არაერთხელ გამოსულან მირზოევის საფეიქრო ფაბრიკის მუშები. 1878 წელს, სამუშაო დღის თვითნებურად გადიდების საფუძველზე, გაფიცვა გამოაცხადეს ზაიცერის სახელოსნოს მუშებმა. 1889 წელს თბილისში, ამიერ-კავკასიის რკინისგზის მთავარ სახელოსნოებში, მოხდა დიდი გაფიცვა. იმავე წელს გაფიცული იყვნენ ბათუმში ნობელის ქარხნის მუშები.

მაგრამ მუშათა ყველა ეს გამოსვლა ჯერ კიდევ ატარებს არაორგანიზებულ, სტიქიურ „ჩაგრულ ადამიანთა აჯანყების“ ხასიათს. მუშებმა ჯერ კიდევ ვერ შეიცნეს თავის თავი როგორც კლასი, მათ არ ჰქონდათ თავისი ორგანიზაციები. ამიტომ კაპიტალისტები, რომელთაც სამსახურს უწევდა სამხედრო-პოლიტიკური და სამოსამართლო აპარატი, ადვილად ახერხებდნენ მუშათა განცალკევებული გამოსვლების ჩაქრობას.

ამქართა გამოსვლა თბილისში 1865 წელს

1865 წლის 26—28 ივნისს თბილისში ადგილი ჰქონდა ამქართა ორგანიზაციებში შემავალი წვრილი ვაჭრებისა და ხელოსნების მასობრივ გამოსვლას. მათ მიემხრო ქალაქის ყველა ღარიბ-ღატაკი. ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა და ღარიბ-ღატაკთა გამოსვლის მიზეზი იყო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა, რომელმაც მკვეთრად გააუარესა ქალაქის მშრომელთა ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა. „ჯანყის“ (ასე უწოდებდნენ ოფიციალურად ამქართა გამოსვლას) უშუალო საბაბი იყო თბილისში ახალი დამატებითი საქალაქო გადასახადის შემოღება რესტორანებსა და სამიკიტნოებზე, მეეტლეებზე, მობეგრე წოდების პირთა ჩაწერაზე და სხვა. განზრახული გადასახადის საერთო ჯამი შეადგენდა 60.000 მანეთს, რაც იმ დროის კვალობაზე მცირე თანხად არ ითვლებოდა. ეს გადასახადი, როგორც ყოველგვარი სხვა გადასახადები, მთელი თავისი სიმძიმით პირველ რიგში ქალაქის ღარიბ-ღატაკთ აწვებოდა, ვინაიდან სამიკიტნოს პატრონებს, ბუნებრივია, უნდა მოემატებინათ სასმელების და სხვა პროდუქტების საცალო ფასები.

26 ივნისს თბილისში, ხოჯევანქის სასაფლაოზე შესდგა ყველა ამქრის კრება, სადაც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება 28 ივნისიდან დაეხურათ ყველა სახელოსნო და დუქანი და არ გაეხსნათ მანამ, ვიდრე ხელისუფლება ახალ გადასახადს არ გააუქმებდა. როცა ეს გაიგო მეფის ნაცვლის მოვალეობის აღმსრულებელმა თავადმა გ. ორბელიანმა, ბრძანა დაებარებინათ ყველა უსტაბაში (ამქართა მამასახლისები) და გამოეცხადებინათ მათთვის: თუ გადაწყვეტილება დუქნების და სახელოსნო-

ების დახურვის შესახებ მოყვანილი იქნება სისრულეში, მიღებული იქ-
ნება უაღრესად მკაცრი ზომები, „ჯანყის“ თვით შეიარაღებული ძალით
ჩაქრობამდეო.

ამჭრები არ შეუშინდნენ ამ მუქარას, და 27 ივნისს მართლა დაიხურა
ქალაქში ყველა დუქანი და სახელოსნო. 28 ივნისს ერევნის მოედანზე
(ამჟამად ლ. ბერიას მოედანი) დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი და მო-
ითხოვა გადასახადის გაუქმება. მიუხედავად ყველა მიღებული ზომისა,
ხალხი ვერ გარეკეს. მაშინ მოედანზე გამოცხადდა თავადი ორბელიანი.
მან ხალხს შემდეგი სიტყვით მიმართა: „ჩემო შვილებო, გონს მოდით,
დაწყნარდით! კანონი ყველასათვის ერთნაირია. აი მე უმაღლესი მმარ-
თველი ვარ და გადასახადს ცხენზე მაინც ვიხდიო“.

— ეჰ, უპატივცემულესო, — უპასუხა ხალხიდან ვილაცამ, — თქვენი
საქმე სულ სხვაა, თქვენ ცხენს არჩენთ, ჩვენ კი ცხენები გვარჩენს, აი
რა განსხვავებაა ჩვენს შორის! საიდან ვიხადოთ ასეთი დიდი გადასახა-
დი, თუ სახსარი არა გვაქვს. პასუხმა მოთმინება დააკარგვინა თავად
ორბელიანს. მან ხალხს ყვირილი და ქადება დაუწყო. მაშინ ხალხიდან
მოისმა გინება და სტვენა, გამოისროლეს ქვები. თავადი ორბელიანი
იძულებული გახდა სამარცხვინოდ დაეტოვებინა მოედანი.

საინტერესოა აგრეთვე მეორე ეპიზოდი, რომელიც გვიჩვენებს, თუ
როგორ ხსნიდნენ ხალხში ამჭრების გამოსვლის მიზეზს და როგორ
სწრაფად ითვისებდნენ ამ ახსნას რუსი ჯარისკაცებიც, რომლებიც თა-
ნაგრძნობით ეკიდებოდნენ ქალაქის ღარიბ-ღატაკთ.

როცა ამჭრებს ჯარისკაცები „ჯანყის“ მიზეზებს ეკითხებოდნენ, ისი-
ნი ასეთ განმარტებას ღებულობდნენ: „რათა „ვბუნტობო?“ ვა, სწორედ
რომ შენთვის: იმათ (ე. ი. მეფის ხელისუფლებას) უნდათ, რომა ჩვენ
არაყი და თამბაქო ძვირად მოგყიდოთ; ახლა მოუნდომებიათ, სამი შა-
ური აძლიო „რუმკა“ არაყში...“ ამ რეპლიკაზე ჯარისკაცები ამბობ-
დნენ: „მედაჩემმა ღმერთმა, ესენი მართალი არიან, რათ ავიწროებენ
საწყალ ხალხსო“.

დღის სამის საათისათვის ერევნის მოედანზე მივიდნენ კაზაკები და
პოლიცია, რომელნიც ცდილობდნენ გაერეკათ ხალხი, მაგრამ მათ ქვები
მიახალეს და ერთ კაზაკს თავიც გაუტეხეს. შეკრებილნი დაიძრნენ პო-
ლიცმეისტერის სამმართველოსაკენ, რომ იგი დაერბიათ, მაგრამ ეს მათ
ვერ მოახერხეს. მაშინ ხალხი გაეშურა ქალაქის თავის სახლისაკენ. ქა-
ლაქის თავის თანამდებობას მაშინ შერმაზან-ვართანოვი ასრულებდა. ის
სახლში არ დახვდათ. ბრბომ დაარბია მისი ბინა. აქედან შეკრებილნი გა-
ვიდნენ ქალაქის გალმა მხარეს ჩულურეთში, სადაც მიადგნენ გადასა-
ხადთა ამკრეფის ბაჟბეუკ-მელიქოვის სახლს, რომელიც აგრეთვე დაარ-
ბიეს. როცა ბაჟბეუკ-მელიქოვი შეეცადა წინააღმდეგობის გაწევას, იგი
იქვე მოჰკლეს. უკან, ერევნის მოედნისაკენ წამოსვლისას, მტკვრის ხიდ-
თან (ამჟამად კ. მარქსის მოედანი) ხალხს შეტაკება მოუხდა კაზაკებთან.

რის შედეგადაც მოჰკლეს და დასჭრეს გამოსვლის მონაწილე რამდენიმე კაცი.

მეორე დღეს მეტეხის ციხესთან მოხდა ახალი შეტაკება. ოფიციალური ცნობების თანახმად, მოჰკლეს ორი და დასჭრეს [illegible] კაცი (ნამდვილად მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო). ხელისუფალთ შეეშინდათ ამქართა და ქალაქის ღარიბ-ღატაკთა გამოსვლას ახლო-მახლო სოფლების გლეხები არ მიემხრონო, და სასწრაფოდ გამოიწვიეს თბილისში უახლოესი შტაბ-ბინებიდან (აღბულაღიდან და სხვ.) ჯარის ნაწილები. მოლაპარაკება გამართეს ამქართა უსტაბაშებთან და მისცეს მათ ზოგიერთი დაპირება. სხვათა შორის ქალაქის თავის თანამდებობიდან გადააყენეს შერმაზან-ვართანოვი, რომელიც ამქრებს განსაკუთრებით სძულდათ როგორც ისეთი პირი, რომელიც ამ თანამდებობაზე მათი სურვილის წინააღმდეგ დაინიშნა; ამქრებს ის მიაჩნდათ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკის გატარების ერთ-ერთ ხელშემწყობად, ხელისუფლებამ მათ აგრეთვე აღუთქვა, ახალ გადასახადებს გავაუქმებთ, საქალაქო მმართველობის რეფორმას გავატარებთ და გამოსვლის არც ერთი მონაწილე პასუხისგებაში არ მიეცემა.

ამქართა გამოსვლაში იყო ერთგვარი ორგანიზებულობა, ჩამოყალიბებულ იქნა მოთხოვნები, მათ ჰყავდათ თავისი წინამძღოლები და აგიტატორები. თუ ამქრები გამოსვლის დასაწყისში ახალი გადასახადების გაუქმებას მოითხოვდნენ, შემდეგ, ბრძოლის განვითარების პროცესში მათ იწყეს სხვა მოთხოვნათა წამოყენებაც. გერცენის „კოლოკოლი" ამის თაობაზე სწერდა, რომ ამქრები მაშინ მოითხოვდნენ, რათა ქალაქის კეთილმოწყობის დარგში (მცენარეულობის დარგვა, ქუჩების და ქვაფენილების მოწყობა და სხვ.) სახსრების ხარჯვა ევალებოდეს მოსახლეობის უმრავლესობის ნდობით აღჭურვილ პირებს და არა ქურდ მოხელეთ; თავი და თავი რასაც ხალხი მოითხოვდა, ისაა, რომ ყველა საქალაქო საქმეს სწყვეტდნენ ქალაქის მოსახლეობისაგან არჩეული პირები.

თბილისის ამქართა გამოსვლას ფართოდ გამოეხმაურა რუსეთის რევოლუციური საზოგადოებრივობა. ცარიზმი სასტიკად გაუსწორდა ამ გამოსვლის მონაწილეებს. მათ უმრავლესობას მიესაჯა დიდი ხნით პატიმრობა, ერთი ნაწილი კი გადაასახლეს ციმბირში საკატორლო სამუშაოზე.

აჯანყება სვანეთში

1875 — 76 წლებში თავისუფალი სვანეთის სასოფლო საზოგადოებებმა (რომლებიც ფეოდალებს — დადეშკელიანებს არ ემორჩილებოდნენ) დაიწყეს აჯანყება ცარიზმის წინააღმდეგ. თავისუფალი სვანეთი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ყველაზე მიუვალ ადგილას. ის ყოველ-

მხრით ჩაკეტილია მუდამ თოვლით დაფარული მაღალი მთაგრეხილებით. თავისუფალ სვანეთში ითვლებოდა 11 საგლეხო საზოგადოება. უგზოობის, გარეშე ქვეყნიერებისაგან მოწყვეტისა და უკიდურესად ხანიანი ჰავის გამო სვანი გლეხები დიდი გაჭირვებით ცხოვრობდნენ, ისინი მუდამ მძიმე ბრძოლას ეწეოდნენ მკაცრ ბუნებასთან.

ნაცვლად იმისა, რომ აუცილებელი დახმარება გაეწია სვანებისათვის გზის გაყვანით, პურის მიწოდებით, სკოლების გახსნით და საექიმო დახმარების აღმოჩენით, მეფის ხელისუფლებამ თავისი ზრუნვა მხარის ამ შორეული კუთხისათვის იმით შემოფარგლა, რომ სვანებს მისცა ბოქაული, მათ „გასანათლებლად“ გაგზავნა ხუცესი-მისიონერი, თითოეულ საზოგადოებას დაუნიშნა მამასახლისი და შემოიღო მოსახლეობისათვის მძიმე გადასახადები.

1876 წელს სვანებს შორის გავრცელდა ხმა, მეფის ხელისუფლებას გადაუწყვეტია თავისუფალ სვანებში სამხედრო რაზმი გამოგზავნოს აქ არსებული სამხედრო კოშკების დასანგრევად და ხაზინის სასარგებლოდ კიდევ ახალი გადასახადი დაწესდებაო. როცა ეს გაიგეს, სვანებმა თავი მოიყარეს სოფელ კალაში და ერთხმად დაადგინეს: „უკეთესია ყველანი ერთ დღეს ამოვწყდეთ, ვიდრე შემდგომ შევიწროებაზე დავთანხმდეთო“. მაშინ სვანების დასამორჩილებლად ნამდვილად გაიგზავნა დამსჯელი ექსპედიცია გენერალ ციტოვიჩის მეთაურობით. დააპატიმრეს 14 სვანი როგორც მოძრაობის ხელმძღვანელი. ერთი წლის შემდეგ თავისუფალ სვანეთში გაიგზავნა ახალი სამხედრო ექსპედიცია, მაიორ ლეუსის და ლეჩხუმის მაზრის უფროსის გრინევსკის მეთაურობით.

შეტაკება დამსჯელს რაზმსა და სვანებს შორის მოხდა სოფ. ხალდეში. ბრძოლის დროს ორივე მხარეზე ბევრი მოჰკლეს და დასჭრეს. მოკლულთა შორის აღმოჩნდნენ ლეუსი და გრინევსკიც. დამსჯელი რაზმი მაშინ იძულებული გახდა უკან დაეხია, მაგრამ მის დასახმარებლად სასწრაფოდ გაიგზავნა დიდი სამხედრო ექსპედიცია, რომელმაც მეფის ნაცვლისაგან ასეთი დირექტივი მიიღო: „კავკასიის სხვა მრავალი ადგილობრივი მცხოვრებისათვის მაგალითის მისაცემად და მათ შესაშინებლად, რომელთაც ზნედ სჭირთ ამგვარი მოუფიქრებელი აგზნება მოისპოს თვით სოფელი ხალდე, ხოლო მისი მცხოვრებნი მთლიანად გადასახლებულ იქნან მხარიდან“. ამ ბრძანების შესასრულებლად დამსჯელ რაზმს მოუხდა მედგარი ბრძოლა სვანებთან ორი კვირის განმავლობაში. ბოლოსდაბოლოს სოფელი ხალდე სრულიად გაანადგურეს, მცხოვრებნი პირდაპირ უსახლკაროდ დასტოვეს. 20 სვანი გადასცეს სამხედრო-საველე სასამართლოს და სხვადასხვა ვადით გადაასახლეს ციმბირში საკატორღო სამუშაოზე.

რუსეთ-თურქეთის ომი 1877—1878 წლებში და გლეხთა მღელვარებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინეპოლის და სრუტეების ხელში ჩასაგდებად 1877 წლის გაზაფხულზე მეფის რუსეთმა ომი დაიწყო თურქეთის წინააღმდეგ. საბაბად მოიტანა თურქების მიერ ბულგარელთა შევიწროება.

როგორც წინანდელი 1853—1856 წლების ომი თურქეთთან, ეს ომიც ერთსა და იმავე დროს სწარმოებდა ბალკანეთის და კავკასიის ფრონტზე. ომი ამიერ-კავკასიაში პირველ რიგში უნდა დასტყობოდა თურქეთის მოსაზღვრე საქართველოს რაიონებს. მამაკაცთა მობილიზაცია მილიციაში, გაძლიერებული ტვირთზიდვის ბეგარა, ფრონტისპირა სამხედრო რეჟიმი და სხვ. კვლავ მთელი სიმძიმით დააწვა საქართველოს მოსახლეობას. მაგრამ რუსეთის ჯარების წარმატებებმა კავკასიის ფრონტზე (არტაანის, ბაიაზეთის, ყარსის, არზრუმის აღება) შესაძლებლობა არ მისცა მაშინ თურქეთის ჯარებს გაეშალათ თავისი საომარი მოქმედება საქართველოს ფარგლებში. ომის განმავლობაში თურქეთის ფლოტმა ყუმბარები დაუშინა მხოლოდ ქალაქ სოხუმს (1877 წლის 5 მაისს) და დაბა ოჩამჩირეში გადმოსხა თურქეთის მცირე დესანტი.

ომის ტვირთთან დაკავშირებით, რაც უწინარეს ყოვლისა გლეხთა მასებს აწვა, აღმოსავლეთ საქართველოში, სიღნაღის მაზრაში მოხდა გლეხთა გამოსვლა. კახელმა მემამულეებმა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საუკეთესო მიწები თვითონ დაინარჩუნეს. გლეხები ეკონომიურად სრულიად დამოკიდებულები იყვნენ მემამულეებისაგან. 1877—1878 წ. წ. ომის წინა წლებში ზედიზედ მოუსავლობა იყო კახეთში. გლეხები გადატვირთული იყვნენ სხვადასხვა გადასახადებით და გამოსაღებით. ომთან დაკავშირებით გლეხთა მდგომარეობა უფრო მეტად გაუარესდა, ვინაიდან მათ მთელი სიმძიმით დააწვა სატრანსპორტო ბეგარა ფრონტისათვის მომსახურეობის გასაწევად. ზღვარი, რომელმაც გლეხთა მოთმინების ფიალა აავსო, ეს იყო ხელისუფლების განკარგულება მილიციის შეგროვების შესახებ. სოფლის მამასახლისები შეუდგნენ 19—30 ასაკის მამაკაცთა სიების შედგენას. ამ საქმეში ისინი ბოროტმოქმედებას სჩადიოდნენ. მამასახლისებს ქრთამით არ შეჰქონდათ სიაში შეძლებული გლეხები, ხოლო შიგ ათავსებდნენ ისეთ ღარიბებსაც, რომლებიც მილიციაში არ უნდა გაეწვიათ. დაიწყო დრტვინვა. მალე მთელი მაზრა ამოძრავდა. განსაკუთრებით აქტიურ როლს თამაშობდნენ ქალები. სოფლის ყრილობებზე გამოჰქონდათ გადაწყვეტილებანი ახალ ბეგარაზე არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდეთ და მილიციაში გასაყვანად ხალხი არ მივცეთო. გლეხებმა შეიარაღება დაიწყეს, ისინი ემზადებოდნენ ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

3 ივნისს სოფელ ზემო მაჩხაანში გლეხებმა სცემეს მამასახლისს და ჩამოართვეს მას სამობილიზაციო სიები. იმავე დღეს სოფელ ბაკურციხე-

ში გლეხთა სამიათასკაციანი მასა თავს დაესხა მსხვილი მემამულის ვარ-
ნაძის სახლს, სადაც მაშინ იმყოფებოდნენ მაზრის უფროსი ტიზენგა-
უზენი, სილნალის მაზრაში დაბანაკებული ჯარის ნაწილების მეთაური
გენერალი ორბელიანი და სხვა თანამდებობის პირნი. თავადი ვარნაძის
სახლი გაანადგურეს, შიგ მყოფთ სცემეს. ეს ამბავი მთელ მაზრას მო-
ედო და გახდა სიგნალი გლეხთა მოძრაობისათვის. შეიარაღებულ გლეხ-
თა რაზმები თავს ესხმოდნენ ადგილობრივ ხელისუფალთ, სცემდნენ
სოფლის ადმინისტრაციას, ხშირად ანადგურებდნენ მათ სახლებს. მოძ-
რაობამ მიიღო სოფლის ექსპლოატატორთა—მამასახლისების, მემამულე-
თა, ხუცების, მედუქნეთა, კულაკების — წინააღმდეგ მიმართული ბრძო-
ლის ხასიათიც, ამასთან გლეხები მიმართავდნენ დარბევის იმავე შეთოდს,
რომელიც გამოყენებული იქნა სოფელ ბაკურციხეში.

რამდენადაც მოძრაობა სტიქიურ ხასიათს ატარებდა და მას საერთო
ხელმძღვანელობა არ ჰქონდა, ხელისუფლებამ ის მალე ჩააქრო. სამხედ-
რო სასამართლოს გადასცეს 21 გლეხი. მათ ბრალდებათ ხელისუფალ-
თათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა და მათი მძიმე გალახვა.
11 კაცს, მათ შორის 2 ქალს, მიუსაჯეს საკატორღო სამუშაო ვადით 3
წლიდან 15 წლამდე.

რუსეთ-თურქეთის 1877 — 78 წ. წ. ომის დროს ცარიზმის წინააღმ-
დეგ აჯანყება დაიწყო აფხაზეთშიაც. აჯანყება ჩააქრეს და ცარიზმმა
სასტიკად შური იძია აფხაზებზე „ღალატისათვის". მთელ აფხაზეთში
გაიგზავნა დამსჯელი ექსპედიციები. სოფლების უმრავლესობა გაანად-
გურეს, გლეხთა ნათესები და ყოველგვარი მარაგი მოსპეს. მოსახლეობა
პირდაპირ განწირული იყო დასამშევად და სახელდახელოდ მოწყობილ
კარვებში ცხოვრობდა. მეფის მთავრობა არ დასჯერდა მხოლოდ იმას,
რომ სრულიად აიკლო მხარე, მან აიძულა აფხაზები თურქეთში გადა-
ხვეწილიყვნენ. დარჩენილი მოსახლეობის მიმართ კი გამოიცა შემდეგი
დადგენილება: „1. აღელვებული ადგილების მთელი მოსახლეობა ჩაი-
თვალოს ღალატის მოზიარედ და აჯანყებაში დამნაშავედ, რის გამო არ
მოხდეს განსაკუთრებული გამოძიება, რამდენად მეტი თუ ნაკლები მო-
ნაწილეობა მიიღო აჯანყებაში თითოეულმა თემმა ცალ-ცალკე; 2. 1866
და 1877 წლების ამბების განმეორების შესაძლებლობის თავიდან ასაცი-
ლებლად, აფხაზეთის დამნაშავე მოსახლეობა გადაჯგუფებულ იქნას
შემდეგნაირად: ა) რომ ის მთლიან მასას კი არ წარმოადგენდეს, არამედ
გაფანტული იყოს ახალმოშენეთა შორის, რომლებიც მოწვეული იქნე-
ბიან თავისუფალ მიწებზე და ბ) რომ ის დაშორებული იყოს ზღვის ნა-
პირს კოლონისტების ახალშენთა ხაზით". (საქართველოს ცენტრალური
საარქივო სამმართველო. მეფის ნაცვლის კანცელარიის საქმე № № 61,
65, 70, 1878 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქეთთან ომის დამთავრების შემდეგ, მასთან ბერლინში დადებული ხელშეკრულების პირობების თანახმად, რუსეთმა 1878 წელს მიიღო კავკასიაში ყარსის ოლქი ყარსისა და არტაანის ციხე-სიმაგრეებით, ართვინის ოლქი და აჭარა ბათუმის ნავსადგურით.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარლები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ცარიზმს ყოველთვის, როცა ის მათ დაპყრობას ცდილობდა. „სამივე ომში — 1828—29 წ. წ., 1853 — 55 წ. წ. და 1877—78 წ. წ., — სწერს მეფის ისტორიკოსი, — ბათუმის დაპყრობისაკენ მიმართულ ჩვენს ცდებს ამარცხებდა ძლიერი წინააღმდეგობა არა იმდენად თურქეთის ჯარებისა, რამდენადაც ხალხისა, რომელიც ეყრდნობოდა იერიშისათვის თითქმის მიუწვდომელ, თავის ძლიერ ბუნებრივ პოზიციებს, წარმატებით იცავდა თავის ტერიტორიას და გვაიძულებდა წამოვსულვიყავით მიზნის მიუღწევლად — ბათომის აუღებლად“.

როცა გაიგეს, ბერლინის ხელშეკრულებით აჭარა რუსეთს დაუმტკიცდაო, აჭარელთა 10 ათასი კაციანი რაზმი მზად იყო საბრძოლველად ცარიზმის წინააღმდეგ. მაგრამ რაკი ევროპის სახელმწიფოებისაგან დახმარების ვერავითარი გარანტია ვერ მიიღეს, აჭარლები იძულებული იყვნენ იარაღი დაეყარათ (გაზეთი „ივერია“ 1879 წ. № 4).

აჭარასა და ბათუმს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა იმ დაპყრობით პოლიტიკაში, რომელსაც ცარიზმი აზიაში ატარებდა. „ბათუმი, — სწერდა კ. მარქსი, — საომარი მოქმედების ასპარეზისა და თვით აზიური თურქეთის გასაღებია, ვინაიდან ის ბატონობს ქვეყნის შიგნით მიმავალ ერთადერთ გზაზე, რომლითაც შეიძლება არზრუმის წინ მდებარე თურქეთის ყველა პოზიციის შემოვლა“. (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. IX, გვ. 555). ამიტომ ცარიზმმა, შეუნარჩუნა რა ბათუმს სავაჭრო ნავსადგურის მნიშვნელობა, დაიწყო თანდათანობით მისი გარდაქმნა პირველხარისხოვან სამხედრო ციხე-სიმაგრეთ. ადმინისტრაციული მხრივ აჭარა დაექვემდებარა მეფის ნაცვალს კავკასიაში და მისი ტერიტორია შევიდა ბათუმის სამხედრო ოლქში, რომელიც 1885 წელს შეუერთდა ქუთაისის გუბერნიას.

თავის დასაყრდენად აჭარაში ცარიზმმა დაიწყო ადგილობრივი ფეოდალების — ბეგების და მაჰმადიანი სამღვდელოების გამოყენება. ცარიზმი, რომელიც სდევნიდა იმ მცირეოდენ აჭარელ ფეოდალებს, რომელნიც თურქეთის ორიენტაციას იზიარებდნენ და ხალხის მასაში სათანადო აგიტაციას ეწეოდნენ, — უხვად აჯილდოებდა იმ ფეოდალებს, რომელნიც აშკარად მას ემხრობოდნენ.

აჭარაში ზღვისპირა ზოლის საუკეთესო მიწები ცარიზმმა საუფლისწულო უწყებას გადასცა (ჩაქვი), მან დაიწყო მიწის პატარა ნაკვეთობით დარიგება რუსი სამხედრო პირებისა და დიდი მოხელეებისათვის. ამავე

დროს მთავრობამ დაიწყო რუსი კოლონისტების დასახლება აჭარაში, აქ გაჩნდა რუსთა ახალშენები: სმეკალოვკა, კიზილ-ტოპრახი, დაბა ოლ-მანოვსკი და სხვა. 1900 წელს მთავრობა იმასაც შეეცადა, რომ აჭარელ-ები გადაესახლებინა სოფელ ბორჩხიდან და მათი მიწები მიეცა ახალ-შენე კოლონისტი რუსებისათვის. მხოლოდ აჭარელთა მხრით შეიარაღე-ბული წინააღმდეგობის საშიშროებამ ხელი ააღებინა ხელისუფლებას ამ განზრახვაზე.

კოლონიურ ჩაგვრას აჭარაში თან სდევდა ქრისტიანობის ქადაგება, რასაც ეწოდნენ მართლმადიდებელი ხუცები. სოფ. ხულოში ამ მიზნით სპეციალურად ააგეს ეკლესია. როგორც თურქეთის ბატონობის დროსაც მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი აჭარაში ფაქტიურად ფეოდალთა გან-კარგულებაში იყო. ამ უკანასკნელთ გლეხები ჩაყენებული ჰყავდათ თა-ვის სრულ ფეოდალურ და ეკონომიურ დამოკიდებულებაში. ფაქტიურად გლეხებს არ ჰქონდათ არავითარი უფლება მათ მიერ დამუშავებულ მი-წებზე. მხოლოდ 1912 წელს კავკასიის სამეფისნაცვლო იძულებული იყო შეემუშავებინა კანონპროექტი, რომლითაც განზრახული იყო მი-ეცათ აჭარელი გლეხებისათვის უფლება გამოესყიდათ თავიანთი მიწის ნაკვეთები და გადაეხადათ გამოსასყიდი ფასი განაწევრებით, 28 წლის განმავლობაში. ეს ოპერაცია გლეხთა ყოვლად უსინდისო ძარცვა იყო და მეტი არაფერი, თუმცა ხელისუფალნი ფარისევლურად აცხადებდნენ, „აჭარელთა გაბედნიერებას“ ვაპირებთო. ეს კანონპროექტი ცხოვრება-ში არც გატარებულა დაწყებული იმპერიალისტური ომის გამო.

აჭარელი გლეხები საწყლად ცხოვრობდნენ, სიღატაკესა და უმეცრება-ში იმყოფებოდნენ. აი ამიტომ, როცა მეზობელ გურიაში 1881—2 წ. წ. დაიწყო გლეხთა მასობრივი მოძრაობა ხელისუფალთა თვითნებობის, თავად-აზნაურთა, სამღვდელოებისა და სოფლის ბურჟუაზიის მხრით ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ამ მოძრაობას მაშინვე მიემხრნენ აჭარელი გლეხები. გურიასა და ქობულეთის რაიონში მაშინ სამხედრო წესები გა-მოცხადდა. გაზეთი „დროშა“ იხსენიებს იმ გლეხთა სახელებს (დ. სურ-გულაძე, გ. ლომჯარია, გ. ჭყონია და სხვა), რომელნიც ხელმძღვანელო-ბას უწევდნენ გლეხთა რაზმებს და შიშის ზარს სცემდნენ ადგილობრივ ადმინისტრაციას, მემამულეებს და სოფლის ბურჟუაზიას. დამსჯელმა რაზმმა, გენერალ სმეკალოვის მეთაურობით, გაითარეშა გურიასა და აჭარაში და სასტიკად ჩააქრო გლეხთა მოძრაობა.

მას შემდეგ, რაც 1883 წელს ბათუმი რკინისგზით შეუერთდა თბი-ლისსა და ბაქოს, იწყება ამ ქალაქ-ნავსადგურის სამრეწველო განვითა-რება. მატულობს მისი მოსახლეობა, იზრდება პროლეტარიატის კადრე-ბი, მის რიგებში ჩნდება მუშათა მოძრაობა.

აჭარის სამრეწველო განვითარება მარტო ქალაქ ბათუმით როდი შე-მოიფარგლა. იგი შეეხო მის სხვა რაიონებსაც, რასაც დიდად ხელი შე-უწყო იმან, რომ აჭარაში მალე აღმოაჩინეს დედამიწის წიაღის მდიდა-

რი საბადოები. აქ გამოკვლეულ იქნა (თუმცა ყველა მადანი არ დაუმუშავებიათ) სპილენძის 45-მდე საბადო, ვერცხლის და ტყვიის მადნის 14 საბადო, შავი ქვის, რკინის მადნის, გოგირდის და სხვა საბადოები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში

ა) „პირველი დასი"

საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, კაპიტალიზმის განვითარებასა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით, სერიოზული გარდატეხა ხდება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ დროს ქართველი ხალხი ტერიტორიული, ეკონომიური და კულტურული ერთობის საფუძველზე ყალიბდება ერად.

... „საქართველო როგორც ერი,—სწერს ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი—გაჩნდა მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ბატონყმობის დაცემამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დააწესა შრომის დანაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროების სამეურნეო კარჩაკეტილობა და შეაკავშირა ისინი ერთ მთელად". (ს ტ ა ლ ი ნ ი. „მარქსიზმი და ნაციონალ-კოლონიალური საკითხი", გვ. 9).

ამავე დროს მტკიცდება ქართველი ხალხის მიერ ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში დამყარებული კავშირი რუსი ხალხის მოწინავე კულტურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ეს კავშირი უწინარეს ყოვლისა მტკიცდება ქართველი ახალგაზრდობის საშუალებით, რომელიც მოსკოვში, პეტერბურგში და რუსეთის სხვა კულტურულ ცენტრებში მიეშურებოდა უმაღლესი განათლების მისაღებად. უნივერსიტეტებში ახალგაზრდობა ისმენდა ცნობილი რუსი პროფესორების ლექციებს და ეცნობოდა დასავლეთისა და რუსეთის მოწინავე იდეებს. ქართველი ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა ჰქონდათ რუსეთის დიდ რევოლუციონერ დემოკრატებს: ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვს. ახალგაზრდა ქართველებს, რომელნიც რუსეთში სწავლობდნენ და იქ შეითვისეს რუსეთის სამოციანი წლების მოღვაწეთა საბრძოლო იდეები, ხოლო შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ, მეტსახელად „თერგდალეულები" ეწოდათ.

1861 წელს პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნდა 24 წლის ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე, რომელიც გაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტიდან სტუდენტთა „არეულობაში" მონაწილეობისათვის.

ილია ჭავჭავაძემ თავის გარშემო გააერთიანა ლიბერალურად განწყობილი ახალგაზრდობა და სათავეში ჩაუდგა ახალ საზოგადოებრივ-ლიტე-

რატურულ მიმართულებას, რომელმაც შემდეგ „პირველი დასის“ სახელწოდება მიიღო.

მაშინდელ დროში ერთადერთი ჟურნალის „ცისკრის“ ფურცლებზე ილია ჭავჭავაძემ ბრძოლა გამოუცხადა მომაკვდინებელ, მსუსხავ სულ-დვილეს, იდეოლოგებს კონსერვატიულ-ფეოდალური თავად-აზნაურობისას, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ცნობილი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი.

თავის შეხედულებათა გასავრცელებლად ჭავჭავაძემ 1863 წელს დააარსა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელიც ახალი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მიმართულების მებრძოლ ორგანოდ იქცა. ჟურნალში თანამშრომლობდნენ საქართველოს მაშინდელი საუკეთესო ლიტერატურულ-მხატვრული ძალები. „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე თანდათანობით ტარდებოდა ახალი საგანმანათლებლო იდეები. ამ ჟურნალში ილია ჭავჭავაძემ დაბეჭდა თავისი მოთხრობა „კაცია ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობის“ პირველი ხუთი თავი, ნაწყვეტები პოემიდან — „კაკო ყაჩაღი“. ყველა ეს ნაწარმოები, გარდა მათი მხატვრული ღირებულებისა, წარმოადგენდა ბატონყმობის საშინელებათა წინააღმდეგ მიმართულ ბრწყინვალე დოკუმენტებს.

„საქართველოს მოამბე“ აგრეთვე ათავსებდა სტატიებს, რომლებიც ანტიკიცებდნენ საქართველოში ბატონყმობის გაუქმების აუცილებლობას. ქართველი საზოგადოებისათვის მაშინდელი დროის მოწინავე იდეათა და რუსეთის და დასავლეთ ევროპის მწერლების საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებთა გასაცნობად, ჟურნალში იბეჭდებოდა ბელინსკის, დობროლუბოვის, ვიქტორ ჰიუგოს და სხვა ნაწარმოებთა თარგმანი. მეფის ცენზურის პირობებში „საქართველოს მოამბემ“ მხოლოდ ერთ წელიწადს იარსება და დაიხურა 1864 წელს.

ილია ჭავჭავაძე, რომელიც „პირველ დასს“ მეთაურობდა, საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშედ იქცა. ილია ჭავჭავაძემ, რომელიც ერთ და იმავე დროს იყო დიდი ქართველი მწერალი, შესანიშნავი პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, მთელი თავისი მრავალფეროვანი ნიჭი მოახმარა ხალხის სამსახურს, ბრძოლას თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ. მას ღრმად სწამდა, ქართველი ხალხი ცარიზმის მხრით ჩაგვრისაგან განთავისუფლდება და ნამდვილი თავისუფლებისა და კულტურის გზას იპოვისო. თავის ცნობილ ლექსებში — „ქართველი სტუდენტების სიმღერა“, „ბაზალეთის ტბა“ და სხვა, ილია ჭავჭავაძემ ჩააქსოვა გულითადი ოცნება თავისუფლებაზე და წინასწარმეტყველურად განსჭვრიტა ის „სხივოსანი მომავალი“, რომელსაც „ფოლადის შვილები“ მოიპოვებენო.

მაგრამ ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ალმართა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა, რომელიც გამოვიდა საქართველოში სოფლად არსებული ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების წინააღმდეგ და

ეკვეთა თავად-აზნაურთა ცხოვრების უარყოფით მხარეებს, თავის ნაწარმოებებში არა თუ მოუწოდებს კლასობრივი ბრძოლისაკენ, არამედ ცდილობს შეარიგოს ჩაგრულნი და მჩაგვრელები, აღადგინოს [illegible] და გლეხთა შორის „ჩატეხილი ხიდი". ჭავჭავაძე მხურვალედ [illegible] თავისებური „შრომის სუფევისა", სადაც იბატონებს „საყოველთაო სიყვარული" და ჰარმონიულად შეხამებული იქნება მთელი ერის ინტერესები.

ილია ჭავჭავაძის აზრით, ქართველი თავად-აზნაურობა, მიუხედავად მისი ყოველი ნაკლოვანებისა, მოწინავე კლასს წარმოადგენდა ქართველ საზოგადოებაში.

1877 წელს დაწერილ პროგრამულ სტატიაში — „ცხოვრება და კანონი" ილია ჭავჭავაძე თავად-აზნაურობას მიაწერს ჰუმანურობასა და კულტურულობას, მოუწოდებს ლიბერალ თავად-აზნაურებს სათავეში ჩაუდგნენ საქართველოს კაპიტალისტურ განვითარებას და ატარონ მოწინავე კლასის დროშა. ამრიგად ილია ჭავჭავაძეს თავის კლასთან კავშირი არ გაუწყვეტია. ის არ იყო რევოლუციონერი, მისი ქადაგება „შრომის სუფევისა" უტოპიური იყო, მას საერთო არაფერი ჰქონდა მარქსიზმის მოძღვრებასთან. მაგრამ მიუხედავად ამისა, ლიბერალ თავად-აზნაურთა ჯგუფმა „პირველმა დასმა", რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა, კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში დადებითი როლი ითამაშა ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმეში.

1877 წელს ილია ჭავჭავაძემ დააარსა თბილისში ქართულ ენაზე ყოველკვირეული გაზეთი „ივერია", რომელიც 1886 წლიდან ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა და დიდი ხნის განმავლობაში იყო ერთერთი ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანო, რომელიც გამოდიოდა თბილისში ქართულ ენაზე.

ბ) „მეორე დასი"

1866 წელს საქართველოში ყალიბდება ახალი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მიმართულება — „მეორე დასი", რომელსაც მეთაურობენ გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე, პ. უმიკაშვილი, ა. წერეთელი, და სხვა.

ამ ჯგუფის ბეჭდვითი ორგანოები იყო: გაზეთი „დროშა" (1866 — 1885 წ. წ.), ჟურნალები „მნათობი" (1869 — 1872 წ. წ.), „კრებული" (1871 — 1873 წ. წ.) ქართულ ენაზე და დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი „ობზორ" (1878 — 1881 წ. წ.) რუსულ ენაზე.

ასახავდნენ რა აზრთა ახალ მიმართულებას, მეორედასელები ქადაგებდნენ უფრო პროგრესიულ იდეებსა და შეხედულებებს, ვიდრე ის იდეები და შეხედულებანი, რომლებიც ლიბერალურმა თავად-აზნაურობამ

წამოაყენა. ილია ჭავჭავაძის საპირდაპიროდ მეორედასელები გადაჭრით უარყოფენ თავად-აზნაურობის რაიმე დადებით როლს. არავის იმდენი უკანონობა და გამცემლობა არ ჩაუდენია, თავისი ქვეყნის მიმართ, [illegible] დენიც ამ წოდებას (თავად-აზნაურობას), — სწერდა გ. წერეთელი [illegible] ძველი დროიდან მოყოლებული, ჩვენი ქვეყანა იღუპება ამ ბოროტი წოდების უსამართლობით. მუშაობა მას არ შეუძლია, ცოდნა და მოხერხება მას არა აქვს. ამ მიზეზით ის თანდათან ღარიბდება, ხელიდან ეცლება სახსრები, თანდათან გაქრება მისი სახელწოდებაც („კვალი", 1897 წ., № 46).

ნაროდნიკებისაგან განსხვავებით, მეორედასელები კაპიტალიზმის განვითარებაში მარტო ბოროტებას კი არ ხედავდნენ, არამედ სცნობდნენ მის პროგრესიულ მნიშვნელობასაც. ამიტომ ისინი ფართოდ ქადაგებდნენ საქართველოში მრეწველობის განვითარების, რკინისგზების გაყვანის, გზების გაუმჯობესების, ბანკების, საკრედიტო ამხანაგობათა და კოოპერაციის სხვა სახეობათა გახსნის საჭიროებას.

1868 წლიდან გ. წერეთლის რედაქტორობით თბილისში იწყებს გამოსვლას პირველი საგლეხო გაზეთი „სასოფლო გაზეთი". მასში პოპულარული ფორმით იწერება სოფლისათვის საჭირო აგრონომიული და სხვა პრაქტიკული ცნობები, რომლებსაც ხელი უნდა შეეწყო გლეხური მეურნეობის გაუმჯობესებისათვის.

მეორედასელები ფართოდ ქადაგებდნენ ქართველი ხალხის მიერ რუსი და დასავლეთ ევროპული ხალხების მოწინავე კულტურის შეთვისების საჭიროებას. მათ დიდად ხელი შეუწყეს საქართველოში სახალხო სკოლების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოების გახსნას, თეატრალურ წარმოდგენათა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მოწყობას.

არსებითად გაზეთი „დროება" იყო პირველი ყოველდღიური პერიოდული გამოცემა ქართულ ენაზე. მას რედაქტორობდნენ: გ. წერეთელი (1866 წლიდან 1869 წლამდე), ს. მესხი (1869 წლიდან 1883 წლამდე) და ი. მაჩაბელი (1883 წლიდან 1885 წლამდე). ყველა ისინი გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწენი იყვნენ. „დროებაში" უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ ა. წერეთელი, ა. ყაზბეგი, პ. უმიკაშვილი, ა. ფურცელაძე, ნ. ნიკოლაძე და სხვა.

რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, რა პირობებში უხდებოდა მაშინ მუშაობა ქართველ ჟურნალისტს, საკმარისია მოვიყვანოთ ცნობილი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის წერილი ს. მესხისადმი, რომელიც, ჭლექის გართულების გამო 1883 წელს იძულებული იყო თავი მიენებებინა „დროების" რედაქტორობისათვის. „მე ვიცი, — სწერდა ა. ყაზბეგი, — ... რომ თოთხმეტის წლის განმავლობაში შენ თავი არ მოგიხრია არც შიმშილისა, არც წყურვილის წინ, შენთვის თავი ვერ მოუდრეკინებია გაჭირვებას და გმირულის მამაცობით გიბრძოლნია ქართულის სიტ-

ყვის გასავრცელებლად, ქართულის სიტყვის ასალორძინებლად. მე მენახვიხარ ისეთს გაჭირვებაშიაც, როდესაც გათოშილს თითებს ილბობდი პირის ორთქლით, რომ გაგეგრძელებინა წერილი, და მახსოვს, რომ ამავე დროს მთელი შენი აზრი მიბყრობილი ყოფილა გაზეთის ქალაქლის ფულის შოვნისათვის, დავსწრებივარ იმ თავგანწირულებას, რომლითაც გაჭირვებასთან გიბრძოლნია და გაშტერებული დავრჩენილვარ... ამ გაჭირვებაში იყავ, როდესაც მე გაგიცან და ჩავსთვალე ჩემს მოვალეობად ჩემი ლონისამებრ მოგშველებოდი, მოგშველებოდი რითაც კი შემეძლო... ჩემი გულიდან თავის დღეში არ ამოიხოცება დღევანდლამდის „დროების" სულისჩამდგმელის სახელი და მისი პატივისცემა შესაძლებისამებრ დედა-ენის აღორძინების სამსახურისათვის. ამხანაგო! საუკეთესო დროამდის იმ დროამდის, როდესაც კიდევ ერთად შევუდგებით საერთო გუთანს და შენს განცხრობაზე ზრუნვას დავიწყებული ისევ ხელს მოჰკიდებ საერთო საქმეს". („დროება", № 85, 1883 წ.).

საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში „დროებამ" განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა. არ ყოფილა არც ერთი ასე თუ ისე თვალსაჩინო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა, რომელსაც ეს გაზეთი არ გამოხმაურებოდეს. ეს გაზეთი გაბედულად ააშკარავებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ნაკლოვანებას, სასტიკად და ულმობლად კიცხავდა მებატონეებს, სამღვდელოებას და სოფლის ბურჟუაზიას. როგორც ქართველი ხალხის მეგობარი და მისი ნამდვილი ინტერესების დამცველი, „დროება" ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით იბრძოდა კოლონიზატორთა და რუსიფიკატორთა წინააღმდეგ, იბრძოდა დედა-ენისა, მშობლიური ლიტერატურისა და კულტურისათვის. გაზეთი ინტერნაციონალური პოზიციიდან იცავდა ამიერ-კავკასიის ყველა ხალხის ძმობასა და თანამეგობრობას.

ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ მეფის მთავრობა სისტემატურად სდევნიდა „დროებას". გაზეთს უკრძალავდნენ პოლიტიკური ამბების გაშუქებას, რედაქციას ნება არ დართეს ჰყოლოდა საკუთარი კორესპონდენტები დასავლეთ ევროპის ქალაქებში. ბოლოს 1885 წლის სექტემბერს მთავრობამ „დროება" საბოლოოდ დახურა.

გ) ნაროდნიკული მოძრაობა

რუსულ უნივერსიტეტებში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობა, ბუნებრივია, ებმებოდა რუსეთის საერთო რევოლუციურ მოძრაობაში. ჯერ კიდევ ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვა ქართველი სტუდენტები მონაწილეობას იღებდნენ 1861 წლის სტუდენტთა გამოსვლებში.

უმაღლესი განათლების მისაღებად საზღვარგარეთ მიდიოდა ბევრი ქართველი, განსაკუთრებით ქალები, რომელთათვის, როგორც რუსი ქალებისათვისაც, რუსეთში დახურული იყო უნივერსიტეტის კარები.

70-იან წლებში ციურიხში არსებობდა ახალგაზრდა კავკასიელთა მთელი კოლონია, სადაც უმრავლესობას ქართველი სტუდენტები წარმოადგენდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთ ახალგაზრდობა ეცნობოდა რუს რევოლუციონერ ემიგრანტებს (ლავროვს, ტკაჩევს და სხვ.), სწავლობდა დასავლეთ-ევროპულ სოციალისტურ თეორიებს, აქვე იქმნებოდა პირველი რევოლუციური წრეები და საზოგადოებანი. ასე ციურიხში 1872—73 წლებში მოეწყო საზოგადოება „უღელის" სახელწოდებით, რომელიც მიზნად ისახავდა რევოლუციურ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ და ამიერ-კავკასიის ყველა ხალხის განთავისუფლებას ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრისაგან.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რუსეთში შექმნილი სოციალ-ეკონომიური პირობების შედეგად წარმოიშვა ნაროდნიკული მოძრაობა.

რუსეთში ნაროდნიკული მოძრაობის გამომწვევი მიზეზები (1861 წლის რეფორმით მოტყუებული გლეხობის ექსპლოატაცია, პროლეტარიატის სისუსტე და დამოუკიდებელი პროლეტარული ორგანიზაციის უყოლობა და სხვ.) არსებობდა საქართველოშიაც. ამიტომ ნაროდნიკულ იდეოლოგიას და პრაქტიკას ბევრი მიმდევარი აღმოაჩნდა ქართველ ინტელიგენციაშიც. სოციალურ წარმოშობით ქართველ ნაროდნიკთა უმრავლესობა გატიალებულ აზნაურთა შვილები იყო. მათში ბევრი იყო ყოფილი სემინარიელი, სახალხო მასწავლებელი, წვრილი მოსამსახურე. ამრიგად, საქართველოშიაც ნაროდნიკები იმავე უაზნოებს („რაზნოჩინცებს") წარმოადგენდნენ, აქ მათ „ტეტიათა მოტრფიალენი" ეწოდებოდათ.

ნაროდნიკული ინტელიგენცია 70-ან წლებში თბილისსა და საქართველოს სხვა ადგილებში აწყობდნენ არალეგალურ კრებებს, მათ მოაწყეს არალეგალური ბიბლიოთეკები. ამ ბიბლიოთეკებში ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, პისარევის, პრუდონის და სხვა თხზულებებთან და ჟურნალ „სოვრემენიკთან" ერთად, იყო აგრეთვე არალეგალური „კოლოკოლ", რევოლუციური ბროშურები: „ზღაპარი ოთხ ძმაზე", „რთული მექანიკა", „შიმშილი სამარაში", „არაკი კაპიკზე" და სხვ. ზოგიერთი ეს ბროშურა ითარგმნა და გამოიცა ქართულ ენაზე. ამ მიზნით გორის მაზრის სოფელ ტყვიავში მოაწყვეს პრიმიტიული სტამბა და ფული შეაგროვეს საზღვარგარეთიდან ახალი საბეჭდი დაზგის გამოსაწერად.

ნაროდნიკული ორგანიზაცია საქართველოში ჩამოყალიბდა 1872—1873 წლებში. მას სათავეში ედგნენ: ი. იოსელიანი, მ. ყიფიანი, ი. ქიქოძე, ა. ფურცელაძე, ს. მგალობლიშვილი, შ. დავითაშვილი და სხვ. ნაროდნიკული წრეები არსებობდა თბილისში, გორში, ქუთაისში, თელავში, გურიაში, სამეგრელოში, ლეჩხუმში და სხვაგან. ქართველი ნაროდნიკები: ჯაბადარი, ზდანევიჩი-მაიაშვილი, ა. ციციშვილი, ა. გამყ-

რელიძე, ნ. ჩიკორძე და სხვ. პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი („30"-ის პროცესი), ისინი ციმბირში გადაასახლეს.

საქართველოში არ იყო თემური მიწათმფლობელობა. მიუხედავად ამისა, ქართველ ნაროდნიკებს საჭიროდ მიაჩნდათ საქართველოში სასოფლო-მამულო თემის შემოღება, აქ ყოველგვარი ასოციაციების, არტელების დანერგვა, კოოპერატიული საგლეხო ბანკების შექმნა და სხვ. ქართველი ნაროდნიკების ერთერთი იდეოლოგი გ. თარხან-მოურავი თავის სტატიებში ამტკიცებდა: წვრილ მწარმოებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის სამეურნეო ასოციაციები ერთადერთ საშუალებას წარმოადგენენო. „ყოველი ცვლილება, — სწერდა იგი, — ყოველი ფაქტი, რომელიც მოხდა კაცობრიობის ცხოვრებაში, არის ნაყოფი ასოციაციისა" („დროება", 1868 წ. № 44).

ქართველი ნაროდნიკები უარყოფდნენ კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში, მათ შეგნებული არ ჰქონდათ პროლეტარიატის როლი და თემური წყობილება მიაჩნდათ საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების საუკეთესო ფორმად.

„ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, — სწერდა ჯერ კიდევ „კოლოკოლის" ფურცლებზე ნ. ნიკოლაძე, — რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ერთადერთ ფორმას, რომელსაც შეუძლია ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს საქართველოს, წარმოადგენს მიწისა და ყოველგვარი სხვა საკუთრების სათემო განაწილება, აგრეთვე ხალხის შრომისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათემო ორგანიზაცია" („კოლოკოლი", № 199, 1865 წ.).

ქართველი ნაროდნიკები, თანახმად შტაბს-კაპიტანის ხრისტოფოროვის მოხსენებისა, რომელიც მათი საქმის სასამართლო გამოძიებას აწარმოებდა, მიზნად ისახავდნენ „აჯანყების მოწყობას ყველგან ერთ და იმავე დროს მიცემული სიგნალით თანამდებობის პირთა, სამღვდელოებისა და თავად-აზნაურ მემამულეთა მოსასპობად". (საქართველოს ცენტრალური საარქივო სამმართველო. ფონდი № 36, საქმე № 15, 1876 წ.).

ნაროდნიკები დიდ იმედებს ამყარებდნენ რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელ ომზე. მათ განზრახული ჰქონდათ ამ ომის დროს მოეწყოთ გლეხთა საყოველთაო აჯანყება ცარიზმის წინააღმდეგ. მაგრამ როგორც ნაროდნიკები შ. დავითაშვილი და ს. მგალობლიშვილი აღიარებენ თავის მოგონებებში, მათ პროპაგანდას გლეხობა სრულიად გულგრილად შეხვდა და ნაროდნიკებმა ვერ მოახერხეს რაიმე მტკიცე კავშირი გაებათ გლეხთა მასებთან.

1876 წელს ცარიზმმა გაანადგურა საქართველოში პირველი ნაროდნიკული ორგანიზაცია და მის ხელმძღვანელთა უმრავლესობა ციმბირში გადაასახლა. ამ ჩავარდნის შემდეგ თავისუფლად დარჩენილი ნაროდნიკები განაგრძნობდნენ მუშაობას უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობაში და ქალაქის ხელოსანთა შორის. ამ დროს ნაროდნიკებს შორის

ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ: ი. იოსელიანი, ს. ჭრელაშვილი, მ. ყიფიანი, ა. ფურცელაძე და სხვ. 1882 წელს თბილისში მე-11 მეგრუ-ლი პოლკის ოფიცერთა შორის შეიქმნა ნაროდნიკული წრე, [illegible] წრის წევრები მალე დააპატიმრეს.

ბიბლიოთეკა

80-იან წლებში საქართველოს ნაროდნიკებს შორის ჩაისახა ორი მიმ-დინარეობა: პირველი მიმდინარეობა იდგა „ნაროდნაია ვოლიას“ პარ-ტიის პოზიციაზე, იცავდა ინდივიდუალურ ტერორს და პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობას. მეორე მიმდინარეობა წარმოადგენდა ლი-ბერალურ-ნაროდნიკულ ჯგუფს, რომელიც უარყოფდა ტერორს, და მუ-შაობის მხოლოდ ლეგალური მეთოდების მომხრე იყო.

ლიბერალური ნაროდნიკები თავს იყრიდნენ ჟურნალ „იმედის“ გარ-შემო და კულტურტრეგერულ მუშაობას ეწეოდნენ, ისინი ამტკიცებდნენ წვრილი წარმოების აღორძინების შესაძლებლობას კოოპერატივების და შრომის არტელების დაარსების გზით. ლიბერალური ნაროდნიკები უარს ამბობდნენ რევოლუციურ ბრძოლაზე ცარიზმის წინააღმდეგ, ქადაგებ-დნენ მასთან შერიგებას და ეძებდნენ შეთანხმების გზებს.

1881 წელს მიმართვაში მეფე ალექსანდრე მესამისადმი, ისინი სწერდ-ნენ: „გვქონდეს იმედი, რომ იმპერატორი ალექსანდრე III თავის ხალხს მისცემს შეღავათს, მოსწმენდავს თვალზე ცრემლსა, აღასრულებს ნდო-ბას და დააკმაყოფილებს საჭიროებას“ („იმედი“, № 2, 1881 წ.). 90-იან წლებშიც კი ნაროდნიკთა ეპიგონები კიდევ უარყოფდნენ საქართველო-ში კაპიტალისტურ განვითარებას და პროლეტარიატის როგორც საზო-გადოების ყველაზე მოწინავე და რევოლუციური კლასის, წარმოშობას. ამიტომ საქართველოში მარქსისტებს მათი მოღვაწეობის პირველი ნა-ბიჯიდანვე მოუხდათ ულმობელი ბრძოლის წარმოება ნაროდნიკული იდეოლოგიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ.

დ) ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის გამოსვლების დასაწყისი

საქართველოს 80-იანი და 90-ანი წლების საზოგადოებრივი ცხოვრე-ბის ისტორიაში აღსანიშნავია მღელვარებანი თბილისის სასულიერო სე-მინარიაში, რომელიც მაშინ საპყრობილეს უფრო წააგავდა, ვინემ სას-წავლებელს. გარდა განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმისა, სემინარიაში იდევნებოდა ყოველივე ქართული. ზოგიერთი მასწავლებელი ქართულ ენას უტიფრად „ძაღლურ ენას“ უწოდებდა. სემინარიელებს სასწავლებ-ლიდან რიცხავდენ მარტო იმისათვის, რომ მათთან ნახულობდნენ ქარ-თულ ენაზე დაწერილ წიგნებს. უფროსები მოითხოვდნენ, რომ მოსწავ-ლეებს ქართულად ფიქრიც კი არ გაებედნათ და სხვა.

სემინარიელებს შორის პროპაგანდას ეწეოდნენ ცალკეული ნაროდნი-კები. 1886 წელს სემინარიელმა ი. ლაღიაშვილმა მოახდინა ტერორის-ტული აქტი თბილისის სემინარის რექტორ ჩუდეცკიზე. 1893 წელს იმავე

სემინარიაში მოხდა ორგანიზებული გამოსვლა ლ. კეცხოველის ხელმძღვანელობით. სემინარიაში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ გამოცხადებული იქნა მოსწავლეთა გაფიცვა, რომელიც გრძელდებოდა 1893 წლის 1 დეკემბრიდან 4 დეკემბრამდე. სემინარიელებმა წამოაყენეს მოთხოვნები: რეჟიმის შეცვლა, ნაციონალური დევნის შეწყვეტა, სემინარიიდან ყველაზე საძულველ მეთვალყურეთა გაძევება, ქართული ენის სწავლების აღდგენა და სხვ.

ხელისუფლებამ მკაცრი ზომები მიიღო გაფიცულ მოწაფეთა წინააღმდეგ და არ დააკმაყოფილა მათი არც ერთი მოთხოვნა. სემინარია ერთი თვით დაიხურა. გარიცხეს 87 მოსწავლე, მათ მისცეს ეგრედწოდებული „მგლის ბილეთები", რომლებიც ართმევდა მათ სხვა სასწავლებლებში და სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლებას. 23 სემინარიელს, მათ შორის ლადო კეცხოველსაც, აეკრძალათ თბილისში ცხოვრებაც.

ქართული კულტურის ზრდა

ა) მხატვრული ლიტერატურა

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში არსებულმა ახალმა სოციალურ-ეკონომიურმა პირობებმა გამოიწვიეს აქ ნაციონალური კულტურის აღმავლობა და შემდგომი განვითარება.

ამ პერიოდის მანძილზე განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია თავის განვითარებაში ქართულმა მხატვრულმა ლიტერატურამ. ამ პერიოდის მწერალთა შორის პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ლ. არდაზიანი (1818 — 1870 წ. წ.). ის ცნობილია თავისი რეალისტური რომანით „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი", რომელშიაც მხატვრული ფორმით პირველადაა მოცემული ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტურ ურთიერთობის გაძლიერებული ზრდისა და ახალი სოციალური ტიპის მეშჩანების სურათები.

დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე (1837 — 1907 წ. წ.), რომლის როლი და პოპულარობა საქართველოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იყო ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი და ახალი სალიტერატურო ენის შემქმნელი. ილია ჭავჭავაძე — ეს უსპეტაკესი პატრიოტი, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, იყო ისეთი მწერალი რომელმაც თავის შემოქმედებაში მხატვრულად ასახა საქართველოში მომხდარი დიდ საზოგადოებრივ გადატრიალებათა და ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის რღვევის ეპოქა. მისი შემოქმედების თემატიკაში მუდამ იდგა უაღრესად საჭირბოროტო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხები.

ამ პერიოდის მეორე დიდი ქართველი მწერალი, რომელიც აგრეთვე ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრში იდგა და რო-

მელმაც ბევრი იმუშავა ახალი ქართული ლიტერატურისა და ახალი სალიტერატურო ენის შექმნისათვის, იყო აკაკი წერეთელი (1840—1915 წ. წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთლის სალიტერატურო მოღვაწეობა ფართო ფეროვანია, მაგრამ განსაკუთრებულ სრულყოფას და ვირტუოზობას მან პოეზიაში მიაღწია. მისი ლექსები დაწერილია უბრალო მსუბუქი და ხალხური ენით. მისი ლექსების უმრავლესობას მღერიან ხალხში.

ლიტერატურაში შესამჩნევი კვალი დასტოვა გიორგი წერეთელმა (1842 — 1900 წ. წ.), რომელმაც რომანში — „პირველი ნაბიჯი", მოთხრობაში — „ჩვენი ცხოვრების ყვავილი" და სხვ. ნიჭიერად ასახა ის ცვლილებები, რომლებიც ხდებოდა ქართველი ხალხის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში.

ნაროდნიკულ მიმართულებას ლიტერატურაში ემხრობა მთელი ჯგუფი მწერლებისა, რომელთა შორის ყველაზე ცნობილია ანტონ ფურცელაძე და სოფრომ მგალობლიშვილი.

ანტონ ფურცელაძეს ქართულ ლიტერატურაში განცალკევებული ადგილი უკავია. თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო მოღვაწეობა ფურცელაძემ დაიწყო 60-იან წლებში, როცა ის იმყოფებოდა დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების — ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის ძლიერი გავლენის ქვეშ. შემდეგ ა. ფურცელაძე გატაცებული იყო უტოპიური სოციალიზმით, მაგრამ ქართულ ლიტერატურაში ის პირველია, რომელიც უდიდესი პატივისცემით იხსენიებს კ. მარქსს. რომანში „ვაი მართალთა!" ა. ფურცელაძემ მხატვრულად დაგვისურათა პარიზის კომუნის ამბები და გამოიყვანა პარიზის ბარიკადებზე მებრძოლი ქართველი რევოლუციონერის ტიპი. ანტონ ფურცელაძე იყო დარწმუნებული ნაროდნიკი. გლეხთა ცხოვრების დიდი ცოდნით დაწერილია მისი რომანი „მაცი ხვიტია", მოთხრობა „ქიტესა" და სხვ. „ჩემს სიცოცხლეში, — სწერდა ა. ფურცელაძე, — მე განმიცდია ორი სასიხარულო მომენტი — გლეხთა განთავისუფლება ბატონყმობიდან და 1905 წლის რევოლუცია".

სოფრომ მგალობლიშვილი (1851—1925 წ. წ.) იყო ნაროდნიკთა გორის ორგანიზაციის ერთერთი ხელმძღვანელი (1873—1876 წ. წ.). მის ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახულია უმთავრესად გლეხთა ცხოვრება, რომელსაც იგი აიდეალურებს ნაროდნიკულ ყაიდაზე. მგალობლიშვილის საუკეთესო ნაწარმოებია „ჯორ-ზაქარა".

80-იან წლებში საქართველოში ასპარეზზე გამოვიდა ორი გამოჩენილი მწერალი: ვაჟა-ფშაველა (1861 — 1915 წ. წ.) და ალექსანდრე ყაზბეგი (1848 — 1893 წ. წ.), რომლებიც ასახავდნენ ქართველ მთიელთა ცხოვრებას. ვაჟა-ფშაველა ლექსის ოსტატია, ალექსანდრე ყაზბეგი კი — პროზის ოსტატი. მათი შემოქმედების ძირითადი მოტივია პროტესტი

ხალხის მასების კოლონიური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, მოწოდება ხალხისადმი თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

90-იან წლებში იწყება ახალი გარდამავალი პერიოდი ქართული ლიტერატურაში. ეს პერიოდი წინ უსწრებდა მუშათა მოძრაობის წარმოშობას საქართველოში. ამ პერიოდის მხატვრული შემოქმედების წარმომადგენელი იყო ერთერთი ცნობილი ქართველი მწერალი ეგნატე ნინოშვილი (1859 — 1894 წ. წ.). თავისი მხატვრული მოღვაწეობის დასაწყისში, ნინოშვილი ნაროდნიკულ იდეებს ატარებდა, უფრო გვიან კი, კ. მარქსის და ენგელსის მოძღვრების გაცნობის შემდეგ, მათი მიმდევარი გახდა. თავის ნაწარმოებებში ის ასახავდა სოფლად კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას მემამულეთა და გლეხთა შორის, სოფლის ბურჟუაზიასა და უღარიბეს გლეხობას შორის. ყველაზე მეტად ცნობილია მისი ნაწარმოებნი: „ჯანყი გურიაში", „პალიასტომის ტბა", „ჩვენი ქვეყნის რაინდი", „მოსე მწერალი" და სხვ.

ბ) სახალხო განათლება

საგლეხო რეფორმის შემდეგ საქართველოში იზრდება სასოფლო ქსელი. 1868 — 1872 წლებში, მთელ საქართველოში ირიცხებოდა ყველა ტიპის 187 სკოლა. მათში სწავლობდა 6.616 ბავშვი. 1875 წელს სკოლების რიცხვი გაიზარდა 425-მდე (სამხედრო და სასულიერო უწყებათა სკოლების ჩაუთვლელად) ხოლო მოსწავლეთა საერთო რიცხვმა 21.383 კაცამდე მიაღწია. 15 წლის შემდეგ, 1890 წელს, საქართველოს ტერიტორიაზე ირიცხებოდა 878 სასწავლებელი 50.538 მოსწავლით, ხოლო XIX საუკუნის დამლევს სასწავლებელთა საერთო რიცხვი უკვე 1199 იყო, ბავშვთა რიცხვი კი — 73.045.

მიუხედავად სასწავლებელთა რიცხვის ზრდისა, წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი საქართველოში ჯერ კიდევ მცირე იყო, განსაკუთრებით ქალთა შორის. ისე, 1897 წლის ოფიციალური აღწერით, ყოფილ თბილისის გუბერნიაში ირიცხებოდა წერა-კითხვის მცოდნე მამაკაცი — 20,6 პროცენტი, ქალი — 13,4 პროცენტი. ყოფილ ქუთაისის გუბერნიაში: მამაკაცი — 20,2 პროცენტი, ქალი — 10,7 პროცენტი. ბათუმის ოლქში: მამაკაცი — 19,4 პროცენტი, ქალი — 6,0 პროცენტი. ყველაზე მცირე იყო წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი სოხუმის ოლქში, სადაც წერა-კითხვის მცოდნედ სთვლიდა თავის თავს მამაკაცთა 14,3 პროცენტი და ქალთა მხოლოდ 3,8 პროცენტი.

1868 წელს საქართველოში არსებობდა 5 საშუალო სასწავლებელი. 1899 წელს მათი რიცხვი გაიზარდა 29-მდე. მათში მოსწავლეთა საერთო რიცხვი — 10.074-მდე. მაგრამ ამ სასწავლებლებში ქართველთა შვილები შედარებით უმცირესობას შეადგენდნენ. ასე, 1868 წელს თბილისის საშუალო სასწავლებლებში სწავლობდა: ქართველი — 17 პროცენტი, რუსი — 39 პროცენტი. 1898 წელს საქართველოს ყველა საშუ-

ალო სასწავლებელში მოსწავლე ქართველთა რიცხვი 28 პროცენტს შეადგენდა. მშრომელი მოსახლეობისათვის საშუალო განათლება თითქმის ხელმიუწვდენელი იყო. ასე, თბილისის ვაჟთა გიმნაზიებში 1898 წელს 2196 მოწაფეში მხოლოდ 40 კაცი (1,4 პროცენტი) იყო გლეხთა შვილები, ხოლო საშუალო სკოლებში მოსწავლე 3671 გოგოში ირიცხებოდა მხოლოდ 70 (2 პროცენტზე ნაკლები) გლეხი.

ცარიზმი სკოლას უყურებდა როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის იარაღს და ყოველნაირად ზღუდავდა მასში ბავშვებისათვის დედაენის სწავლებას. მაგალითად, გორის სამასწავლებლო სემინარიაში ქართული ენისათვის დათმობილი არ იყო არც ერთი გაკვეთილი. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკის ცირკულიარით, 1881 წლიდან დედა-ენის სწავლება ქართულ სკოლებში ნებადართული იყო მხოლოდ პირველი სასწავლო წლის პირველ ნახევარში, შემდგომ კი ყველა საგანი რუსულ ენაზე უნდა ესწავლათ.

მაშინვე გამოცემული ცირკულიარი წინადადებას იძლეოდა სახალხო სკოლებში გამოეყენებინათ სწავლების ეგრედწოდებული „მუნჯური" მეთოდი. ეს მეთოდი იმაში მდგომარეობდა, რომ მასწავლებელს, როცა ის გაკვეთილს უხსნიდა რუსულის უცოდინარ ბავშვებს, უფლება არ ჰქონდა ესარგებლნა ქართული ენით, მას უნდა გამოეყენებინა ნახატები, ხმათმიმბაძველობა და სხვ.

მოწინავე ქართველ საზოგადოებრივობას არაერთხელ წამოუყენებია საკითხი თბილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის შესახებ, მაგრამ ცარიზმი იმით დაკმაყოფილდა, რომ თბილისში გახსნა კადეტთა კორპუსი, სადაც ღებულობდნენ თავად-აზნაურთა შვილებს მეფის ჯარში სამსახურისათვის, ოფიცრების მოსამზადებლად.

გ) ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

მოწინავე ქართველი საზოგადოებრივობა, წინააღმდეგობას უწევდა რა მთავრობის რუსიფიკატორულ პოლიტიკას, იბრძოდა სახალხო სკოლისა და დედა-ენისათვის. ამ მიზნით დიდი გარჯა-მეცადინეობისა და მთელი რიგი ბიუროკრატიული დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, 1879 წელს, როგორც იქნა, დამტკიცებულ იქნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წესდება და აღნიშნული საზოგადოება შეუდგა თავის მუშაობას.

საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დ. უიფიანი, გამგეობის წევრებად კი — ი. ჭავჭავაძე, ნ. ცხვედაძე, ა. სარაჯიშვილი, ი. გოგებაშვილი, ი. მაჩაბელი, ი. ერისთავი.

საზოგადოება მიზნად ისახავდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელებას, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნას, სახელმძღვანელოების და ქართველ კლასიკოსთა იაფ-ფასიან გამოცემათა ბეჭდვას და სხვ. ამ საზოგადოებამ დიდი როლი ითამაშა ქართველთა შორის არა

მარტო ელემენტარული წერა-კითხვის გავრცელების საქმეში, არამედ აგრეთვე ქართველი ხალხის კულტურის ამაღლების, მისი ისტორიული წარსულის შესწავლის, ახალი კულტურული კადრების მომზადების საქმეში და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოება სკოლებს ხსნიდა არა მარტო საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, არამედ ისეთ საქალაქო ცენტრებშიც, როგორიცაა მაგალითად, ბაქო, კავკავი (ამჟამად ქალაქი ორჯონიკიძე), სადაც ბევრი იყო ქართველი მუშა. გარდა ამისა, ეს საზოგადოება ეწეოდა ბრძოლას იმისათვის, რომ უკეთ ყოფილიყო დაყენებული ქართული ენის სწავლება სახელმწიფო სკოლებში. ამ მიზნით ის ცდილობდა მიეღო უფროსთა ნებართვა ჰყოლოდა საშუალო სკოლებში თავისი მასწავლებლები ქართული ენისა, რომელთა ჯამაგირს თავისი სახსრებიდან აძლევდა. საზოგადოებამ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გახსნა 66 ბიბლიოთეკა და სამკითხველო. 1892 წელს მან გახსნა თბილისში ბავშვთა პირველი ბიბლიოთეკა. მან გამოსცა სკოლებისათვის ქართულ ენაზე მთელი რიგი სახელმძღვანელოები და სასწავლო ხელსაწყოები. საზოგადოებამ მოაწყო მუზეუმი, რომელშიც თავმოყრილია საქართველოს მატერიალური კულტურის უძვირფასესი ძეგლები, ხელნაწერები და იშვიათი წიგნები.

დ) ქართული თეატრი და სახვითი ხელოვნების სხვა სახეობანი

ქართული თეატრი მუდმივი დასით 1850 წელს მოეწყო. 1856 წელს მან უსახსრობის გამო შესწყვიტა არსებობა. მაგრამ ინტერესი ქართული თეატრისადმი ამის შემდეგაც ერთი წამითაც არ შენელებულა. წარმოდგენებს ქართულ ენაზე სდგამდნენ სცენის მოყვარულთა დასები როგორც კლუბებში, ისე კერძო სახლებში. 1879 წელს, ი. ჭავჭავაძის, დ. ყიფიანის, ი. მაჩაბელის, გ. თუმანიშვილის, ი. ავალიანის და სხვათა ინიციატივით დაარსდა „ქართველთა დრამატიული საზოგადოება“ და მუდმივი ქართული დრამატიული დასი. ამ დროიდან სათეატრო საქმე საქართველოში სწრაფად ვითარდება. გვევლინებიან სცენის შესანიშნავი მოღვაწენი, როგორც, მაგალითად, ლადო ალექსი-მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, კ. ყიფიანი, კ. მესხი და სხვ. ქართული თეატრის რეპერტუარი მდიდრდება როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი პიესებით.

ამ პერიოდის ორიგინალურ დრამატიულ მწერალთა შორის აღსანიშნავია დ. ყიფიანი, ა. ცაგარელი, ვ. აბაშიძე, რომელიც სხვათა შორის სცემდა პირველ სათეატრო გაზეთს საქართველოში — „თეატრს“, კ. ყიფიანი, პ. უმიკაშვილი, ვ. გუნია და სხვ.

დრამატიულ მთარგმნელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ი. მაჩაბელი, რომელმაც მეტად ნიჭიერად სთარგმნა ქართულად შექსპირის პიესები: „მეფე ლირი“, „ჰამლეტი“, „მაკბეტი“, „ოტელო“ და სხვ.

1874 წელს თბილისში გაიხსნა პირველი სამუსიკო სასწავლებელი (რომელიც შემდგომ კონსერვატორიად გადაკეთდა). ამ სკოლამ დიდად ხელი შეუწყო ხალხური მუსიკის აღორძინებას და შემდეგ ქართული საოპერო ხელოვნების წარმოშობას, ნაციონალური ქართული ოპერების პირველ შემომქმედთა — დ. არაყიშვილის, ზ. ფალიაშვილის, მ. ბალანჩივაძის და სხვათა გამოჩენას.

ამავე დროს ვითარდება ქართული ფერწერა და ქანდაკება. შორს ამიერ-კავკასიის ფარგლებს გარეშე ცნობილი გახდა მხატვართა: გ. გაბაშვილის, მ. თოიძის, მოქანდაკე ი. ნიკოლაძის, თავისებური სახალხო მხატვრის ნიკო ფიროსმანიშვილის და სხვათა სახელები.

ე) მეცნიერთა კადრები

XIX საუკუნის მეორე ნახევარში განათლებულ ქართველთა შორის გვევლინებიან მეცნიერთა კადრები, რომელნიც თავიანთი სამეცნიერო ნაშრომებით დიდ სახელს იხვეჭენ არა მარტო რუსეთში, არამედ საზღვარგარეთაც. ასე, პროფესორმა დ. ჩუბინიშვილმა გამოსცა ქართულ-რუსულ-ფრანგული და რუსულ-ქართული მეცნიერული ლექსიკონები. პროფესორმა ი. ოქრომჭედლიშვილმა გამოაქვეყნა „ისტორიული ცნობები საქართველოს და სომხეთის უძველესი ისტორიიდან". პროფესორმა ა. ცაგარელმა გამოსცა დიდი სამეცნიერო ნაშრომები: „ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ", „ცნობები ქართული სიტყვიერების ძეგლთა შესახებ", სიგელები და სხვა. პროფესორმა ა. ხახანაშვილმა გამოაქვეყნა თავისი „ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევები". ძვირფასი ნაშრომებით ისახელეს თავი ისტორიისა და ლიტერატურის დარგში—პ. უმიკაშვილმა, დ. ბაქრაძემ, მ. ჯანაშვილმა და სხვ. ბუნებისმეტყველების დარგში — პროფესორმა მელიქიშვილმა, პროფესორმა ვ. პეტრიაშვილმა, ზაალიშვილმა, თარხნიშვილმა და სხვ. პედაგოგიკის დარგში — ი. გოგებაშვილმა („დედა-ენის", „ბუნების-კარის" და სხვ. ავტორი). XIX საუკუნის დამლევს დაიწყო თავისი შესანიშნავი სამეცნიერო მოღვაწეობა მომავალმა აკადემიკოსმა, ცნობილმა ორიენტალისტმა, ლინგვისტმა და არქეოლოგმა, ენის იაფეტური თეორიის შემქმნელმა ნ. ი. მარრმა.

ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება

მეფის უფლებამოსილი ნაცვლის საშუალებით კავკასიის მართვა-გამგეობის სისტემამ თავად ვორონცოვის შემდეგ კიდევ 27 წელიწადს იარსება. ამ ხნის განმავლობაში კავკასიას განაგებდნენ მეფის ნაცვლები: მურავიოვი (1854 — 1856 წ. წ.), ბარიატინსკი (1856 — 1862 წ. წ.), მ. ნ. რომანოვი (1862 — 1881 წ.წ.).

1881 წელს ნაროდოვოლცებმა მოჰკლეს მეფე. მისი ნაცვლის ალექსანდრე მეორეს დროს რუსეთში დამყარდა უსასტიკესი თავად-აზნაუ-

რული რეაქცია, რომლის სულის ჩამდგმელები იყვნენ ბნელეთის მოციქულები პობედონოსცევი, დმ. ტოლსტოი და კატკოვი. ამ დროს იმპერიის განაპირა მხარეში — საქართველოში მებრძოლი დიდმპყრობელური ნაციონალიზმის ბატონობამ უფრო მეტად გააძლიერა ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრა. 1882 წელს მოისპო კავკასიის სამეფისნაცვლო. მეფის ნაცვლის თანამდებობის მაგიერ დაწესდა თანამდებობა მთავარმართებელისა, რომლის უფლებები დიდად არ განსხვავდებოდა რუსეთის ჩვეულებრივი გენერალ-გუბერნატორის უფლებებისაგან. ეს მოიმოქმედეს იმ მიზნით, რომ მოესპოთ ყოველგვარი დამოუკიდებლობა მხარის მართვა-გამგეობის საქმეში და იგი საბოლოოდ შეედუღებინათ იმპერიასთან.

პირველ მთავარმართებლად კავკასიაში დაინიშნა თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი (1882 — 1890 წ. წ.). დონდუკოვ-კორსაკოვმა გარს შემოიკრიბა ანაფორიანი და პაგონებიანი შავრაზმელები და ხელი მოჰკიდა პოლიტიკის „ახალი" კურსის გატარებას, რომლის მიზანი იყო მხარის საბოლოო რუსიფიკაცია. მისობას თვით სიტყვა „საქართველო" ამოშალეს ოფიციალური ლექსიკონიდან და საქართველოს ტერიტორიის სახელწოდება სახელმძღვანელოებსა და გაზეთებში შესცვალეს სიტყვებით „თბილისის და ქუთაისის გუბერნიები". დონდუკოვ-კორსაკოვის მიერ კავკასიის გამგეობის დროს ოფიციალური გაზეთი „კავკაზ", კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, საქართველოს ეკზარქოსი პავლე, თბილისის სემინარიის რექტორი ჩუდეცკი და ბნელეთის სხვა მოციქულნი, ანვითარებდნენ გააფთრებულ ნაციონალურ-შოვინისტურ კომპანიას, კავკასიის ერებს ერთმანეთს უსისიანებდნენ და მათ შორის ნაციონალურ შუღლს აჩაღებდნენ. საქართველოს ეკზარქოსი პავლე იქამდე მივიდა, რომ საეკლესიო ამბიონიდან დასწყევლა ქართველი ხალხი.

დონდუკოვ-კორსაკოვისა და მისი მონაცვლეების განსაკუთრებით თავად გოლიცინის დროს (1897 — 1904 წ. წ.) უფრო მეტად გაძლიერდა დედა-ენის დევნა საქართველოს სასწავლებლებში, გაძლიერდა ჩვენს ქვეყანაში ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლინების დევნა. ორმაგი ცენზურა დააწესეს პრესასა და ლიტერატურაზე. მთავრობის მოქმედების სულ მცირეოდენი კრიტიკისათვის ჟურნალ-გაზეთებს ულმობელად ხურავდნენ. საბრძანებლო და საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობებზე ნიშნავდნენ მხოლოდ და მხოლოდ რუსი ეროვნების პირებს. მაგრამ ცარიზმის მიერ ასეთი დაჟინებით გატარებულ რეაქციულ პოლიტიკას სულ უფრო მედგარ წინააღმდეგობას უწევს იმ ხანებში ქართველი საზოგადოების პროგრესიული ნაწილები. ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებით ძლიერდება როცა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ სათავეში უდგება ყველაზე თანამიმდევარი და რევოლუციური კლასი — ქართველი პროლეტარიატი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

დასაწყისი მუშათა კლასის ბრძოლისა ცარიზმის წინააღმდეგ

საქართველოში სოციალისტურ იდეათა შემოჭრა და მუშათა პირველი ორგანიზაციები

სოციალისტური იდეები შესამჩნევად იჭრება მოწინავე ქართველ საზოგადოებაში 19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. გაზეთ „დროებაში" დაბეჭდილ ბევრ სტატიაში, მაგალითად, იგრძნობოდა უტოპიური სოციალიზმის გავლენა მაგრამ იგივე გაზეთი გამოეხმაურა I ინტერნაციონალის შექმნას, მან დაბეჭდა ცნობები პირველ კონგრესზე და ინტერნაციონალის წესდების შინაარსი. თანაგრძნობით გამოეხმაურა იგი პარიზის კომუნის შექმნასაც. როცა საქართველომდე მოაღწია ცნობამ კომუნის დამარცხების შესახებ, დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე ამ ამბავს გამოეხმაურა ლექსით, რომელშიაც თავის გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებდა უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთ.

კიდევ უფრო ადრე, საქართველოში სულ უფრო მეტად გაძლიერებული კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის გამო, აქ დაიწყო მუშათა სტიქიური და განცალკევებული გამოსვლები. ამ გამოსვლათა მწარე გამოცდილებას გლეხობა იმ აზრამდე მიყავდა, რომ აუცილებელია ორგანიზებული ბრძოლა რომ სხვანაირად საქმეს არავითარი წარმატება არ ექნებაო. მუშათა შორის თანდათანობით იზრდება ინტერესი ერთობისა და საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანების აუცილებლობის შეგნება. ჯერ კიდევ 70-იან წლებში თბილისში ჩნდება მუშათა წრეები, რომელნიც იხდიდნენ საწევრო გადასახადებს, მეცადინეობდნენ თვითგანვითარების საკითხებზე და ა. შ. 80-იან წლების დამდეგს მუშათა და ხელოსანთა შორის მუშაობას იწევა ნაროდნიკთა ჯგუფი გ. ჩიტაძის მეთაურობით. ეს ჯგუფი, რომელიც ნაროდოვოლცების პოზიციაზე იდგა, ბეჭდავდა ქართულ ენაზე და მუშათა და ხელოსანთა შორის ავრცელებდა რევოლუციურ ფურცლებსა და ბროშურებს. 1884 წელს მუშათა შორის აგროვებენ სახსრებს

არალეგალური სტამბის გასახსნელად. მუშათა წრეებში იკითხება აკრძალული ლიტერატურა, ეწყობა საუბრები სოციალ-ეკონომიურ თემებზე, მაგრამ ნაროდნიკულმა იდეოლოგიამ ფეხი ვერ მოიკიდა მუშებში. იგი მალე მარქსიზმმა განდევნა.

ბიბლიოთეკა

ოთხმოციან წლებში თბილისის და სხვა ქალაქების მუშათა და ხელოსანთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა პოეტი ი. დავითაშვილი (1850 — 1887 წ. წ.). ღარიბი წრიდან გამოსულ ი. დავითაშვილს თითქმის არავითარი განათლება არ მიუღია, ის თავის პოეზიაში გვიხატავდა ღარიბი გლეხის და ქალაქის მუშის ბედშავ ცხოვრებას და მოუწოდებდა მათ საბრძოლველად ფავიანთ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. 1887 წელს დავითაშვილის გარდაცვალების გამო 100 თბილისელმა მუშამ გაზეთ „ივერიის“ რედაქციას გაუგზავნა სტატია, რომელშიც ისინი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამდნენ პოეტის უდროოდ გარდაცვალების გამო. ანალოგიურად გამოვიდნენ თელაველი და გორელი მუშები. ი. დავითაშვილის საფლავზე განსაკუთრებით ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა მუშა-ხელოსანმა გოცირიძემ.

საქართველოში რომ იმ ხანებში იყვნენ საკმაოდ მაღალი კულტურული დონის მქონე მოწინავე და შეგნებული მუშები, ამას სხვათა შორის, მოწმობს ამჟამად გამოქვეყნებული შესანიშნავი წერილი, რომელიც შეადგინეს თბილისელმა მუშებმა დიდი რუსი სატირიკოსის სალტიკოვ-შჩედრინის გარდაცვალების გამო და გაუგზავნეს მის ცოლს.

„ნება მოგვეცით ჩვენ, მუშებს, — სწერდნენ მუშები, — ჩვენი მწუხარება გამოგიცხადოთ თქვენთვის დაუვიწყარი და საყვარელი მეუღლის საუბედურო დაკარგვის გამო. მიხეილ ევგრაფის ძის გარდაცვალებამ დაამწუხრა ყველა, ვისაც გულწრფელად სწადია სიკეთე და ბედნიერება თავის სამშობლოსათვის. მისი სახით რუსეთმა დაკარგა სიმართლისა და თავისუფლების საუკეთესო, სამართლიანი და ენერგიული დამცველი. მებრძოლი ბოროტების წინააღმდეგ, რომელსაც ის თავის ძლიერი გონებით და სიტყვით ძირშივე გმირავდა. და ჩვენ, მუშები, ვუერთდებით საერთო გლოვას, დიდ ადამიანზე.“ (ლიტერატურული მემკვიდრეობა. 13 — 141, ტ. II, გვ. 221 — 223).

შემდეგ მუშები სწერენ, რომ შჩედრინის უკვდავი მოთხრობები გაამხნევებენ და მოუწოდებენ მშრომელებს „ბოროტებისა და ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად და სიმართლისა და სინათლის საძიებლად“.

1889 — 1892 წლებში თბილისში გამოდიოდა ქართულ ენაზე არალეგალური მუშური ჟურნალები — „მუშა“, „განთიადი“ და „სინათლე“. ისინი აგვიწერდნენ მუშათა კლასის მდგომარეობას საქართველოში. მიუხედავად ამ ჟურნალების პრიმიტიული ტექნიკის და შედარებით ხანმოკლე არსებობისა, მათ ერთგვარი დადებითი როლი ითამაშეს მუშათა აღზრდის, მათ შორის ერთობისა და სოლიდარობის იდეების გავრცელების საქმეში.

პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია საქართველოში — „მეორე დასი“

ოთხმოცდაათიან წლებში რუსეთის საერთო სამრეწველო აღმავლობასთან დაკავშირებით ამიერ-კავკასიასა და საქართველოშიაც ხდება მრეწველობის ზრდა და შემდგომი განვითარება.

მრეწველობის განვითარება საქართველოში მკვეთრად უპირისპირდება ბატონყმური ურთიერთობის ნაშთებით დაბეჩავებულ სოფლის მდგომარეობას. რუსეთში XIX საუკუნის დამლევს უკვე იყო კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი სტადიის ყველა ნიშანი — იმპერიალიზმი. იმპერიალიზმის თავისებურება ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების არსებობისას იმაში მდგომარეობდა, რომ იგი, ლენინის თქმისა არ იყოს, „სამხედრო-ფეოდალურ“ იმპერიალიზმს წარმოადგენდა. ამხანაგ სტალინის განსაზღვრით, მეფის რუსეთი იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის საკვანძს პუნქტს წარმოადგენდა. „...მეფის რუსეთი, — სწერს ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი, — იყო კერა ყოველგვარი ჩაგვრისა — კაპიტალისტურისაც, კოლონიალურისაც და სამხედრო ჩაგვრისაც — აღებული მის ყველაზე უფრო მხეცურ და ბარბაროსულ ფორმაში. ვინ არ იცის, რომ რუსეთში კაპიტალის ყოვლისშემძლეობა უერთდებოდა ცარიზმის დესპოტიზმს, რუსული ნაციონალიზმის აგრესივობა — ცარიზმის ჯალათობას არარუს ხალხთა მიმართ“... (ს ტ ა ლ ი ნ ი. „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 11).

რუსეთის საერთო-სამრეწველო აღმავლობასთან დაკავშირებით ხდება ამიერ-კავკასიის და საქართველოს საბოლოო „ეკონომიური დაპყრობა“. წინანდელზე უფრო მეტი ენერგიით ტარდება პოლიტიკა ამიერ-კავკასიის გადაქცევისა სამრეწველო ნედლეულობის წყაროდ და რუსეთის მრეწველობის საქონლის გამსაღებელ ბაზად.

ცარიზმის მძარცველური ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკა, კაბალური საადგილ-მამულო ურთიერთობა სოფლად და კაპიტალიზმის გაძლიერებული განვითარება რევოლუციურ ვითარებას ჰქმნიდა საქართველოში. ეს ვითარება თავისი მხრით ამზადებს ნიადაგს მარქსიზმის დიადი რევოლუციური იდეების ფართოდ გავრცელებისათვის.

ამიერ-კავკასიაში და საქართველოში ამ იდეების გავრცელებას დიდად ხელს უწყობდნენ ცენტრალური რუსეთიდან გადმოსახლებული რუსი სოციალ-დემოკრატები (ი. კოგანი, ი. ლუზინი, გ. ფრანჩესკი და სხვ.), აგრეთვე საზღვარგარეთ ნამყოფი ან რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ნასწავლი ქართველი ახალგაზრდობა. 1893 წელს საქართველოში წარმოიშვა პირველი ქართული მარქსისტული ორგანიზაცია — „მესამე დასი“. თავის შეხედულებათა პროპაგანდას ეს ორგანიზაცია ეწეოდა ქართულ ლეგალურ გაზეთ — „კვალსა“ და ჟურნალ „მოამბეში“. „მესამე დასის“ იდეოლოგები სცნობდნენ კაპიტალიზმის განვითარების პროგრესიულ მნიშვნელობას და ამ მიმართულებით ეწეოდნენ

ბრძოლას ნაროდნიკების წინააღმდეგ. ისინი სცნობდნენ საზოგადოების კლასობრივ დიფერენციაციას და კლასთა ბრძოლას, მაგრამ მაინც ვადაჭრით ილაშქრებდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიისა და პროლეტარიატის დიქტატურის იდეების წინააღმდეგ. ნაციონალურ საკითხში „მესამე დასის" უმრავლესობა ნაციონალისტურ პოზიციებზე იდგა და იცავდა ყველა ქართველის ინტერესთა ერთობას საქართველოს ნაციონალური აღორძინების საქმეში. „მესამე დასის" უმრავლესობა საქართველოს პირობებში წარმოადგენდა ლეგალურ მარქსისტებს, რომელნიც ავულგარებდნენ და ამახინჯებდნენ პროლეტარიატის დიდ მოძღვრებას — რევოლუციურ მარქსიზმს და ცდილობდნენ დაექვემდებარებინათ „პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიულ-ნაციონალური მოძრაობის ინტერესებისათვის." (ლ. ბ ე რ ი ა).

1895 წელს „მესამე დასში" შევიდა რევოლუციონერი მარქსისტი ალექსანდრე წულუკიძე, 1897 წელს—პროფესიონალი-რევოლუციონერი, ლენინურ-ისკრული იატაკქვეშეთის გამოჩენილი ორგანიზატორი ლადო კეცხოველი და 1898 წელს—საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადი—დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი.

ი. ბ. სტალინი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი (ჯუღაშვილი) დაიბადა 1879 წელს ქალაქ გორში. მამა მისი ფეხსაცმელების ფაბრიკის მუშა იყო. ბავშვობა და სიჭაბუკე ი. ბ. სტალინმა გაატარა თავიანთ მჩაგვრელთა წინააღმდეგ მუშების და გლეხების განუწყვეტელი ბრძოლის ვითარებაში. 1888/89 სასწავლო წელს ი. ბ. სტალინი შევიდა გორის სასულიერო სასწავლებელში, სადაც გაეცნო და დაუახლოვდა ამავე სასწავლებლის მოწაფეს ლადო კეცხოველს, რომელიც რამდენიმე წლით უფროსი იყო ამხანაგ სტალინზე და მაშინ უკვე მესამე კლასში იყო. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ი. ბ. სტალინი შევიდა თბილისის სემინარიაში, სადაც გამოირჩევოდა თავისი შესანიშნავი ნიჭით. თბილისში ი. ბ. სტალინი ეცნობა ამ ქალაქში გადმოსახლებულ რუს სოციალ-დემოკრატებს, სწავლობს რევოლუციურ ლიტერატურას და სწრაფად ეუფლება რევოლუციური მარქსიზმის მოძრაობას. 17 წლის ჭაბუკი ამხანაგი სტალინი უკვე მეთაურობს სემინარიაში მოწაფეთა რევოლუციურ წრეებს. თავის რევოლუციური მოღვაწეობისათვის ი. ბ. სტალინი გაირიცხა სემინარიის მეხუთე კლასიდან და ამ დროიდან მთლიანად რევოლუციურ მუშაობაში გადაეშვა. ისტორიამ წინასწარ განსაზღვრა მისთვის არა მარტო ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის მეთაურობა, არამედ ვ. ი. ლენინის მემკვიდრეობა, საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადობა, ახალი კაცობრიობის ბელადობა. „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური

ორგანიზაციების მთელი ისტორია, — ამბობს ამხანაგი ლ. ბერია, — ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელთან". „მესამე დასის" ლუკიძესთან და ლ. კეცხოველთან ერთად ი. ბ. სტალინმა ჩამოაყალიბა „მესამე დასის" რევოლუციური უმცირესობა, ამიერ-კავკასიაში ის სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ლენინურ ფრთას. „მესამე დასის" რევოლუციურმა უმცირესობამ გადამწყვეტი და შეურიგებელი ბრძოლა გააჩაღა ქართველი ლეგალური მარქსიზმის წინააღმდეგ.

1898 — 1900 წლების პერიოდში თბილისში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა და გაფორმდა ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, რომელშიაც შედიოდნენ ი. ბ. სტალინი, ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე, მოწინავე მუშები—მ. ბოჭორიძე, ზ. ჩოდრიშვილი, ვ. სტურუა და სხვ. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საქმეში დიდი როლი ითამაშეს რუსეთიდან გადმოსახლებულმა სოციალ-დემოკრატებმა: ვ. კურნატოვსკიმ, მ. კალინინმა, ს. ალილუევმა, ი. ლუზინმა, გ. ფრანჩესკიმ, ო. კოგანმა, ა. კრასნოვმა და სხვ.

მუშათა მასობრივი პოლიტიკური მოძრაობის დასაწყისი

1899 — 1901 წლები გარდატეხის მომენტი იყო ამიერ-კავკასიის ხალხთა ისტორიაში. თბილისის ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ამ პერიოდში ანხორციელებს გადასვლას პროპაგანდიდან და ვიწრო საწრეო მუშაობიდან მასობრივ-პოლიტიკურ აგიტაციაზე ცარიზმის და კაპიტალისტების წინააღმდეგ პროლეტარიატისა და, მისი ხელმძღვანელობით, რევოლუციური გლეხობის მასობრივი პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციაზე. ნაკლებად ორგანიზებული და სტიქიური ეკონომიური გაფიცვებიდან მუშათა კლასი გადადის ორგანიზებულ და პოლიტიკურ ბრძოლაზე.

მუშათა გავლენით ამ პერიოდში ხდება გლეხთა გამოსვლები: 1894 წელს — დუშეთის მაზრაში, 1897 წელს — გორის მაზრაში და 1899 წელს — იმავე მაზრის ბორჯომის რაიონში.

1898 წელს თბილისში ამიერ-კავკასიის რკინისგზის მთავარ სახელოსნოებში წარმოიშვა დიდი გაფიცვა. 1900 წელს ლ. კეცხოველის უშუალო ხელმძღვანელობით წარმატებით დამთავრდა თბილისის ცხენის ტრამვაის მუშათა გაფიცვა. ამავე პერიოდში მიმდინარეობდა დიდი გაფიცვები თამბაქოს ფაბრიკებში, სტამბებში, ადელხანოვის ტყავის ქარხანაში და სხვა საწარმოებში.

1900 წლის აგვისტოს, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით და მ. ი. კალინინის აქტიური მონაწილეობით, ტარდება ამ პერიოდისათვის

უდიდესი გაფიცვა ამიერ-კავკასიის რკინისგზაზე. ამ გაფიცვის გაძლიერებით და ბრძოლაში რკინისგზელთათვის მხარის დაჭერის მიზნით გაფიცვაში მონაწილეობას იღებენ თბილისის მთელ რიგ საწარმოთა მუშები.

ამ პერიოდში მუშათა მოძრაობა საქართველოში ხდება ... ლად, რომელიც სულ უფროდაუფრო მეტ გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით ხორციელდება სოციალიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან. მუშათა კლასის ბრძოლა თავისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის უკავშირდება პოლიტიკურ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. 1899 წლის 19 აპრილს რამდენიმე ათეულმა მუშამ საქართველოში პირველად იდღესასწაულა 1 მაისი (ახალი სტილით). ერთი წლის შემდეგ იმავე დღეს ამ დღესასწაულში მონაწილეობას იღებს ოთხასი-ხუთასი მუშა, ხოლო 1901 წელს საპირველმაისო დღესასწაული აღინიშნა საქართველოს პროლეტარიატის პირველი აშკარა პოლიტიკური გამოსვლით. ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა ამ გამოსვლის გეგმა და ჩაატარა მუშათა დემონსტრაციის მოსაწყობად მთელი აუცილებელი ორგანიზაციული მუშაობა. დემონსტრაცია შესდგა 1901 წლის 22 აპრილს, ყოფილი ალექსანდრეს ბაღის რაიონში, ჯარისკაცთა ბაზარზე. მასში მონაწილეობა მიიღო ორ ათასამდე მუშამ. მუშებმა გაშალეს წითელი დროშა. ამხანაგი სტალინი პირადად უწევდა ხელმძღვანელობას დემონსტრაციას. დემონსტრაციის დროს მოხდა მუშების შეტაკება პოლიციასთან და კაზაკებთან. დასჭრეს 14 მუშა და დააპატიმრეს 50-ზე მეტი. აფასებდა რა 1901 წლის დემონსტრაციის მნიშვნელობას, „ისკრა“ სწერდა: „კვირას 22 აპრილს, თბილისში მომხდარი ამბავი ისტორიულად ფრიად მნიშვნელოვანია მთელი კავკასიისათვის: ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა“ („ისკრა“, № 16, 1901 წ.).

მეფის მთავრობამ გადასწყვიტა 1901 წლის სექტემბერს აღენიშნა მეფის რუსეთთან საქართველოს შეერთების ასი წლისთავი. საქართველოს გაბატონებული კლასები — თავადები, აზნაურები და ბურჟუაზია, რომელნიც დააფრთხო მუშათა კლასის პოლიტიკურმა გამოსვლებმა და ძლიერმა აგრარულმა მოძრაობამ სოფლად, ამ შემთხვევის გამო თავის ერთგულ ქვეშევრდომულ გრძნობებს უცხადებდნენ ცარიზმს და მასთან ერთად დღესასწაულობდნენ ქართველი ხალხის ჩაგვრისა და მონობის ასი წლისთავს.

თბილისის ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის და პირადად ამხანაგ სტალინის დავალებით ლ. კეცხოველმა დასწერა მაშინ სპეციალური პროკლამაცია: „ქართველ მუშებს“. ამ პროკლამაციაში ლ. კეცხოველი ამხილებდა შეძლებულ კლასთა საზიზღარ გამცემლობას, ამათრახებდა ცარიზმის ნაციონალურ-მჩაგვრელურ პოლიტიკას და მოუწოდებდა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. „შორს ჩვენგან ფლიდო ქართველნო, შორს ბილწნო მოკავშირენო, — ნათქვამი იყო პროკლამა-

ციაში, — ჩვენ თქვენთან საერთო არაფერი გვაქვს! ჩვენც გვექნება ჩვენი დღესასწაული, მხოლოდ მაშინ, როცა დღევანდელი მთავრობა მის ბოძებითურთ დაეცემა, დაირღვევა; როცა თქვენს ბაირაღს, რომელსაც აწერია: „სიფლიდე და ძალმომრეობა“ შესცვლის ჩვენი ზეწარწერილი: „თავისუფლება და სიყვარული!“ ჩვენც ვინადიმებთ, ვიდღესასწაულებთ, მხოლოდ თქვენსავით ძალდატანებით, მატყუვრობით, ფლიდობით კი არა!!! მაშ შევერთდეთ, მეგობრებო, შევერთდეთ, ყველა ქვეყნის მუშებო, დღევანდელი გათახსირებული მთავრობის დასამარცხებლად!“ („ბრძოლა“, 1901 წ. № 1).

მუშათა მასობრივმა მოძრაობამ და საქართველოს მუშათა შორის მარქსისტულ-ლენინური იდეების გავრცელებამ აუცილებელი გახადა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კონფერენციის მოწვევა თბილისში. ეს იყო პირველი სოციალ-დემოკრატიული კონფერენცია ამიერკავკასიაში. ეს კონფერენცია მოწვეულ იქნა ამხანაგ სტალინის ინიციატივით ქალაქ თბილისში 1901 წელს 11 ნოემბერს. ამ კონფერენციაზე არჩეულ იქნა პირველი თბილისის კომიტეტი ლენინურ-ისკრული მიმართულებისა და მყარი საძირკველი ჩაეყარა პროლეტარულ ორგანიზაციას საქართველოში. თუ შევუფარდებთ ლენინის გამოთქმას, შეიძლება ითქვას, რომ რსდმპ თბილისის კომიტეტის მნიშვნელობა ისაა, რომ საქართველოს პირობებში ეს იყო რევოლუციური პარტიის სერიოზული ჩანასახი, დაყრდნობილი მუშათა მოძრაობაზე.

ამრიგად ისტორიული ამბების განვითარება გვიჩვენებს, რომ რუსეთში ბოლშევიზმის წარმოშობის პირველ დღიდანვე მარქს-ენგელს-ლენინის დიადი იდეები იჭრება ამიერ-კავკასიასა და საქართველოში. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები — ი. სტალინი, ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე და სხვ. ერთბაშად დადგნენ ლენინის დროშის ქვეშ. პეტერბურგის მუშებსა და ახალგაზრდა ქართველ პროლეტარიატს შორის დამყარდა მტკიცე და დაურღვეველი კავშირი. საქართველოში ბოლშევიკურ მოძრაობას სათავეში უდგება საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადი ახალი კაცობრიობის ბელადი — დიდი სტალინი.

სამრეწველო კრიზისი და მოუსავლობა საქართველოში XX საუკუნის დამდეგს

20 საუკუნის დამდეგს დასავლეთ ევროპაში დაწყებული სამრეწველო კრიზისი რუსეთზეც გავრცელდა. კრიზისის წლების მანძილზე (1900—1903 წ. წ.) რუსეთში, მათ შორის ამიერ-კავკასიაშიც, საკმაოდ ბევრი ფაბრიკა-ქარხანა დაიხურა.

ამასთან დაკავშირებით დაითხოვეს უამრავი მუშები, რომელნიც კაპიტალისტებმა პირდაპირ ქუჩაში გაყარეს. საწარმოებში დატოვებულ მუშებს მკვეთრად შეუმცირეს ხელფასი და დაუკლეს გამომუშავების

ნიხრი. ეკონომიის მისაღწევად კაპიტალისტებმა უფრო ფართოდ დაიწყეს ქალთა და ბავშვთა შრომის გამოყენება, მათ მოზრდილ მუშებზე ორ-სამჯერ ნაკლებ ქირას აძლევდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამრეწველო კრიზისმა და უმუშევრობამ მაინც ვერ შეაჩერა, ისევ ნავაც ვერ შეასუსტა მუშათა მოძრაობის შემდგომი ზრდა. საქართველოს მუშებში ამხანად გაბატონებული სულისკვეთება კარგად გამოხატა ერთმა ბათუმელმა მუშამ, რომელიც სწერდა: „სამძიმოა ასე ცხოვრება და ძალაუნებურად გვებადება კითხვა: რისთვის ვიტანჯებით? ჩვენი ცხოვრება მოკლებულია ყოველგვარ სიხარულს, ის ერთიანად სამარისაკენ მიმავალი გზაა. მაშ, ჩვენთვის განა უკეთესი არაა დავიხოცოთ არა დაზგებთან და არა მონებად, არამედ დავიხოცოთ თავისუფლებისა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში“ („ისკრა“, № 16, 1902 წ.).

ქალაქად დაწყებული სამრეწველო კრიზისი დაემთხვა უძლიერეს მოუსავლობას საქართველოში. 1901 წელი ყველგან მოუსავლიანი იყო, მაგრამ განსაკუთრებით სამძიმო შედეგები გლეხური მეურნეობისათვის მას ჰქონდა დასავლეთ საქართველოში. აქ გლეხები ნამდვილ უბედურებას განიცდიდნენ. მოწეული მოსავალი არა თუ უზრუნველჰყოფდა მათ სურსათით, არამედ მემამულეთა მიწის საიჯარო ქირასაც ვერ გაისტუმრებდა. გლეხებს კვლავ ახდევინებდნენ აუტანელ გადასახადებს და ყოველგვარ ბეგარას. მათ წინანდებურად არაადამიანურად ჩაგრავდნენ პოლიცია, სტრაჟნიკები, სოფლის მამასახლისები და სამღვდელოება. ეკონომიური კაბალა მემამულეთა და კულაკთა მხრით სულ უფრო მეტად ანადგურებდა გლეხურ მეურნეობას. გლეხობა ღატაკდებოდა. სოფელს მთელი თავისი სიმძიმით აწვა და სულს უხუთავდა ბატონყმობის ნაშთები. საკმარისია ითქვას, რომ 1901 წელს საქართველოში 35.876 მეკომური გლეხი ჯერ კიდევ დროებით ვალდებულთა მდგომარეობაში რჩებოდა.

ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება

1894 წლიდან მეფობა დაიწყო რუსეთის უკანასკნელმა იმპერატორმა, ალექსანდრე მესამის უფროსმა შვილმა, ნიკოლოზ მეორემ, რომელმაც ისტორიაში „სისხლიანის“ სახელი მოიხვეჭა.

რეაქციონერ პობედონოსცევის მიერ აღზრდილი, გონებაშეზღუდული და უბადრუკი ნიკოლოზ მეორე მოითხოვდა დაწყებული რევოლუციური მოძრაობის ჩახშობას ულმობელი დახვრეტითა და სიკვდილით დასჯით. მის დროს განსაკუთრებული სისასტიკით ტარდებოდა ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკა. ნიკოლოზ მეორის დროს მრავალტომიან ამიერ-კავკასიაში განსაკუთრებით გულმოდგინედ იყენებდნენ ამ პოლიტიკის ნაჩვევ მეთოდს — ცალკეულ ეროვნებათა შორის ნაციონალური შუღლის გაღვივებას, რათა შეფერხებულიყო რუსეთის თვითმპყრობე-

ლობის წინააღმდეგ ჩაგრულ ხალხთა ერთიანი ინტერნაციონალური ფრონტის შექმნა. ობსკურანტიზმის პოლიტიკის გატარებით და თავისი შავრაზმელობით განსაკუთრებით თავი გამოიჩინა კავკასიაში მოსაგრ— მართებელმა, თავადმა გოლიცინმა (1897 — 1904 წ. წ.), რომელსაც ხალხთა შორის მეტსახელად „კავკასიის მტარვალი“ ეწოდა.

მუშების და გლეხების რევოლუციურ გამოსვლათა წინააღმდეგ უფრო მეტი წარმატებით საბრძოლველად ამიერ-კავკასიის ცალკეულ ქალაქებსა და ადგილებში შემოღებულ იქნა დებულება ეგრედწოდებული „გაძლიერებული დაცვის“ შესახებ. დიდ ქალაქებში (თბილისი, ბაქო, ბათუმი და სხვა) დაარსებულ იქნა „მეეზოვეთა ინსტიტუტი“, რომელთაც სხვათა შორის მოვალეობად ეკისრებოდათ პოლიტიკური მეთვალყურეობა სახლებში მცხოვრებ ყველა პირზე. თუ მეეზოვე ეჭვს აიღებდა რომელიმე მდგმურის პოლიტიკურ არაკეთილსაიმედობაზე, იგი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ განეცხადებინა პოლიციაში ამის შესახებ. გაადიდეს აგრეთვე პოლიციისა და ჟანდარმერიის შტატები. კავკასიაში, გარდა ამისა, შეჰქმნეს სოფლის საერობო სტრაჟნიკების („მცველთა“) შტატი, რომლის შესანახად მოსახლეობას . ყოველწლიურად უნდა გაეღო 2.500.000 მანეთამდე.

თავად გოლიცინის დროს განსაკუთრებით ძლიერ დევნას განიცდიდა სომეხი ხალხი. ჯერ კიდევ 1896 წელს დახურეს ყველა სომხური საეკლესიო-სამრევლო სკოლა. 1903 წელს სომხეთის ეკლესიას ჩამოართვეს უძრავი ქონება. სომხური სკოლისა და ეკლესიის დევნამ ყველგან სომეხი ხალხის წინააღმდეგობა გამოიწვია. ამას დასაბამი მიეცა თბილისში. 1903 წელს ვანქის სომხური ტაძრის ეზოში მოხდა შეტაკება ჯარებსა და ხალხს შორის, რომლის დროსაც ბევრი დაჭრეს და მოჰკლეს. ასეთივე შეტაკებები მოხდა ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქებშიაც. ყველგან ამ შეტაკებებს სამხედრო ძალით აქრობდნენ.

ბათუმის დემონსტრაცია ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით

რსდმპ თბილისის კომიტეტის დადგენილებით, ამხანაგი სტალინი 1901 წლის ნოემბერს გაემგზავრა ქალაქ ბათუმში რევოლუციური მუშაობის საწარმოებლად. ბათუმი იმ ხანებში მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა. აქ ირიცხებოდა 5 ათასამდე სამრეწველო მუშა. ჯერ კიდევ 1896 წელს რუსმა სოციალ-დემოკრატებმა ი. ლუზინმა და გ. ფრანჩესკიმ ბათუმში მოაწყეს სოციალ-დემოკრატიული წრე და ავრცელებდნენ მარქს-ენგელსის მოძღვრებას. მაგრამ ამ წრემ მტკიცე კავშირი ვერ გააბა ბათუმელ მუშებთან. 1898 წლის დამდეგს მეფის ოხრანკამ მოსპო თვით წრე და დააპატიმრა მისი ხელმძღვანელები.

ბათუმში ჩასვლისთანავე ამხანაგმა სტალინმა დაუყოვნებლივ დაამყარა კავშირი მოწინავე მუშებთან, ხოლო მსხვილ სამრეწველო საწარმოებში სოციალ-დემოკრატიული წრეები მოაწყო. ერთ-ერთი მუშა მხატვრულად აგვიწერს, თუ როგორ შეიცვალა მდგომარეობა ბათუმში ამხანაგ სტალინის ჩასვლის შემდეგ:

„... გაჩნდა სტალინი. მან მეც მნახა ისევე, როგორც სხვა მუშები, თავი მოგვიყარა არალეგალურად პატარა წრეში და ამ წრის ორ-სამ კრებაზე თვალები უკვე ამიხილა — მაშინ შედარებით ჯერ კიდევ შეუგნებელ მუშას — და დამანახა, თუ როგორ მიმდინარეობს პროლეტარული რევოლუციური ბრძოლა. ერთხელ ამხანაგი სტალინი მეკითხება: „რას გასწავლიან საკვირაო სკოლაში?“ და როდესაც მე მივუგე, რომ იქ გვასწავლიან, თუ როგორ მოძრაობს მზე, მან ღიმილით სთქვა: „გამიგონე! მზე, ნუ გეშინია, გზას არ ასცდება, ხოლო შენ ის ისწავლე, თუ როგორ უნდა მიდიოდეს წინ რევოლუციური საქმე, და მომიწყვე მე პატარა არალეგალური სტამბა“.

1901 წ. 31 დეკემბერს ღამით მუშა ს. ლომჯარიას სახლში მოეწყო ბათუმის მუშათა წრეების კონფერენცია, სადაც გამოიყო ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფი ამხანაგ სტალინის მეთაურობით. ამ ჯგუფმა ფაქტიურად იკისრა რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათუმის კომიტეტის როლი. კონფერენციაზე ამხანაგი სტალინი რამდენჯერმე გამოვიდა მკაფიო სიტყვით რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიის და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ამოცანებზე. კონფერენციის დასასრულს ამხანაგმა სტალინმა გარშემორტყმულ მუშებს წინასწარმეტყველურად უთხრა: „უკვე თენდება... მალე მზეც ამოვა. ეს მზე გაანათებს ჩვენთვის“.

სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის ხელმძღვანელობით ბათუმში 1902 წლის დასაწყისიდანვე ჩაღდება მასობრივი საგაფიცვო ბრძოლა ექსპლოატაციისა და კაპიტალისტთა თვითნებობის წინააღმდეგ. ამხანაგი სტალინი იანვარში ახერხებს პატარა არალეგალური სტამბის მოწყობას. ამ სტამბაში იბეჭდება პროკლამაციები და ფურცლები. ორგანიზებულობისა და დარაზმულობის მეოხებით, წარმატებით დამთავრდა მუშათა გაფიცვა, რომელიც იმხანად დაიწყო მანთაშევის ქარხანაში.

1902 წლის 27 თებერვალს გამოცხადდა გაფიცვა როტშილდის ქარხანაში, სადაც წინა დღით ადმინისტრაციამ გამოაკრა სია 389 მუშისა, რომელთაც სამსახურიდან ითხოვდნენ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. ამხანაგი სტალინი პირადად ხელმძღვანელობდა საგაფიცვო კომიტეტის მუშაობას, სწერდა ფურცლებსა და პროკლამაციებს, ამუშავებდა ადმინისტრაციისათვის წარსადგენ მოთხოვნებს.

7 მარტს ღამით, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის დრიაგინის განკარგულებით, დააპატიმრეს 32 მუშა, როგორც როტშილდის ქარხანაში მომხდარი გაფიცვის ხელმძღვანელები. ამის საპასუხოდ 8 მარტს ამხანაგმა

სტალინმა მოაწყო მასობრივი მანიფესტაცია მუშებისა, რომელიც მოითხოვეს დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიციამ მოახერხა გარს შემორტყმა და დაპატიმრება 348 მუშის, რომლებიც დაამწყვდიეს გადასაგზავნ ყაზარმებში. მეორე დღეს, 1902 წლის 9 მარტს, შესდგა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო როტშილდის, მანთაშევის, ამიერ-კავკასიის რკინისგზის, ნავსადგურის და ბათუმის სხვა საწარმოთა 6 ათასამდე მუშამ. დემონსტრანტები ამხანაგ სტალინის მეთაურობით წითელი დროშებით, რევოლუციური სიმღერებით მიადგნენ გადასაგზავნ ყაზარმას და მოითხოვეს დაპატიმრებულთა განთავისუფლება. მოხდა სისხლიანი შეტაკება ჯართან და პოლიციასთან. შეტაკების შედეგად მოჰკლეს 15 მუშა და დასჭრეს 54.

ბათუმის მუშებთან მხეცურად გასწორებამ აღშფოთება გამოიწვია მთელი რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივობასა და მუშათა კლასში. 9 მარტის ამბებთან დაკავშირებით ამხანაგმა სტალინმა დასწერა და გაავრცელა საბრძოლო პროკლამაცია, რომელიც საზიზღარი მკვლელობისათვის სამარცხვინო ბოძზე აკრავდა მეფის ჯალათებს და ცარიზმისა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისაკენ მოუწოდებდა მუშებს, გლეხებსა და ყველა მშრომელს. მიუხედავად ხელისუფალთა გადაჭრილი წინააღმდეგობისა, 9 მარტის მსხვერპლთა დასაფლავება ბათუმში ახალ გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა.

9 მარტის ამბებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციური მოძრაობის გაშლისათვის საქართველოში და მთელ ამიერ-კავკასიაში.

მუშათა მასობრივმა დაპატიმრებამ და ოხრანკის მიერ ამხანაგ სტალინის გაძლიერებულმა ძებნამ ვერ შეაჩერა დაწყებული მოძრაობა. ამხანაგ სტალინს არ შეუწყვეტია პარტიული მუშაობა და მუშაობისადმი ხელმძღვანელობა. ერთხანს ის იმალებოდა სოფელ მოჰმუდიაში აფხაზ გლეხ ჰაშიმ სტირგასთან, რომელიც თავის დროზე განდევნილი იყო ცარიზმის მიერ მშობლიური აფხაზეთიდან. ჰაშიმის სახლში მოეწყო არალეგალური სტამბა. მოხუც ჰაშიმს ყოველდღე მიჰქონდა ქალაქში კალათით ბოსტნეული და ხილი, რომლის ქვეშ ჩაწყობილი იყო ფურცლები და პროკლამაციები. ჰაშიმი მიადგებოდა ქარხნების ჭიშკარს, ხილს ფურცლებში შეახვევდა და აძლევდა ამხანაგებს, რომლებიც ავრცელებდნენ ფურცლებს.

ამხანაგ სტალინის მუშაობამ მიიპყრო სხვა აფხაზი გლეხების ყურადღება. მათ კითხვაზე ამხანაგმა სტალინმა უპასუხა: „მე ვბეჭდავ პროკლამაციებს, სადაც ვწერ იმაზე, თუ როგორ გიმძიმთ ცხოვრება და როგორ უნდა გამოვასწოროთ ეს უბედურება“. „კარგია, — უთხრეს მას მოხუცებმა, — ეს საქმე, რომელსაც შენ აკეთებ, ჩვენთვის უცხო საქმე როდია. დღემდე შენ მარტო ჰაშიმი გმალავდა, ახლა კი ჩვენ ყველანი დაგმალავთ, რამდენადაც გვეყოფა ძალონე და მოხერხება“.

მაგრამ 1902 წლის 5 აპრილს, ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს სხდომის დროს, ოხრანკამ მოახერხა ამხანაგ სტალინის დაპატიმრება. ამხანაგი სტალინი ჩასვეს ბათუმის საპყრობილეში, საიდანაც განაგრძობდა პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობას, სწერდა წერილებს და პროკლამაციებს.

1903 წელს 19 აპრილს ამხანაგი სტალინი გადაიყვანეს ქუთაისის საპყრობილეში, ხოლო იმავე წლის ნოემბერს 3 წლით გადაასახლეს ირკუტსკის გუბერნიის სოფელ ნიჟნაია უდაში.

ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის პირველი ყრილობა და რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის შექმნა

საქართველოში რევოლუციურ მოძრაობასთან ბრძოლაში ცარიზმი გაძლიერებით ატარებდა ერთი ეროვნების მუშებზე მეორე ეროვნების მუშათა წასისინების პოლიტიკას და ცდილობდა მათ შორის დაეთესა მტრობა და უნდობლობა. ხელისუფლება განსაკუთრებით ცდილობდა მიემხრო რუსი მუშები, ცდილობდა მათთვის ჩაეგონებინა, რომ ადგილობრივი მკვიდრნი („ტუზემცები") საერთოდ მტრობენ ყველა რუსს, მათ „უნდათ რუსეთს ჩამოშორდნენ და თავისი სამეფო შეჰქმნანო".

ამ საზიზღარ და პროვოკაციულ პოლიტიკას რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ დაუპირდაპირა მისწრაფება ყველა ეროვნების მუშათა შორის ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცებისა, მათი გაერთიანებისა იმ აზრით, რომ საქართველოს მუშათა კლასი რუსეთის გმირული პროლეტარიატის ერთ-ერთი რაზმია.

„ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა, — სწერდა გაზეთი „ბრძოლა", — არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარის პროგრამით. ის ხელიხელ გადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას". (გაზეთი „ბრძოლა" № 1, 1910 წ.).

თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წინადადებით 1900 წელს ბაქოში პარტიულ სამუშაოზე მიემგზავრება ლადო კეცხოველი. იქ 1901 წელს, ლადო კეცხოველის ხელმძღვანელობით, ჩამოყალიბდა რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბაქოს კომიტეტი. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის და პირადად ამხანაგ სტალინის დახმარებით ლადო კეცხოველი ბაქოში აწყობს არალეგალურ სტამბას, რომელმაც დიდი როლი ითამაშა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის საქმეში. სტამბა აწარმოებდა „ისკრის" და სხვა ისკრული გამოცემების გადაბეჭდვას. ეს გამოცემები შემდეგ მთელს რუსეთში ვრცელდებოდა. 1901 წლის სექტემბრიდან ამავე სტამბაში იბეჭდება ქართულ ენაზე ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი გაზეთი კავკასიაში —

„ბრძოლა“. გაზეთი დააარსეს ამხანაგმა სტალინმა და ლადო კეცხოველმა და წარმოადგენდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ორგანოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის მთლიანი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნის აუცილებლობის ლენინური იდეების გავლენით და ამ მიმართულებით „ისკრის“ მიერ ჩატარებულ უდიდეს მუშაობასთან დაკავშირებით, აგრეთვე რევოლუციური მოძრაობის ზრდისა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წარმატებათა საფუძველზე ამიერ-კავკასიაში იქმნება წინამძღვარი დაქსაქსული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანებისათვის მტკიცე, დარაზმულ ორგანიზაციად ერთიანი ხელმძღვანელ ორგანოს მეთაურობით.

წინასწარი დიდი ორგანიზაციული მუშაობის შემდეგ 1903 წლის მარტს თბილისში შესდგა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა კავკასიის პირველი ყრილობა. მას დაესწრო 14 დელეგატი თბილისის, ბაქოს, ბათუმის და ქუთაისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებიდან. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნის შესახებ და აირჩია ხელმძღვანელი ორგანო, სადაც შევიდნენ ამხანაგები ი. ბ. სტალინი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ა. ზურაბოვი, ს. ჯიბლაძე და სხვ.

ყრილობამ დაიკავა სწორი ლენინური ხაზი ნაციონალურ საკითხში და გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწია ნ. ჟორდანიას, რომელიც გამოდიოდა ერთიანი პროლეტარული პარტიის იდეის წინააღმდეგ და მოითხოვდა ნაციონალურად განცალკევებული პარტიული ორგანიზაციების შექმნას.

„კავკასიის (სწორედ რომ ვთქვათ, ამიერ-კავკასიის) სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა პირველ, დამფუძნებელ ყრილობაზე, — სწერდა შემდეგ ამის თაობაზე ამხანაგი სტალინი, — რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კავკასიის კავშირს, ორგანიზაციის აგების ინტერნაციონალური პრინციპი კვლავ გამოცხადებულ იქნა როგორც ერთად-ერთი სწორი პრინციპი. მას აქეთ კავკასიის სოციალ-დემოკრატია იზრდება ნაციონალიზმთან ბრძოლაში. ქართველი სოციალ-დემოკრატები ებრძოდნენ „თავიანთ“ ნაციონალისტებს: ნაციონალ-დემოკრატებს და ფედერალისტებს; სომეხი სოციალ-დემოკრატები „თავიანთ“ დაშნაკცაკანებს; მუსლიმანები — პანისლამისტებს, და მათთან ბრძოლაში კავკასიის სოციალ-დემოკრატია აფართოებდა და ამტკიცებდა თავის ორგანიზაციებს“. (გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ № 30, 1913 წ.).

ყრილობამ მიიღო რსდმპ კავკასიის კავშირის წესდება და პროგრამა, რომელთაც საფუძვლად დაედო „ისკრის“ რედაქციის მიერ შემუშავებული პროგრამისა და წესდების პროექტები. მაშინვე გამოიყო პარტიის II ყრილობაზე გასაგზავნი 3 დელეგატი, რომელნიც ყრილობის მუშაობის პერიოდში ვ. ი. ლენინს მიემხრნენ.

ბატონყმობის ნაშთები, ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრა, ეროვნულ-წლიური მოუსავლობით მიყენებული უბედურება, მუშათა [illegible] ეროვნული გამოსვლების გავლენა საქართველოში ნამდვილ რევოლუციურ სიტუაციას ჰქმნიდა სოფლად.

ბათუმის 1902 წლის ამბებმა მძლავრად წაუბიძგა დასავლეთ საქართველოს გლეხებს ცარიზმისა და მემამულეთა წინააღმდეგ აშკარა გამოსვლისათვის.

„ბათუმის 1902 წლის მარტის ცნობილი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ. — ამბობდა ამის გამო რსდმპ III ყრილობაზე მიხა ცხაკაია, — ასობით მუშები ბათუმიდან სამშობლოში გადაასახლეს. გადასახლებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი გურულებია, დანარჩენი — მეგრელები და იმერლები. აი ამათ, თავიანთ სოფლებში, თავიანთ გაპარტახებულ მეურნეობებში გადასახლებულმა მუშებმა, რომელთაც სოციალიზმის ხილი იგემეს და თვითმპყრობელობისაგან მათრახის, საპყრობილისა და ტყვიის სახით პოლიტიკური განათლების პირველი გაკვეთილები მიიღეს, გაბედულად და მხნედ დაიწყეს აგიტაცია გლეხთა შორის. ამ აგიტაციამ ნაყოფი გამოიღო დაუყოვნებლივ, უკვე რამდენიმე თვისა და რამდენიმე კვირის შემდეგაც“. („რსდმპ III ყრილობის ოქმები“, გვ. 264). გურიაში მაშინვე გაჩნდა სოციალ-დემოკრატიული წრეები. ამ წრეებისა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად რსდმპ ბათუმის კომიტეტთან იქმნება სოფლის მუშათა განსაკუთრებული კომისია.

1902 წლის გაზაფხულზე გურიაში ყველგან ეწყობა გლეხთა ფარული კრებები. ამ კრებებზე იხილავდნენ საიჯარო ქირის დაკლების. გადასახადთა მოსპობის, სამღვდელოებისათვის ეგრედწოდებული „დრამის“ ფულის გადახდაზე უარის თქმის და სხვა საკითხებს. წინასწარი შეთანხმებით გლეხებმა გაფიცვა გამოუცხადეს მემამულეებს.

გურიაში დაწყებული გლეხთა რევოლუციური მოძრაობა სწრაფად მოედო აქედან მეზობელ სამეგრელოსა და იმერეთს. ყველგან ეწყობოდა გლეხთა რევოლუციური კომიტეტები.

გლეხთა რევოლუციურმა გამოსვლამ ძლიერ დააფრთხო მეფის მთავრობა. ამ მოძრაობის ჩასახშობად ქუთაისის გუბერნატორი სმაგინი სამხედრო ძალის დახმარებით სასტიკად უსწორდება გლეხებს. მარტო გურიაში დააპატიმრეს 250 გლეხი. სოფლის საზოგადოებებს დაუზოგავად ანაზღაურებინებდნენ იმ ზარალს, რომელიც გლეხთა გამოსვლებმა მიაყენეს ხაზინასა და მემამულეებს. ყველგან ხურავდნენ სასოფლო ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს როგორც რევოლუციურ კერებს. სოფლებში აგზავნიდნენ სამხედრო ეკზეკუციებს. მოსახლეობის მიერ არჩეულ მამასახლისთა ნაცვლად ნიშნავდნენ მთავრობის მამასახლისებს, მეტწილად სტრაჟნიკებისა ან მთავრობის ერთგული პირებისაგან. მაგრამ ეს რეპრესიები ვერ

შეაკავებდა გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას. გლეხთა ბრძოლა განსაკუთრებით ძლიერდება მას შემდეგ, რაც 1903 წელს ჩამოყალიბდა რსდმპ კავკასიის კავშირი და გურიის სოციალ-დემოკრატიულ მუშაკთა [illegible]ლობაზე მოეწყო რსდმპ გურიის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი.

1903 წლის მაისს რსდმპ კავკასიის კავშირმა 70 ათას ცალად გამოუშვა პროკლამაცია „გურიის გლეხობას", რომელშიაც გარჩეული იყო სოციალ-დემოკრატიის პროგრამა გლეხთა საკითხში. იმ ხანებშივე კავშირმა ქართულად სთარგმნა და დაბეჭდა ლენინის ბროშურა — „სოფლის ღარიბებს", რომელშიც განსაკუთრებული დამაჯერებლობით მოთხრობილია, როგორ უნდა ორგანიზმოს ღარიბი გლეხობა თავისი დაუძინებელ მტერთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

გურიის გლეხთა რევოლუციური გამოსვლების გავლენით 1903 წელს გლეხთა მოძრაობა იწყება აღმოსავლეთ საქართველოშიაც.

ასე, მაგალითად, ბორჩალოს მაზრაში გლეხებმა უარი უთხრეს საიჯარო ქირის გადახდაზე მსხვილ მემამულეს თავად ბარათაშვილს. გლეხთა გამოსვლის ჩასაქრობად, გაიგზავნა კაზაკთა ნაწილი, რომელმაც გლეხებთან შეტაკებისას მოჰკლა და დასჭრა რამდენიმე კაცი. გლეხთა გამოსვლები მოხდა აგრეთვე ქართლსა და კახეთში.

საყოველთაო გაფიცვა სამხრეთ რუსეთში 1903 წელს

ამ ხანებში განუხრელად იზრდება საქართველოში მუშათა მოძრაობა. მუშათა შორის სულ უფრო მეტად მწიფდება აზრი შეიარაღებული ბრძოლის აუცილებლობის შესახებ. ამის თაობაზე ბათუმელმა მუშებმა რსდმპ პეტერბურგის კომიტეტს გაუგზავნეს ცნობილი შეკითხვა: „ხომ არ გამოიყენონ მათ, მუშებმა, ხელჩართულ ბრძოლაში თავდასაცავად ცეცხლსასროლი იარაღი, დანა და ხანჯალი". („ისკრა", 23, 1902 წ.).

1903 წ. 9 მარტს, ბათუმის მუშათა დახვრეტის წლისთავზე, იქ მოეწყო პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 3 ათასზე მეტმა კაცმა. ბევრი მუშა იმ დროს შეიარაღებული გამოვიდა. დემონსტრაციამ ორგანიზებულად, წითელი ბაირაღებით, რევოლუციური სიმღერებით, შემოიარა მთელი ქალაქი და გაემართა რკინისგზის ვაგზლისაკენ. წინა დღით დამთავრდა სასამართლო პროცესი 1902 წლის მარტის დემონსტრაციის მონაწილე მუშათა საქმეზე. მეფის სასამართლო იძულებული იყო მუშებისათვის გამამართლებელი განაჩენი გამოეტანა. დემონსტრანტებმა მოისურვეს მადლობა გამოეცხადებინათ ბრალდებულთა დამცველებისათვის. მათ გააჩერეს ბათუმიდან გამოსული რკინისგზის მატარებელი, რომელშიაც ისხდნენ ბრალდებულთა დაცვის მონაწილე ვექილები და მათ მხურვალე ოვაცია მოუწყეს. 1903 წლის 1 ივლისს თბილისში, აქედან აღმოსავლეთ ციმბირში პოლიტიკურ გადასახლებულთა ჯგუფის გაგზავნასთან დაკავშირებით, დიდი დემონსტრა-

ცია მოეწყო რკინისგზის სადგურის ვაგზალში. დემონსტრანტები გამოდიოდნენ დროშებით, რევოლუციური სიმღერებით და შეძახილებით: „ძირს თვითმპყრობელობა!“ „გაუმარჯოს თავისუფლებას!“ [illegible]-თან შეტაკების შედეგად დაჭრეს და მოჰკლეს 5 მუშა. ბიბლიოთეკა

იმხანად ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობის ავანგარდად იქცა ბაქოს პროლეტარიატი. 1903 წელს ბაქოს მუშებმა დაიწყეს ცნობილი გაფიცვა, რომელიც სწრაფად მოედო მთელს სამხრეთ რუსეთს და ისტორიაში შევიდა „სამხრეთ რუსეთის 1903 წლის საყოველთაო გაფიცვის“ სახელწოდებით.

ბაქოში გაფიცვა დაიწყო 1 ივლისს. ის მალე ყველა საწარმოს მოედო და საყოველთაო გაფიცვად იქცა. გაფიცვის ხელმძღვანელმა რსდმპ კავკასიის კავშირმა მიაღწია იმას, რომ გაფიცვა გავრცელდა შორს ბაქოს ფარგლებს გარეშე და მთელ კავკასიას მოედო.

საქართველოში გაფიცვა დაიწყო 14 ივლისს ჯერ თბილისსა, ჭუთაისსა და ხაშურში (მაშინდელი მიხაილოვო), სადაც სამხედრო რაზმთან მუშების შეტაკების შედეგად მოჰკლეს და დასჭრეს 18 კაცი. დაახლოებითი გამოანგარიშებით, ამიერ-კავკასიაში გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა 100 ათასამდე კაცი.

რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის ერთ-ერთ პროკლამაციაში ნათქვამი იყო: „ჩვენ განგაშსა ვცემთ! ყველგან გაჩაღდა ბრძოლა ბედნიერებისა, თავისუფლებისა და უკეთესი ხვედრისათვის. ჩვენ დიდი ამბების წინაშე ვდგევართ. რუსეთი შეინძრა. კავკასია ფეხზე დგება... დაე, მეფის მთავრობამ მიმართოს მისთვის სასურველ ყოველგვარ ზომებს, დაე მან ქვეყნიერებას უჩვენოს ჯერ გაუგონარის სისასტიკისა და მხეცობის მაგალითები! ბრძოლა გაჩაღდა და ახლოა ის ჟამი, როცა აღსდგებიან ყველა ქალაქის მუშები! კიდით-კიდემდე გაისმის ძახილი: „ძირს მეფე! ძირს კაპიტალისტები!“ და მაშინ მტერი შედრკება! ამხანაგებო! ჩვენ განგაშს ვცემთ. ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას!“

საყოველთაო გაფიცვა, რომელიც ამიერ-კავკასიიდან რუსეთის სამხრეთ ქალაქებს მოედო, ყველგან რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა და სწრაფად იზრდებოდა პოლიტიკურ ბრძოლად.

1903 წლის საყოველთაო გაფიცვა ამიერ-კავკასიაში შეამზადა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მთელმა წინანდელმა მუშაობამ, რომელსაც სათავეში ედგა ამხანაგი სტალინი. ამ გაფიცვამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მუშათა კლასის პოლიტიკური შეგნების შემდგომი ზრდის საქმეში და დასაბამი მისცა პროლეტარიატის ცალკეული ადგილობრივი გამოსვლებიდან გადასვლას რუსეთის საერთო მასშტა-

ბით ბრძოლაზე. საყოველთაო გაფიცვა სამხრეთ რუსეთში 1903 წელს და გლეხთა მასობრივი გამოსვლები მკაფიო მაჩვენებელი იყო იმისა, რომ რუსეთში მწიფდებოდა რევოლუცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარული რევოლუციონერის ლადო კეცხოველის დალუპვა

1902 წლის სექტემბერს ბაქოში დააპატიმრეს მუშათა რევოლუციონური ბრძოლის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ამხანაგ სტალინის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი ლადო კეცხოველი.

ამხანაგი ლადო კეცხოველი ჯერ ბაქოს საპყრობილეში დაამწყვდიეს, სექტემბრის დამლევს კი გადმოიყვანეს თბილისში, მეტეხის საპყრობილეში. ცარიზმმა ვერ გატეხა უდრეკი და უშიშარი რევოლუციონერის მებრძოლი ბუნება. ლადო კეცხოველი საპყრობილის ჯურღმულშიაც მამაცურად იბრძოდა იქ გამეფებული თვითნებობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. მან კავშირი დაამყარა პოლიტიკურ პატიმრებთან, აწყობდა პატიმართა გაფიცვებს და ა. შ.

მეტეხის საპყრობილიდან უფროსი ძმის სანდროსადმი გამოგზავნილ წერილში ლადო კეცხოველი ამბობს: „... აღარა მაქვს უკან გამოსასვლელი გზა და კიდევაც რომ მქონდეს, დარწმუნებული ვარ, ეხლანდელ დროში შენვე პირველი შემომაფურთხებდი, თუ გაფიქრებითაც კი გავიფიქრე უკან დახევა და ჩემი აქამდე წმინდათა-წმინდის გადაქელვა. მაშ ბრძოლა! ბრძოლა!.. და თუ ამ ბრძოლაში წავიქეცი, ნუ იდარდებ: ყოველი საქმე და მით უმეტეს თავისუფლება მსხვერპლს თხოულობს... но где, скажи, когда без жертв искуплена свобода?! * მხოლოდ თავის განწირვით შეიძლება მოვიპოვოთ ჩვენ პირობებში ადამიანური დამოკიდებულება იმათგან, ვისაც ხელში ჩაუბღუჯავს ჩვენი ბედის ნასკვი. — მოითმინეო... მოთმინება კარგია, ადამიანის ღირსებაა, მაგრამ იქ, საცა კითხვა შეეხება ადამიანურ ღირსებას, უფლებას და გრძნობას — მოთმინება ან სილაჩრეა, ან შეუგნებლობა, ყოველ შემთხვევაში კი სამარცხვინო და ადამიანის გამათახსირებელი ხასიათია. სული ტკბილია, ყველას უნდა სიცოცხლე, მაგრამ თუ შეგიგინებენ შენს წმინდათა-წმინდას, გაგითელავენ ფეხქვეშ სულსაც და ყოველგვარ ადამიანურ ღირსებასაც, რაღად გინდა ან სული და ან სიცოცხლე?!“ (კრებული „ლადო კეცხოველი“, გვ. 18).

---

* მაგრამ, მითხარი, სადა და როდის ყოფილა, რომ თავისუფლება უმსხვერპლოდ გამოესყიდოთ?!

გ. ხ.

1903 წლის აგვისტოს ლადო კეცხოველი მოკლულ იქნა თავის საკანში მოსყიდული მკვლელის, გუშაგ დერგილევის მიერ ფანჯარაში გასროლილი ტყვიით.

ასე დაილუპა რევოლუციურ პოსტზე ქართველი ხალხის ერთ-ერთი საუკეთესო შვილი — ლადო კეცხოველი, „ხალხის თავისუფლებისათვის სახელოვანი მებრძოლი, რომელმაც ძვირფას საქმეს შესწირა ყველაფერი, რის შეწირვაც ადამიანს შეუძლია: თავისი ბედნიერება, თავის ძალღონე, თავისი სიცოცხლე".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეხუთე

1905 წლის რევოლუცია და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლა

ბრძოლა პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის შექმნისათვის

უდიდესად მოწინავე რევოლუციური თეორიით შეიარაღებული, მებრძოლი და რევოლუციური პროლეტარული პარტიის შექმნისათვის თანამიმდევრობით იბრძოდნენ ლენინი და სტალინი. ბრძოლა სწარმოებდა მუშათა კლასის ყველა დაუძინებელი მტრის და პირველ რიგში „ეკონომისტებისა" და ეგრედწოდებული „ლეგალური მარქსისტების" წინააღმდეგ.

1903 წლის ივლის-აგვისტოს ლონდონში შესდგა რსდმპ II ყრილობა, რომლის მოწვევა მოამზადა ლენინურმა „ისკრამ". II ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

II ყრილობაზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მიღებულ იქნა პარტიის პროგრამა და წესდება და შეიქმნა პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოები. მაგრამ უკვე ყრილობის მუშაობის პროცესში გამომჟღავნდა ღრმა უთანხმოებანი, უმთავრესად, ორგანიზაციულ საკითხებში. ამ უთანხმოებებმა ყრილობის შემდეგ გამოიწვია ერთმანეთისაგან განცალკევებული პოლიტიკური ჯგუფების — ბოლშევიკებისა და მენშევიკების ჯგუფების შექმნა. მენშევიკები, რომელთაც შეჰქმნეს ფარული ფრაქციული ორგანიზაცია, გამოდიოდნენ ლენინური ტიპის მებრძოლი რევოლუციური პარტიის წინააღმდეგ. მათ აღებული ჰქონდათ გეზი პარტიის გათიშვისაკენ უხერხემლო, არაორგანიზებული, „მაჩანჩალური" პარტიის შექმნისაკენ.

ბოლშევიკებმა ლენინის მეთაურობით, გააჩაღეს ბრძოლა ოპორტუნისტ-მენშევიკების წინააღმდეგ და დააყენეს საკითხი პარტიის III ყრილობის მოწვევის აუცილებლობაზე, რათა ვალდებული გაეხადათ მენშევიკები პატიოსნად გაეტარებინათ პარტიის II ყრილობის უმრავლესობის გადაწყვეტილებანი და დადგენილიყო პარტიის ერთიანი ტაქტიკა.

1903 წლის დამლევს ამხანაგმა სტალინმა, რომელიც მაშინ გადასახლებული იყო, წერილი მიიღო ლენინისაგან. „ლენინის წერილი, — მოგვითხრობს ამხანაგი სტალინი, — შედარებით პატარა იყო, მაგრამ ეს ძვლეოდა ჩვენი პარტიის პრაქტიკის გაბედულს, უშიშარ კრიტიკას და მასში შესანიშნავი სიცხადით და შეკუმშულად იყო მოცემული პარტიის მუშაობის მთელი გეგმა უახლოესი პერიოდისათვის. მხოლოდ ლენინს შეეძლო უაღრესად დახლართულ საგნებზე ასე უბრალოდ, გარკვევით, შეკუმშულად და გაბედულად წერა — როდესაც თითოეული ფრაზა კი არ ლაპარაკობს, არამედ ტყვიასავით ვარდება. ამ უბრალო და გაბედულმა პატარა წერილმა კიდევ უფრო განამტკიცა ჩემში ის აზრი, რომ ლენინის სახით ჩვენ გვყავს ჩვენი პარტიის მთის არწივი.“ (ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, „ლენინის შესახებ“, გვ. 36).

ახალი ტიპის პარტიისათვის ბრძოლაში ამხანაგი სტალინი იყო ლენინის ყველაზე თანამიმდევარი, თანამოსაგრე და მებრძოლი. გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ, ამხანაგი სტალინი 1904 წლის თებერვალს დაბრუნდა თბილისში და სათავეში ჩაუდგა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. მისი ხელმძღვანელობით, რსდმპ კავკასიის კავშირი იცავს ლენინის ხაზს და დაუღალავად ებრძვის გამთიშველ მენშევიკებს და მათდამი შემარიგებელთ, რომელთაც პარტიის II ყრილობის შემდეგ ჩამოაყალიბეს თავიანთი მიმდინარეობა. 1904 წლის ნოემბერს თბილისში შესდგა ბოლშევიკური კონფერენცია, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება პარტიის III ყრილობის მოწვევის აუცილებლობის შესახებ და დასახა ამისათვის საჭირო ღონისძიებანი.

ჯერ კიდევ 1904 წლის ივნისს რსდმპ კავკასიის კავშირმა დაშალა მენშევიკური ბაქოს კომიტეტი. 1905 წლის თებერვალს მან დაშალა მენშევიკური თბილისის კომიტეტი. ამ ქალაქებში მან მოაწყო პარტიის ბოლშევიკური კომიტეტები. ამხანაგ სტალინის ინიციატივით იმხანად ჩამოყალიბდა ქუთაისში რსდმპ ბოლშევიკური იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი. ბოლშევიკური კომიტეტები შეიქმნა აგრეთვე ჭიათურაში, ფოთში, ხონში და სხვაგან.

თბილისში, რსდმპ კავკასიის კავშირის განკარგულებაში იყო ავლაბრის საუცხოოდ მოწყობილი არალეგალური სტამბა, რომელიც ამხანაგ სტალინის მითითებით დაარსდა ჯერ კიდევ 1903 წლის ივლისის დამლევს მოწინავე მუშის მიხა ბოჭორიძის ხელმძღვანელობით. ამ სტამბაში იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანო — გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ და მთელი სხვა პარტიული ლიტერატურა.

რუსეთ-იაპონიის ომი

1904 წლის იანვრის დამლევს დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი. მენშევიკები იდგნენ „სამშობლოს“, მეფის, მემამულეთა და კაპიტალისტთა

დაცვის პოზიციაზე. ბოლშევიკები, ლენინის მეთაურობით, ამხილებდნენ ომის მტაცებლურ ხასიათს, მომხრენი იყვნენ ამ ომში მეფის მთავრობის დამარცხებისა, ვინაიდან მას უნდა გამოეწვია ცარიზმის დასუსტება და რევოლუციის გაძლიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, ამხანაგ სტალინის მეთაურობით, თანამიმდევრად ანხორციელებდნენ ომში ცარიზმის დამარცხების ლენინურ ხაზს და მასებს მოუწოდებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისაკენ.

რუსეთ-იაპონიის ომთან დაკავშირებით ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების მიერ გამოშვებულ ერთ-ერთ პროკლამაციაში ნათქვამი იყო: „... უარი თქვით იაპონიასთან უაზრო, გამანადგურებელ ომში წასვლაზე. დაიწყეთ ომი ხალხის ტირანების წინააღმდეგ, ომი თქვენი განთავისუფლებისათვის. შინაური ომი ერთად-ერთი ომია, რომელსაც ახლა უნდა ეწეოდნენ ჭეშმარიტი პატრიოტები, ომი ისეთი წესწყობილებისათვის, რომლის დროსაც ერთი მუჭა სისხლისმსმელები თავისი პირადი სარგებლობისათვის უკვე ვერ მიაყენებენ მთელ ქვეყანას ისეთ უბედურებას, როგორსაც იგი განიცდის.“

რუსეთ-იაპონიის ომი რუსეთს უამრავ ადამიანთა და ფინანსიურ მსხვერპლად დაუჯდა. ომის შემდეგ უფრო მეტად გაუარესდა მშრომელი მასების ეკონომიური მდგომარეობა. მეფის ჯარების დამარცხებამ მანჯურიაში გამოააშკარავა ცარიზმის მთელი სიდამპლე და არაჩვეულებრივ გაამწვავა ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი წინააღმდეგობანი. ომმა არა თუ შეაჩერა რევოლუცია, როგორც ვარაუდობდა ცარიზმი, არამედ დააჩქარა მისი დაწყება. მთელს ქვეყანაში იზრდებოდა სიძულვილი ცარიზმისადმი.

საქართველოში ომთან დაკავშირებით ძლიერდება პროლეტარიატის საგაფიცვო მოძრაობა და გლეხთა გამოსვლები. როცა ომის დაწყების ამბავმა საქართველომდე მიაღწია, ბათუმში ტარდება მძლავრი დემონსტრაცია ომის წინააღმდეგ. გურიაში 1904 წლის 1-ლ მაისს, პროლეტარული დღესასწაულის დღეს, ეწყობა გლეხთა მასობრივი შეიარაღებული გამოსვლები. 1904 წლის დეკემბერს ბაქოში, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, ტარდება კარგად მოწყობილი გაფიცვა, რომელიც დამთავრდა მუშების გამარჯვებით და მუშათა და კაპიტალისტთა შორის კოლექტიური ხელშეკრულების დადებით. ეს იყო პირველი შემთხვევა კოლექტიური ხელშეკრულების დადებისა რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

„ბაქოს გაფიცვა გახდა მთელს რუსეთში იანვარ-თებერვლის სახელოვანი გამოსვლების სიგნალად.“ (ს ტ ა ლ ი ნ ი).

პროლეტარიატი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა მოძრაობის ზრდისა, სამხედრო ფრონტზე ცარიზმის დამარცხებისა და რუს ლიბერალთა მიერ დაწყებული მოძრაობის გავლენით, ლიბერალურ-ბურჟუაზიულმა და თავად-აზნაურულმა ჯგუფებმა საქართველოში 1905 წლიდან დაიწყეს ეგრედწოდებული „საბანკეტო კომპანიის“ მოწყობა. ისინი თავიანთ დადგენილებებში, პეტიციებში გაუბედავად გამოსთქვამდნენ სურვილს — მიეცეს ხალხს პოლიტიკური თავისუფლებანი.

როგორც რუსეთის, ისე ნაციონალური რაიონების ლიბერალთა გამოსვლები არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა ცარიზმისათვის. „ლიბერალები ორ მიზანს ისახავდნენ: ერთი — „გონს მოეყვანათ“ მეფე, მეორე — ჩამოეცვათ ნიღაბი „დიდი უკმაყოფილებისა“ ცარიზმით, მოეპოებინათ ხალხის ნდობა, ჩამოეშორებინათ ხალხი ან ხალხის ნაწილი რევოლუციისაგან და ამით დაესუსტებინათ რევოლუცია“ (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 35).

ასე აფასებდნენ „საბანკეტო კომპანიას“ ბოლშევიკები. ქართველი მენშევიკები, პირიქით, წინადადებას აძლევდნენ მუშებს მხარი დაეჭირათ ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურთა პოლიტიკური ბანკეტებისათვის და მონაწილეობა მიეღოთ „წოდებათა წარმომადგენლების კრებაში“, რომელიც კავკასიაში მეფის ნაცვლის დაპირებით მოწვეული უნდა ყოფილიყო თბილისში 1905 წელს. ბოლშევიკები ამხილებდნენ ლიბერალთა ოპოზიციის ნამდვილ დედაარსს და მენშევიკთა შემთანხმებლობას. ბოლშევიკები მუშებს მოუწოდებდნენ შეიარაღებულიყვნენ და დაეწყოთ მზადება აჯანყებისათვის.

ბოლშევიკები ლენინისა და სტალინის მეთაურობით ნაციონალურ საკითხში იცავდნენ ყველა ერის პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლებას, თვით სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე. ბოლშევიკები სათავეში ედგნენ ყველა ერის მშრომელი მასების ბრძოლას ჩაგვრიდან განთავისუფლებისათვის. მაგრამ ბოლშევიკები აღნიშნავდნენ, რომ ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ცარიზმის დამხობის შემდეგ, ყველა ჩაგრული ხალხის საერთო ძალღონით პროლეტარიატის, როგორც ყველაზე მოწინავე და რევოლუციური კლასის ხელმძღვანელობით. მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლა, რომელიც 1905 წელს გაჩაღდა საქართველოში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, რევოლუციურ-განმათავისუფლებელ ხასიათს ატარებდა. ნაციონალური ბურჟუაზია არ შეიძლებოდა რევოლუციაში ჰეგემონი ყოფილიყო. „იგი, — როგორც ლენინი ამბობდა, — ლაყბობდა ნაციონალურ აჯანყებაზე, საქმით კი თავისი ხალხის ზურგს უკან და მის წინააღმდეგ რევოლუციურ გარიგებებს სდებდა მჩაგვრელი ერის ბურჟუაზიასთან.“

მხოლოდ ნაციონალურ პროლეტარიატს, რომელიც თავისი მდგომარეობით ყველაზე მოწინავე და ერთად-ერთ თანამიმდევრობით-რევოლუციურ კლასს წარმოადგენდა, გმირი რუსი პროლეტარიატის დასმარებით და თავის ბუნებრივ მოკავშირესთან — ნაციონალურ გლეხობასთან კავშირის შეკვრით, შეეძლო სათავეში ჩასდგომოდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ, ბრძოლას ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებისათვის.

1905 წლის წინ საქართველოში ჩამოყალიბდნენ: წვრილბურჟუაზიული მენშევიკური პარტია და ქართველ სოციალ-ფედერალისტთა ნაციონალური პარტია. უკანასკნელი თითქმის სულერთიანად ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული ინტელიგენციისაგან შესდგებოდა. ეს პარტიები უარს ამბობდნენ რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის წარმოებაზე და ნაციონალურ-რეფორმისტული პროგრამების წამოყენებით, საბოლოო ანგარიშით, ცდილობდნენ მხოლოდ პოლიტიკურ უფლებათა და პრივილეგიათა გაფართოებას ნაციონალური ბურჟუაზიისათვის. ქართველი მენშევიკებიც და სოციალისტ-ფედერალისტებიც ბრძოლას აწარმოებდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ, მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ. მეფის რუსეთის ფარგლებში ისინი აყენებდნენ მხოლოდ საქართველოს ავტონომიის საკითხს.

1905 წლის 9 იანვარი. რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისი

პირველი რევოლუციის დასაწყისად რუსეთში სამართლიანად ითვლება 1905 წლის 9 იანვარი, რომელიც ისტორიაში „სისხლიანი კვირის" სახელწოდებით შევიდა.

მეფის ბოროტმოქმედების საპასუხოდ, რომელმაც ამ დღეს პეტერბურგში დაახვრეტინა მეფისაკენ პეტიციის გადასაცემად მიმავალი რამდენიმე ათასი მშვიდობიანი მუშა, მთელს რუსეთს ძლიერი ქარიშხალივით მოედო პოლიტიკური გაფიცვები.

1905 წლის 18 იანვარს თბილისში დაიწყო რკინისგზელი პროლეტარიატის გაფიცვა. გაფიცვას შეუერთდნენ სტამბების და თამბაქოს ქარხნების მუშები და მალე იგი საყოველთაოდ იქცა. 23 იანვარს ქალაქის სხვადასხვა უბნებში შესდგა მრავალრიცხოვანი პოლიტიკური დემონსტრაციები. გოლოვინის პროსპექტზე (ამჟამად რუსთაველის პროსპექტი) დემონსტრანტები მიდიოდნენ ბაირაღებით და ლოზუნგებით „ძირს თვითმპყრობელობა!" და სხვ. ამავე დროს ვრცელდებოდა რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის პროკლამაცია „ამხანაგებო!" პოლიციასთან და კაზაკებთან შეტაკების დროს დემონსტრანტებს შორის იყვნენ დაჭერილნი და მოკლულნი.

20 იანვარს გაიფიცნენ სოხუმის მუშები. 21 იანვარს სამტრედიის სადგურზე მოხდა მუშათა და ახლო-მახლო სოფლებში მცხოვრებ გლეხთა მძლავრი დემონსტრაცია. შემდეგ გაიფიცნენ მუშები მთელი რკინიგზის გაყოლებით, ფოთის, ტყიბულის, ჭიათურის, ქუთაისის მუშები. 1905 წლის იანვარს საგაფიცვო ბრძოლამ განსაკუთრებით შეუპოვარი ხასიათი მიიღო ბათუმში, სადაც ხდებოდა მასობრივი ტერორისტული აქტები ოხრანკისა და პოლიციის მოხელეთა წინააღმდეგ. მაგალითად, 16 იანვარს მოჰკლეს ბათუმის მუშათა ცნობილი ჯალათი, „ბათუმელ ტრეპოვად“ წოდებული თავადი გურიელი, რომელიც ბათუმის მიდამოების პოლიციას განაგებდა. გარდა ამისა, აქ სდგებოდა მუშათა მებრძოლი რაზმები, რომლებიც მოცემული სიგნალის მიხედვით იარაღით ხელში უნდა გამოსულიყვნენ ცარიზმის წინააღმდეგ.

გლეხთა მოძრაობა

ქალაქად მიმდინარე მასობრივმა პოლიტიკურმა გამოსვლებმა და ცარიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულმა ბრძოლამ დაუყოვნებლივ გამოძახილი ჰპოვეს საქართველოს სოფლებში. გლეხთა მოძრაობამ განსაკუთრებით ფართო გაქანება მიიღო გურიაში. „რევოლუციისათვის, — სწერდა გაზეთი „ვპერიოდ“, — მზად არის გურია, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში დღესვე შეუძლია გამოიყვანოს 15 ათასი რჩეული ადამიანი. ქალები, მოხუცები და ბავშვები აგრეთვე გატაცებული არიან ამ მოძრაობით და მოუთმენლად მოელიან რევოლუციის დაწყებას, რათა ისინიც ჩაებან თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში და არ ჩამორჩნენ თავიანთ ქმრებს, შვილებს და მამებს. გურულები აშკარად, დღისით შეუდგენ შეიარაღებას, თავს ესხმიან იმ პირებს, რომელთაც ბერდანის თოფები აქვთ, და მათ ართმევენ ანუგეშებენ რა იმით, რომ რევოლუციის დამთავრების შემდეგ ბერდანები უკან დაგიბრუნდებათო“ („ვპერიოდ“, № 11, 1905 წ.).

პოლიცია, ადმინისტრაცია და სასამართლო ორგანოები გურიაში იძულებული იყვნენ შეეწყვიტათ თავისი მუშაობა. გლეხებმა უარი სთქვეს ეხადათ მემამულეთათვის რაიმე ბეგარა, მოუხსნეს მათ მსახურნი, შეწყვიტეს გადასახადების შეტანა და სამღვდელოებისათვის „დრამის“ ფულის გადახდა. ბევრი მემამულე განდევნეს თავიანთი მამულიდან, ხოლო მემამულეთა და ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის ყველაზე საძულველი პირები მოჰკლეს. ძალაუფლება გურიაში გადადიოდა თვით ხალხის ხელში. აქ დაიწყო რევოლუციური თვითმმართველობის განხორციელება გლეხთა კომიტეტების მეშვეობით.

გურიიდან რევოლუციური მოძრაობა სწრაფად გადაედო მეზობელ რაიონებს: აჭარას, აფხაზეთს, სამეგრელოს, იმერეთს, შემდეგ კი მოედო აღმოსავლეთ საქართველოსაც.

როგორც გურიაში, ისე საქართველოს სხვა რაიონებშიაც იქმნებიან რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც ხელმძღვანელობენ გლეხთა მასების გამოსვლას და ცდილობენ ორგანიზაციული ხასიათი მისცენ დაწყებულ მოძრაობას. ყველგან სდგება გლეხთა რევოლუციური რაზმები მთავრობისა და მემამულეთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ყველგან ხდებოდა გლეხთა რაზმების შეიარაღებული შეტაკება პოლიციასთან და კაზაკებთან.

ერთ-ერთი ასეთი შეტაკება მოხდა, მაგალითად, სოფ. ჩოხათში, სამეგრელოში. აქ 1905 წ. 14 თებერვალს 1000-ზე მეტი გლეხი თავს დაესხა პოლიციასა და სტრაჟნიკებს მათ მიერ დაპატიმრებულ გლეხთა განთავისუფლების მიზნით. ამავე წლის 14 მარტს ქალაქ გორში შეიარაღებული მანიფესტანტები თავს დაესხნენ სამხედრო რაზმს იარაღის წასართმევად. 4 აპრილს თიანეთის მაზრაში მოხდა შეიარაღებული შეტაკება კაზაკებსა და გლეხებს შორის. 26 აპრილს შეიარაღებული გლეხები თავს დაესხნენ კაზაკთა რაზმს გორის მაზრის სოფელ ტირძნისში. 4 აპრილს მოხდა შეტაკება გლეხებსა და კაზაკებს შორის თალათ-სოფელში (კახეთი) და სხვაგან.

1905 წლის გაზაფხულზე დაიწყო ორგანიზებული გამოსვლები სასოფლო-სამეურნეო მუშებისა, რომლებიც ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებდნენ. გამოდიოდნენ უმთავრესად ნაფარეულის, წინანდალის, მუკუზანის, ჩაქვის საუფლისწულო მამულების, აგრეთვე აფხაზეთში მდებარე მეფის გვარეულობის მამულების მუშები.

ცარიზმის მიერ პროვოკაციულად გამოწვეული სომეხ-აზერბაიჯანელთა ხოცვა-ჟლეტა

რევოლუციის შემდგომი განვითარების შესაჩერებლად ამიერ-კავკასიაში ყველა ჩაგრული ხალხის მთლიანი ინტერნაციონალური ფრონტის შექმნის შესაფერხებლად, ცარიზმი, გარდა რევოლუციური გამოსვლების იარაღით ჩაქრობისა, 1905 — 1906 წლებში განსაკუთრებით გულმოდგინედ იყენებს ძველ ნაცად საშუალებას — ერთი ეროვნების მეორეზე წასისიანებას. ამ მიზნით 1905 წლის 6 — 9 თებერვალს მეფის საზიზღარმა აგენტებმა რევოლუციურ ბაქოში პროვოკაციულად გამოიწვიეს სომეხ-აზერბაიჯანელთა ხოცვა-ჟლეტა.

როცა სომეხ-აზერბაიჯანელთა ხოცვა-ჟლეტის ამბავმა დიდი რუსი მწერლის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის ყურამდე მიაღწია, ის ამ ამბავს გამოეხმაურა ცეცხლის კალმით დაწერილი წერილით, რომელიც ამხილებდა მეფის მთავრობის მხეცურ პოლიტიკას ამიერ-კავკასიაში. მისი წერილი „კავკასიის ამბების შესახებ“ დასაბეჭდად აკრძალული იყო რუსეთში. ის გამოვიდა 1905 წელს ჟენევაში ცალკე ბროშურად, რომელიც ფართოდ ვრცელდებოდა პროლეტარიატში. მ. გორკი ამხილებდა ძმათსაჟლეტი ომისათვის ჭეშმარიტ დამნაშავეებს და სწერდა:

„დაუსჯელობით გათახსირებულ ადამიანთათვის დამახასიათებელი ცინიზმით, იმ პირუტყვის მკაცრი გულახდილობით, რომელიც გრძნობს თავის ძალას, ისინი ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდნენ, რომ ჩაეკლათ ხალხის შემოქმედებითი სული. მაგრამ ისინი, ეს საცოდავი ადამიანები, რომელნიც თავის თავს მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ბატონ-პატრონად სთვლიან — უვიცნი და გონებაჩლუნგნი არიან; მათ არ ესმით, რომ ხალხის გადაქცევა ბრმა, მექანიკურ ძალად შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია გადავამუშაოთ თიხის გროვად კავკასიის კლდოვანი მთები“.

შემდეგ მ. გორკი იძლევა პროგნოზს თვითმპყრობელური წყობილების დამხობის გარდაუვალობის შესახებ და მხურვალედ მოუწოდებს მეფის რუსეთის ყველა ჩაგრულ ხალხს იბრძოლონ რუს ხალხთან ერთად ცარიზმის წინააღმდეგ. „და ყველანი, — სწერდა მ. გორკი, — ვისი გონებაც ნათელია, ვისი ნებისყოფა არ ემორჩილება დამონებას, უნდა გაერთიანდნენ მთლიან ოჯახად იმ ბოროტი და უაზრო ძალის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც ერთნაირის სიმძიმით გვსრესავს ჩვენ.

ყველას ერთი მტერი გვყავს.

მაშ დეე იყოს ჩვენს შორის თანასწორობა და ძმობა, დეე გაგვინათლოს ყველა გონების სხივმა, გავერთიანდეთ ერთს დიდ, დაუძლეველ ნებისყოფად და მაშინ —

გაუმარჯოს თავისუფლებას!“ (მ. გორკი, „კავკასიის ამბების შესახებ“, გვ. 16 — 20).

მხოლოდ ქართველი მუშების რევოლუციური სიფხიზლისა და ორგანიზებულობის მეოხებით მოხერხდა სომეხ-აზერბაიჯანელთა ხოცვა-ჟლეტის თავიდან აცილება თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში. ცარიზმის გეგმა ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის ხელოვნურად გამოწვეული ნაციონალურ მტრობაში ჩაეხრჩო რევოლუცია, — ეს გეგმა ჩაიშალა პროლეტარიატის მხრით ორგანიზებული წინააღმდეგობის გამო.

ბაქოში თებერვალს მომხდარი სისხლიანი ამბების შემდეგ, რევოლუციური ბრძოლა ამიერ-კავკასიაში არა თუ ნელდება, არამედ ახალი ძალით იზრდება. ამხანაგი სტალინი სწერდა, რომ „1905 წელს ბაქოს პროლეტარიატი ერთბაშად წელში სწორდება სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, ებმება ბრძოლაში და თავის ენტუზიაზმს „მთელს კავკასიას“ გადასდებს.“

ცარიზმის ღონისძიებანი რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად ამიერ-კავკასიაში

მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლა გამხრწნელ გავლენას ახდენდა ამიერ-კავკასიაში დაბანაკებული ჯარის ნაწილების ბრძოლის უნარიანობასა და დისციპლინაზე. ბოლშევიკები უდიდეს ყურადღებას

უთმობდნენ ჯარისკაცთა შორის მუშაობას, აგზავნიდნენ მათთან აგიტატორებსა და ბეჭდავდნენ სპეციალურ პროკლამაციებს და მოწოდებებს ჯარისკაცებისადმი, ჯარისკაცთა მასებში შემჩნეული იყო მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლისადმი თანაგრძნობისა და სიმპათიის ბის აშკარა შემთხვევები. ამიერ-კავკასიაში მყოფი ჯარები მეფის მთავრობისათვის არასაიმედო ხდებოდა. აი ამიტომ კავკასიის ხელისუფლება ერთ-ერთ მთავარ ზომად ამიერ-კავკასიაში რევოლუციის ჩაქრობისათვის სთვლის აქ ჯარის ახალი ნაწილების გამოგზავნას ევროპის რუსეთის იმ ადგილებიდან, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეხებიათ რევოლუცია. ამის შესახებ კავკასიის ხელისუფლება დაჟინებით შუამდგომლობს მეფის წინაშე. ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილეს და კიევის ოლქიდან ამიერ-კავკასიაში გადმოისროლეს მე-33 დივიზია. რათა გაენადგურებიათ გურია, გლეხთა მოძრაობის ეს მთავარი ცენტრი, სადაც ჯერ კიდევ 1905 წლის 18 თებერვალს (ბათუმის ოლქის კინტრიშის უბანთან ერთად) გამოცხადებულ იქნა სამხედრო წესები, გაგზავნეს სპეციალური დამსჯელი რაზმი თავისი სისასტიკით სახელგანთქმული გენერალის ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით.

ეს რაზმი, რომელსაც რიონის რაზმი ეწოდა, 4.000-ზე მეტი კაცის რაოდენობით დაბანაკდა ამიერ-კავკასიის რკინისგზის ნატანების სადგურზე. მეფის მთავრობამ აქ დროებით შეაჩერა რიონის სამხედრო რაზმი, ვინაიდან სთვლიდა, რომ უმჯობესია ახლა თავის შეკავება გურიის სისხლიანი განადგურებისაგან. იგი ალბად გრძნობდა თავის უძლურებას რევოლუციური ხალხის მასების წინაშე და ამჯერად შესაძლებლად სთვლიდა ერთგვარ იძულებით დათმობაზეც კი წასულიყო მოსახლეობის მიმართ.

ამ მიზნით ცარიზმმა, სხვათაშორის გადასწყვიტა კავკასიის მართვა-გამგეობისათვის კვლავ აღედგინა აქ სრულუფლებიანი სამეფისნაცვლო. თანამდებობიდან დათხოვნილი მთავარმართებლის თავად გალიცინის მაგიერად 1905 წლის თებერვალს კავკასიაში დაინიშნა მეფის ნაცვალი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი. გამოცდილმა ადმინისტრატორმა და დიპლომატმა ვორონცოვ-დაშკოვმა დაიწყო თვალთმაქცური პოლიტიკა— მოსახლეობის მიძინება მრავალალმთქმელი მოწოდებებით. იგი ამ მოწოდებებში დაპირებას იძლეოდა მთელ რიგ რეფორმებს გავატარებ და კავკასიის მშრომელი მასების მდგომარეობას გავაუმჯობესებო, ნამდვილად კი ამ დროს თავს უყრიდა კონტრრევოლუციურ ძალებს რევოლუციის ჩასაქრობად. მას შემდეგ, რაც ვორონცოვ-დაშკოვი შეუდგა მეფის ნაცვლის თანამდებობის ასრულებას, შეცვლილი იქნა მოსახლეობისათვის ყველაზე მეტად საძულველი ნაწილი კავკასიის ადმინისტრაციისა. ქუთაისის გუბერნიაში გუბერნატორად დაინიშნა ლიბერალი აგრონომი სტაროსელსკი. გურიაში, სადაც სამხედრო წესები მოიხსნა, გლეხთა მღელვარების მიზეზების გამოსაკვლევად მივლინებულ იქნა ლიბერალი მოხე-

ლე სულთან-კრიმ-გირეი. ამავე მიზნით კახეთში გაიგზავნა გენერალი ჭავჭავაძე და ქართლში გენერალი ამილახვარი.

ვორონცოვ-დაშკოვმა მოაწყო მთელი რიგი თათბირები, და კომისიები ამიერ-კავკასიაში ერობებისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების, მემამულეთა წინაშე გლეხთა დროებითი ვალდებულების გაუქმების საკითხებზე. დაწყებითი სკოლებში ნებადართული იყო სწავლება დედა-ენაზე, კვლავ გახსნეს სომხური სკოლები და სომხურ ეკლესიას დაუბრუნეს ჩამორთმეული ქონება. მეფის სატრაპი ვორონცოვ-დაშკოვი ამ ღონისძიებებით ცდილობდა მასების ყურადღების მიძინებას და ამავე დროს ქუთაისის გუბერნიაში და საქართველოს სხვა რაიონებში აგზავნიდა საიმედო სამხედრო ნაწილებს. ცალკეულ სოფლებში და მსხვილ მემამულეებთან იგზავნებოდნენ კაზაკთა რაზმები.

მდგომარეობა გურიაში

გურიაში მივლინებული სულთან-კრიმ-გირეის ფარისევლური სიტყვები და ყალბი დაპირებანი სასოფლო საზოგადოებათა შემოვლისას, რა თქმა უნდა, გლეხებს შეცდომაში ვერ შეიყვანდა. მის დაპირებათა საპასუხოდ გლეხები ყველგან ერთსულოვნად აყენებდნენ თავის მოთხოვნებს, რომლებიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა-მინიმუმს შეიცავდნენ, სახელდობრ: 1) ყველა საბატონო, სახაზინო, საუფლისწულო, საეკლესიო და სამონასტრო მიწის უსასყიდლო კონფისკაცია; 2) გაღებული გამოსასყიდი თანხის დაბრუნება გლეხებისათვის; 3) გლეხთა კომიტეტების მოწყობა საადგილ-მამულო რეფორმების გასატარებლად; 4) ყველა არაპირდაპირი გადასახადის მოსპობა და შემოსავლის პროგრესიული დაბეგვრის შემოღება; 5) წოდებათა მოსპობა; 6) საპასპორტო სისტემის მოსპობა; 7) დემოკრატიული თავისუფლებანი, გაფიცვის თავისუფლება, პიროვნებისა და ბინის ხელუხლებლობა; 8) მოსამართლეთა არჩევითობა და მოხელეთა პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე; 9) მუდმივი არმიის საყოველთაო-სახალხო მილიციით შეცვლა; 10) საერო სკოლის შექმნა და სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა; 11) საყოველთაო სავალდებულო სწავლება განურჩევლად სქესისა 16 წლამდე; 12) პოლიტიკური საქმეებისათვის დაპატიმრებულთა, განდევნილთა და გადასახლებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

ბახვის სასოფლო საზოგადოების გლეხებმა თავისი რევოლუციური მოთხოვნები ჩამოსწერეს საგანგებოდ შედგენილ მანიფესტში, სადაც ნათქვამი იყო: „ჩვენ, ქართველები, რუსები, სომხები, თურქები — ყველანი ძმები ვართ. ჩვენ ერთმანეთს არ წავეჩხუბებით, ამისათვის მთავრობა ტყუილად ნუ გაირჯება. აუწერელია ჩვენი საშინელი მდგომარეობა. ვის შეუძლია დააკმაყოფილოს ჩვენი საჭიროებანი? ვინ გაიგონებს ჩვენს ხმას? არა ღღევანდელი მთავრობა, რომელიც არასოდეს ყურადღებას არ

გვაქცევდა, რომელიც გვაწამებდა. ჩვენი მოთხოვნები არაა კერძო, მარტო ქართველთა მოთხოვნები. ამას მოითხოვს მთელი რუსეთი. ჩვენ ვუერთდებით ჩვენს რუს ძმებს. ჩვენი დაკმაყოფილება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ხალხი აირჩევს თავის წარმომადგენლებს საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი კენჭისყრით. მხოლოდ ასეთი მთავრობა იქნება ნამდვილი მთავრობა. სამართლიანი და პატიოსანი მხოლოდ ხალხის ხმაა. ამაში გამოიხატებიან ჩვენი საჭიროებანი და ჩვენი რწმენა. სიმართლე უძლეველია. რა დაბრკოლება და წამებაც არ უნდა შეგვხვდეს, სიმართლის ერთგული ვიქნებით. ქვეყანა ხალხის ხელში უნდა იყოს." („ვპერიოდ" № 12, 1905 წ.).

8 მარტს სულთან-კრიმ-გირეი გურიიდან გაიწვიეს, ხოლო 10 მარტს ქალაქ ოზურგეთში (ამჟამად ქალაქი მახარაძე) შევიდა გენერალი ალიხანოვი. მაგრამ რევოლუციური საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით და რაიონის რაზმის ჯარის არასაიმედობის გამო, მეფის ჯალათი ალიხანოვი ამჯერადაც იძულებული იყო თავი შეეკავებინა გურიაში საომარი მოქმედებისაგან. 1905 წლის ივლისის დამლევს მან დასტოვა გურია. მისი წასვლის შემდეგ ძალა-უფლება გურიაში მთლიანად ხალხის ხელში გადავიდა. აქ დაიწყო სრული რევოლუციური თვითმართველობის განხორციელება. ადმინისტრატიულმა და სასამართლო ხელისუფლებამ თავი მოიყარა სასოფლო ყრილობათა ხელში. აღმასრულებელი ფუნქციები ეკისრებოდათ მოსახლეობის მიერ არჩეულ ასისთავებსა და ათისთავებს. ყველა მნიშვნელოვან საქმეს არჩევდა გლეხთა ყრილობა. მემამულეებს მიწა ჩამოართვეს. საეკლესიო წესების შესრულებისათვის კულტის მსახურთ დაენიშნათ სასყიდელი გლეხების მიერ დაწესებული ნიხრით. მთელი გურია მოიფინა პროპაგანდისტული წრეებით, სადაც გლეხები ეცნობოდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამას და მარქსიზმის მოძღვრებას. ყველგან გურიაში იქმნებოდა წითელი რაზმები, სწარმოებდა გლეხების სამხედრო სწავლება და მიმდინარეობდა ენერგიული მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის.

რსდმპ III ყრილობა „კავკასიის ამბების გამო"

ვ. ი. ლენინი ყურადღებით თვალს ადევნებდა რევოლუციური მოძრაობის საერთო აღმავლობას კავკასიაში, რსდმპ კავკასიის კავშირის გმირულ მუშაობას, რომლის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი ამხანაგი სტალინი იყო.

პარტიის III ბოლშევიკურმა ყრილობამ, რომელიც 1905 წლის აპრილ-მაისში შესდგა, აღნიშნა, რომ „კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები ხელს უწყობდნენ იქ ჩვენი პარტიის ყველაზე მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას". ვ. ი. ლენინის წი-

ნადადებით III ყრილობამ მოისმინა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების წარმომადგენელის მიხა ცხაკაიას (ბარსოვის) სპეციალური მოხსენება საქართველოში გლეხთა მოძრაობის შესახებ. ამ განსაკუთრებით მკაფიოს და შინაარსიანი მოხსენების საფუძველზე ყრილობამ, რომელიც ეძღვნებოდა მნიშვნელობას აკუთვნებდა კავკასიაში გაჩაღებულ რევოლუციურ ბრძოლას, გამოიტანა სპეციალური, ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია „კავკასიის ამბების შესახებ". რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „ილებს რა მხედველობაში 1) რომ კავკასიის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები ხელს უწყობდნენ იქ ჩვენი პარტიის ყველაზე მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას; 2) რომ რევოლუციურმა მოძრაობამ კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობაში როგორც ქალაქებში ისე სოფლებში, უკვე მიაღწია საყოველთაო-სახალხო აჯანყებამდე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ; 3) რომ თვითმპყრობელური მთავრობა უკვე ჰგზავნის ჯარს და არტილერიას გურიაში და ემზადება ულმობლად გაანადგუროს აჯანყების ყველა უმნიშვნელოვანესი კერა; 4) რომ კავკასიაში სახალხო აჯანყებაზე თვითმპყრობელობის გამარჯვებას, რაც გაადვილებულია მოსახლეობის შემადგენლობის გვარტომობრივი სხვადასხვაობით, მეტად საზიანო შედეგები ექნება რევოლუციის წარმატებისათვის მთელს რუსეთში, რსდმპ III ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე სალამს უძღვნის კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხებს და ავალებს პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს მიიღონ უაღრესად ენერგიული ზომები კავკასიაში არსებული საქმის ვითარების შესახებ ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების საწრეო საუბრებისა და სხვა გზით, აგრეთვე კავკასიისათვის დროზე დასახმარებლად მათს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით". („საკ. კ. პ. (ბ) რეზოლუციები", ნაწ. I, გვ. 52).

გლეხთა კომიტეტებს, რომლებიც გურიის მაგალითისამებრ ეწყობოდა იმხანად საქართველოს სხვა სასოფლო რაიონებშიაც, ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა, ხედავდა მათში, მუშათა დეპუტატების საბჭოების გვერდით, რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახს. „მუშათა დეპუტატების საბჭოები, — სწერდა ვ. ი. ლენინი, — ყველა მსხვილ სამრეწველო ცენტრში, კაპიტალისათვის გამოგლეჯილი მთელი რიგი ეკონომიური მონაპოვარნი, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები არმიაში, გლეხთა კომიტეტები გურიაში და სხვაგან, დასასრულ, წარმავალი „რესპუბლიკები" რუსეთის რამდენიმე ქალაქში, — ყოველივე ეს იყო **დ ა ს ა წ ყ ი ს ი** პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობისა პროლეტარიატის მიერ, რომელიც ეყრდნობოდა რევოლუციურ წვრილ ბურჟუაზიას, განსაკუთრებით გლეხობას" (ლენინი, ტ. XIV, გვ. 265).

ალექსანდრე წულუკიძის სიკვდილი

ამხანაგ სტალინის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი და ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი ორგანიზატორი ამიერ-კავკასიაში იყო ალექსანდრე (საშა) წულუკიძე (1875 — 1905 წ.წ.).

მგზნებარე და უდრეკი რევოლუციონერი ა. წულუკიძე ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, აშენებდა ლენინის პარტიას, ბოლშევიკურ პარტიას და ულმობელად იბრძოდა მუშათა კლასის ყველა მტრის წინააღმდეგ, მარქსიზმისადმი მტრულად განწყობილი ყველა მიმდინარეობის წინააღმდეგ. ა. წულუკიძე იყო თავისი დროის ერთ-ერთი განათლებული მარქსისტი, ნიჭიერი პუბლიცისტი და ბრწყინვალე პროპაგანდისტი. მძიმე ავადმყოფობა (ჭლექი) საშუალებას არ აძლევდა წულუკიძეს გაეშალა თავისი დიდი ნიჭი და ხშირად ჩამოაშორებდა სამეცნიერო და პრაქტიკულ რევოლუციურ მოღვაწეობას.

1905 წლის იანვარს წულუკიძე დააპატიმრეს და დაამწყვდიეს მეტეხის საპყრობილეში. მკაცრმა რეჟიმმა მოტეხა მისი ჯანი, მაგრამ ვერ ჩაუკლა მას სულის მხნეობა და რევოლუციური საქმის გამარჯვების რწმენა. როცა საპყრობილიდან გაანთავისუფლეს, ერთი თვის შემდეგ ა. წულუკიძემ კვლავ გატაცებით ხელი მოჰკიდა რევოლუციურ მუშაობას. რსდმპ კავკასიის კავშირის დადგენილებით, 1905 წლის მარტს ის მივლინებულ იქნა ქუთაისში პარტიული და რევოლუციური მუშაობისათვის უშუალო ხელმძღვანელობის გასაწევად დასავლეთ საქართველოში. აქ, როგორც წინათაც, ა. წულუკიძე ბოლშევიკური პარტიის საქმისა და რევოლუციის გამარჯვების გულისათვის არ ზოგავდა თავის ძალღონესა და ჯანმრთელობას. ის უდიდეს ორგანიზაციულ-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა, ხშირად გამოდიოდა მიტინგებსა და კრებებზე, ატარებდა მენშევიკებთან დისკუსიებს, სადაც ულმობლად ამხილებდა მათ როგორც ბურჟუაზიის აგენტებს.

1905 წლის 8 ივნისს ეს დაუცხრომელი რევოლუციონერი დაიღუპა ჭლექისაგან. ჯერ კიდევ ახალგაზრდა (29 წლისა იყო), ის პირდაპირ დაიწვა საბრძოლო პოსტზე. ა. წულუკიძის დასაფლავება მოხდა მის სამშობლოში, დაბა ხონში, ქუთაისიდან 28 კილომეტრის მანძილზე. მისი დასაფლავების დღეს, 1905 წლის 12 ივნისს თავი მოიყარა 10 ათასზე მეტმა რევოლუციონერმა მუშამ და გლეხმა. დასაფლავებაზე ბრწყინვალე პოლიტიკური სიტყვით გამოვიდა ამხანაგი სტალინი. მან შეაფასა პროლეტარული რევოლუციონერის მუშაობა და თავის სიტყვაში გადაშალა ამოცანები რევოლუციური ბრძოლისა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. გაზეთმა „პროლეტარიატის ბრძოლამ“ ა. წულუკიძისადმი მიძღვნილ სტატიაში შემდეგი შეფასება მისცა რევოლუციის ამ მგზნებარე მებრძოლს:

„ის იყო კავკასიის კავშირის ერთი საუკეთესო ამხანაგი-მოღვაწეთაგანი, სერიოზულად მომზადებული და ყველაზე უფრო გულმხურვალე მომხრე პარტიული „უმრავლესობისა“, მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა მდგომარეობაშია პარტიული საქმე დღეს კავკასიაში მაგრამ მაინც, მიუხედავად პარტიული კრიზისისა, მხნედ და სრული რწმენით გაიძახოდა სიკვდილის წინ: „იდეა (აზრი) მაინც გაიმარჯვებსო!“ დიახაც, „გაიმარჯვებს იდეა“, ამხანაგო-მეგობარო! და ამ გამარჯვებაში შენც არამცირედი ღვაწლი მიგიძღვის პარტიის წინაშე!.. პროლეტარები და სოფლის ღატაკნი არ დაგივიწყებენ, როგორც ერთ გულწრფელ მებრძოლთაგანს თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის.“

მასობრივი რევოლუციური მოძრაობა 1905 წლის ზაფხულის თვეებში

პარტიის III ყრილობის შემდეგ, რევოლუციური მოძრაობა საქართველოში ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ადის და ედება ახალ რაიონებს, რომელთაც მანამდე რევოლუცია არ შეხებიათ.

1905 წლის 20 ივნისს თბილისში დაიწყო გაფიცვა, რომელმაც საყოველთაო ხასიათი მიიღო. მიტინგებზე, რაც ქალაქში ყველგან ეწყობოდა, გამოქონდათ რეზოლუციები, რომლებიც მოითხოვდნენ სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევას, სიტყვის, პრესის თავისუფლებას, ქალაქიდან კაზაკების გაყვანას, სამხედრო პატრულების მოხსნას და სხვა.

ბოლშევიკები ამ დროს მასებს მოუწოდებდნენ საყოველთაო შეიარაღებისა და აჯანყებისათვის მზადებისაკენ. ეს მოწოდება მხურვალე გამოძახილს პოულობდა მუშათა და გლეხთა შორის. საქართველოს ყველა რაიონში იქმნებოდა წითელი რაზმები და მიმდინარეობდა მოსამზადებელი თვითშეიარაღება.

გორისა და დუშეთის მაზრებში გლეხთა მოძრაობის ჩასაქრობად მივლინებული გენერალი ამილახვარი მეფის ნაცვალს საიდუმლო მოხსენებაში სწერდა: „ორივე მაზრაში შექმნილია გლეხთა რაზმები, რომლებიც თავს ესხმიან მემამულეებს, ოფიცრებს და საერთოდ ყველას, ვისაც იარაღი აქვს, ართმევენ მას, ხოლო ოდნავ წინააღმდეგობის გაწევისას მათ ჰკლავენო“.

31 ივლისიდან 17 აგვისტომდე იარაღი აჰყარეს მეჯვრისხევის, ხურვალეთის, ზეგარდის, ხოვლეს, ფლავის, ერედვის, რუისის და სხვა სოფლების ყველა მემამულეს. 8 აგვისტოს იარაღის აყრის მიზნით მოახდინეს თავდასხმა კაზაკთა რაზმზე სოფელ მჭადისჯვართან. აგვისტოსვე მოხდა შეიარაღებული შეტაკება კაზაკებსა და გლეხთა რევოლუციურ რაზმებს შორის სოფელ მუხრაანის ახლო (ქართლში), სოფ. გრემთან (კახეთში) და სხვაგან.

ამავე დროს სოფელში ხდება მემამულეთა პოლიციის და ადმინისტრაციის მოხელეთა მასობრივი მკვლელობანი. თავის სიცოცხლის შესანარჩუნებლად მემამულენი გარბიან ქალაქებში პოლიციისა და კაზაკების მფარველობის ქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელისუფლება სამხედრო წესებს აცხადებს საქართველოს ყველაზე რევოლუციურ რაიონებში. იქ აგზავნის დამსჯელ რაზმებს. მათ დასახმარებლად მემამულენი ადგილობრივ ადგენენ ეგრედწოდებულ თავადაზნაურულ შავ რაზმებს. ამ რაზმების შევსება ხდება როგორც თვით თავად-აზნაურებისა, ისე დაქირავებული ავაზაკებისაგან ლეკების, ინგუშების და ჩაჩნების წრიდან. ქალაქში განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი მხეცობითა და უწესობით მსხვილი მემამულის გიორგი ამილახვარის შეიარაღებული შავი რაზმი.

აფხაზეთში, სადაც იმხანად ფართოდ ვითარდება რევოლუციური მოძრაობა, ორგანიზებულად ტარდება სასოფლო-სამეურნეო მუშათა გაფიცვა. სოფლის პროლეტარიატის მოძრაობას ხელმძღვანელობდა სოხუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. საგაფიცვო კომიტეტმა წამოაყენა სამუშაო დღის შემცირების, ხელფასის გადიდების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების და სხვა მოთხოვნები. ხოლო როცა მუშებს ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე უარი უთხრეს, მამულებში მოძრაობის ჩასაქრობად კაზაკთა ნაწილები გაგზავნეს, ხოლო გაფიცვის ხელმძღვანელი მუშები დააპატიმრეს და აფხაზეთის ფარგლებიდან გადაასახლეს. სოხუმში პროტესტის ნიშნად გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. ეს გაფიცვა შეწყდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა გადასახლებული მუშები უკან დააბრუნეს და დააკმაყოფილეს საგაფიცვო კომიტეტის მოთხოვნები.

1905 წლის აგვისტოს საქართველოში ყველგან ტარდება რევოლუციური ძალების დათვალიერება. სამეგრელოში, გურიაში და სხვა რაიონებში ჩატარდა შეიარაღებული პოლიტიკური დემონსტრაციები. თითოეულ ასეთ დემონსტრაციაში რამდენიმე ათასი კაცი მონაწილეობდა.

თუ როგორი მდგომარეობა იყო იმხანად ქუთაისის გუბერნიაში, ეს ყველაზე უკეთ შეგვიძლია დავინახოთ ადგილობრივი ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის 1905 წლის 30 აგვისტოს მოხსენებიდან.

„ქუთაისის გუბერნიაში, — სწერდა იგი, — ყველგან გაბატონებულია სრული ანარქია. მეტისმეტად მცირეა მთავრობის ჯარი. დღე-დღეზე მოსალოდნელია შეიარაღებული სახალხო აჯანყება“.

მიტინგის მხეცური დახვრეტა თბილისში 1905 წლის 29 აგვისტოს

ბოლშევიკები, რომლებიც მეთაურობდნენ რევოლუციურ მოძრაობას და მუშებსა და გლეხებს მუდამ შეიარაღებულ აჯანყებისათვის ამზადებდნენ, ამავე დროს ამხილებდნენ ცარიზმის ცდას — ხალხის მასები ჩა-

მოეშორებინა რევოლუციური ბრძოლისაგან რეფორმების დაპირებით და სხვადასხვა მანიფესტებით, მათ შორის მანიფესტით სახალხო წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ. ბოლშევიკებმა საუცხოოდ გაანეიტრალეს მასებს 1905 წლის 6 აგვისტოს გამოცხადებული მანიფესტი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ იმ კანონის მიხედვით, რომელიც შეადგინა კომისიამ მინისტრ ბულიგინის მეთაურობით (აქედან თვით სათათბიროსაც „ბულიგინის სათათბირო" ეწოდა). ბოლშევიკებმა ბულიგინის სათათბიროს „სახალხო წარმომადგენლობის კარიკატურა" უწოდეს.

სულ სხვა ტაქტიკას ატარებდნენ მაშინ მენშევიკები. ისინი ატარებდნენ რევოლუციის ჩაშლის გამცემლურ ხაზს, აგიტაციას ეწეოდნენ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღების სასარგებლოდ და დიდ იმედს ამყარებდნენ იმაზე, რომ ცარიზმი საერობო თვითმართველობას შემოიღებდა ამიერ-კავკასიაში. მენშევიკები მოუწოდებდნენ მასებს ცარიზმსა და ბურჟუაზიასთან შეთანხმებისაკენ, ურჩევდნენ მათ მონაწილეობა მიეღოთ ხელისუფლების მიერ მოწვეულ თათბირებში, მათ შორის იმ თათბირებში, რომელიც თბილისში მოეწყო კავკასიაში ერობის შემოღების საკითხზე.

მენშევიკების ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო, სხვათა შორის, ის სისხლიანი ამბავი, რომელიც დატრიალდა 1905 წლის 29 აგვისტოს თბილისში ერევნის მოედანზე (ამჟამად ლ. ბერიას მოედანი) ყოფილი ქალაქის საბჭოს კედლებში (ამჟამად თბილისის საბჭოს შენობა).

ამ დღეს საღამოს 9 საათისათვის ქალაქის საბჭოს სხდომების დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით, უმთავრესად მუშებით. ხალხის მასები მოვიდნენ საბჭოს სხდომაზე, რომ ქალაქის ხმოსნებთან ერთად განეხილათ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის და ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღების საკითხები.

თბილისის ქალაქის თავი ვერმიშევი და ხმოსნების უმრავლესობა, რომელთაც შეიტყვეს „გარეშე საზოგადოების" თავმოყრა საბჭოს სხდომების დარბაზში არ მოვიდნენ სხდომაზე. მუშების დასწრება საბჭოში მათ შეაფასეს როგორც „ქალაქის ამორჩეულ წარმომადგენელთა აბუჩად აგდება". მაშინ საბჭოში თავმოყრილებმა თავისი წრიდან აირჩიეს თავმჯდომარე და დაიწყეს მიმდინარე მომენტის და ბაქოში მომხდარი სომეხ-აზერბაიჯანელთა ხოცვა-ჟლეტის საკითხის განხილვა. ნახევარი საათის შემდეგ სხდომის დარბაზში გამოცხადდა პოლიციის ბოქაული და მოითხოვა დაუყოვნებლივ დაეხურათ კრება. კრებამ უარი სთქვა ამ მოთხოვნის შესრულებაზე. გაისმოდა შეძახილები: „ძირს პოლიცია!" და სხვ. საზოგადოების მცირე ნაწილი და ბოქაული წავიდნენ სხდომის დარბაზიდან. მაგრამ მეოთხედი საათიც არ გასულა, რომ საბჭოს დარბაზში შემოიჭრნენ კაზაკები. შენობის ყველა კარი წინდახედულად დახურეს, სინათლე ჩააქრეს. დაიწყო მხეცურად ანგარიშის გასწორება. კაზაკები 40 წუთის განმავლობაში ტყვიას ესროდნენ ხალხს. ერეკებოდნენ მას

ხმლის, კონდახის და მათრახის ცემით. ბევრი მოჰკლეს და დასჭრეს. გაისმოდა გულშემზარავი კივილი, გვიშველეთო. დაიღვარა ზღვა სისხლი. თბილისის მუშებმა ამ დროს მიიღეს ახალი სისხლიანი გაკვეთილი. ... ნი ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, რომ კარგი ორგანიზაციისა და [illegible] რაღებული ბრძოლის გარეშე ცარიზმისაგან ვერაფერს მიიღებ, რომ მენშევიკური აგიტაცია ცარიზმთან შეთანხმების სასარგებლოდ სრული გამცემლობაა.

29 აგვისტოს სისხლიანი ანგარიშის გასწორების გამო, რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია: „იღვრება სისხლი, ემზადეთ აჯანყებისათვის!" მასში ნათქვამი იყო: „იღვრება პროლეტართა სისხლი... ჩვენ მშვიდად შევიკრიბეთ ქალაქის „გამგეობაში", ხოლო მეფის მთავრობის მსახურნი მხეცურად გვესროდნენ. ჩვენ მშვიდად ვიხილავდით ჩვენს საჭიროებებს, მხეცი კაზაკები კი ნადირობდნენ ჩვენზე, ცემდნენ და ქელავდნენ ჩვენს ძმებს... ტყვიის ზუზუნმა, ქალთა ტირილმა, მომაკვდავთა წყევლამ, დაჭრილთა კვნესამ და ხარხარმა — გამარჯვებულ მტერთა ბოროტმა ხარხარმა, — ყოველივე ამან გრიგალივით გადაგვირბინა თავზე... წყევლა და სიკვდილი მეფის მთავრობას! მაგრამ ნუ კი ფიქრობს იგი გასტეხოს ჩვენი რევოლუციური სიამაყე. ჩვენი ამხანაგების სისხლი გვინერგავს გამბედაობას, ჩვენი ძმების აჩრდილი შურისძიებისაკენ მოგვიწოდებს! ჩვენ არ შეგვფერის უკან უკან მივდიოდეთ, მტრების წინაშე უკან ვიხევდეთ! სისხლით სისხლისათვის და სიკვდილით სიკვდილისათვის — აი რით უნდა ვუპასუხოთ ჩვენ! იარაღისაკენ შურის საძიებლად. გაუმარჯოს აჯანყებას! — აი ჩვენი ლოზუნგები ამხანაგო მუშებო!" (მ. — ე. — ლ. ინსტიტუტის თბილისის ფილიალი, პროკლამაციების ფონდი).

თბილისში, 29 აგვისტოს ამბების საპასუხოდ, 1-ლი სექტემბერი გამოცხადებულ იქნა სამგლოვიარო დღეთ. გარდა ამისა, მთელს ამიერკავკასიაში მოეწყო პოლიტიკური დემონსტრაციები და გაფიცვები ნიშნად პროტესტისა შეტევაზე გადასული რეაქციის წინააღმდეგ. გაფიცვა-დემონსტრაციები ჩატარებულ იქნა თბილისში, ქუთაისში, ბათომში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, ჭიათურაში და სხვაგან.

სრულიად-რუსეთის ოქტომბრის გაფიცვა

სექტემბრის თვიდან საქართველოში ყველგან ძლიერდება რევოლუციური პარტიზანული გამოსვლები. 1-ლ სექტემბერს ჭიათურის სადგურზე მუშათა შეიარაღებულმა რაზმმა განაიარაღა მატარებლის მცველები. 4 სექტემბერს სამეგრელოში, აბაშის სადგურზე შეიარაღებული გლეხები თავს დაესხნენ მატარებელს და განათავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები. 7 სექტემბერს იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით მოახდინეს თავ-

დასხმა ქუთაისის საპოლიციო სამმართველოზე. 25 სექტემბერს თბილისში ქალაქის სხვადასხვა უბნებში მოახდინეს თავდასხმები კაზაკთა პატრულებზე.

ვ. ი. ლენინი 1905 წლის ოქტომბრის დამდეგს აღნიშნავდა რუსეთში შეიარაღებული აჯანყების ზრდა აუცილებელიაო, და სწერდა: „პოლონეთმა და კავკასიამ მოგვცეს მაგალითი უკვე უფრო მაღალი ბრძოლისა, სადაც პროლეტარიატმა დაიწყო ნაწილობრივ შეიარაღებული გამოსვლა, სადაც ომი გახანგრძლივდა.“ (ლენინი, ტ. VIII, გვ. 293).

სრულიად-რუსეთის ოქტომბრის პოლიტიკურმა გაფიცვამ ამიტომ ერთსულოვანი გამოძახილი ჰპოვა რევოლუციურ საქართველოში. თბილისში მუშათა გამოსვლები დაიწყო 14 ოქტომბერს, შემდეგ იმავე დღეებში პოლიტიკური გაფიცვა მთელს საქართველოს მოედო. დაიწყო პოლიტიკური გაფიცვების გადაზრდა შეიარაღებულ ბრძოლად ცარიზმის წინააღმდეგ. იმ დღეებში შეიარაღებულმა ბრძოლამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ბათუმში, სადაც მოხდა მუშათა შეიარაღებული თავდასხმები კაზაკთა ნაწილებზე და პოლიციაზე. საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ გამოიწვია გლეხთა გამოსვლების ახალი აღმავლობა. გლეხთა ბრძოლამ იმხანად განსაკუთრებით დაძაბული ხასიათი მიიღო გურიაში.

გლეხებმა რამდენიმე ადგილას აყარეს რკინისგზის ლიანდაგი და ამრიგად შეწყვიტეს მატარებელთა მიმოსვლა ქუთაისსა და ბათომს შორის. დაბა ჩოხატაურში აჯანყებულთა რაზმმა ტყვედ ჩაიგდო პოლიციის ბოქაული და 18 სტრაჟნიკი. მთაგორიან ადგილას — ნასაკირალზე აჯანყებულთა ნაწილები თავს დაესხნენ ოზურგეთის მაზრის უფროსს ლაზარენკოს, რომელიც იქ ჩამოვიდა კაზაკების და სტრაჟნიკების რაზმის თანხლებით. რაზმის მომეტებული ნაწილი გაწყვიტეს, თვით ლაზარენკო და მასთან მყოფი კაზაკთა ოფიცერი უკვალოდ გაქრნენ.

ამის შემდეგ კავკასიის ხელისუფლებამ გადასწყვიტა გაენადგურებინა რევოლუციური გურია. იქ გაიგზავნა ძლიერი დამსჯელი რაზმი გენერალ ალიხანოვის მეთაურობით, რომელმაც იმ დროისათვის მოასწრო სამტრედიის სადგურზე ჩამოსვლა. მაგრამ საქართველოს პროლეტარიატი, რომელმაც ცარიზმის განზრახვა იცოდა, გაბედულად გამოვიდა გურიის რევოლუციონერი გლეხების დასაცავად. ამ მიზნით მთელს საქართველოში ტარდებოდა დემონსტრაციები. სხვათა შორის, მეფის ნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვთან მივიდა კახელ გლეხთა მრავალრიცხოვანი დელეგაცია და მოითხოვა დამსჯელი რაზმის გაწვევა გურიიდან. ხელისუფლება, რომელიც ჯერ კიდევ დარწმუნებული არ იყო თავისი ძალების უპირატესობაში, ამჯერად იძულებული იყო დაეთმო რევოლუციური მასებისათვის. ალიხანოვის დამსჯელი რაზმი დროებით შეაჩერეს ამიერკავკასიის რკინისგზაზე.

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტი

17 ოქტომბრის მანიფესტი ხელიდან გამოგლიჯეს ცარიზმს, რუსეთის რევოლუციურმა პროლეტარიატმა და გლეხობამ. ამ მანიფესტმა საბოლოოდ დააკმაყოფილა საქართველოს გაბატონებული კლასები. მუშათა მოძრაობის განვითარებით დამფრთხალი ნაციონალური ბურჟუაზია ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ აშკარად უთანხმდება ცარიზმს რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მენშევიკებიც თავისებურად აფასებდნენ ცარიზმის ხელიდან გამოგლეჯილ დათმობებს. ისინი სთვლიდნენ, 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემით რუსეთში კონსტიტუციური მონარქია დამკვიდრდა, ამიტომ შეიარაღებული აჯანყების საჭიროება გაქრაო. მათი აზრით, თავისუფლება ფაქტიურად უკვე მოპოვებული იყო სრულიად-რუსეთის ოქტომბრის გაფიცვით.

სრულიად სხვა თვალსაზრისზე იდგნენ ბოლშევიკები. ამხანაგ სტალინის მეთაურობით ისინი განუხრელად ატარებდნენ ეროვნულ-ერთ სწორ ლენინურ ხაზს, 17 ოქტომბრის მანიფესტს ისინი აფასებდნენ როგორც ცარიზმის მხრით დროებითს იძულებით დათმობას. ბოლშევიკებს არ ათრობდა მიღწეული გამარჯვება, ისინი მოუწოდებდნენ მასებს რევოლუციური სიფხიზლისაკენ, მანიფესტით გამოცხადებული სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტისაკენ, მუშათა და გლეხთა რევოლუციური მასობრივი ორგანიზაციების განმტკიცებისაკენ. ბოლშევიკები კვლავ გარდუვალად სთვლიდნენ საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებას როგორც ნამდვილ თავისუფლებათა მოპოების და პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის შექმნის ერთად-ერთ მტკიცე გარანტიას.

მეფის მანიფესტის გამოცხადების დღეს ამხანაგი სტალინი გამოვიდა მუშათა მიტინგზე თბილისში, ნაძალადევის რაიონში. ამხანაგი სტალინი ეუბნებოდა მუშებს: „აბა რა რევოლუცია იქნება, რომ უიარაღოდ გაიმარჯვოს? ის რა რევოლუციონერია, ვინც იტყვის: ძირს იარაღიო! ამის მთქმელი ორატორი, ალბად ტოლსტოის მიმდევარია და არა რევოლუციონერი. და ვინც უნდა იყოს ამის მთქმელი, ის რევოლუციის, თავისუფლების, ხალხის მტერია... რა გვესაჭიროება ჩვენ, რომ მართლა გავიმარჯვოთ? ამისათვის გვესაჭიროება სამი რამ... პირველი, ჩვენ გვესაჭიროება შეიარაღება, მეორე, — შეიარაღება, მესამე — კიდევ და კიდევ შეიარაღება.“

როცა 17 ოქტომბრის მანიფესტი გამოსცა, ცარიზმმა თვალთმაქცურად აღუთქვა ხალხს პოლიტიკური თავისუფლებანი, ნამდვილად კი არაფერი არსებითი რამ არ მოუცია. პირიქით, ცარიზმმა ისარგებლა დროებითი სიწყნარით და დაიწყო მზადება რევოლუციის წინააღმდეგ შესატევად. იგი ამ მიზნით ყველგან ჰქმნიდა ბანდიტურ შავრაზმულ ორგა-

ნიზაციებს: „რუსი ხალხის კავშირს“, „მთავარანგელოზ მიხეილის კავშირს“, მათი დახმარებით აწყობდა პატრიოტულ მანიფესტაციებს, ებრაელთა დარბევას და სხვ. მსგავსი შავრაზმული ორგანიზაცია, მეფის ნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის მფარველობით, მოეწყო თბილისშიაც. მან თავის თავს უწოდა „პატრიოტული საზოგადოება“. მისი სულისჩამდგმელი იყო შავრაზმელი ხუცესი გოროდცევი, წევრები — რუსთა ბნელი მასები, რომელთა შორის გაძლიერებით ავრცელებდნენ ხმას, კავკასიელებს რუსეთისაგან გამოყოფა უნდათო.

21 — 22 ოქტომბერს თბილისში „პატრიოტებმა“ მოაწყეს მანიფესტაცია. მასში მონაწილეობა მიიღეს კაზაკებმა, იუნკრებმა, სისხლის სამართლის დამნაშავეებმა. ეს მანიფესტაცია დამთავრდა დარბევით და მოქალაქეთა ცემა-ჟლეტით. ბევრი იყო მოკლული და დაჭრილი გოლოვინის პროსპექტზე და ყოფილი ვაჟთა პირველი გიმნაზიის შენობაში, სადაც კაზაკთა ტყვეისაგან თავს აფარებდნენ ქუჩაში მყოფი მოქალაქენი.

პროვოკაციულად ორგანიზებული ასეთივე მანიფესტაციები, რომლებიც დარბევით მთავრდებოდა, მოეწყო ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქებშიაც. ბაქოში, გარდა ამისა პროვოკაციულად გამოიწვიეს სომეხ-თათართა ახალი ხოცვა-ჟლეტა.

რევოლუციური მოძრაობის ზრდა არმიაში

რევოლუციის საერთო აღმავლობასთან დაკავშირებით და ბოლშევიკური მუშაობის მეოხებით, 1905 წელს საქართველოში რევოლუციური მოძრაობა მეფის ჯარებშიაც შეიჭრა.

უკვე 1905 წლის ზაფხულში ამიერ-კავკასიის მრავალ ქალაქებში არსებობდა ჯარისკაცთა კავშირი, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. ხშირდება შემთხვევები, როცა ჯარისკაცები უარს ამბობენ მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლების ჩასაქრობად წასვლაზე. ჯარისკაცები მოითხოვენ სათადარიგოდ დაითხოვონ ისინი, ვისაც სამსახურის ვადა გაუთავდა, ისინი აყენებენ ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნებს. ჯარისკაცთა მიტინგები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა თბილისში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში. ერთ-ერთი ასეთი მიტინგის შესახებ, ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“ სწერდა: „21 ნოემბერს თბილისში შეიკრიბა ჯარისკაცთა გრანდიოზული მიტინგი, რომელსაც ესწრებოდნენ თბილისის მთელი გარნიზონის წარმომადგენლები, დაახლოებით 3000 კაცი. აუწერელია ის სულიერი განწყობილება, რომელიც განიცდებოდა ამ მიტინგზე. აქ მოგვევლინა არა დაბეჩავებული ჯარისკაცი-მანქანა, არამედ ჯარისკაცი-მოქალაქე, რომელიც მზად არის იარაღით ხელში დაიცვას თავისი ადამიანური უფლებები“ („კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“, № 4, 1905 წ.).

რევოლუციური სულისკვეთება იჭრებოდა იმ სამხედრო ნაწილებშიც, რომლებიც ყველაზე საიმედოდ ითვლებოდნენ და გადმოყვანილი იყვნენ კიევის ოლქიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წლის 16 ნოემბერს ბათომის სამხედრო გუბერნატორი გენერალი ფონ-პარკაუ ატყობინებდა მეფის ნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს, რევოლუციური პროპაგანდის მეოხებით არმიაში დისციპლინა დაეცა და მასზე იმედის დამყარება შეუძლებელიაო. „საშიშროება ბათუმში, — სწერდა გენერალი ფონ-პარკაუ, — მდგომარეობს ამჟამად არა ქალაქში წესრიგისა და მყუდროების დარღვევაში, არამედ იმაში, რომ შესაძლებელია ხელთ იგდონ ციხე-სიმაგრე, იარაღი და ამოწყვიტონ უფროსები. ბათუმის ოლქის დახსნა ესოდენ მძიმე და საშიშარი მდგომარეობიდან შეუძლიან მხოლოდ უაღრესად ენერგიულ ზომებს რევოლუციური ელემენტების წინააღმდეგ, მაგრამ იმ პირობით, თუ ეს ზომები გამაგრებული იქნება ახალი, უმთავრესად კაზაკთა ჯარებით.“ (საარქივო ფონდი № 63, საქმე № 6115).

ხელისუფლება იძულებული იყო ბათუმის ნავსადგურიდან გაეგზავნა ზარბაზნიანი ნავი „დონეცი“, ვინაიდან მეზღვაურები აშკარად რევოლუციურად იყვნენ განწყობილნი. ქუთაისის, სოხუმის, თბილისის, ფოთის და სხვა გარნიზონების და ნაწილების ჯარისკაცებმა წამოაყენეს მოთხოვნები დამფუძნებელი კრების მოწვევის, ჯარისკაცობის გაუქმების და მისი სახალხო მილიციით შეცვლის, სიტყვის და კრების თავისუფლების, პოლიტიკური ამნისტიის და სხვათა შესახებ.

ჯარისკაცთა ასეთი მოთხოვნების გამო ვ. ი. ლენინი სწერდა: „რა შესანიშნავი დოკუმენტია მოთხოვნათა ეს ნუსხა! როგორ ცხადყოფს იგი, რომ მონური არმია რევოლუციურ არმიად იქცევა. და რა ძალა იქნება ისეთი, ასეთ მოთხოვნათა გავრცელებას ახლა რომ შეუშლის ხელს მთელ ფლოტსა და მთელ არმიაში?“ (ლენინი, ტ. VIII, გვ. 396).

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება

სრულიად-რუსეთის გაფიცვასთან დაკავშირებით, ორგანიზებულად და ერთსულოვნად ჩატარდა საქართველოში ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვა.

1905 წლის ნოემბრის დამლევს ბათუმში მოხდა შეიარაღებული აჯანყება. აჯანყება დაიწყო 29 ნოემბერს, ღამით. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ვაგზალი, ქალაქის საბჭოს შენობა. ქალაქის ქუჩები სწრაფად მოიფინა ბარიკადებით. საბარიკადო ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს გურიიდან და ქვემო აჭარიდან ჩამოსულმა გლეხთა წითელმა რაზმებმა.

მაგრამ ძალები უთანასწორო აღმოჩნდა. ვინაიდან ამის წინად სათადარიგოდ დათხოვნილი იყვნენ რევოლუციური პროპაგანდის გავლენის ქვეშ მყოფი ჯარისკაცები, გარნიზონი არ შეუერთდა აჯანყებას. გარდა

ამისა, ხელისუფლებამ შესძლო ართვინიდან კაზაკთა მსხვილი ნაწილების გადმოსროლა და ქალაქში საალყო წესები გამოაცხადა. შექმნილ პირობებში მუშები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ბარიკადები.

1905 წლის ნოემბერს ამხანაგ სტალინის თავმჯდომარეობით შესდგა რსდმპ კავკასიის კავშირის IV ბოლშევიკური კონფერენცია. კონფერენციამ გამოიტანა გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და ჩატარების შესახებ. ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური კავშირის ბიურო.

1905 წლის დეკემბერს რუსეთის პირველმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ თავისი განვითარების უმაღლეს ეტაპს მიაღწია. ამ დროს მოხდა გადასვლა საყოველთაო გაფიცვიდან რევოლუციის მწვერვალისაკენ — შეიარაღებული აჯანყებისაკენ. მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების საპასუხოდ თბილისში 10 დეკემბერს ღამით დაიწყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც გადაიზარდა შეიარაღებულ აჯანყებად ცარიზმის წინააღმდეგ. საგაფიცვო კომიტეტმა ხელთ იგდო ამიერ-კავკასიის რკინისგზის სამმართველოს შენობა, ტელეგრაფი და დაიწყო მატარებელთა მიმოსვლისა და ქალაქების ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება.

აჯანყებული პროლეტარიატის ხელში იყო ქალაქის მუშური რაიონი — ნაძალადევი. 22 — 23 დეკემბერს დაიწყო მუშათა შეიარაღებული ბრძოლა მეფის ჯარებთან დიდუბეში და ჯარისკაცთა ბაზარზე. რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკური კომიტეტის ხელმძღვანელობით შეიარაღებული აჯანყება მოედო აგრეთვე მთელ დასავლეთ საქართველოს.

აჯანყებულებმა დაიკავეს სურამის უღელტეხილი და დახურეს რკინისგზის გვირაბი, რათა ხელი შეეშალათ თბილისიდან ქუთაისის გუბერნიაში ჯარების მსვლელობისათვის. ყვირილაში (ზესტაფონში) და ბელაგორის (ხარაგოულის) სადგურზე მოხდა თავდასხმა ჯარებზე და განიარაღებულ იქნა ტენგინის პოლკის ასეულები. მთელ ქუთაისის გუბერნიაში იმხანად მუშაობა შეწყვიტა ყველა სახელმწიფო დაწესებულებამ. განიარაღეს პოლიცია, ჟანდარმები, სტრაჟნიკები. ზოგიერთი მათგანი მოჰკლეს. მოჰკლეს რამდენიმე მემამულე. დანარჩენი გარბოდა თავისი მამულიდან და ბედის ანაბარა სტოვებდა ქონებას. მთელი ამიერ-კავკასიის რკინისგზა საქართველოს ფარგლებში რევოლუციური კომიტეტების ხელში იყო. აჯამებდა რა 1905 წლის შეიარაღებული აჯანყების გაკვეთილებს, ვ. ი. ლენინი სწერდა: „ჩვენ გაგვისწრეს ამ მხრივ კავკასიამაც, პოლონეთმაც და ბალტიის მხარემაც, ე. ი. სწორედ ისეთმა ცენტრებმა, სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცილდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთესად არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე ძლიერ და მკაფიოდ არის გამოხატული“. (ლენინი, ტ. IX, გვ. 27).

მაგრამ მიუხედავად საქართველოს მუშათა და გლეხთა გმირული ბრძოლისა, მიუხედავად შეუსუსტებელი ხელმძღვანელობისა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის მხრით, რომელსაც სათავეში ამხანაგი სტალინი ედგა, — მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების დამარცხებამ გარდუვალად წინასწარ უნდა გადაეწყვიტა საქართველოში მიმდინარე აჯანყების ბედი. მოსკოვში გამარჯვების შემდეგ ცარიზმმა უფრო გაბედულად დაიწყო მოქმედება განაპირა მხარეებში: კავკასიაში, პოლონეთში, ბალტიის მხარეში და სხვაგან.

დაიწყო რევოლუციის განადგურება საქართველოში. თბილისში, ამიერ-კავკასიის რკინისგზაზე, მთელ დასავლეთ საქართველოში გამოაცხადეს სამხედრო წესები. თბილისის მუშური რაიონი — ნაძალადევი, მუშების სისხლით მოირწყო. გორის და დუშეთის მაზრებში გაიგზავნა დამსჯელი რაზმი გენერალ ბაუერის მეთაურობით.

დასავლეთ საქართველოში გაიგზავნა დამსჯელი რაზმი მეფის ჯალათის გენერალ ალიხანოვ-ავარსკისა, რომელიც ამავე დროს დაინიშნა ქუთაისის დროებით გენერალ-გუბერნატორად, ხოლო სამოქალაქო გუბერნატორი სტაროსელსკი თანამდებობიდან მოიხსნა და დაპატიმრებული იქნა.

ბათუმის გენერალ-გუბერნატორი ფონ-პარკაუ მოითხოვდა რევოლუციის ჩაქრობისას „არ შეჩერებულიყვნენ უალრესად გადამწყვეტი ზომების მიღების წინაშე, იმგვარი ზომების წინაშეც, რომლებიც მიიღეს ფრანგებმა პარიზის კომუნის ჩასახშობად 1871 წელს.“

ცეცხლით, სისხლით და ძალადობით აღბეჭდეს თავისი გზა საქართველოში მომქმედმა დამსჯელმა რაზმებმა. ათობით ქალაქები და სოფლები ნანგრევებად და ფერფლად აქციეს. მეფის ოპრიჩნიკები გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ხვრეტდნენ ყოველ პროლეტარებსა და გლეხს, რომელიც „საეჭვოდ“ მოეჩვენებოდათ.

ალიხანოვ-ავარსკიმ გლეხებს შემდეგი მოთხოვნები წაუყენა: „1. ყოველ სამთავრობო და საზოგადოებრივი დაწესებულების აღდგენა. სასოფლო საზოგადოებებმა თავისი დამწვარი კანცელარიები უნდა ააგონ 1906 წლის 15 თებერვლამდე, მანამდე კი კანცელარიებს მიუჩინონ დროებითი სადგომები. 2. 1-ლი თებერვლისათვის ხაზინაში წარდგენილ იქნას ამა (1906) წლის 1-ლ იანვრამდე შეუტანელი სახაზინო და საერობო ფულადი გადასახადები. 3. სხვადასხვა გარემოების დროს წართმეული მთელი იარაღისა და ვაზნების დაბრუნება. 4. სამხედრო ბეგარის უცილობლად და დაუყოვნებლივ შესრულება. 5 გაცემა მეთაურებისა და პროპაგანდისტებისა, რომლებიც აჯანყებდნენ მოსახლეობას არსებული სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ.“

გარდა ამისა, გლეხურ მოსახლეობას დაადვეს ფულადი კონტრიბუცია 500.000 მანეთის ოდენობით.

მიუხედავად ცარიზმის მიერ რევოლუციის ჩაქრობისას გამოჩენილი არაადამიანური სისასტიკისა, საქართველოს მუშებსა და გლეხებს ჯერ კიდევ დიდხანს იარაღი არ დაუყრიათ და წინააღმდეგობას უწევდნენ რეაქციის თარეშს. წითელი რაზმები ბრძოლით ნელ-ნელა უკან იხევდნენ ნაკლებ მისაწვდომ მთებსა და ტყეებში და იქიდან განაგრძობდნენ პარტიზანულ თავდასხმას ჯარებზე.

„რევოლუციასთან ბრძოლაში გამოსადეგი ჯარები,—სწერდა ამის გამო ლენინი, — ყველანი უკვე საქმეში ჩაბმულია, ხოლო კავკასიისა და ციმბირის „დამშვიდება“ ჯერ კიდევ ჭიანურდება.“ (ლენინი, ტ. IX, გვ. 6).

1905 წლის 24 დეკემბერს დააპატიმრეს სერგო ორჯონიკიძე. ამხანაგმა სერგომ თბილისში გაიარა ბოლშევიზმის სტალინური სკოლა. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ის აფხაზეთში იმყოფებოდა და იქ სათავეში ედგა რევოლუციურ ბრძოლას.

24 დეკემბერს დაბა გუდაუთის ახლო, სოფელ გომბორში, ის ხელმძღვანელობდა წითელრაზმელთა ჯგუფს, რომელიც აწარმოებდა საზღვარგარეთიდან მიღებული იარაღის კარაპიდან გადმოტვირთვას. აქ ის დააპატიმრა კაზაკთა რაზმმა. სერგო ორჯონიკიძე დაამწყვდიეს ჯერ გუდაუთის, ხოლო შემდეგ სოხუმის საპყრობილეში.

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება რუსეთში დამარცხდა. მენშევიკ პლეხანოვის საყვედურზე: „ხელი არ უნდა მოგეკიდათ იარაღისათვისო“, ლენინი, რომელიც გმობდა ასეთ შეფასებას, როგორც გამცემლურს, სწერდა: „პირიქით, საჭირო იყო უფრო გადაჭრით, ენერგიულად და შეტევითად მოგვეკიდა ხელი იარაღისათვის, საჭირო იყო განგვემარტა მასებისათვის, მარტო მშვიდობიანი გაფიცვის შეუძლებლობა და უშიშარი და დაუზოგავი შეიარაღებული ბრძოლის აუცილებლობა.“ (ლენინი, ტ. X, გვ. 50).

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებიც, რომლებიც დაუცხრომელ ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკების გამცემლურ-პორაჟენცული ტაქტიკის წინააღმდეგ, მუშებსა და გლეხებს მოუწოდებდნენ საღმრთო სიძულვილისა და ახალი ბრძოლის მზადებისაკენ. ბროშურაში „ორი შეჯახება“, რომელიც გამოსცა რსდმპ კავკასიის კავშირმა 1906 წლის იანვარში, ამხანაგი სტალინი სწერდა: „... რუსეთის პროლეტარიატი არ დამარცხებულა, მან მხოლოდ უკან დაიხია და დღეს ის სახელოვანი ბრძოლისათვის ემზადება. რუსეთის პროლეტარიატი არ დაუშვებს სისხლით შეღებილ დროშას, ის არავის დაანებებს აჯანყების ხელმძღვანელობას, ის ერთად-ერთი ღირსეული ბელადი იქნება რუსეთის რევოლუციისა“ (სტალინი, „ორი შეჯახება“, გვ. 15).

მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება XX საუკუნის დასაწყისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა მარქსისტული მეცნიერებისათვის საქართველოში

მუშათა კლასის განვითარებას საქართველოში მოჰყვა მარქსისტული საზოგადოებრივი მეცნიერების სწრაფი წარმატებანი.

მარქსის და ენგელსის გენიალური ნაშრომები — „კაპიტალი", „კომუნისტური მანიფესტი", „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა" და სხვ. საქართველოში ცნობილი ხდება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში. „კომუნისტური მანიფესტი" ქართულ ენაზე ითარგმნა 1897 წელს. 1897 — 1899 წლებში საქართველოს სოციალ-დემოკრატებისათვის უკვე ცნობილი იყო ვ. ი. ლენინის ნაშრომი: „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში."

1898 წელს თბილისის სოციალ-დემოკრატიულ წრეებში იხილავდნენ ვ. ი. ლენინის გენიალურ ნაშრომს: „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში". მალე ცნობილი ხდება ვ. ი. ლენინის სხვა კლასიკური ნაშრომებიც: „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ", „რა ვაკეთოთ?", „აგრარული საკითხი".

მას აქეთ, რაც დაიწყო საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის „ისკრის" გამოცემა, რომელმაც შეამზადა პარტიის იდეური და ორგანიზაციული შემჭიდროება, ვ. ი. ლენინის გავლენა საქართველოში უფრო მეტად გაძლიერდა და განმტკიცდა.

„ისკრის" რედაქცია უშუალო კავშირს ამყარებს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიასთან და გაზეთის ფურცლებზე ხშირად ბეჭდავს კორესპონდენციებს ამიერ-კავკასიის და საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაზე. 1901 წელს „ისკრის" რედაქციამ გამოსცა სპეციალური ბროშურა: „თბილისის მუშათა მოძრაობიდან (მუშის ნაამბობი)".

ვ. ი. ლენინის უერთგულესი მოწაფე და თანამებრძოლი ი. ბ. სტალინი ა. წულუკიძესთან, ლ. კეცხოველთან, ვ. კურნატოვსკისთან ერთად. ამიერ-კავკასიასა და საქართველოში მტკიცე საფუძველს უყრიან ლენინიზმს, ეწევიან მის პროპაგანდას და გამანადგურებელ ლახვარს სცემენ ოპორტუნიზმს.

ა. წულუკიძე იყო ერთ-ერთი რევოლუციური მწერალი-მარქსისტი. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაშრომები: „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში", „საუბარი მკითხველთან", „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან", „ჩვენი უთანხმოება", „ოცნება და სინამდვილე", „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან", „პატარა შენიშვნა დიდ კითხვაზე", „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები" და სხვ.

ლ. კეცხოველმა ამხანაგ სტალინთან ერთად დააარსა გაზეთი „ბრძოლა“, რომელსაც ისინი რედაქტორობდნენ, ლ. კეცხოველს ეკუთვნის ნაშრომი: „ასი წლის იუბილეს გამო“ და გაზეთში გამოქვეყნებული სხვა მთელი რიგი სახელმძღვანელო სტატიები.

ამხანაგი სტალინი თავის მრავალრიცხოვან შრომებსა და სტატიებში ასაბუთებდა ბოლშევიზმის პრინციპულ დებულებებს, ეწეოდა მათს პროპაგანდას, ულმობლად იბრძოდა რუსეთისა და საერთაშორისო მოძრაობაში ფესვგამდგარი ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, თავის ცნობილ ნაშრომში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, სტატიაში — „პასუხად სოციალ-დემოკრატს“ ამხანაგი სტალინი, ლენინის „რა ვაკეთოთ?“-ის საფუძველზე, ულმობელად აკრიტიკებს სტიქიურობის მენშევიკურ ოპორტუნისტულ თეორიას და უდავოდ ასაბუთებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას პროლეტარიატისათვის რევოლუციური თეორიისა და პოლიტიკური პარტიის მნიშვნელობის შესახებ. თავის შრომაში — „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“ ამხანაგი სტალინი გენიალურად ასაბუთებს რევოლუციური თეორიისა და პრაქტიკის მთლიანობას, ანვითარებს მარქსისტულ მოძღვრებას დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძვლებზე და განსაკუთრებული სიღრმით ამუშავებს საკითხებს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების და პროლეტარიატის დიქტატურის გარდაუვალობის, აგრეთვე პროლეტარული პარტიის შენების აუცილებლობის შესახებ.

1903 — 1905 წლებში ამხანაგების სტალინის, ა. წულუკიძის და ს. შაუმიანის ხელმძღვანელობით გამოდის ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე კავკასიის საკავშირო კომიტეტის ორგანო, გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“. ამავე პერიოდში ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გამოდის „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“. 1905 წლის 20 ნოემბრიდან 11 დეკემბრამდე ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით რუსულ ენაზე გამოდიოდა გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“. 1905 წლის შემდეგ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით და უახლოესი მონაწილეობით გამოდიოდა გაზეთები: „ახალი დროშა“, „დრო“, „ახალი ცხოვრება“ და სხვა.

ქართული ლიტერატურა

მუშათა მოძრაობის განვითარება და რევოლუციის ზრდა დაეტყო მხატვრულ ლიტერატურასაც.

საქართველოში გაჩნდა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის რევოლუციური სულისკვეთების გამომხატველი მწერლებისა და პოეტების მთელი ჯგუფი.

ლიტერატურაში ამ რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენლებია: ი. ევდოშვილი, ჭ. ლომთათიძე, ნ. ჩხიკვაძე, ი. ეკალაძე, გ. ქუჩიშვილი და სხვ.

იროდიონ ევდოშვილმა (1873—1915 წ. წ.) სალიტერატურო მოღვაწეობა 1893 წლიდან დაიწყო. ის 1905 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილეა. გარდაიცვალა საპყრობილეში 1915 წელს. თავის მოთხრობებში ევდოშვილი იძლეოდა ექსპლოატირებული და ჩაგრული პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის ცხოვრების მკაფიო სურათებს. ი. ევდოშვილი თავის ცოცხალ ლექსებში მუშებსა და გლეხებს რევოლუციური ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. ეს ლექსები უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. ბევრი მათგანი, მაგალითად, ლექსი — „წინ მეგობრებო!", რევოლუციურ ჰიმნებად იქცა.

ჭოლა ლომთათიძე (1878 — 1915 წ. წ.) იყო 1905 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილე. II სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი. სათათბიროს გარეკის შემდეგ მას მიუსაჯეს კატორღაში მუშაობა 5 წლით, შემდეგ მძიმე ავადმყოფობის გამო ეს განაჩენი შეუცვალეს 7 წლის პატიმრობით. გარდაიცვალა საპყრობილეში 1915 წელს. ჭ. ლომთათიძე იყო თანამიმდევარი რევოლუციონერი მწერალი, ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან მშრომელი მასების განთავისუფლებისათვის მებრძოლი. თავის ნაწარმოებთა თემად მას უმთავრესად, აღებული ჰქონდა საპყრობილე და მკითხველში თვითმპყრობელობისადმი გულისწყრომასა და სიძულვილს იწვევდა.

დიდი ენტუზიაზმით შეხვდა 1905 წლის რევოლუციას დიდი ქართველი მწერალი აკაკი წერეთელი. მან სოლიდარობა გამოუცხადა რევოლუციურ მუშათა კლასს, რომელმაც აღმართა აჯანყების დროშა.

აკაკი წერეთელმა ქართულად სთარგმნა პროლეტარული ჰიმნი „ინტერნაციონალი", დასწერა რევოლუციისადმი მიძღვნილი მთელი რიგი ლექსები: „სურვილი", „ძირს", „ხანჯალს" და სხვ. მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლისადმი თავის დამოკიდებულებას მან უძღვნა გულის სიღრმეში ჩამწვდომი შემდეგი სტრიქონები:

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!..
ვიცინი, აღარ ვტირი მე,
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე!..

ქართულ ლიტერატურაში XX საუკუნის დასაწყისში სხვა მიმართულებანი არსებობდა. მწერლები — დავით კლდიაშვილი (1862 — 1931 წ.წ.), ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი (1869 წ.), დუტუ მეგრელი და სხვ. განაგრძობდნენ 60-იანი წლების ტრადიციებს და თავიანთ ნაწარმოებებში გამოხატავდნენ თავად-აზნაურული წრის დაქვეითება-რღვევას და ახალი, ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარებას.

ნიკო ლომოური (1852 — 1915 წ. წ.), სოფრომ მგალობლიშვილი კვლავ ნაროდნიკული იდეოლოგიის ერთგულნი რჩებოდნენ.

გლეხთა ცხოვრების აღწერისას ისინი თუმცა ხედავდნენ სოფლად კლასობრივი ბრძოლის გამოვლინებას, მაგრამ ექსპლოატირებულ და ჩაგრულ გლეხობას არ მოუწოდებდნენ რევოლუციური ბრძოლისაკენ, არამედ ეძებდნენ კლასთ შერიგების გზას. მაინც ამ მწერლებს ის დამსახურება მიუძღვით, რომ ისინი სწორად ასურათებდნენ გლეხთა მძიმე ცხოვრებას სოფლის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის პირობებში.

მ. გორკი და ვ. ვ. მაიაკოვსკი და ქართველი ხალხი

ჯერ კიდევ 1891 წელს თბილისში პირველად ჩამოდის რუსეთის მომავალი დიდი პროლეტარული მწერალი ა. მ. გორკი. ის პირადად იცნობს ეგნატე ნინოშვილს და რევოლუციონერ მუშას შიო ჩიტაძეს. ა. მ. გორკი დაახლოებული იყო რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენციასთან. თბილისში ყოფნისას ა. მ. გორკიმ დასწერა თავისი პირველი ოთხრობა „მაკარ ჩუდრა", რომელიც 1892 წელს დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზში" და იმ წლებში აკრძალული პოემა „ქალწული და სიკვდილი". ა. მ. გორკი მეორეჯერ ჩამოვიდა საქართველოში 1903 წელს.

ქართველი ხალხი უდიდესი სიყვარულით ეპყრობოდა რუს მწერლებსა და პოეტებს. ქართულად ითარგმნა პუშკინის, ლერმონტოვის, ლ. ტოლსტოის, ნეკრასოვის, სალტიკოვ-შჩედრინის, ჩეხოვის და სხვათა ნაწარმოებნი. მაგრამ საქართველოში არავინ არ სარგებლობდა ისეთი სახელით და სიყვარულით, როგორც „რევოლუციის გრიგალა"—ა. მ. გორკი.

1899 წელს გაზეთ „კვალში" დაიბეჭდა „სიმღერა შევარდენზე". 1902 წელს გამოვიდა ა. მ. გორკის მოთხრობების ორი კრებული: ერთი თბილისში, მეორე ქუთაისში. შემდგომ ა. მ. გორკის თითოეული ნაწარმოები გამოქვეყნებისთანავე დაუყოვნებლივ ითარგმნებოდა ქართულად. შეურყეველი იყო მ. გორკის მეგობრობა რევოლუციურ საქართველოსთან. 1903 წელს ლადო კეცხოველის მხეცურ მკვლელობასთან დაკავშირებით გამოცემულ სოციალ-დემოკრატიულ პროკლამაციას ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა შემდეგი შესანიშნავი სიტყვები, ამოღებული „სიმღერიდან შევარდენზე" „О смелый Сокол, в борьбе с врагами истек ты кровью".

ახალგაზრდობისას საქართველოსთან მჭიდროდ დაკავშირებული იყო საბჭოთა ეპოქის საუკეთესო პოეტი ვ. ვ. მაიაკოვსკი. ვ. ვ. მაიაკოვსკი დაიბადა 1893 წელს სოფელ ბაღდათში ქუთაისის ახლო. ეროვნებით რუსს მაიაკოვსკის ტოლ-მეგობრები ქართველები ჰყავდა. ვ. ვ. მაიაკოვსკი სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში და მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ დემონსტრაციებში.

დიდ პოეტად ქცეულ ვ. ვ. მაიაკოვსკის არასოდეს არ გამოუთიშია თავისი ცხოვრება ქართველი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლისაგან რომ-

ლის წრეშიც გაატარა მან თავისი ბავშვობა. ქართველი ხალხისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში ვ. ვ. მაიაკოვსკი სწერდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„როგორც კი
დავადგი
ფეხი კავკასიას,
მყისვე მომაგონდა,
რომ მე
ქართველი ვარ“.

თეატრი და მუშათა კლუბები

რევოლუციის პერიოდში ხდება ქართული სათეატრო ხელოვნების შემდგომი განვითარება. გარდა ოპერის სახაზინო თეატრის და რუსული დრამის თეატრისა, თბილისში ქართული დრამატიული საზოგადოების ხელმძღვანელობით, ფართოდ აჩაღებს თავის მუშაობას ქართული თეატრი. იმხანად უაღრესად გაიფურჩქნა ცნობილი ქართველი მსახიობის ლადო მესხიშვილის რეჟისორული და არტისტული მოღვაწეობა. ჩნდებიან ნიჭიერ მსახიობთა ახალი კადრები: ტასო აბაშიძე, ნ. გოცირიძე, შ. დადიანი, ა. იმედაშვილი, ნ. ჩხეიძე, ა. წუწუნავა, ქორელი, ი. ზარდალიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი.

სახაზინო ოპერაში ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ 1906 წელს პირველი გამოსვლის ნება დართეს ოპერის ახალგაზრდა მსახიობს ვანო სარაჯიშვილს, რომელმაც ერთბაშად მოიპოვა წარმატება თავისი ბრწყინვალე ნიჭით, ხმით და ვოკალური ოსტატობით.

ჩნდებიან ნიჭიერი ქართველი დრამატურგები ნ. შიუკაშვილი, შ. დადიანი და სხვ., რომელთაც თეატრი გაამდიდრეს რევოლუციური და სოციალური შინაარსის პიესებით.

ქართული თეატრის ზეიმს წარმოადგენდა მ. გორკის პიესის—„ფსკერზე“ ქართულ ენაზე დადგმა. ამ პიესაში როლებს თამაშობდნენ ქართული დრამის საუკეთესო მსახიობები: ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, ა. იმედაშვილი, ნ. გოცირიძე, ვ. გუნია.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს კაპიკობით მოგროვილი სახსრებით, რკინისგზის მთავარი სახელოსნოს და თბილისის დეპოს მუშებმა შეჰქმნეს მუშათა კლუბი, რომელიც რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ გადააქცია მასობრივი რევოლუციური პროპაგანდისა და აგიტაციის ჩასატარებელ ადგილად. აქვე კლუბთან მოეწყო პირველი მუშათა ბიბლიოთეკა, რომელმაც საკმაოდ დიდი როლი ითამაშა რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდის საქმეში. კლუბთან შეიქმნა მუშათა თეატრიც, რომლის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ნიკო გოცირიძე, შალვა დადიანი და სხვ. მუშათა წრიდან გამოდიან საკუთარი დრამატურგები ტ. რამიშვილი და სხვ.

კლუბში გამართულ წარმოდგენებს და კონცერტებს იყენებდნენ არალეგალური პრესის გასავრცელებლად, მიტინგების მოსაწყობად და ა. შ.

მეფის ხელისუფლებამ დახურა კლუბი და დაანგრია შენობა. მაგრამ 1905 წელს რკინისგზელმა მუშებმა შეჰქმნეს ახალი „ნამალადევის კლუბი" სადაც ტარდებოდა გაძლიერებული რევოლუციური მუშაობა. აღდგენილი თეატრი აგრეთვე გადაიქცა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზად.

რევოლუციის პერიოდში მუშათა თეატრები შეიქმნა თბილისის სხვა მუშურ რაიონებშიაც — ვერაზე, ავლაბარში, აგრეთვე სხვა ქალაქებში— ბათუმში, ფოთში. განსაკუთრებით ფართო საქმიანობა გაშალა ჭიათურის მუშათა თეატრმა.

ნიჭიერი დრამატურგის და მსახიობის შ. დადიანის ხელმძღვანელობით შეიქმნა მოძრავი თეატრი, რომელიც წარმოდგენებს აწყობდა ხალხისთვის საქართველოს თითქმის ყველა რაიონში.

რევოლუციური ბრძოლა 1906 წელს

1905 წლის დეკემბერს. ფინეთში. ბოლშევიკების ტამერფორსის კონფერენციაზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს პირადად ლენინი და სტალინი რომელნიც მანამდე კავშირს ურთიერთშორის ანხორციელებდნენ მიმოწერით და ამხანაგების მეშვეობით. ტამერფორსის კონფერენციაზე გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, რომ აუცილებელია აღდგენილ იქნას პარტიის ერთიანობა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის შესაქმნელად. 1906 წლის აპრილს სტოკჰოლმში (შვეცია) შესდგა რსდმპ IV ყრილობა. რომელსაც გამაერთიანებელი ყრილობა ეწოდა. ამ ყრილობაზე მოხდა ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფორმალური გაერთიანება. მაგრამ მენშევიკები ყრილობის შემდეგაც სულ უფრო მეტად ააშკარავებდნენ თავიანთ ოპორტუნიზმს და მასების რევოლუციური ბრძოლისადმი ხელმძღვანელობის უნარის უქონლობას.

1906 წელს ამიერ-კავკასიაშიაც ხდება ბოლშევიკური და მენშევიკური ორგანიზაციების გაერთიანება. ამ მიზნით შეიქმნა რსდმპ გაერთიანებული თბილისის და ბაქოს კომიტეტები და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი. მაგრამ რამდენადაც მენშევიკები მუდამ ანტიპარტიულ მუშაობას ეწეოდნენ, ბოლშევიკები იძულებული იყვნენ გაეტარებინათ თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკური ხაზი. ამიტომ, რსდმპ გაერთიანებული საოლქო კომიტეტის გვერდით, ამიერ-კავკასიაში არსებობდა ბოლშევიკების ამიერ-კავკასიის საოლქო ბიურო, რომელშიაც შედიოდნენ ამხანაგები ი. სტალინი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მ. დავითაშვილი, ს. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, ვ. ნანეიშვილი და სხვ.

ბოლშევიკები განაგრძობდნენ თავისი რიგების განმტკიცებას, აბამდნენ კონსპირატიულ კავშირ-ურთიერთობას, აუმჯობესებდნენ სამხედრო-საბრძოლო ტექნიკას. მეთაურობდნენ რა მასების რევოლუციურ ბრძო-

ლას, ბოლშევიკები მუშაობას აწარმოებდნენ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა შორის. ამავე დროს ისინი განაგრძობდნენ ბრძოლას ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების, ანარქისტების და მენშევიკების წინააღმდეგ, რომელთაც არ სჯეროდათ რევოლუციის ახალი ეტაპის შესაძლებლობა და ფეხი დაუცურდათ მუშათა პარტიის ლიკვიდაციის გზისაკენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამიერ-კავკასიაში 1906 წელს რევოლუციური ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა საკმაოდ მნიშვნელოვანი მასშტაბით. საქართველოში ამ წელს რევოლუციურ მოძრაობაში ჩაებნენ ჩამორჩენილ პროფესიათა მუშებიც. საგაფიცვო მოძრაობამ განსაკუთრებული გაქანება მიიღო საპირველმაისო დღესასწაულთან დაკავშირებით. 1906 წლის მაისს, თბილისში გაფიცული იყვნენ ტრამვაის, იარალოვის ქარხნის, ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის და სხვა საწარმოთა მუშები. იმხანად ბორჯომში ჩატარდა საყოველთაო გაფიცვა. ივნისს ჭიათურაში გაიფიცნენ მუშები და სხვ.

ჯერ კიდევ 1906 წლის 17 იანვარს თბილისში რკინისგზელმა მუშამ არსენა ჯორჯიაშვილმა გასროლილი ყუმბარით მოჰკლა კავკასიის არმიის შტაბის უფროსი, კონტრრევოლუციის ერთ-ერთი მეთაური, დამსჯელი ექსპედიციების ორგანიზატორი და უშუალო ხელმძღვანელი, გენერალი გრიაზნოვი. საქართველოს სოფლებში გრძელდებოდა გლეხთა რევოლუციური გამოსვლები, მიუხედავად იმისა, რომ კაზაკები და პოლიცია სასტიკად უსწორდებოდნენ გლეხობას.

ცალკეულ შემთხვევებში, შეიარაღებული ძალის ზეგავლენით, გლეხები, მართალია, აღადგენდნენ ხოლმე სასოფლო კანცელარიების დამწვარ შენობებს და იხდიდნენ გადასახადებს, მაგრამ ყოველნაირად თავს არიდებდნენ რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელთა გაცემას და იარაღის ჩაბარებას.

1906 წელს გამოცემული ერთერთი სოციალ-დემოკრატიული პროკლამაცია ასე ახასიათებდა საქართველოს გლეხთა სულისკვეთებას: „ხალხი ანთებულია შურისძიების წყურვილით, ის აღგზნებულია სურვილით—ჩამოახრჩოს რეაქციის ლაქიები, ხალხი მოუთმენლად მოელის იმ მომენტს, როცა საჭირო რაოდენობით შეიძენს იარაღს, შესძლებს დაიძრას თვითმპყრობელობის ავაზაკთა წინააღმდეგ და მიაძახოს მათ: „გვიფრთხილდით, თავისუფლების ჯალათებო, ახლა ჩვენ გაგვითენდა, ახლა ჯერი ჩვენია“.

1906 წელს გრძელდებოდა მღელვარება ჯარის ნაწილებში. თბილისში და სხვა ქალაქებში ჯერ კიდევ ეწყობოდა ჯარისკაცთა მიტინგები, რომელთა გარეკას მხოლოდ შეიარაღებული ძალით ახერხებდნენ. განსაკუთრებით დიდი მღელვარებანი 1906 წლის თებერვალს ხდებოდა ბაშკა-დიკლიარის ათასეულში, ხოლო სექტემბერს — თბილისის პოლკში.

სამხედრო ნაწილების გამოსვლებში აქტიურ როლს თამაშობდა არტანის სარეზერვო ათასეული.

1906 წლის მარტს თბილისში აჯანყდა სამეგრელოს პოლკი. მეფეთარეობა ძლივს ჩააქრეს შეიარაღებული ძალით. ამ პოლკის 27 ჯარისკაცი 39-დასცეს სამხედრო სასამართლოს. საქმის განხილვა დანიშნული იყო 22 ივნისისათვის. ჯარისკაცებს სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა.

გასამართლების დღეს თბილისში და საქართველოს სხვა ადგილებში ჩატარდა საყოველთაო გაფიცვა. აჯანყდა ნავთლუღში დაბინავებული მე-4 სარკინიგზო ათასეული, მაგრამ მას მხარი არ დაუჭირეს ჯარის სხვა ნაწილებმა, და აჯანყება სწრაფად ჩააქრეს. მაინც 22 ივნისს თბილისი შეიარაღებულ ბანაკს წარმოადგენდა. ქუჩებში დააყენეს ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები, ჯარები მოიყვანეს სრული საომარი მზადყოფნის მდგომარეობაში. საყოველთაო გაფიცვისა და ჯარისკაცთა გამოსვლების ზეგავლენით სამხედრო სასამართლო იძულებული იყო სასჯელი შეერბილებინა სამეგრელოს პოლკის ჯარისკაცებისათვის. სასამართლოს არ გამოუტანია არც ერთი სასიკვდილო განაჩენი.

1906 წლის 8 ივლისს პეტერბურგში გარეკეს 1-ლი სახელმწიფო სათათბირო. ამ ამბავთან დაკავშირებით ამხანაგი სტალინი, მიმართავდა რა მასებს, სწერდა: „რეაქციამ სათათბირო დაითხოვა, — მაშასადამე, ჩვენი ვალია აღარ დავჯერდეთ მომავალში სათათბიროსთანა ცრუ-პარლამენტს და უფრო თავგამოდებით ვიბრძოლოთ ნამდვილი პარლამენტისთვის, დემოკრატიული რესპუბლიკისთვის. მუშებო! მჭიდროდ შემოკრბით თქვენი ორგანიზაციების გარშემო და ემზადეთ, გაძლიერებულად ემზადეთ მომავალი ბრძოლისთვის! გლეხებო! მჭიდროდ შემოკრბით მუშების გარშემო და ემზადეთ, მუშებივით ემზადეთ! სიფხიზლე და წინდახედულობა, დაუღალავი მზადება და მოფიქრებული ბრძოლა დემოკრატიული რესპუბლიკისთვის, სოციალიზმისთვის — აი რა გვინდა ჩვენ“. („ახალი ცხოვრება“ № 17, 1906 წ.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეექვსე

სტოლიპინის რეაქცია

1907 წელი საქართველოში

1907 წლის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ გრძელდებოდა საქართველოში რევოლუციური გამოსვლები. 13 ივნისს თბილისში ბოლშევიკმა რაზმელებმა კამოს (ბოლშევიკ-რაზმელის ს. ტ. პეტროსიანის პარტიული სახელი) ხელმძღვანელობით მოახდინეს 250.000 მანეთი სახაზინო ფულის განსაკუთრებით გაბედული ექსპროპრიაცია. ამ დღეს ფული გადაჰქონდათ ხაზინიდან სახელმწიფო ბანკში კაზაკთა პატრულების გაძლიერებული მცველობით. ერევნის მოედანი (ამჟამად ლ. ბერიას მოედანი) ალყაშემორტყმული იყო პოლიციელების მიერ. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკურმა ჯგუფმა, წინასწარ შემუშავებული გეგმით, მოახდინა თავდასხმა ეტლზე, რითაც მიჰქონდათ ფული, თავის მხრივ სრულიად უმსხვერპლოდ ხელთ იგდო ეს თანხა და მიიმალა. შემდეგ ეს ფული შეტანილ იქნა ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად საზღვარგარეთ იარაღის შესასყიდ ფონდში.

3 ივლისს რევოლუციონერებმა მოჰკლეს მეფის ჯალათი გენერალი ალიხანოვი.

ამხანაგ სტალინის მუშაობა ბაქოში

პარტიის V ყრილობის შემდეგ, რომელიც შესდგა ლონდონში 1907 წლის მაისს, ამხანაგი სტალინი, განაგრძობს რა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, გადადის ბაქოში, სადაც სათავეში უდგება რსდმპ ბაქოს კომიტეტს.

„1907—1912 წწ. პერიოდში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გაიზარდა, განმტკიცდა და გამოიწრთო მენშევიკებთან ბრძოლაში ბაქოს ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც თავის მხარეზე გადაიყვანა სოციალ-დემოკრატ მუშების უდიდესი უმრავლესობა. ყველა მუშური რაიონი ბოლშევიკების ხელში იყო (ბალახანა, სურახანა, რომანი, ბიბი-ეიბათი, შავი ქალაქი, თეთრი ქალაქი, რკინისგზა და სხვ.).

ბაქო ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბურჯად, ლენინური პარტიის შეურყეველ ციხე-სიმაგრედ გადაიქცა." (ლ. ბერია, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 135 — 136).

1907 წელს ბაქო მთელი ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ცენტრად გადაიქცა. გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი აქ 1906 წლის 32,9 პროცენტიდან 85,5 პროცენტამდე გაიზარდა 1907 წელს. 1907 წლის შემოდგომაზე ბაქოში რამდენიმე კვირის განმავლობაში აშკარად არსებობდა და თავის სხდომებზე იკრიბებოდა მუშური პარლამენტი. კაპიტალისტები იძულებული იყვნენ ეცნოთ „ნავთის მრეწველობის მუშათა კავშირი" და მასთან მოლაპარაკება ეწარმოებინათ კოლექტიური ხელშეკრულების დადების შესახებ. იმხანად ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბაქოს პროლეტარიატის მიერ წარმოებული ბრძოლის შესახებ ვ. ი. ლენინი სწერდა: „1908 წ. გაფიცულთა მნიშვნელოვანი რიცხვის მიხედვით ყველა გუბერნიის სათავეში დგას ბაქოს გუბერნია 47 ათასი გაფიცულით. მასობრივი პოლიტიკური გაფიცვის უკანასკნელი მოგიკანები!" (ლენინი, ტ. XV, გვ. 37).

ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება სტოლიპინის რეაქციის წლებში

მას შემდეგ, რაც ცარიზმმა 1907 წლის 3 ივნისს გარეკა II სახელმწიფო სათათბირო და შესცვალა ძირითადი სახელმწიფო კანონები სახალხო წარმომადგენლობაზე (ეგრეთწოდებული სამი ივნისის სახელმწიფო გადატრიალება, რომლის სულისჩამდგმელი იყო მინისტრი სტოლიპინი), რუსეთში დადგა „სტოლიპინის" რეაქციის მძიმე და ბნელი წლები.

ამ წლებში მეფის სატრაპმა, მეფის ნაცვალმა კავკასიაში ვორონცოვ-დაშკოვმა საბოლოოდ აიხადა „ლიბერალიზმის" ნიღაბი და დაიწყო რევოლუციონერ მუშებთან და გლეხებთან სისხლით ანგარიშის გასწორება.

პროლეტარიატის მასობრივ ორგანიზაციებს ულმობელად არბევდნენ. ზედი-ზედ ხურავდნენ მუშურ გაზეთებს. ყოველნაირად ავიწროებდნენ რევოლუციის პერიოდში შექმნილ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებს. ჯერ კიდევ 1907 წელს ბევრ საშუალო სასწავლებელში დახურეს უფროსი კლასები, ამ კლასების მოწაფეებს ითხოვდნენ სხვა სკოლებში შესვლის უფლების მიუნიჭებლად. ადმინისტრატიული წესით გადასახლებულ რევოლუციონერთა რიცხვი 1906 წელს 1525 კაცამდე აღწევდა. 1907 წელს ამ რიცხვმა გადააჭარბა 3.700 კაცს.

1908 წლის მეორე ნახევრამდე სამხედრო-საველე სასამართლოზე გადაცემული იყო 192 კაცი. მათ შორის სიკვდილით დასაჯეს 73 კაცი, კატორღა მიუსაჯეს 62 კაცს. სამხედრო-საველე სასამართლოები 1911 წლამდე განაგრძობდნენ მუშაობას და სასტიკი განაჩენები გამოჰქონდათ

1905 — 1907 წ. წ. რევოლუციის მონაწილეთათვის. ასე, მაგალითად, 1911 წლის 14 ნოემბერს ქუთაისში სიკვდილით დასაჯეს დასავლეთ საქართველოში მომხდარი შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელთა ჯგუფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1907 წელს მეფის მთავრობამ დაქირავებულ პირებს საზიზღრად მოაკვლევინა დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე, როცა ის თბილისიდან შინ, საგურამოში მიემგზავრებოდა. დაქირავებული მკვლელის ხელით დაიღუპა პოპულარული სახალხო პოეტი და მწერალი, საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მედროშე.

საქართველოს ყველა რაიონში უამრავი ხალხი დააპატიმრეს. დაპატიმრებისას და საპყრობილეში ყოფნისას ყველა მათ სასტიკად აწამებდნენ. საპყრობილეები პატიმრებით გაიჭედა. ასე, მაგალითად, სოხუმის საპყრობილეში, რომელიც განკუთვნილი იყო 30 პატიმრისათვის, 1907 წლის ივნისში პატიმართა რიცხვი 225 კაცამდე აღწევდა. საპყრობილეში ისეთი სივიწროვე იყო, რომ ღამე მწოლიარედ ძილი შეეძლო პატიმართა მხოლოდ ერთ მესამედს, დანარჩენებს უნდა სძინებოდათ მსხდომიარედ ან ზეზეურად, კედელზე მიყრდნობით. საპყრობილეში მძინვარებდა ტიფი, ლაზარეთში თითო საწოლზე მოთავსებული იყო ორ-ორი პატიმარი, ხოლო ავადმყოფთა ერთი ნაწილი პირდაპირ იატაკზე იწვა.

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ 1907 წლის 3 ივნისს გამოცემული კანონის თანახმად მუშებისა და გლეხების წარმომადგენელთა რიცხვი უფრო მეტად შემცირდა. ამ კანონის მიხედვით არჩეული III სახელმწიფო სათათბირო თითქმის მთლიანად მემამულურ-ბურჟუაზიული იყო. ამ სათათბიროში საქართველოდან გასაგზავნი დეპუტატების რიცხვი შემცირდა, ნაცვლად შვიდ-შვიდი დეპუტატისა, რომლებიც I და II სათათბიროში გაიგზავნა, III სათათბიროში საქართველოდან არჩეულ იქნა მხოლოდ სამი დეპუტატი.

კაპიტალის შემოტევა და მუშათა კლასის მდგომარეობა

„სტოლიპინის" რეაქციის გამარჯვებასთან დაკავშირებით საქართველოს ბურჟუაზიამ გამოიყენა შექმნილი სიტუაცია და ცარიზმის პირდაპირი დახმარებით დაიწყო გაძლიერებული შეტევა პროლეტარიატზე. ის ცდილობდა პროლეტარიატისთვის წაერთმია 1905 წლის ყველა მონაპოვარი. მრეწველები ცდილობდნენ დაებრუნებიათ მუშებისათვის შრომის ისეთი პირობები, როგორიც არსებობდა საწარმოებში რევოლუციამდე. 1905 წელს მოპოვებული პოლიტიკური თავისუფლებანი მთავრობამ მოსპო. მეწარმეებმა 10-12 საათამდე გაადიდეს სამუშაო დღე ყველა საწარმოში. მუშების მატერიალური მდგომარეობა ერთბაშად მკვეთრად გაუარესდა, განსაკუთრებით საერთო სიძვირის ზრდასა და ხელფასის შემცირებასთან დაკავშირებით.

მეწარმეებმა აღადგინეს რევოლუციამდელი მძარცველური ჯარიმების სისტემა, ისინი ითხოვდნენ მუშებს ოდნავი საბაბით, ამასთან მოწინავე და შეგნებული მუშები შეჰქონდათ „შავ სიებში“, რომელთა შეხედვით ერთი საწარმოდან დათხოვნილი სამუშაოს ვერ მიიღებდა მეორე საწარმოში.

საქართველოში 1905 წლის რევოლუციაში ავანგარდულ როლს თამაშობდნენ რკინიგზელი მუშები, ამიტომ გასაგებია, რომ რეაქციის წლებში ცარიზმი განსაკუთრებული ძალით ეძგერა რკინიგზელებს, მოწინავე და შეგნებული რკინიგზელები დააპატიმრეს და სასტიკად დასაჯეს. დათხოვნილ რკინიგზელებს საფუძვლიანი პოლიციური გაცხრილვის შემდეგ, სცვლიდნენ უფრო კეთილსაიმედო პირებით მუშათა ჩამორჩენილი ფენებიდან. ამიერ-კავკასიის რკინიგზა დაუქვემდებარეს განსაკუთრებულ გენერალ-გუბერნატორს, რკინიგზის რაიონში მოქმედებდა ომიანობის დროის კანონები.

რათა საბოლოოდ ჩაეხშოთ მუშათა მოძრაობა, მეწარმენი და საწარმოთა მფლობელები ერთიანდებოდნენ კავშირებში და ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ მუშების წინააღმდეგ. მუშათა გაფიცვის საპასუხოდ ისინი არ ჩერდებოდნენ საწარმოს დახურვის წინაშეც. ასე მოიქცნენ კაპიტალისტები ბათუმში, სადაც 1906 წელს დაიხურა ისეთი მსხვილი საწარმონი, როგორიც იყო როტშილდის და მანთაშევის ქარხნები. ასეთი მკაცრი ზომების შედეგად და მუშათა მასობრივი დათხოვნის შემდეგ ბათუმში 1910 წელს სამრეწველო მუშათა რიცხვი თითქმის ერთი-ორად შემცირდა (5142-დან 2730-მდე).

1905 წლის შემდეგ საქართველოს მრეწველობა საერთოდ კრიზისსა და შეფერხებას განიცდიდა. ოფიციალური არასრული სტატისტიკური ცნობებით, საწარმოთა რიცხვი შემცირდა თითქმის სანახევროდ, ხოლო მუშათა რიცხვი რამდენადმე სჭარბობდა 18 ათას კაცს. რევოლუციის შემდეგ საქართველოს მრეწველობა რომ კრიზისს განიცდიდა, ამას სხვა ცნობებიც მოწმობენ. 1906 წელს, მაგალითად, ამოიღეს 836 ათასი ტონა შავი ქვა, 1908 წელს კი მხოლოდ 180 ათასი ტონა. შემცირდა ქვანახშირის ამოღებაც ტყიბულში. 1900 — 1913 წლების მანძილზე ქვანახშირის საშუალო წლიური ამოღება იქ 61,6 ათას ტონას არ აღემატებოდა, 1914 — 1917 წლებში კი დაეცა 53,3 ათას ტონამდე.

სოფლის მდგომარეობა

სტოლიპინის რეაქციამ განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოუტანა საქართველოს სოფლებს. ცარიზმმა უარი სთქვა გაეტარებინა აქ გლეხთა საკითხში ის შეკვეცილი რეფორმებიც, რომლებიც დაპირებული ჰქონდათ 1905 წელს, გადაიდვა აგრეთვე კავკასიაში საერობო რეფორმის გატარებაც იმ საბაბით, რომ ამან ცალკეულ ეროვნებებს შეიძლება რუსეთიდან გამოყოფის მისწრაფება გაუძლიეროსო. ამიერ-კავკასიაზე არ გავ-

რცელებულა აგრეთვე „სტოლიპინის“ აგრარული რეფორმა და შეღავათები გლეხებისათვის გადაცემული მიწების გამოსასყიდი თანხის გადახდაში. 1905 წლის 3 ნოემბრის მანიფესტით, 1907 წლის იანვრიდან [illegible] ტრალური რუსეთის გლეხები (ყოფ. საბატონო, საუფლისწულო [illegible] ხელმწიფო გლეხები) განთავისუფლებულ იქნენ საგლეხო რეფორმის შემდეგ მათთვის გამოყოფილი მიწების გამოსასყიდი თანხის შემდგომ გადახდისაგან.

საქართველოში სოფლად კვლავ გაბატონებული იყო ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა, რომელიც გლეხს გაჭირვებაში აგდებდა და ატიალებდა. სოფლად, გარდა ამისა აღადგინეს ყველა რევოლუციამდელი წესი, რაც გლეხებს მძიმე ტვირთად აწვებოდა. ხელისუფლების, ეგზეკუციებისა და თავიანთი შეიარაღებული რაზმების დახმარებით მემამულენი აწდევინებდნენ გლეხებს არა მარტო ჩვეულებრივ ბეგარას, არამედ რევოლუციის წლებში გადაუხდელი ბეგრის ნარჩენსაც. გლეხებს ავალდებულებდნენ გადაეხადათ მემამულეთათვის 1903 — 1905 წლებში გაკაფული ტყის და დამწვარ ნაგებობათა საფასური და სხვ. სოფლად არა თუ აღმოიფხვრა უღრმესი წინააღმდეგობანი, არამედ ისინი უფრო მეტად გამწვავდა. მიმდინარეობდა სოფლის კლასობრივი დიფერენციაციის შემდგომი პროცესი და მასთან ერთად რთულდებოდა და იზრდებოდა კლასობრივი ბრძოლა.

საქართველოს კოლონიზაცია

რეაქციის წლებში ცარიზმი აძლიერებს საქართველოს კოლონიზაციას. ვორონცოვ-დაშკოვი, რომელიც რუსების ახალშენებს აწყობდა და მათ საუკეთესო მიწებს აძლევდა, უტიფრად სწერდა „ნიჭიერი და მყარი რუსი მოსახლეობის მიერ დაკავებული თვითეული ფართობი მხარეში რუსული სახელმწიფო საქმის საკოლონიზაციო დასაყრდენს წარმოადგენდაო“.

1908 — 1912 წლების პერიოდში მთავრობამ შესაძლოდ სცნო გადმოესახლებინა მარტო საქართველოში, სადაც თავისუფალი საადგილ-მამულო ფონდი მეტისმეტად მცირე იყო, 3312 სული მამრობითი სქესისა, ხოლო 1913 წლის 1-ლი იანვრისათვის ახალ მოსახლეთათვის განემზადებინა აქ კიდევ 8 ათას ჰექტარამდე საუკეთესო მიწა.

ასეთი პოლიტიკის შედეგად, ქვეყნის უკანასკნელ საადგილ-მამულო მარაგს რუს გადმოსახლებულთ აძლევდნენ, საქართველოს გლეხებს წლითი-წლობით სულ უფრო მეტი სიმწვავით უნდა განეცადათ მიწის ნაკლებობა. რათა თავი დაეღწიათ მიწის სივიწროვისათვის, რაც გლეხებს ამშევდა, მათ ზოგიერთ რაიონში სხვა არაფერი რჩებოდათ, რომ დაეგდოთ მშობლიური მხარე და თავშესაფარი და ადგილ-მამული ეძებნათ ამიერ-კავკასიის ფარგლებს გარეშე. ასე, მაგალითად, მარტო 1912 წელს რაჭიდან ყოფილ თერგის ოლქში გადასახლდა 302 გლეხის ოჯახი,

რათა უფრო მეტად განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში და აქ, რუსეთთან მიმოსვლის მხრივ, უფრო უზრუნველყოფილი პლაცდარმი ჰქონოდა თურქეთის წინააღმდეგ მიმართული დაპყრობითი ომისათვის, რასაც ცარიზმი უკვე იმხანად მიზნად ისახავდა, მთავრობამ დაიწყო შავი ზღვის სანაპირო რკინიგზის მშენებლობა. ამავე დროს წინასწარ გადაწყვეტილი იყო კავკასიის ქედზე საუღელტეხილო რკინიგზის გაყვანის საკითხი. „რა დიდად საძნელოც არ უნდა იყოს ეს საქმე,— სწერდა მინისტრი კრივოშეინი მეფისათვის წარდგენილ მოხსენებაში,— საუღელტეხილო გზა აუცილებლად უნდა იქნას გაყვანილი: მხოლოდ იგი ფოლადის საიმედო ლაკარტივით საბოლოოდ მიაბამს ამიერ-კავკასიას შიდა რუსეთს“.

ბოლშევიკების გმირული ბრძოლა

1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ გააძლიერა რევოლუციური პროლეტარიატისაგან მისი დროებითი თანამგზავრების ჩამოშორება. ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების ნაციონალისტურმა პარტიამ უკუაგდო სოციალისტური ფრაზეოლოგია და ხელი აიღო ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე. მან თავისი საქმიანობა შემოფარგლა მხოლოდ კულტურტრეგერული მუშაობით. ასევე სამარცხვინოდ და გამცემლურად უარყვეს რევოლუცია ქართველმა მენშევიკებმა. ისინი დაადგნენ არალეგალური პროლეტარული პარტიის ლიკვიდაციისა და რევოლუციურ პროგრამაზე ხელის აღების გზას.

მენშევიკები წინადადებას აძლევდნენ მუშათა კლასს ხელი აეღო რევოლუციურ გამოსვლებზე, დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნაზე. ისინი წინადადებას აძლევდნენ პროლეტარიატს კავშირი შეეკრა ბურჟუაზიასთან და მისი ხელმძღვანელობით, სახელმწიფო სათათბიროს მეშვეობით, განემტკიცებინა ცარიზმის მიერ ბოძებული შეკვეცილი კონსტიტუცია და თანდათანობით გაეფართოებინა სახალხო წარმომადგენლების უფლებანი.

აფასებდა რა გამცემლურ პოზიციას ქართველი მენშევიკებისას, რომელთაც ამ მხრივ რუს ლიკვიდატორთა უკიდურესი მემარჯვენე ფრთა ეკავათ, ამხანაგი სტალინი სწერდა თავის ცნობილ „წერილში კავკასიიდან“: „...თბილისელი მენშევიკების „ახალი“ ტაქტიკა წარმოადგენს რევოლუციის მიერ დადასტურებული პარტიული ტაქტიკის ლიკვიდაციას, ლიკვიდაციას, რომელიც მოითხოვს პროლეტარიატის გადაქცევას ზომიერი კადეტური ბურჟუაზიის მაჩანჩალად“.

„სტოლიპინის“ რეაქციის დროს შექმნილ უკიდურესად მძიმე პირობებში მხოლოდ ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკები, ამხანაგ სტალინის მეთაურობით, იცავდნენ ლენინურ სტრატეგიას და ტაქტიკას. ისინი გმირულად განაგრძობდნენ ბრძოლას ცარიზმის დამხობისა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალის-

ტურ რევოლუციად მისი გადაზრდისათვის. ბოლშევიკები ულმობელად ამხილებდნენ მენშევიკების და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების გამცემლურ ტაქტიკას. ისინი ახამებდნენ ლეგალურ და არალეგალურ მუშაობას, დაულალავ პროპაგანდას ეწეოდნენ მუშებში, გლეხებში და არმიაში, რაზმავდნენ მასებს და ამზადებდნენ მათ თვითმპყრობელურ წყობილებაზე ახალი იერიშის მისატანად. რეაქციის პერიოდში ამხანაგი სტალინი არაერთხელ დაუპატიმრებიათ და გადაუსახლებიათ ციმბირში, მაგრამ ყოველთვის გამოიპარებოდა ხოლმე და ბრუნდებოდა ამიერ-კავკასიაში პარტიული და რევოლუციური მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

1911 წლის ზაფხულში ამხანაგმა სტალინმა სერგო ორჯონიკიძესთან ერთად, ლენინის დავალებით, დიდი მუშაობა ჩაატარა ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკების პრაღის კონფერენციის მოსაწვევად. თბილისელმა ბოლშევიკებმა გამოუშვეს ამხანაგ სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაცია, რომელშიაც განსაკუთრებული სიცხადით მოცემული იყო დაწყებული რევლუციური აღმავლობის შეფასება, აღნიშნული იყო ლიკვიდატორთა განადგურებისა და არალეგალური მუშათა პარტიის განმტკიცების ამოცანები. პროკლამაცია თავდებოდა შემდეგი გენიალური პროგნოზით: „საშინელი რეაქციის შავი სისხლიანი ღრუბლები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაზე ჩამოწვა, უკვე იფანტება და მათ ხალხის გულისწყრომისა და აღშფოთების ჭექა-ქუხილის მომასწავებელი ღრუბლები სცვლიან. ჩვენი ცხოვრების შავ ფონს ელვა ჰკვეთს და შორს უკვე მოსჩანს ციალი, ახლოვდება ქარიშხალი, რომელიც დედამიწის პირიდან აღგვის ძალადობისა და ჩაგვრის საუკუნოებრივ ბურჯს — ჯალათი მეფის, ხალხის მკვლელის, რუსეთის თვითმპყრობელის ნიკოლოზ-ნადევარას ტახტს“.

1912 წლის აპრილს ამხანაგი სტალინი კვლავ დააპატიმრეს და გადაასახლეს ნარიმის მხარეში. ის ერთხელ კიდევ გამოიპარა და დაბრუნდა სამუშაოდ პეტერბურგში, მაგრამ 1913 წლის მარტს დააპატიმრეს და ისევ გადაასახლეს, ამ ჯერად მიყრუებულ ტურუხანის მხარეში, საიდანაც ის გაანთავისუფლა უკვე 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ.

როგორც დანარჩენ რუსეთშიაც, მუშათა მოძრაობის აღმავლობას საქართველოში დასაბამი მისცა ცარიზმის სისხლიანმა ბოროტმოქმედებამ 1912 წლის აპრილს, როცა ციმბირში, ლენის ოქროს სარეწაოებზე მოხდა რამდენიმე ასეული გაფიცული მუშის დახვრეტა. ამ ამბავთან დაკავშირებით პოლიტიკური გაფიცვების ტალღამ მოიცვა მთელი საქართველო.

1913 წლის გაზაფხულზე ჭიათურის შავი ქვის სარეწაოებზე ტარდება გაფიცვა, რომელიც ყველაზე დიდი იყო 1905 წლის შემდეგ. გაფიცულებმა მიაღწიეს ხელფასის გადიდებას და შრომის პირობების ერთგვარ გაუმჯობესებას. იმავე წელს, საფაბრიკო ინსპექციის ცნობებით, სამი თვის

მანძილზე (ოქტომბერ-დეკემბერი) ბათუმში წარმატებით ჩატარდა გაფიცვები მთელ რიგ საწარმოებში (ბერგმანის და კარპინსკის საღებავთა ქარხანაში, არზანიტიდის ყუთ-თუნუქის და ჩამომსხმელ ქარხანაში, და ყველა ხუთივე ლითოგრაფიაში). აფასებდა რა რუსეთში ამ პერიოდის მანძილზე მომხდარ გაფიცვებს, ამხანაგი სტალინი შემდეგ სწერდა: „ეს იყო დაწყებული მძლავრი მოძრაობის პირველი მერცხლები“.

გლეხთა დროებითი ვალდებულების ლიკვიდაცია

1905 წელს, რევოლუციის აღმავლობის პერიოდში, კავკასიის ხელისუფლება იძულებული იყო სასწრაფოდ დაეყენებია საკითხი ამიერ-კავკასიაში გლეხთა დროებითი ვალდებულების ლიკვიდაციისა და მათთვის გამოყოფილი მიწების ხაზინის ხარჯზე გამოსყიდვის შესახებ. მაგრამ როცა რეაქციამ გაიმარჯვა, მეფის მთავრობამ, მემამულეთა გულისათვის, დღის წესრიგიდან მოხსნა საკითხი ფეოდალურ-ბატონყმური გარდმონაშთების მოსპობისა და წინათ განზრახულ საფუძვლებზე, შეიმუშავეს დროებითი ვალდებულების ლიკვიდაციის ახალი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მიწების გამოსყიდვას არა ხაზინის, არამედ გლეხების ხარჯზე. საბოლოო სახით ეს პროექტი განსახილველად წარედგინა III სახელმწიფო სათათბიროს მხოლოდ 1911 წელს და გატარებული იქნა საკანონმდებლო ინსტანციებში მხოლოდ 1912 წლის 20 დეკემბერს. ამ კანონის მიხედვით ამიერ-კავკასიაზე გაავრცელეს რუსეთში ჯერ კიდევ 1881 წელს გატარებული დებულება ყველა დროებით ვალდებული გლეხის სავალდებულო გამოსყიდვაზე გადაყვანის შესახებ.

თუმცა, თვით ხელისუფალთა აღიარებით, საქართველოს გლეხებმა ბეგარის ყოველწლიური შეტანით უკვე გადაუხადეს მემამულეებს მიწის ღირებულების ანგარიშში 400 მანეთზე მეტი თითო ჰექტარში (ნაცვლად 31 მანეთისა), მაგრამ მათ კვლავ დააკისრეს აუტანელი ტვირთი — 5.894.000 მანეთის გადახდა იმ ერთადერთი შეღავათით, რომ ამ ფულის გადახდა გაუნაწილეს 56 წლის ვადით. მაგრამ 1912 წლის კანონის გამოცემის შემდეგაც დროებითი ვალდებულების ურთიერთობა საქართველოში ფაქტიურად კვლავ გრძელდებოდა. მიწის გამოსყიდვის აქტების შედგენას ისე აჭიანურებდნენ, რომ 1917 წლის 1-ლი იანვრისათვის, ე. ი. კანონის გამოცემიდან ოთხი წლის შემდეგ, საბოლოოდ გაფორმებული იყო ამ აქტების ნახევარზე ნაკლები და გლეხთა 55 პროცენტი ამიერ-კავკასიაში კვლავ მემამულეთაგან დამოკიდებული რჩებოდა. გარდა ამისა, საქართველოში 1912 წელს ირიცხებოდა კიდევ 6.260 მეკომური ხიზანი, რომელთა საადგილმამულო და უფლებრივი მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო. 1912 წლის კანონი სრულებით არ შეხებია გლეხთა ამ კატეგორიას, და მხოლოდ 1917 წელს, რევოლუციის შემდეგ, ისინი რევოლუციური გზით ამსხვრევენ მემამულეთაგან დამოკიდებულების ჯაჭვს, რაც მათ ბორკავდა საუკუნეთა განმავლობაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეშვიდე

საქართველო მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში

სამეურნეო რღვევა

1914 წლის ივლისში დაიწყო მსოფლიო იმპერიალისტური ომი მსოფლიოს და გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის. ამ ომს აწარმოებდნენ ევროპის უმთავრესი იმპერიალისტური ქვეყნები: — ინგლისი, საფრანგეთი, მეფის რუსეთი ერთი მხრით, მეორე მხრით კი გერმანია და ავსტრია-უნგრეთი, რომელთაც მალე შეუერთდა თურქეთი (შემდგომ ამ ომში ჩაბმული იქნენ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები, აგრეთვე იაპონია და ამერიკის შეერთებული შტატები).

ომში თურქეთის მონაწილეობას გერმანიის მხარეზე ის შედეგი მოჰყვა, რომ ამიერ-კავკასია 1914 წლის შემოდგომიდანვე ფრონტისპირა ზოლად იქცა. ეს გარემოება აორკეცებდა ომთან დაკავშირებულ ტვირთს, რომლის ზიდვა მოუხდა ამიერ-კავკასიის მოსახლეობას, და აჩქარებდა ამ მხარეში დაწყებული სამეურნეო რღვევის პროცესს.

ომის მეოხებით შეფერხდა საქართველოს მრეწველობის უმთავრესი დარგების მუშაობა, მნიშვნელოვნად შემცირდა წარმოება. შავი ქვის მოპოვება, რომელიც უმთავრესად ექსპორტისათვის იყო განკუთვნილი, 1913 წლის 97,9 ათასი ტონიდან დაეცა 26,2 ტონამდე 1916 წელს. ამ პერიოდის მანძილზე მუშათა რიცხვი შავი ქვის მრეწველობაში შემცირდა 3,5 ათასი კაციდან 985 კაცამდე.

ომის შედეგად დაზარალდა მსუბუქი მრეწველობაც. აბრეშუმსახვევმა მრეწველობამ, რომელმაც 1913 წელს 3 ათას ტონამდე პარკი გადაამუშავა, 1915 წელს ეს წარმოება თითქმის ერთი-სამად შეამცირა. საქართველოში თითქმის ყველგან დაიხურა ღვინო-კონიაკის ქარხნები. მუშათა საერთო რიცხვი მრეწველობაში (რკინისგზელთა ჩაუთვლელად) 1915 წელს შემცირდა 12.512 კაცამდე (კლება 1913 წელთან შედარებით უდრის 58 პროცენტს).

დარდანელის დაკეტვის შემდეგ მკვეთრად შემცირდა მთელი საზღვარგარეთული ვაჭრობა. გარდა ჭიათურის შავი ქვისა, საქართველოს საზღვარგარეთ გაჰქონდა სიმინდი, თამბაქო, მატყლი, აბრეშუმის პარკი, ხე-ტყის

მასალა და სხვ. ომის გამოცხადების შემდეგ საქართველოს ტვირთბრუნვა 86 პროცენტით დაეცა.

რკინიგზა ომის პერიოდში უმთავრესად ფრონტს ემსახურებოდა. რკინიგზის ტრანსპორტი ომის დროს თვიდან თვემდე სულ უფრო მეტად იშლებოდა, ამცირებდა მოხმარების საგნების გადაზიდვას. მალე ქალაქებისათვის სასურსათო პროდუქტების მოწოდებას თავი ვერ გაართვა რკინიგზის ტრანსპორტმა და ქალაქების სურსათით მომარაგება კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობას განიცდიდნენ საქართველოს სოფლები. საქართველოს ნახევრად ბატონყმური, ჩამორჩენილი და დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობა, გაჭიანურებული იმპერიალისტური ომისა და საერთო რღვევის გავლენით, განსაკუთრებული სიძლიერით განიცდიდა ომის სიმძიმეს. სამხედრო-სათადარიგოთა განუწყვეტელმა მობილიზაციამ სოფელს წაართვა მისი მოსახლეობის ყველაზე შრომისუნარიანი ნაწილი. ამას უნდა დავუმატოთ გლეხთა ცხენების და მუშა საქონლის განუწყვეტელი რეკვიზიცია, მათ მიერ ხორცის, ფურაჟის და სხვ. სავალდებულო მოწოდება დამზადების მტკიცე ფასებში, რაც გლეხებს საბოლოოდ ატიალებდა. მუშა-ხელისა და მუშა საქონლის უყოლობით ნათესების ფართობი საქართველოს ცალკეულ რაიონებში, 1914 წელთან შედარებით, 75 პროცენტით შემცირდა.

1915 წელს გურიის სოფლის შესახებ ერთ-ერთი კორესპონდენტი შემდეგს სწერდა: „გურიას დამშევა მოელის. არც ერთ გლეხს არ მოეპოება სიმინდის საკმაო მარაგი ყანების დასათესად. არ არის საჭირო მუშახელიც: დარჩნენ მხოლოდ მოზარდნი, მოხუცები და ქალები. სავალალო სურათს წარმოადგენს ახლა გურული გლეხის ცხოვრება. ასეთი ეკონომიური კრიზისი გურულებს არ ახსოვთ.“

ომმა ძლიერ დააჩქარა რევოლუცია მეფის რუსეთში. მუშები და თანდათანობით გაღატაკებული გლეხთა მასები, რომელთაც აწვებოდა ცარიზმის მიერ ატეხილი მძარცველური იმპერიალისტური ომის მთელი ტვირთი, სულ უფრო მეტად რევოლუციონერდებოდნენ. 1915—1916 წლებში ჩვენს ქვეყანაში მწიფდებოდა ნამდვილი რევოლუციური სიტუაცია.

პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლა

1914 წელს, ომის გამოცხადების შემდეგ, მუშათა მოძრაობა საქართველოში, ისე როგორც მთელს რუსეთში, პირველ ხანებში რამდენადმე მინელდა, მაგრამ სამეურნეო რღვევისა და გაჭიანურებული ომის დღითიდღე ზრდადი სიმძიმის ზეგავლენით, სწრაფად იზრდება მასების უკმაყოფილება. უკვე 1915 წლიდან იწყება პროლეტარიატის გარევოლუციონერების პროცესი. იმხანად თბილისში გაფიცული იყვნენ ადელხანოვის, ბოზარჯიანცის, ალიხანოვის, თაიროვის, ტოლეს და სხვათა ფაბრიკა-

ქარხნების მუშები. ტყიბულში გაიფიცნენ ქვანახშირის მაღაროთა მუშები.

1916 წელს უფრო მეტად ფართოვდება საგაფიცვო ბრძოლა. ბაკურიანში გაიფიცნენ ტრამვაის, თამბაქოს ფაბრიკების, ტყავის ქარხნების მუშები და სხვ., გაფიცული იყვნენ აგრეთვე ჭიათურის, ტყიბულის, ფოთის, ბათუმის, სამტრედიის მუშები და სხვ.

მიუხედავად ომიანობის დროის რეჟიმისა და სასტიკი რეპრესიების საშიშროებისა, რკინიგზელი მუშები აყენებენ ცალკეულ ეკონომიურ მოთხოვნებს. 1915—1916 წლებში გახშირებული გაფიცვები ძირითადად ეკონომიურ ხასიათს ატარებდნენ, მაგრამ ისინი გამარევოლუციონერებელ გავლენას ახდენდნენ მუშათა მასებზე. გაფიცვები რაზმავდნენ მუშებს, აძლიერებდნენ მათს პოლიტიკურ აქტიურობას და აშკარად გადაიზრდებოდნენ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ცარიზმის მხრით ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლად.

პროლეტარიატის საგაფიცვო მოძრაობის საპასუხოდ ცარიზმი და ბურჟუაზია აძლიერებდნენ რეპრესიებს. გაფიცვის მონაწილეებს ასახლებდნენ ამიერ-კავკასიის ფარგლებიდან ან ფრონტზე აგზავნიდნენ. ბურჟუაზია ცდილობდა თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინა მუშათა ერთი, ჩამორჩენილი ნაწილის ობორონცული სულისკვეთება. პრესის ორგანოებში და ყოველგვარი სხვა საშუალებით იგი პროპაგანდას ეწეოდა. ომის დროს გაფიცვები დაუშვებელიაო, და ცდილობდა მუშები ჩაება არმიის მომარაგების მიზნით 1915 წელს შექმნილ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში. მაგრამ ბოლშევიკების მიერ ფართოდ გაშლილი აგიტაციის გავლენით ბურჟუაზიამ ამ საქმეში სერიოზული წარმატება ვერ მოიპოვა, მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკებმა განსაკუთრებული ხალისით ხელი ჩასჭიდეს ბურჟუაზიის იდეას სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებისა და მათში ეგრეთწოდებული „მუშათა ჯგუფების“ შექმნის შესახებ.

რევოლუციური სულისკვეთების ზრდა სოფლად და არმიაში

ქალაქებში და მუშათა ცენტრებში რევოლუციის ზრდის გავლენა მალე დაეტყო საქართველოს სოფლებსაც, ცარიზმის პოლიტიკა, რომელმაც ამიერ-კავკასიის სოფელს შეუნარჩუნა ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთები, გლეხთა სრული დამოკიდებულება მემამულეებისა და ომიანობის წლებში ძლიერ გამდიდრებული თანასოფლელების — კულაკებისა და მევახშეებისაგან, საბოლოოდ აჩანაგებდა საქართველოს წვრილ და უწვრილეს გლეხურ მეურნეობას. გლეხთა მასებში იზრდებოდა ომისა და მთავრობის საწინააღმდეგო სულისკვეთება. „გურულ გლეხებში, — სწერდა, მაგალითად, ქუთაისის გუბერნატორი, — მღელვარება დაიწყო. ისინი უარს ამბობენ მემამულეთა მიწების დამუშავებაზე, ყოველდღე აწყობენ არალეგალურ მიტინგებს, ხოლო აგიტატორები აგიტაციის საშუალებით

ალელვებენ და ამხედრებენ მცხოვრებთ მთავრობისა და არსებული წყობილების წინააღმდეგ". (საარქივო ფონდი, № 66, საქმე № 2748).

კიდევ უფრო სწრაფად რევოლუციონერდებოდა მეფის არმია, რომელშიაც 1916 წელს კავკასიის ფრონტზე ირიცხებოდა 737 ათას კაცამდე. ჯარისკაცთა მასების გარევოლუციონერებას ბევრად ხელს უწყობდა დიდი დანაკლისი ბრძოლებში, არმიის ცუდი მომარაგება და განსაკუთრებული სიძნელეები, რომელთა გადალახვა უხდებოდათ ჯარებს თურქეთის ფრონტზე მიმდინარე ომის უკიდურესად მძიმე პირობებში. არსებული ოფიციალური ცნობებით, არმიის დანაკლისი მოკლულთა და დაჭრილთა სახით მარტო 1916 წელს 83 ათას კაცს შეადგენდა. ჯარისკაცთა შორის მძვინვარებდა ტროპიკული მალარია, ტიფი და სხვა სნეულებანი, რაც მრავალი ათასი ადამიანის სიცოცხლეს იწირავდა. გაჭიანურებული ომისა და თურქეთის ფრონტის განსაკუთრებით მძიმე პირობების შედეგად ჯარისკაცთა მასებში იზრდებოდა გაბოროტება, რომელიც აქტიურ გამოსვლებში გადადიოდა. ჯარისკაცები მასობრივად გამორბოდნენ, უარს ამბობდნენ შეტევაზე, თვითონ თავისთავს აყენებდნენ ტყვიით ჭრილობას, რომ ჰოსპიტალში მოხვედრილიყვნენ ან სამსახურიდან დაეთხოვათ. ამავე დროს გაძლიერდა ანტაგონიზმი ოფიცრობასა და ჯარისკაცთა მასებს შორის. გახშირდა ოფიცერთა მკვლელობა თავისივე ჯარისკაცების მიერ როგორც შურისძიება არაადამიანური მოპყრობისათვის. არმიის გარევოლუციონერების საქმეში დიდი როლი ითამაშეს მობილიზებულმა მუშებმა, რომელნიც ჯარისკაცთა შორის აგიტაციას ეწეოდნენ ომის წინააღმდეგ და ახალი რევოლუციისათვის. უკვე 1915 წლის ნოემბერს ბათუმში მოხდა პლასტუნთა მე-18 პოლკის გამოსვლა. იმავე წელს მოხდა მღელვარებანი ახულგინის ქვეითა პოლკში, რომელიც დაბინავებული იყო ყაგიზმანში, ერევანში მყოფ მე-114 ქვეითა ათასეულში და სათადარიგო ჯარისკაცთა შორის ახალ-სენაკში (ამჟამად ქალაქი ცხაკაია). კავკასიის არმიაში რევოლუციური სულისკვეთების ზრდას მოწმობს ისიც, რომ 1916 წელს ამიერ-კავკასიის ქალაქებში დაბინავებული სამხედრო ნაწილები ყველგან უარს ამბობდნენ ჩაეჭროთ სასურსათო არეულობანი, რაც იმხანად ხდებოდა ქალაქებში სურსათის მარაგის ნაკლებობის ნიადაგზე.

აჯანყება აჭარაში 1914 წელს

მალე თურქეთის ფრონტზე საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ, აჭარაში დაიწყო სტიქიური აჯანყება ცარიზმის წინააღმდეგ. ეს აჯანყება იყო პირდაპირი შედეგი მეფის მთავრობის მხრით აჭარის მშრომელი მასების კოლონიური ჩაგვრისა და მათი ექსპლოატაციისა მოსახლეობის შეძლებული კლასების მიერ. აჯანყების უშუალო საბაბი იყო აჭარიდან მეფის ჯარების პანიკური უკანდახევა 1914 წლის ნოემბერს თურქეთის სამხედრო ნაწილების უეცარი შემოტევის შემდეგ. უკანდახეული ჯა-

რები ყოველგვარი საბაბის გარეშე ველურ ძალადობას სჩადიოდნენ აჭარლების მიმართ, ჰბუგავდნენ და სძარცვავდნენ აჭარის სოფლებს, არ იდებდნენ არც მოხუცებს, არც ქალებს, არც ბავშვებს.

აჯანყება ძალიან სწრაფად ჩააქრეს. ცარიზმი განსაკუთრებული სიმკაცრით გაუსწორდა აჭარლებს. აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა იძულებული იყო თურქეთში გადახვეწილიყო და ბედის ანაბარა მიეტოვებინა თავისი ქონება.

თუ როგორ აიკლეს აჭარა აჯანყების შემდეგ, სჩანს იქიდან, რომ ერთ-ერთი მისი რაიონის მარტო 15 სოფელში 337 სახლიდან გადასწვეს 220 სახლი (65 პროცენტი). ბათუმში, ოლქის სასოფლო-სამეურნეო თათბირის სხდომაზე 1916 წლის მარტში გამოირკვა, რომ ამ წლისათვის, წინა წელთან შედარებით, ნათესების ფართობი აჭარაში შემცირდა 50 — 60 პროცენტით. ამ ქვეყანაში დარჩენილი მოსახლეობის დიდი ნაწილი სრულიად გატიალებული იყო. მას არ ჰყავდა მუშა საქონელი, არ ჰქონდა არც ინვენტარი, არც სათესლე მასალა.

ნაციონალური ბურჟუაზია და მემამულენი ომიანობის წლებში

„რუსეთის ბურჟუაზია იმედოვნებდა ომის დაწყებით გამოესწორებინა თავისი საქმეები: დაეპყრო ახალი ბაზრები, გამდიდრებულიყო სამხედრო შეკვეთებითა და სხვადასხვა საგნების მიწოდებით და ამავე დროს ჩაეხშო რევოლუციური მოძრაობა ომიანობის ვითარების გამოყენებით". („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", გვ. 197). ასე ვარაუდობდა ამიერკავკასიის ნაციონალური ბურჟუაზიაც.

საქართველოს ნაციონალური ბურჟუაზია და მემამულენი, რომელნიც ითვალისწინებდნენ შემდგომ კოლონიურ დაპყრობათა და თავისი გამდიდრების პერსპექტივას სრული მოწონებით შეხვდნენ მეფის მანიფესტს ომის შესახებ. თბილისის ქალაქის საბჭომ 1914 წლის 20 ივლისის სხდომაზე დაადგინა: უქვეშევრდომილესი დეპეშა გაეგზავნა მეფისათვის, ომის საჭიროებისათვის გაეღო 25 ათასი მანეთი და მოწოდებით მიემართა ტრამვაის გაფიცული მუშებისათვის „შეეწყვიტათ გაფიცვა სამშობლოსათვის ამ მძიმე წუთში". თბილისის და ქუთაისის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოებმა მეფეს მიმართეს უქვეშევრდომილესი დეპეშებით და განცხადებით, მზადა ვართ სამშობლოს საკურთხეველზე ყოველგვარი მსხვერპლი მივიტანოთო. საქართველოს ნაციონალური ბურჟუაზია ომის დაწყებისთანავე აქტიურ მონაწილეობას იღებს ომის მსხვერპლთა დამხმარე და თავდაცვითს ორგანიზაციებში. ის აწყობს საკვებ პუნქტებს, წითელი ჯვრის რაზმებს, შედის ერობათა და ქალაქთა სრულიად-რუსეთის კავშირებში, სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში და ა. შ.

ბურჟუაზიის აქტიური მონაწილეობა ქვეყნის თავდაცვის მოწყობაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცარიზმმა ფრონტებზე მთელი რიგი სამხედრო მარცხი განიცადა, ბუნებრივად აძლიერებდა მის გავლენას სახელმწიფოს შიგნით. ბურჟუაზია ამას ითვალისწინებს და ცარიზმისგან თანდათან მოითხოვს თავისუფლებათა გაფართოებას ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში. ის უკვე არ სჯერდება მხოლოდ არმიის მომარაგებაში მონაწილეობის მიღებას, არამედ ლამობს ხელთ იგდოს მთელი სასურსათო საქმე, სახელმწიფო სათათბიროში აყენებს საკითხს სათათბიროს წინაშე პასუხისმგებელი სამინისტროს შექმნის შესახებ და ა. შ.

უზარმაზარი სამხედრო მოგებით და თავაწყვეტილი სპეკულაციით უზომოდ გამდიდრებული ადგილობრივი სომეხი ბურჟუაზია განსაკუთრებული თავგამოდებით ფიცულობდა ტახტისა და სამშობლოს ერთგულებას. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია — დაშნაკცუტუნი იმპერიალისტური ომის პერიოდში ასრულებდა სომეხი ბურჟუაზიის მებრძოლი ავანგარდისა და ცარიზმის დამჭაშის როლს. სომეხი ბურჟუაზია და პარტია დაშნაკცუტუნი ყოველმხრივ ეხმარობდნენ ცარიზმს ახალ კოლონიურ დაპყრობათა საქმეში და დაჟინებით ავრცელებდნენ იდეას, რომ აუცილებელია თურქეთის სომეხთა განთავისუფლება და დიდი სომხეთის შექმნა მეფის რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. ჯერ კიდევ 1915 წლის დასაწყისში დაიწყო ეგრედწოდებულ სომეხ მოხალისეთა რაზმების შედგენა. ამ რაზმებში, სხვათა შორის, გაძლიერებით აგროვებდნენ თურქეთის ქვეშევრდომ სომხებს.

ცარიზმისადმი თავისი მლიქვნელობით და თურქეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში აქტიური მონაწილეობით სომეხი ბურჟუაზია, ბუნებრივია, ერთი მხრივ თავის კუთრ წონას ზრდიდა უმაღლესი სამხედრო სარდლობის წინაშე, რომელსაც თავისი მდგომარეობით წარმოადგენდა მეფის ნაცვალი კავკასიაში. მეორე მხრივ სომეხი ბურჟუაზიის პროვოკაციული პოლიტიკას თურქეთის სომეხი მოსახლეობის მიმართ თავის ბუნებრივ შედეგად მოჰყვა თურქეთის ვილაიეთებში მცხოვრებ სომეხთა თითქმის საყოველთაო მხეცური ამოწყვეტა. თურქეთის მთავრობა მათ ბრალს სდებდა ღალატში. თურქეთის სომეხთა შორის დაიწყო მასობრივი ლტოლვილობა. ლტოლვილთა მნიშვნელოვანი ნაწილი ბინავდებოდა ამიერ-კავკასიაში და ამით ომის პერიოდში უფრო მეტად ზრდიდა მხარის გასაჭირს სურსათის მხრივ.

ქართველი თავად-აზნაურობა, აზერბეიჯანელი ბეგები და ხანების გვარეულობათა ჩამომავალნი, რომელნიც წინათ პირველი ლაქიების როლს თამაშობდნენ, ვერ შეურიგდებოდნენ მეფის ნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის დროს სომეხი, ბურჟუაზიის გავლენას, რაც განსაკუთრებით იზრდებოდა ომის პერიოდში. მათ ურთიერთშორის შეკრეს ბლოკი და ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების დახმარებით ცდილობდნენ ქართველ და აზერბეიჯანელი ხალხთა მასები აემხედრებინათ სო-

მეხი ხალხის წინააღმდეგ, აღენთოთ მისდამი ღვარძლი და მძულვარება. როცა ნათლად გამოირკვა გერმანიის ფრონტზე რუსების არმიის მიერ განცდილ დამარცხებათა შედეგები და თვალსაჩინო გახდა რევოლუციური ზრდა რუსეთში, საქართველოს ნაციონალურ ბურჟუაზიაში და [illegible] ლეთა შორის წარმოიშვა შიში თავიანთ ბედ-იღბლისათვის, ცარიზმით უკმაყოფილება და სეპარატისტული სულისკვეთებაც კი. საქართველოში. ნაციონალისტური ინტელიგენციის ზოგიერთ წრეში, გაჩნდნენ გერმანია-თურქეთის ორიენტაციის მომხრენი. ცარიზმმა გაითვალისწინა ეს გარემოება და ბურჟუაზიის სიმპატიის შესანარჩუნებლად დაიწყო მასთან ლაციცის პოლიტიკის წარმოება, აღუთქვამდა რას მას ომის დამთავრების შემდეგ ზოგიერთი პოლიტიკური უფლების „ბოძებას“ და ადგილობრივ მართვა-გამგეობაში ჩაბმას.

1915 წელს სამსახურიდან დათხოვნილი ვორონცოვ-დაშკოვის ადგილზე მეფის ნაცვლად კავკასიაში დაინიშნა მეფის ბიძა. მანამდე ყოფილი მთავარსარდალი დასავლეთ ფრონტზე, ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რომანოვი. თბილისში ჩამოსვლისთანავე მან საჭიროდ სცნო ბურჟუაზიისათვის აღეთქვა ამიერ-კავკასიაში საერობო თვითმართველობის შემოღების საკითხის შესწავლა. 1916 წლის აპრილს თბილისში მოწვეულ იქნა სპეციალური თათბირი ამიერ-კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების საკითხზე. დაიწყო კანონპროექტის შემუშავება. თუმცა ბურჟუაზია და თავად-აზნაურობა თანხმდებოდნენ ყოველგვარ შეკვეცილ რეფორმაზე, ოღონდ შენარჩუნებული ყოფილიყო მათი პრივილეგიები, მაგრამ ამიერ-კავკასია ცარიზმის დროს მაინც ვერ მოესწრო საერობო რეფორმის განხორციელებას.

ბილშევიკების რევოლუციური მუშაობა ომის წლებში

ომის დროს ქართველი მენშევიკები გახდნენ ომის მომხრენი. აღმოჩნდნენ პროლეტარიატის მოღალატენი და მოუწოდებდნენ ხალხს ამ ომში მხარი დაეჭირათ მეფის მთავრობისათვის. ახასიათებდა რა სოციალ-შოვინისტების პოზიციას, ვ. ი. ლენინი სწერდა: „ნაშა ზარია“, პლეხანოვი, ალექსინსკი, კავკასიელი სოციალ-დემოკრატების ბელადი ანი (ნ. ჟორდანია) აშკარა სოციალ-შოვინისტებად ხდებიან და გერმანიის დამარცხების საჭიროებას ჰქადაგებენ“ (ლენინი, ტ. XVIII, გვ. 265).

მენშევიკები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ თავდაცვითი ორგანიზაციების მუშაობაში. ქართველი მენშევიკები გამოდიოდნენ გაფიცვების წინააღმდეგ, აგიტაციას ეწეოდნენ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მუშების მონაწილეობის სასარგებლოდ. იცავდნენ რა იმპერიალისტურ ლოზუნგს — „ომი საბოლოო გამარჯვებამდე“, ისინი ეხმარებოდნენ კავკასიის ხელისუფლებას დეზერტირების წინააღმდეგ ბრძოლაში, აჭარის აჯანყების ჩაქრობაში, ეგრეთწოდებული „მშიერთა ბუნტე-

ბის“ დამშვიდებაში. რევოლუციის მიმართ თავისი გამცემლური და მოღალატურ საქმიანობით მენშევიკებმა ცარიზმის სრული მოწონება დაიმსახურეს. კავკასიაში მეფის ნაცვლის თანაშემწე პეტერსონი, ომის დროს ქართველი მენშევიკების შესახებ სწერდა: „ამჟამად [illegible] არ არის საჭირო, რომ ამ პარტიის წევრთა წინააღმდეგ მიღებული იქნას რაიმე რეპრესიული ზომები“. (საარქივო ფონდი № 65, საქმე №2748). ლენინ-სტალინის ბოლშევიკური პარტია იყო ერთად-ერთი, ვინც თანმიმდევრობით რევოლუციურ-ინტერნაციონალისტური პოზიციიდან აწარმოებდა ბრძოლას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

იმ დროს, როცა მენშევიკებმა უარჰყვეს რევოლუცია, შოვინისტურ-ობორონცული პოზიცია დაიკავეს, ცარიზმს უთანხმდებოდნენ და „სამოქალაქო ზავის“ შენარჩუნების აუცილებლობას ჰქადაგებდნენ, ბოლშევიკები ატარებდნენ „იმპერიალისტურ ომში საკუთარი მთავრობის დამარცხებისა“ და „იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის“ პოლიტიკას. ამ ლოზუნგთან მჭიდროდ დაკავშირებული იყო ბოლშევიკური ლოზუნგი მტრული არმიების ჯარისკაცთა დაძმობილებისა, რომელიც ამტკიცებდა მშრომელთა ინტერნაციონალური ერთობის შეგნებას, არყევდა იმპერიალისტური არმიების ძალას და ხელ-ფეხს უხსნიდა სტიქიურ ლტოლვას ზავისაკენ.

1915 წელს ლენინმა, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა რუსეთი, დაასაბუთა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა.

ტურუხანსკის მხარეში გადასახლებული ამხანაგი სტალინი განაგრძობდა სოციალ-შოვინისტთა მხილებას და ომზე ლენინურ შეხედულებათა პროპაგანდას. ესალმებოდა რა ბოლშევიკების ჯგუფთან ერთად ჟურნალ „ვოპროსი სტრახოვანიას“ გამოსვლას, ამხანაგი სტალინი სწერდა: „ვოპროსი სტრახოვანია“ მთელ ძალღონეს მოახმარს ბატონ პოტრესოვების, ლევიცკების და პლეხანოვების უაღრესად გამხრწნელი, ანტიპროლეტარული და საერთაშორისო სოლიდარობის პრინციპების სრულიად საწინააღმდეგო ქადაგებისაგან ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის იდეური დაზღვევის საქმეს“ („პროლეტარსკაია რევოლუცია“ № 7, 1936 წ.).

იმპერიალისტური ომის წინა წლებში ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკებმა ცარიზმის მხრით ყველაზე მეტი რეპრესია განიცადეს. 1914 წლის აპრილში დააპატიმრეს თბილისის კომიტეტის თითქმის მთელი შემადგენლობა. მიუხედავად განსაკუთრებული სიძნელეებისა, პრესის უქონლობისა, მუშათა ორგანიზაციების დარბევისა, მობილიზაციით მოწინავე და შეგნებული მუშების ფრონტზე გაგზავნისა, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ენერგიულად იბრძოდნენ ომზე ლენინურ-სტალინური შეხედულებისათვის, იბრძოდნენ სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგ და იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის.

ომის დროს ამიერ-კავკასიის ქალაქებში ყველაზე ძლიერი ბოლშევიკური ორგანიზაციები იყო: ბაქოს, თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის, ბათუმის ორგანიზაციები, სოფლად კი—გურიის ორგანიზაცია. ქალაქ ბაქოში ბოლშევიკურ ორგანიზაციას სათავეში ედგა ს. შაუმიანი. თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციას 1914 წლის ივნისიდან დაპატიმრებამდე (1915 წლის 5 მაისი) მეთაურობდა ა. ჯაფარიძე. ბოლშევიკების თბილისის ორგანიზაციამ მოახერხა არალეგალური სტამბის მოწყობა. აქ იბეჭდებოდა უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტები, საპირველმაისო პროკლამაციები, ციმერვალდის კონფერენციის მემარცხენე ჯგუფის მანიფესტი და რეზოლუციები და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციურ მოძრაობაში ოდნავი მონაწილეობისათვის სამხედრო გასამართლება და დახვრეტა ემუქრებოდათ, ბოლშევიკები მუდამ მშრომელ მასებთან იყვნენ და სათავეში ედგნენ რევოლუციის მზარდ აღმავლობას. პროლეტარიატის სტიქიურად მზარდი ეკონომიური ბრძოლა ბოლშევიკებს გადაჰყავდათ შეგნებული პოლიტიკური ბრძოლის რელსებზე. ისინი დაუცხრომელ მუშაობას ეწეოდნენ მუშათა შორის ფაბრიკა-ქარხნებში, მონაწილეობას იღებდნენ პროფკავშირებში, კოოპერაციაში, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში, პროპაგანდასა და აგიტაციას ეწეოდნენ ბოლშევიკური ლოზუნგებისათვის.

1915 და 1916 წლებში ბოლშევიკებმა ამიერ-კავკასიის მთელ რიგ ქალაქებში ჩაატარეს მუშათა არალეგალური კრებები, სადაც გამოდიოდნენ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობის წინააღმდეგ, სათადარიგო ჯარისკაცთა გაწვევის ბოიკოტის სასარგებლოდ და მუშათა მასებს მოუწოდებდნენ დაეწყოთ მზადება შეიარაღებული ბრძოლისათვის თვითმპყრობელობის, მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ.

ბოლშევიკები დაუღალავ მუშაობას ეწეოდნენ ჯარისკაცთა შორის. 1916 წელს ტრაპიზონში „ბარათოვის" გვარით წითელ ჯვარში მუშაობდა ა. ჯაფარიძე. მან მოაგვარა კავშირი თურქეთის ფრონტზე მყოფ სამხედრო ნაწილებთან. ირანში რუსეთის ჯარის ნაწილებში, რომელთაც ეკავათ პროვინციები—ხოი, დილმანი, შერეიხანი, ურმია,—არსებობდა ბოლშევიკური პარტიული უჯრედები, კავშირი ჰქონდათ გაბმული ბოლშევიკების თბილისის ორგანიზაციასთან, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა ფრონტის ყველა უჯრედს და აწვდიდა მათ ლიტერატურას. ბოლშევიკთა კავკასიის ბიურო ბეჭდავდა და ჯარისკაცთა შორის ავრცელებდა სპეციალურ პროკლამაციებსა და მოწოდებებს. ბათუმში ბოლშევიკები მუშაობას ეწეოდნენ ნაპირზე გამოშვებულ მეზღვაურთა შორის.

ომიანობის წლებში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები კვლავ უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ ნაციონალურ საკითხს. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებისათვის ძირითად სახელმძღვანელოს ნაციონალურ საკითხში წარმოადგენდა პარტიის პროგრამა, ლენინის „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე" და ამხანაგ სტალინის კლასიკური ნაშრომი „მარ-

ქსიზმი და ნაციონალური საკითხი", რომლებიც 1913 წელს დაირეკდა. რსდმპ კავკასიის ორგანიზაციების თათბირმა 1915 წელს სპეციალური რეზოლუცია გამოიტანა ნაციონალურ საკითხზე. თათბირმა გადაჭრით უარყო ავტონომიისა, რომელიც, თუ კი ის განხორციელდებოდა სრულიად გათიშავდა ერთმანეთისაგან სხვადასხვა ერების პროლეტარებს და ამით განამტკიცებდა ცარიზმისა და ბურჟუაზიის ბატონობას. თათბირი იცავდა ერთა თვითგამორკვევის უფლების (თვით გამოყოფამდე) ლენინურ-სტალინურ პოზიციას. „მთელი მუშათა კლასისა და მთელი დემოკრატიის ძალღონე, განურჩევლად ეროვნებისა, — ნათქვამი იყო რეზოლუციის დასკვნით ნაწილში, — უნდა მოხმარდეს ამჟამად მორიგი საყოველთაო-სახალხო ლოზუნგის განხორციელებას — მეფის მონარქიის დამხობას რუსეთში."

ომიანობის წლებში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები იცავდნენ ლენინურ-სტალინურ ხაზსს, იდგნენ ინტერნაციონალისტურ-რევოლუციურ პოზიციაზე და შეურიგებელ თანამიმდევრულ ბრძოლას ეწეოდნენ სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ, ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის.

1917 წლის წინ ამიერ-კავკასიაში, როგორც დანარჩენ რუსეთშიაც, შეიქმნა ისეთი რევოლუციური სიტუაცია, რომელიც ნამდვილ რევოლუციაში უნდა გადაზრდილიყო. მშრომელი მასები მტკიცედ დარწმუნდნენ, რომ აუტანელი მდგომარეობისათვის თავის დაღწევა შესაძლებელია მხოლოდ თვითმპყრობელური წყობილების დამხობის გზით. რევოლუციურ მოძრაობას ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით წინ უძღოდა მუშათა კლასი — რუსეთის გმირული პროლეტარიატის ერთ-ერთი რაზმი.

განათლება და კულტურა საქართველოში რევოლუციის წინ (1907 — 1917 წ. წ.)

1905—1907 წ. წ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ და იმპერიალისტური ომის წლებში ცარიზმის რეაქციულმა პოლიტიკამ განსაკუთრებით თავი იჩინა განათლების დარგში.

1908 წელს კავკასიაში მთლიანად სახალხო განათლების საქმეზე გამოყოფილი იყო საერობო ხარჯთაღრიცხვის სულ 6 პროცენტი. მთელი სასკოლო ბიუჯეტი საშუალოდ თითო მცხოვრებზე 80 კაპიკს შეადგენდა. კერძოდ, დაწყებითი განათლების ხაზით ხაზინა თითო მცხოვრებზე წელიწადში სულ 7 კაპიკს ხარჯავდა. ამაზე ზედგამოჭრილია რუსული ანდაზა ჯარისკაცის ძველებურ უფლებაზე: „По три денежки в день — куда хочешь туда день" („დღეში სამ-სამი ბისტი—რაც გინდოდეს, ის უყავი").

სავალალო მდგომარეობაში იყო სასკოლო სადგომები, მათი მოწყობილობა. სახალხო მასწავლებლები ნივთიერად და სულიერად დაბეჩავებუ-

ლი იყვნენ. მათ ხელფასად საგლახაო გროშებს აძლევდნენ. ჯამაგირის გაცემა ხდებოდა არაწესიერად, ზოგჯერ 6 — 7 თვის დაგვიანებით, რის გამო მასწავლებლები კლანჭებში უვარდებოდნენ ადგილობრივ მეკახ-შეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცარიზმი სდევნიდა დედა-ენას, ატარებდა სკოლების რუსიფიკაციას. დაწყებით სკოლაშიაც კი სწავლება რუსულ ენაზე სწარმოებდა. ობსკურანტიზმის ამ პოლიტიკამ უაღრესად სავალალო შედეგი მოიტანა. „ამიერ-კავკასიის სახალხო სკოლა, — ძალაუნებურად აღნიშნავდა თვით მეფის ხელისუფლება, — არ იძლევა არც საერთო განვითარებას, არც რუსული ენის ხეირიან ცოდნას, არც წერა-კითხვის ცოდნას დედა-ენაზე. ამიტომ მოსახლეობა მას უსარგებლოდ და საზიანოდაც კი სთვლის, ვინაიდან ბავშვებს შინაური სამუშაოსაგან აშორებს და ისინი ამიტომ სოფლის მეურნეობის გაძღოლას არ ეჩვევიან“. (ვორონცოვ-დაშკოვი. „მოხსენება კავკასიის მხარის მართვა-გამგეობის შესახებ“. ს.-პეტერბურგი 1907 წ., გვ. 104).

1905 წლის რევოლუციის ზეგავლენით ცარიზმი, თანახმად 1905 წლის 16 ივნისის კანონისა, იძულებული იყო დედა-ენაზე სწავლების ნება დაერთო დაწყებით სკოლებში. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი უმნიშვნელო სახსრებს ხარჯავდა სახალხო განათლებაზე და ცდლობდა მოესპო მონაპოვარი განათლების დარგში, სასკოლო ქსელი და მოსწავლეთა რიცხვი სკოლებში XIX საუკუნის დამლევთან შედარებით თითქმის ერთიორად გაიზარდა.

საქართველოში 1916 წელს ყველა სახის სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვი 138.613 კაცამდე აღწევდა. მაგრამ ეს უმნიშვნელო ციფრები იყო ხალხის ნამდვილი მოთხოვნილების თვალსაზრისით. 1913 წელს ლენინი, იძლეოდა რა სახალხო განათლების დარგში ცარიზმის მიერ წარმოებული პოლიტიკის შეფასებას, სწერდა: „ისეთი ველური ქვეყანა, სადაც ხალხის მასები ამდენად გ ა ძ ა რ ც უ ლ ი იყონ განათლების, სინათლისა და ცოდნის მხრივ, — ასეთი ქვეყანა ევროპაში არ დარჩენილა არც ერთი, გარდა რუსეთისა“ (ლენინი, ტ. XVI, გვ. 410).

ამიერ-კავკასიის და საქართველოს მოწინავე საზოგადოებრივობა 1905 წლის შემდეგაც განაგრძობდა მეცადინეობას თბილისში უნივერსიტეტის გახსნაზე. ბოლოს, ეს საკითხი დაისვა მინისტრთა საბჭოს განსახილველად 1912 წლის 24 მაისში. ამხანაგი მოლოტოვი ამის თაობაზე სწერდა:

„...30 წელიწადზე მეტია, რაც კავკასიის მოსახლეობა ითხოვს ქალაქ თბილისში უნივერსიტეტის გახსნას. ამ მიზნისათვის უკვე შეგროვილია 2 მილიონ მანეთზე მეტი, ხოლო უნივერსიტეტი მაინც არა აქვთ. მინისტრთა საბჭოში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ამ საკითხის განხილვა. იქ ჯერ კიდევ ისმენენ საწინააღმდეგო აზრს პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ბ-ნ ზუევისას, რომელსაც ეშინია, კავკასიის უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ „კრამოლა“ კავკასიაში კიდევ უფრო განმტკიცდებაო.

პრესის მემარჯვენე ორგანოები მხარს უჭერენ პოლიციის დეპარტამენტს. ღვთისმოშიში „კოლოკოლი“ ბუკსა და ნაღარას სცემს: კავკასიის უნივერსიტეტი რევოლუციის ახალი ციხე-სიმაგრე იქნებაო. „ეროვნული“ ეპყრობს არსებულ წყობილების დამცველებს სინათლის ყოველ[illegible] [illegible] [illegible], და ისინი იბნევიან დამამტკიცებელი საბუთების ძიებაში. სინათლის შიში მუდამ იყო და რჩება იმათ განმასხვავებელ ნიშნად, რომელთათვის ხელსაყრელია ხალხის სიბნელე“ („პრავდა“, 1912 წ. 26 მაისი).

1913 წელს ცარიზმი, ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდა დათანხმებულიყო თბილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნაზე. მაგრამ დაწყებული ომის საბაბით ამიერ-კავკასიისათვს უმაღლესი სკოლის გახსნა მაინც ვერ განხორციელდა, თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ ქალთა უმაღლეს კურსებს, რომელთა გახსნის ნება 1909 წლის 26 სექტემბერს დართეს მასწავლებელთა ჯგუფს. ქალთა უმაღლეს კურსებზე სწავლება რუსულ ენაზე სწარმოებდა. კურსებს ჰქონდათ ისტორიისა და სიტყვიერების და ბუნებისმეტყველების განყოფილებანი, შემდგომ კი გაიხსნა სამედიცინო განყოფილებაც. კურსებს შეზღუდული ჰქონდათ უფლებები და ცარიზმისაგან არავითარ სუბსიდიას არ ღებულობდნენ.

მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლების და დევნისა, საქართველოში ვითარდება საზოგადოებრივი და კერძო ინიციატივა სახალხო განათლების საქმეში. ასე, მაგალითად, ცნობილი პედაგოგის ნ. ცხვედაძის ინიციატივით 1907 წელს თბილისში, ვერაზე, მთავრდება ქართული გიმნაზიის უზარმაზარი შენობის აგება. ამ შენობაში შემდგომ, როგორც განზრახული იყო, გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. ფართოდ გაშალა თავისი მოღვაწეობა „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, რომელსაც ნ. ცხვედაძის შემდეგ სათავეში ჩაუდგა გ. ყაზბეგი. ამ საზოგადოების ფილიალები არსდება საქართველოს რაიონებშიაც — ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, აგრეთვე ქალაქ ბაქოში, კავკავში (ამჟამად ქალაქი ორჯონიკიძე) და სხვაგან.

საზოგადოება ხსნის ახალ სკოლებს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, ჰქმნის მუზეუმს, სადაც თავს უყრიან ხელნაწერებს და მატერიალური კულტურის ძეგლებს საქართველოს ისტორიიდან. 1907 წელს შეიქმნა მეცნიერული ორგანიზაცია — „საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოება“, რომელმაც სერიოზული მუშაობა დაიწყო ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეში. საზოგადოება აქვეყნებდა სამეცნიერო ნაშრომთა კრებულებს: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“. საზოგადოებამ შეჰქმნა აგრეთვე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის სახალხო უნივერსიტეტის მოწყობას, სადაც საქართველოს ცნობილი მეცნიერები კითხულობდნენ სამეცნიერო-პოპულარულ ლექციებს მეცნიერების ყველა

დარგში. სახალხო უნივერსიტეტის ფილიალები გახსნილი იყო საქართველოს სხვა ქალაქებშიაც: ბათუმში, ქუთაისში და სხვაგან.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ 1908 წელს თბილისში კერძო ინიციატივით გაიხსნა პირველი გიმნაზია ქალ-ვაჟთა საერთო სწავლებისა.

უწინდებურად მეცნიერებას, ისე როგორც მთლიანად ქართველი ხალხის კულტურას, ცარიზმი დევნიდა და ჩაგრავდა. მიუხედავად ამისა, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობით განაგრძობენ ზრდას საქართველოს მეცნიერთა კადრები. დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა აკადემიკოს ნ. ი. მარის გამოსვლას 1906 წელს ბნელეთის მოციქულის და შავრაზმელის დეკანოზ ი. ვოსტორგოვის წინააღმდეგ, რომელიც მეთაურობდა თბილისში შავრაზმულ ორგანიზაციას და ბრძოლას აწარმოებდა ქართველი ხალხის წინააღმდეგ, უარყოფდა მის კულტურას და გმირულ ისტორიულ წარსულს. აკადემიკოსმა ნ. ი. მარმა თავის ნაშრომში — „საქართველოს ისტორია" და „ტექსტების და გამოკვლევების" მთელ რიგ გამოცემებში დაგვანახვა ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის მთელი სიმდიდრე.

ამავე პერიოდს ეკუთვნის ახალგაზრდა მეცნიერ-ისტორიკოსის, პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის, ამჟამად აკადემიკოსის ი. ა. ჯავახიშვილის მოღვაწეობა. ის ბეჭდავს პატარა, მაგრამ ბრწყინვალე ნაშრომს — „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში 19 საუკუნეში", რომელშიც გამოაშკარავებულია ცარიზმის კოლონიურ-მჩაგვრელური პოლიტიკა საქართველოში. ეს წიგნი მოსპო მეფის ცენზურამ.

1907 წლიდან იბეჭდება ი. ჯავახიშვილის შრომები და გამოკვლევები საქართველოს ისტორიის შესახებ.

1906 წელს მთავრდება პროფ. ა. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევების" გამოცემა 4 ტომად რუსულ ენაზე. ამ ნაშრომს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივობას შესაძლებლობა მიეცა ყველაზე სრულად გასცნობოდა ქართველი ხალხის მთელ მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

უნდა აღინიშნოს დიდი პროლეტარული მწერლის ა. მ. გორკის უდიდესი ინტერესი ქართული კულტურისა და ლიტერატურისადმი. ა. მ. გორკის გავლენით 1912 წელს ეწყობა ქართველ მთარგმნელთა ჯგუფი კანდელაკის მეთაურობით, რომელიც ამოცანად ისახავს საუკეთესო ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებთა თარგმნას რუსულ ენაზე. პირველი კრებულის რედაქტორი უნდა ყოფილიყო ა. მ. გორკი. იმპერიალისტურმა ომმა ხელი შეუშალა ამ განზრახვის განხორციელებას. ეს შესანიშნავი საქმე ხორციელდება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

1908 წლის ნოემბერში ქართველმა ხალხმა მთელს ქვეყანაში ზეიმით და განსაკუთრებული სიყვარულით აღნიშნა დიდი ქართველი პოეტის, მოქალაქისა და პატრიოტის აკაკი წერეთლის სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებისა და რევოლუციის სასტიკად ჩახშობისა კვლავ ცოცხლობდა და ვითარდებოდა ქართული მხატვრული ლიტერატურა.

ასე, მაგალითად, ლ. ქიაჩელი (დაიბადა 1884 წელს) სწერს დიდ რომანს — „ტარიელ გოლუას", რომელიც მიძღვნილია გლეხთა 1905 წლის რევოლუციური ბრძოლისადმი. პოეტი და დრამატურგი ა. შანშიაშვილი (დაიბადა 1886 წ.) თავის ნაწარმოებებში სწორად ასურათებს საქართველოს ისტორიულ წარსულს.

ფართო პოპულარობას იხვეჭენ ნ. ‘ბიუკაშვილის პიესები: „ფოთოლი" და სხვ.

ისტორიული რომანების მთელ სერიას სწერს ცნობილი ბელეტრისტი ვ. ბარნოვი. მუშათა და რევოლუციური ინტელიგენციის ცხოვრებაზე სწერენ ვ. რუხაძე, ნ. ჩხიკვაძე, ხ. ვარდოშვილი, გ. ქუჩიშვილი, ა. აბაშელი და სხვ. იზრდებიან პროლეტარულ მწერალთა კადრები: სანდრო ეული და სხვ.

საბავშვო მწერალთა შორის ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს პოეტი შიო მღვიმელი. საბავშვო ლიტერატურის განვითარებას დიდად ხელს უწყობენ საბავშვო ჟურნალები „ჯეჯილი" და „ნაკადული".

1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ დაშალა და რღვევა შეიტანა რევოლუციის თანამგზავრთა შორის და ინტელიგენციის ერთ ნაწილში, რამაც გამოხატულება ჰპოვა მხატვრულ ლიტერატურაშიაც. დაბნეულობის, პესიმიზმის, მისტიციზმის მოტივებს, ეროტიზმით გატაცებას და სხვ. ადგილი ჰქონდა შ. არაგვისპირელის, ი. გრიშაშვილის, გ. ტაბიძის და სხვათა შემოქმედებაში.

1916 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა სიმბოლისტთა ჯგუფი, რომელმაც შეჰქმნეს გაერთიანება „ცისფერი ყანწები". ცისფერყანწელებს ახასიათებთ სინამდვილისაგან მოწყვეტა, ფორმალიზმით, მისტიციზმით და უკიდურესი ინდივიდუალიზმით გატაცება. შემთხვევით როდი იყო, რომ საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მწერალთა და პოეტთა სწორედ ამ ჯგუფის უმრავლესობა აღმოჩნდა კონტრრევოლუციის ბანაკში, აღმოჩნდა ქართველი ხალხის მტრები (გ. რობაქიძე, ნ. მიწიშვილი, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე და სხვ.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი და მენშევიკური საბჭოები

1917 წლის თებერვალში ცარიზმის დამხობის შემდეგ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ამიერ-კავკასიასაც მოედო.

მიიღეს რა პირველი დეპეშა პეტროგრადში რევოლუციის გამარჯვების შესახებ, ქართველი მენშევიკების ლიდერებმა ეს ცნობა ჯერ მასებს დაუმალეს. ისინი სასწრაფოდ ეახლენ მეფის ნაცვალს კავკასიაში ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რომანოვს, გამოუცხადეს მას უქვეშევრდომილესი გრძნობები და შესთავაზეს თავიანთი სამსახური ახალი მართვა-გამგეობის მოწყობის საქმეში. სილაჩრისა და ლოდინის პოლიტიკა, რომელსაც განაგრძობდნენ ქართველი მენშევიკები დროებითი მთავრობის მიერ მეფის ნაცვლის გადაყენების შემდეგ, ხელს უწყობდა ამიერ-კავკასიაში ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის ძველი აპარატის თითქმის უცვლელად შენარჩუნებას.

თბილისიდან ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძის გამგზავრების შემდეგ კონტრრევოლუციურმა დროებითმა მთავრობამ მხარის მართვა-გამგეობისათვის შექმნა ამიერ-კავკასიის ეგრეთწოდებული საგანგებო კომიტეტი. მის შემადგენლობაში შევიდა IV სახელმწიფო სათათბიროს ხუთი წევრი კადეტ ხარლამოვის მეთაურობით.

ხელმძღვანელ როლს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტში თამაშობდა მენშევიკი ა. ჩხენკელი, რომელიც გაუძღვა შინაგანი მმართველობის საქმეს.

ამიერ-კავკასიაში, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ყველაზე ადრე შეკავშირება მოახერხეს ქართველმა მენშევიკებმა, რომელთაც ომიანობის დროს თითქმის არ განუცდიათ დევნა ცარიზმის მხრით. მათ სწრაფად მოაგვარეს თავისი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა, გადაიქცნენ მთელ მხარეში ხელმძღვანელ კონტრრევოლუციურ ძალად და სათავეში ჩაუდ-

გნენ შეძლებული კლასების კონტრრევოლუციურ ბლოკს, რომელმაც დაიწყო თავმოყრა-ჩამოყალიბება.

ქართველი მენშევიკები თავის კონტრრევოლუციურ ბუნებას ფარავდნენ მოჩვენებითი დემოკრატიული ლოზუნგებით და იცავდნენ ნაციონალური ბურჟუაზიისა და მემამულეთა ინტერესებს რევოლუციონერი მუშების და გლეხების წინააღმდეგ. მენშევიკებს ხალისით მიჰყვნენ ბურჟუაზია და მემამულენი. მენშევიკები არც ცდილან გადაეჭრათ ზავის, მიწის, 8 საათიანი სამუშაო დღის, ნაციონალური და სხვა საკითხები.

მენშევიკები იბრძოდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის წინააღმდეგ. გამოდიოდნენ მუშათა გაფიცვების და მუშათა კონტროლის წინააღმდეგ. ისინი, სხვა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად, გლეხებს წინადადებას აძლევდნენ თავი შეეკავებინათ მიწის რავოლუციური გზით ხელში ჩაგდებისაგან და დაეცადათ, ვიდრე ამ საკითხს სრულიად-რუსეთის დამფუძნებელი კრება გადასჭრიდა.

ამიერ-კავკასიაში ჩამოყალიბებული კონტრრევოლუციური ბლოკი, მენშევიკების მეთაურობით, ხელს უწყობდა მხარეში ნაციონალური ურთიერთობის გამწვავებას, რამაც მხარე, ბოლოს და ბოლოს, სრულ სამეურნეო-ეკონომიურ რღვევამდე მიიყვანა.

თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებიდანვე ამიერ-კავკასიაში, როგორც დანარჩენ რუსეთშიაც, შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, მაგრამ ხელმძღვანელობა საბჭოებში მენშევიკებისა და ესერების ხელში აღმოჩნდა.

„თებერვლის რევოლუციას, — სწერს ამხანაგი სტალინი, — ამიერ-კავკასიის მშრომელი კლასების მდგომარეობაში არსებითი ცვლილებანი არ შეუტანია. ჯარისკაცები—სოფლის ეს ყველაზე უფრო რევოლუციური ელემენტები — ჯერ კიდევ ფრონტზე იყვნენ. მუშები კი, მხარის ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო, საერთოდ უფრო სუსტნი, როგორც კლასი და ჯერ კიდევ წელმოუმაგრებელნი, როგორც ორგანიზებული ერთეული, იმყოფებოდნენ მოპოვებულ პოლიტიკურ თავისუფლებათაგან განცხრომის მდგომარეობაში და, როგორც სჩანს, არ აპირებდნენ უფრო შორს წასვლას. მთელი ხელისუფლება შეძლებული კლასების ხელში რჩებოდა. უკანასკნელნი მაგრად ებღაუჭებოდნენ ხელისუფლებას და იცდიდნენ, ხალისით აძლევდნენ ნებას ესერ-მენშევიკთა სტრატეგებს მიეძინებიათ მუშები და გლეხები ბრძნული სიტყვებით რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათის, სოციალისტური გადატრიალების განუხორციელებლობის შესახებ და სხვ.“ („პრავდა“ №№ 55 და 56. 1918 წ.).

ბოლშევიკების ბრძოლა მასების დაუფლებისათვის

სტოლიპინის რეაქციისა და ომის პერიოდში თითქმის მთლიანად დაარბიეს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები. თებერვლის ბურჟუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა მათთვის ჩვეული ენერგიით დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდეს თავისი პარტიული მუშაობის მთელი მოცულობით აღდგენას.

ეს მუშაობა, როგორც მთელ რუსეთში, არაჩვეულებრივ მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. გაჭიანურებული იმპერიალისტური ომი, საერთო რღვევა ქვეყანაში, განუწყვეტელი დევნა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და წვრილბურჟუაზიული ობორონცული და შემთანხმებლური პარტიების მხრით, ხალხის მასების მნიშვნელოვანი ნაწილის შეუგნებელი დამოკიდებულება და ნდობით მოპყრობა ამ პარტიებისადმი — ყოველივე ეს ართულებდა ბოლშევიკების მუშაობას, განსაკუთრებით პირველ თვეებში თებერვლის რევოლუციის შემდეგ.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის წინაშე იდგა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანა—მშრომელ მასებში ახსნა-განმარტებითი მუშაობის წარმოება, დროებითი მთავრობის იმპერიალისტური და კონტრრევოლუციური ხასიათის გამოსააშკარავებლად და მენშევიკებისა და ესერების გამცემლობის სამხილებლად. ამ მუშაობის შედეგად მუშები, გლეხები და ჯარისკაცები მტკიცედ უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ ვიდრე ძალა-უფლება დროებითი მთავრობის ხელშია, ხოლო საბჭოებში გაბატონებული არიან მენშევიკები და ესერები, ჩვენს ქვეყანაში არ მოისპობა ნაციონალური ჩაგვრა, ხალხი ვერ მოიპოვებს ვერც ზავს, ვერც მიწას, ვერც პურს, და რომ აუცილებელია ახალი, სოციალისტური რევოლუცია მთელი ძალა-უფლების საბჭოების ხელში გადასასვლელად. მენშევიკები, ესერები და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები: დაშნაკები, მუსავატელები და ქართველი ნაციონალ-დემოკრატები არ ჩერდებოდნენ არავითარი საშუალების წინაშე, რომ ხელი შეეშალათ მშრომელ მასებში ბოლშევიზმის გავლენის გაძლიერებისათვის. ისინი შეუწყვეტელ გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ, პრესაში ლანძღავდნენ, ბოროტი ცილისწამებით ლაფში სვრიდნენ და რეპრესიულ ზომებსაც ხმარობდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. 1917 წლის 19 აპრილს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ, მენშევიკების ლიდერის ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით, დაადგინა კონფისკაცია ეყოს და დაშვებულ არ იქნას ფრონტზე და ზურგში ბოლშევიკური გაზეთის „პრავდის“ 40 ათასი ცალი. ბოლშევიკების მიერ პეტროგრადში 3-5 ივლისს მოწყობილი დემონსტრაციის შემდეგ მენშევიკებმა და ესერებმა თბილისში დააპატიმრეს მთელი რიგი ბოლშევიკები. „ჩვენს პარტიას, — ამბობდა სტეფანე შაუმიანი, — ტალახში ამოსვრიან და გესლიანი ცილისწამებით გათითხნიან. ჩვენი მტრები და მათი დამქაშები — მენშევიკები მთელ ძალლონეს იხმარენ, რომ მუშები მოატყუონ და არ დაუშვან, რომ ისინი ჩვენ გამოგვყვეს. ჩვენ მაინც ჩვენს გზას გავყვებით და ვერ შეგვაჩერებს ვერავითარი ლაფი. მუშები ჩვენ გამოგვყვება“. (ბოლშევიკური გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი“ № 234, 1928 წ.).

ესოდენ შეუპოვრად და ფართოდ გაშლილი მუშაობის მეოხებით, ბოლშევიზმის გავლენა მუშათა მასობრივ ორგანიზაციებში სწრაფად იზრდებოდა. საქართველოში ბოლშევიკებმა ძალიან ჩქარა მოიპოვეს უპირატესი გავლენა მელითონეთა, ელექტრიკოსთა, მეთამბაქოეთა, მეტყავეთა პროფკავშირებში და სხვ. 1917 წლის სექტემბერს, მეტყავეთა კავშირის გამგეობის არჩევნების დროს, გამგეობის 14 წევრიდან 9 კაცი უკვე ბოლშევიკები აღმოჩნდა. გამგეობის მდივნად ბოლშევიკი აირჩიეს. ჯერ კიდევ 1917 წლის გაზაფხულზე, ბოლშევიკური აგიტაციის გავლენით, თბილისის ბევრ საწარმოში მუშებმა მიაღწიეს 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღებას. პოპულარული ბოლშევიკური ლოზუნგი მუშათა შორის იყო წარმოებაში მუშათა კონტროლის შემოღების მოთხოვნა.

მაგრამ ბოლშევიკური გავლენა განსაკუთრებით ძლიერი იყო პროლეტარულ ბაქოში. აქ დაუცხრომელ მუშაობას ეწეოდნენ და ლენინ-სტალინის პოლიტიკის თანმიმდევარი გამტარებელნი იყვნენ სტეფანე შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, ა. მიქოიანი, მ.აზიზბეკოვი, ი. ფიოლეტოვი, მ. ბასინი და სხვ. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით განსაკუთრებით შეუპოვარი ხასიათი მიიღო ბაქოს პროლეტარიატის ბრძოლამ კოლექტიური ხელშეკრულების დადებისათვის.

1917 წლის სექტემბერს ბაქოში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარედ იყო ა. ჯაფარიძე, მდივნად მ. ბასინი. მიუხედავად კაპიტალისტების და მათი ლაქიების მენშევიკების და ესერების გააფთრებული წინააღმდეგობისა, გაფიცვა ძლევამოსილად დამთავრდა. კაპიტალისტები იძულებული იყვნენ დაედოთ კოლექტიური ხელშეკრულება და დაეკმაყოფილებინათ საგაფიცვო კომიტეტის სხვა მოთხოვნები. ბაქოს პროლეტარიატის ამ გამარჯვების გამო რსდმპ (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოგზავნა შემდეგი დეპეშა: „მივესალმებით ქალაქ ბაქოს რევოლუციურ პროლეტარიატს, რომელმაც აშკარა ბრძოლაში დაამარცხა ორგანიზებული კაპიტალი“.

პირველ ხანებში გლეხთა მასები ჯერ კიდევ უჯეროდნენ მენშევიკებსა და ესერებს. მაგრამ მათგან გლეხებმა, გარდა უხვი დაპირებებისა და დამფუძნებელი კრებით დაიმედებისა, რეალურად ვერაფერი მიიღეს, ამიტომ ისინი ბოლშევიკური აგიტაციის გავლენით შეუდგნენ მემამულეთა მიწების რევოლუციური გზით ხელში ჩაგდებას. ამიერ-კავკასიაში იზრდებოდა აგრარული რევოლუციის ყველა ნიშნეულობა.

გორის მაზრაში ჯერ კიდევ 1917 წლის ზაფხულში გლეხებმა ხელთ იგდეს თავად ციციშვილების უზარმაზარი მამული — 70.000 ჰექტარამდე. გლეხების მიერ მემამულეთა და სხვათა მიწების მასობრივად დაუფლებას ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით ბორჩალოს მაზრაში, სადაც აგრარულ ნიადაგზე 1917 წლის ზაფხულში მოხდა 67 მკვლელობა, აგრეთვე ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში, აფხაზეთში და სხვა რაიონებში.

1917 წლის 27 ივლისს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მენშევიკ ა. ჩხენკელის ხელმოწერით დაგზავნა ცირკულარი რომლითაც წინადადება ეძლეოდა ადგილობრივ ხელისუფლებას მიეღო მკაცრი ზომები, იარაღის გამოყენებითაც კი, იმ გლეხთა წინააღმდეგ, რომლებიც მიწებს იტაცებდნენ ან უარს ამბობდნენ გადასახადების შეტანასა და დაწესებული ბეგარის შესრულებაზე.

1917 წლის ივნისს თბილისში შესდგა ამიერ-კავკასიის გლეხთა ყრილობა. ყრილობაზე არჩეული ეგრეთწოდებული „ამიერ-კავკასიის საგლეხო ცენტრი" მეტწილად მენშევიკური აღმოჩნდა. მის სათავეში იდგა მენშევიკთა ლიდერი ნ. რამიშვილი. ასრულებდა რა მენშევიკური პარტიის დირექტივებს, ამიერ-კავკასიის საგლეხო ცენტრმა თავისი საქმიანობა იმით დაიწყო, რომ სუბსიდიები მოსთხოვა თბილისის სათავადაზნაურო ბანკს და თავადაზნაურობის სხვა ორგანიზაციებს და, როცა ეს სუბსიდიები მიიღო, ყოველნაირად იბრძოდა გლეხების მიერ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდების წინააღმდეგ.

1917 წლის შემოდგომისათვის კონტრრევოლუციური ბლოკი, მენშევიკების მეთაურობით, უკვე დაადგა გლეხთა გამოსვლების იარაღით ჩაქრობის გზას. კახეთში, ბორჩალოს მაზრაში და სხვაგან გაიგზავნა კაზაკთა ნაწილები. მენშევიკების ასეთმა ღონისძიებებმა, უეჭველია, საქართველოს გლეხები თვალნათლივ დაარწმუნეს, რომ მათი უფლების ნამდვილი დამცველები არიან მხოლოდ ბოლშევიკები და იზრდებოდა ბოლშევიკების გავლენა საქართველოს სოფლებში.

მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ბოლშევიკების გავლენის ზრდა არმიაში. აქ იზრდებოდა ჯარისკაცთა მასების გაბოროტება მეთაურთა შემადგენლობის წინააღმდეგ. ჯარისკაცები უარს ამბობდნენ ომზე და არ ასრულებდნენ საბრძოლო ბრძანებებს.

12 ივნისს თბილისში, ყოფილ ალექსანდრეს ბაღში (ამჟამად კომუნარების ბაღი), შესდგა 10 ათასი ჯარისკაცის მიტინგი, სადაც იხილავდნენ ლოზუნგებს: „მთელი ძალა-უფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს!", „ძირს ათი მინისტრი-კაპიტალისტი!" „ზავი, პური და თავისუფლება!" და სხვ. მიტინგმა გამოიტანა ბოლშევიკური რეზოლუცია. 25 ივნისს თბილისში, მიუხედავად მენშევიკების და ესერების ძლიერი წინააღმდეგობისა, შესდგა ჯარისკაცთა მასობრივი დემონსტრაცია. ეს დემონსტრაცია მოეწყო იმპერიალისტური დროებითი მთავრობის მიერ ივნისში ფრონტზე დანაშაულებრივად დაწყებული შეტევის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. იმხანად მარტო თბილისში ირიცხებოდა 80 ათასამდე ჯარისკაცი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ბოლშევიკურად იყო განწყობილი. ბოლშევიკური გაზეთები ძალიან ფართოდ ვრცელდებოდა ჯარისკაცთა მასებში. ბოლშევიკური გაზეთების რედაქციები ღებულობდნენ ჯარისკაცებისაგან ობორონცული პარტიების და კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ უამრავ წერილს,

დეპეშას, რეზოლუციას. ეს რეზოლუციები იწონებდნენ ბოლშევიკების თანმიმდევრულ რევოლუციურ პოლიტიკას.

ძლიერ იზრდებოდა ბოლშევიკების გავლენა მუშურ ახალგაზრდობაზეც. სექტემბერს თბილისში შეიქმნა ახალგაზრდების სოციალისტური „სპარტაკი". ახალგაზრდობის ორგანიზაციები ჩამოყალიბდა აგრეთვე ბაქოში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, სამხრეთ ოსეთში. ეს ორგანიზაციები ყველგან ბოლშევიკური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდნენ. ბოლშევიკური იდეების გავრცელებისა და ბოლშევიკური ძალების დარაზმვისათვის დიდ მუშაობას ასრულებდნენ ამიერ-კავკასიაში 1917 წლის გაზაფხულიდან გამომავალი ბოლშევიკური გაზეთები: „კავკაზსკი რაბოჩი", „ბაკინსკი რაბოჩი", „ბურევესტნიკ" (რუსულ ენაზე), „ბრძოლა", „მუშის სიმართლე" (ქართულ ენაზე), „ბანვორი კრივ", „სოციალ-დემოკრატი" (სომხურ ენაზე), „გუმეტი" (აზერბეიჯანულ ენაზე). ეს გაზეთები უდიდეს მუშაობას ატარებდნენ მასების მიმხრობის, მათი საბრძოლო აღზრდისა და დარაზმვის საქმეში.

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების I ყრილობა

1917 წლის 2 ოქტომბერს თბილისში გაიხსნა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების I ყრილობა. ყრილობა შეიკრიბა ისეთ პერიოდში, როცა რუსეთში ბუმბერაზულად იზრდებოდა სოციალისტური რევოლუცია, როცა მიმდინარეობდა უშუალო მზადება ბურჟუაზიის ძალა-უფლებაზე იერიშის მისატანად.

1917 წლის სექტემბერში ვ. ი. ლენინი სწერდა რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს თავის ცნობილ, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის წერილებს: „ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ძალა-უფლება" და „მარქსიზმი და აჯანყება" (ლენინი, თხზ., ტ. XXI, გვ. 193-198), რომლებშიაც რევოლუციის დიდი გენიოსი, კლასობრივ ძალთა განლაგების, რუსეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობის ანალიზის, ძალა-უფლების დასაპყრობად აუცილებელი ყველა პირობის გათვალისწინების საფუძველზე მოითხოვდა შეიარაღებული აჯანყების დაწყებას და იძლეოდა დაურღვეველ გენიალურ პროგნოზს: „ჩვენ გავიმარჯვებთ უთუოდ და უეჭველად".

სტატიაში „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს" ამხანაგი სტალინი სრული თანმიმდევრობით ატარებდა ლენინურ ხაზს და აგრეთვე აშკარად მოუწოდებდა აჯანყებისაკენ. ამხანაგი სტალინი სწერდა: „რევოლუცია, რომელსაც ტყვია დაუშინეს ივლისის დღეებში და „დაასამარეს" მოსკოვის თათბირზე, მოდის, ის კვლავ თავს მაღლა სწევს, ამსხვრევს ძველ ზღუდეებს, ჰქმნის ახალ ძალა-უფლებას. კონტრრევოლუციის სანგრების პირველი ხაზი აღებულია. ბრძოლის ცეცხლში ცოცხლდებიან მიმკვდარი საბჭოები. ისინი კვლავ საჭესთან დგებიან და წინ მიჰყავთ რევოლუციური მასები. მთელი ძალა-უფლება საბჭოებს — ასეთია ახალი მოძრაობის ლოზუნგი".

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველ ყრილობას დაესწრო 52 დელეგატი. ადგილობრივი დელეგატები თავიანთ მოხსენებებში აღნიშნავდნენ, რომ კავკასიაშიაც უკვე ძლიერ გაიზარდა ბოლშევიკური გავლენა ქალაქებში, სოფლებში, ფრონტზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობის ყურადღების ცენტრში იდგა სტეფანე შაუმიანის მოხსენება მიმდინარე მომენტზე. მან ამხილა მენშევიკების და ესერების კონტრრევოლუციური პარტიები, რომლებიც „მუდამ მოითხოვდნენ რევოლუციური მოძრაობის „ჩაქრობას", „ახშობდნენ მასების ყოველგვარ დამოუკიდებლობას". სტეფანე შაუმიანი, როგორც ლენინ-სტალინის ერთგული მიმდევარი, ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, კავკასიის ბოლშევიკების ძირითად ამოცანად აყენებდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებას საბჭოებისათვის ძალა-უფლების დასაპყრობად.

თავისი გამოსვლა სტეფანე შაუმიანმა დაამთავრა შემდეგი მგზნებარე სიტყვებით: „მიუხედავად მთელი პასუხისმგებლობისა, რასაც ჩვენ ვკისრულობთ, ნუ შევუშინდებით მუშაობის სიძნელესა და სირთულეს, გაბედულად გავწიოთ წინ ცხოვრებისაგან წამოყენებული ამოცანების გადასაწყვეტად და ხელთ ავიღებთ რა ძალა-უფლებას რევოლუცია ძლევამოსილ ბოლომდე მივიყვანოთ".

პარტიის მორიგი ამოცანების საკითხში კავკასიის I ყრილობა მტკიცედ დაადგა იმ პოზიციას, რომ აუცილებელია შეიარაღებული აჯანყება და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობა. ყრილობამ ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობის დადგენილების შესაბამისი გადაწყვეტილებანი გამოიტანა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ნაციონალური საკითხი, ბოლშევიკების დამოკიდებულება დამფუძნებელი კრებისადმი, აგრარული საკითხი.

ყრილობამ მისალმება გაუგზავნა „რუსეთის რევოლუციის სახელოვან ბელადს" ვ. ი. ლენინს. ამ მისალმებაში გამოთქმული იყო მტკიცე რწმენა, რომ „უახლოეს მომავალში რუსეთის მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა თავისი ახალი რევოლუციით გადააგდებენ მილიუკოვების და მათი ლაქიების — კერენსკების უღელს და შესაძლებლობას შეუქმნიან ამხანაგ ლენინსაც თავი დაახწიოს იატაკქვეშეთს და აშკარად დაიკავოს ჩვენი პარტიის ბელადის, რუსეთის დიდი რევოლუციის ბელადის პოსტი".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეცხრე

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ამიერკავკასია

ამიერ-კავკასიის კომისარიატი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში

რუსეთში ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას და ლენინის მეთაურობით, სახალხო კომისართა საბჭოს სახით, მუშურ-გლეხური მთავრობის შექმნას მტრულად შეხვდნენ ამიერ-კავკასიის ყველა ნაციონალისტური პარტიები და უწინარეს ყოვლისა ქართველი მენშევიკები, მათ დაიწყეს მზადება საბჭოთა რუსეთისაგან ამიერ-კავკასიის გამოსაყოფად.

1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში შეიქმნა ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული მთავრობა, ეგრეთწოდებული ამიერ-კავკასიის კომისარიატი მენშევიკ ე. გეგეჭკორის მეთაურობით.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის შექმნასთან ერთად ამიერ-კავკასიაში საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ საქართველოს, სომხეთის და მუსულმანთა ნაციონალური საბჭოები. ამ საბჭოების მოქმედების კოორდინაციის მიზნით შეიქმნა ეროვნებათაშორისო საბჭო, რომელსაც მენშევიკი ნ. რამიშვილი მეთაურობდა. დასახელებული სამი ნაციონალური საბჭოს გარდა თბილისშივე მალე მოეწყო რუსთა, ბერძენთ ნაციონალური საბჭოები და ოსეთის ნაციონალური საბჭო ცხინვალში. მთელ კავკასიაში დაიწყო განსაკუთრებული ნაციონალური სამხედრო ნაწილების შექმნა, აგრეთვე სპეციალური ბურჟუაზიულ-მემამულური ბანდების შეიარაღება რევოლუციური მუშების და გლეხების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიერ-კავკასია ხდება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ-ერთი პლაცდარმი. აქ თავს იყრიან ანტისაბჭოთა ძალები, განადგურებული კლასების ნაშთები, რომლებიც გამოიქცნენ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან და თავი შეაფარეს „მენშევიკურ სამოთხეს“.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი ფაქტიურ კავშირს ჰკრავს ჩრდილო კავკასიის და დონის თეთრგვარდიელებთან — კარაულოვთან და კალედინთან, რომელნიც აშკარად გამოვიდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. იგი კავკასიის არმიის სამხედრო მარაგიდან აწვდის მათ იარაღსა და

ყუმბარებს. „ამიერ-კავკასიის ხელისუფლება, თავისი პოლიტიკით, — სწერ-და სტეფანე შაუმიანი, — არა მარტო არაპირდაპირ, არამედ პირდაპირაც უწევს დახმარებას კალედინს და აშკარად დანას სცემს ზურგში რევოლუციას, ღალატობს რუსეთის პროლეტარიატს, ჯარისკაცებსა და გლეხებს" (ს. შაუმიანი. „სტატიები და სიტყვები", გვ. 104).

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამიერ-კავკასიის ნაციონალისტური პარტიების ბლოკი მენშევიკების მეთაურობით ცდილობდა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციისაგან ყოველნაირად გამიჯვნას და შემოზღუდვას, უკანასკნელს არ შეეძლო თავისი უდიდესი გავლენა არ მოეხდინა ამიერ-კავკასიაზე. იგი მოგვევლინა აქ მძლავრ ბიძგად რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის. „მან, — სწერდა ამხანაგი სტალინი, — ერთი ხელის მოსმით გადაატრიალა ყველა ურთიერთობა, დასვა რა საკითხი მშრომელი კლასების ხელში ხელისუფლების გადასვლის შესახებ. ძახილი „მთელი ხელისუფლება მუშებსა და გლეხებს" ქუხილით მოედვა ქვეყანას და ფეხზე დააყენა დაჩაგრული მასები. და როცა ეს ძახილი, რომელიც გაისმა ჩრდილოეთ რუსეთში, იქ უკვე ხორცს ისხამდა, ამიერ-კავკასიის შეძლებულმა კლასებმა ნათლად დაინახეს, რომ ოქტომბრის რევოლუცია და საბჭოთა ხელისუფლება მათთვის აუცილებელ სიკვდილს მოასწავებდა. ამიტომ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მათთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი გახდა. „სოციალისტური" ესეროულ-მენშევიკური ინტელიგენცია კი, რომელმაც უკვე იგემა ხელისუფლების სიტკბოება და რომელიც ახლა დადგა მისი დაკარგვის პერსპექტივის წინაშე, ავტომატიურად ალმოჩნდა შეძლებულ კლასებთან კავშირში. ასე შეიქმნა ანტისაბჭოთა კოალიცია ამიერ-კავკასიაში". („პრავდა" № № 55, 56, 1918 წ.).

ბაქოს პროლეტარიატი — ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ავანგარდი

იმ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებდა ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მოწინავე რაზმს ბაქოს პროლეტარიატი წარმოადგენდა. ჯერ კიდევ 1917 წლის შუა ოქტომბერში ბაქოს საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელობა ბოლშევიკების ხელში გადავიდა. ამ საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, სარეწაო-საქარხნო კომისიების კონფერენციასთან ერთად, სტეფანე შაუმიანის წინადადებით, მიღებულ იქნა რეზოლუცია „ჩამოერთვას ძალა-უფლება ხალხის მტრებს და გადაცემული იქნას იგი თვით ხალხის ხელში მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სახით".

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბაქოს საბჭოს თავის თავი უმაღლეს ორგანოდ გამოაცხადა და აირჩია ალმასკომის ახალი შემადგენლობა ბაქოს პროლეტარიატის საყვარელი სტეფანე შაუმიანის მეთაურობით.

ბაქოს ბოლშევიკები მშვენივრად ითვალისწინებდნენ, რომ შეიარაღებული ბრძოლის გარეშე შეუძლებელია საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება ბაქოში და მთლიანად ამიერ-კავკასიაში. ამიტომ 1917 წლის დეკემბერს ბაქოს საბჭოს გამოაქვს გადაწყვეტილება — მოეწყოს წითელი გვარდია და შეიქმნას ინტერნაციონალური პოლკები, როგორც კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებელი შეიარაღებული ძალა.

იწონებდა რა ბაქოელ ბოლშევიკთა პოლიტიკას ამიერ-კავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ვ. ი. ლენინი 1918 წლის 14 თებერვალში სწერდა სტეფანე შაუმიანს: „ძვირფასო ამხანაგო შაუმიანო! დიდი მადლობა წერილისათვის. ჩვენ აღტაცებული ვართ თქვენი მტკიცე და გაბედული პოლიტიკით. მოახერხეთ მისი შეერთება უაღრესად ფრთხილ დიპლომატიასთან, რასაც აუცილებლად მოითხოვს ახლანდელი უმძიმესი მდგომარეობა და ჩვენ გავიმარჯვებთ“. (ლენინი, ტ. XXII, გვ. 254).

არმიის ბოლშევიზაცია

1917 წლის შემოდგომაზე არმიაში გაბატონებული იყო ბოლშევიზმის გავლენა. 28 ოქტომბერს თბილისში შესდგა 36 სამხედრო ნაწილის დელეგატთა კრება, რომელმაც მოითხოვა თბილისის საბჭოს ჯარისკაცთა სექციის გადარჩევა და კავკასიის არმიის II სამხარეო ყრილობის მოწვევა. თბილისსა და ბაქოში შემდგარ ჯარისკაცთა მიტინგები მოითხოვდნენ მთელი ძალა-უფლების საბჭოებისათვის გადაცემას.

ბოლშევიკების მოთხოვნით მოწვეულ იქნა და 1917 წლის 10 დეკემბერს თბილისში გაიხსნა კავკასიის არმიის II ყრილობა. ყრილობაზე სუფევდა ბოლშევიკური სულისკვეთება და არმიის ახლად არჩეული სამხარეო საბჭო მეტწილად ბოლშევიკური აღმოჩნდა. საბჭომ მთელს კავკასიის არმიას მოუწოდა ეცნო საბჭოთა ხელისუფლება.

მაგრამ მას შემდეგ, რაც კავკასიის II ყრილობის დელეგატები ადგილებზე წავიდ-წამოვიდნენ, არჩეული საბჭოს ესერულ-მენშევიკურმა უმცირესობამ, ამიერ-კავკასიის კომისარიატზე დაყრდნობით, რომლის ხელშიაც იყო ჯარების მთავარი სარდლობა, თავისთავი თვითნებურად გამოაცხადა კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოდ. მაშინ ყრილობაზე არჩეული სამხარეო საბჭოს უმრავლესობა არ დაემორჩილა ამ თვითნებურ საბჭოს, გადავიდა ბაქოში და თავის თავს კავკასიის არმიის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი უწოდა. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბოლშევიკი გ. ყორლანოვი. მთელი მუშაობა ბაქოს მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს შეიარაღებული ძალის შექმნისათვის დააწვა მაშინ სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს, რომელიც ამავე დროს ხელმძღვანელობდა მთელ ბოლშევიკურ მუშაობას კავკასიის არმიაში.

იმხანად ჯარისკაცთა მასებში გაბატონებული ბოლშევიკური სულიერ-კვეთების დასახასიათებლად საკმარისია მოვიყვანოთ 1917 წლის 3 დეკემბერს ერთ-ერთი ქვეითი პოლკის მიერ კავკასიის არმიის (ჯერ კიდევ 1917 წლის მაისში არჩეული) I მენშევიკურ-ესერული სამხარეო საბჭოს სახელზე გამოგზავნილი მიმართვა.

„ნაძირალები ხართ თქვენ ყველანი — სამხარეო საბჭოს წევრები, — სწერდნენ ჯარისკაცები, — იმისათვის, რომ უარყოფთ ჩვენთვის ძალიან დიდი სარგებლობის მომტან ადამიანებს. რისთვის დასცინით ლენინს? თუ თქვენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის მეცადინეობთ, რატომ აქამდე არ იფიქრეთ დროებითი ზავის დადება, არამედ სულ ცდილობდით განგეგრძოთ ომი. ახლა, მაშასადამე, გული გერევათ, რომ ლენინმა დროებითი ზავი შეკრა. თქვენ იქ, საბჭოში, გაგიტკბათ, მაშასადამე, თქვენ არც ზავი გინდათ, ვინაიდან თბილად ხართ. აბა მსხდარიყავით სანგრებში — ლენინს კი არ უარჰყოფდით, არამედ, პირიქით, შეეცდებოდით მხარის დაჭერას, რომ ძალა-უფლება ლენინის ხელში გადასულიყო ზავის სასწრაფოდ დადებისათვის. ლენინი მეგობარი და მხსნელია დედამიწაზე, ის ცდილობს იხსნას ადამიანთა სიცოცხლე. ჩვენ არც ვიცით, როგორ დავაფასოთ იგი მისი კეთილი საქმისათვის — ზავისათვის, თქვენ კი ზავი არ გინდათ. თუ ახალი წლისათვის — ზავი არ იქნა, ჩვენ თვითონ დავაგდებთ პოზიციებს და წავალთ, გზად კი თქვენ პირველებს დაგხოცავთ და მოხვდება ჩვენგან ყველას, ვინც ლენინის წინააღმდეგ გამოდის. ეს ცნობად მიიღეთ და კარგად დაიხსომეთ. ერთი წუთითაც ნუ აყოვნებთ, შეუერთდით ლენინს. ჩვენთვის კარგი იქნება და თქვენც იცოცხლებთ ამ ქვეყნად, თუ არა და ამოგწყვეტთ“ (საარქივო ფონდი, საქმე № 187).

კავკასიის ფრონტის ბოლშევიკურად განწყობილ არმიას, ამრიგად, შეეძლო უკვე გადამწყვეტი როლი ეთამაშა ამიერ-კავკასიაში პროლეტარულ რევოლუციისათვის ბრძოლაში.

სოფლის ბოლშევიზაცია

საქართველოს სოფლებში იმხანად უკვე შეაღწია (უმთავრესად ფრონტიდან დაბრუნებულ და ქალაქებში ნამყოფ ჯარისკაცთა საშუალებით) სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტებმა მიწაზე, ზავზე, „რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაციამ“, რომელმაც მტკიცე საფუძველი შეუქმნა რუს მუშათა და გლეხთა კავშირს ყველა არარუსი ეროვნების მშრომელებთან. სოფლად გაძლიერდა რევოლუციური მოძრაობა. ამ მოძრაობის როგორმე დასასუსტებლად ამიერ-კავკასიის კომისარიატმა 1917 წლის 16 დეკემბერს გამოაქვეყნა დებულება „საადგილმამულო კომიტეტებისათვის სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, იურიდიულ პირთა და კერძომფლობელური მიწების გადაცემის შესახებ“. მაგრამ ეს დებულება იყო არსებითად შეძლებული კლასების მიერ გლეხთა ახალი

მოტყუება და მეტი არაფერი. თავისთავად გასაგებია, რომ ამ დებულების გამოქვეყნება ვერ შეაჩერებდა სოფლად მასობრივ მოძრაობას.

გლეხები თანდათან საუცხოოდ იგნებენ, რომ ბურჟუაზიისა და მემამულეთაგან ისინი მიწას ვერ მიიღებენ, რომ ამიერ-კავკასიაში ჩამოყალიბებული ბურჟუაზიულ-მემამულური ხელისუფლების დროს ისინი თავს ვერ დააღწევენ საუკუნოებრივ ჩაგვრას, განადგურებასა და სიღატაკეს.

„ფრონტიდან დაბრუნებულმა ამიერ-კავკასიელმა ჯარისკაცებმა, — სწერდა ამხანაგი სტალინი, — სოფლებში გაავრცელეს აგრარული რევოლუცია. ცეცხლში გაეხვია მუსულმანი და ქართველი მემამულეების სასახლეები. „გაბოლშევიკებული" ჯარისკაცების — გლეხების მიერ ბატონყმური ნაშთების ბურჯებზე მედგარი იერიში იქნა მიტანილი. ცხადი იყო, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატის ცალიერი დაპირებები გლეხებისადმი მიწების გადაცემის შესახებ — უკვე ველარ აკმაყოფილებდა აგრარული ტალღით მოცულ გლეხებს. ამიერ-კავკასიის კომისარიატისაგან მოითხოვდნენ საქმეს, მაგრამ არა კონტრრევოლუციურს, არამედ რევოლუციურ საქმეს" („პრავდა" №№ 55—56, 1918 წ.).

ამიერ-კავკასიაში სამოქალაქო ომის დაწყება

1917 წლის დამლევს და 1918 წლის დასაწყისში ამიერ-კავკასიაში შეიქმნა რევოლუციური ვითარება პროლეტარული რევოლუციისათვის გადამწყვეტი ბრძოლის გასაჩაღებლად.

მაგრამ ბოლშევიკური ორგანიზაციის თბილისის კომიტეტში შემავალმა მ. ტოროშელიძემ, ს. ქავთარაძემ, კ. ცინცაძემ, მ. ოკუჯავამ, ლ. დუმბაძემ და სხვებმა, რომლებიც ამჟამად მხილებული არიან როგორც ხალხის საზიზღარი მტრები, ლენინ-სტალინის მითითებათა წინააღმდეგ, ხელი აიღეს საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის შეიარაღებული ბრძოლის მომზადებისა და წარმოებაზე, ისინი იცავდნენ იმ დებულებას, რომ შესაძლებელია ძალა-უფლება მშვიდობიანი გზით გადავიდეს საბჭოების ხელში და მენშევიკებმა და ესერებმა შეიძლება საბჭოთა რუსეთი იცნონ.

ეს ჯგუფი აგრეთვე უგულვებელყოფდა არმიაში მუშაობას და უარს ამბობდა გამოეყენებინა რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცები, რომლებიც მზად იყვნენ იარაღით ხელში გამოსულიყვნენ მუშებთან და ულარიბეს გლეხობასთან ერთად და ებრძოლნათ ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. ამ ჯგუფის გამცემლური ტაქტიკის მეოხებით საქართველოს ბოლშევიკებმა ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი რევოლუციური სიტუაცია კონტრრევოლუციური პარტიათა ბლოკის დასამხობად და ძალა-უფლების დასაპყრობად.

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა საბაბად გამოიყენა ის გარემოება, რომ სტეფანე შაუმიანს პირდაპირი მავთულით მოლაპარაკება ჰქონდა ამხანაგ

სტალინთან ამიერ-კავკასიაში ძალა-უფლების დაპყრობის საკითხზე, და თბილისში სამხედრო წესები გამოაცხადა.

1917 წლის 12 დეკემბერს მენშევიკებმა მოტყუების გზით ... დეს თბილისის არსენალი, რომელსაც ბოლშევიკური ... და ამით საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციას წაართვეს იარაღის და ყუმბარების ძირითადი ბაზა. ამავე დროს ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლუციურმა მთავრობამ მიმართა მკაცრ რეპრესიებს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა რევოლუციური გამოსვლების საპასუხოდ. თბილისში ხურავენ ბოლშევიკურ გაზეთებს, აპატიმრებენ ბოლშევიკებს, ჰგზავნიან დამსჯელ ექსპედიციებს გლეხთა გამოსვლების ჩასაქრობად. რევოლუციის განვითარების შესაჩერებლად კონტრრევოლუცია მიმართავს აგრეთვე ძველ. ცარიზმის მიერ ნაცად საშუალებას — ამიერ-კავკასიაში ნაციონალური მტრობის გაღვივებას.

გაბატონებული კლასები პროვოკაციულად ამწვავებენ მტრობას სომეხ და ქართველ ხალხთა შორის. ერევნის, განჯის, ბაქოს გუბერნიებში იწყება სომეხ-აზერბეიჯანელთა სისხლიანი შეტაკებანი. რამაც სიცოცხლეს გამოასალმა უამრავი ადამიანი და გაანადგურა მრავალი ათასი გლეხის მეურნეობა.

ამიერ-კავკასიის სამხარეო ხელისუფლებას ეშინოდა ბოლშევიკურად განწყობილ ჯარისკაცთა მასების გამოსვლისა, რომლებიც ამავე დროს ღიად ხელს უწყობდნენ ადგილობრივ გლეხთა გარევოლუციონერებას. ამიტომ, ჩრდილო კავკასიის კონტრრევოლუციასთან დადებული ფარული ხელშეკრულების თანახმად, მან გადასწყვიტა თურქეთის ფრონტიდან რუსეთში მიმავალ ჯარისკაცთა ეშელონების განიარაღება. ჩაატარეს ფართო აგიტაცია იმაზე, რომ იარაღი ამიერ-კავკასიის ფარგლებში უნდა დარჩეს, რათა მით ამიერ-კავკასიის საზღვრების დასაცავად დარჩენილი ნაციონალური სამხედრო ნაწილები შევაიარაღოთო (ფაქტიურად ნაციონალური ნაწილების შედგენა ხდებოდა საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად). სამხედრო ეშელონების განსაიარაღებლად ამიერ-კავკასიის მთავრობას სათაკილოდ არ მიაჩნდა ასეთი საზიზღარი ხერხების გამოყენებაც. მენშევიკური კონტრრევოლუციის წინამძღოლთა ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილის ბრძანებით, მიმავალი ეშელონების განიარაღებისას, ამიერ-კავკასიის რკინიგზის შამქორის სადგურთან თავდამსხმელმა კონტრრევოლუციურმა ბანდებმა დახვრიტეს ორ ათასამდე რუსი ჯარისკაცი.

ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის დაწყებულ ბრძოლას ხელმძღვანელობდა სტეფანე შაუმიანი. სახალხო კომისართა საბჭომ 1917 წლის 16 დეკემბერს ის დანიშნა კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრად. ვიდრე აქ მოეწყობოდა სამხარეო საბჭოთა ხელისუფლება.

სტეფანე შაუმიანი 1918 წლის 22 იანვარს შეუდგა თავისი მოვალეობის ასრულებას. მაგრამ ამიერ-კავკასიის კომისარიატმა წინადადება მის-

ცა მას და მის მდივანს კუზნეცოვს 24 საათში დაეტოვებინათ ამიერ-კავკასია. წინააღმდეგ შემთხვევაში ორივეს დაპატიმრებას ემუქრებოდა.

8 თებერვალს თბილისში დახურეს ბოლშევიკური გაზეთები „ამიერ-კავკასკი რაბოჩი“, „ბრძოლა“, „ბანვორი კრივ“, დაბეჭდეს [illegible] ... ... რედაქციები, დახურეს სტამბები, დააპატიმრეს მთელი რიგი ბოლშევიკები.

ამიერ-კავკასიაში კონტრრევოლუციის ასეთმა შემოტევამ და მის მიერ მუშებთან, გლეხებთან და ჯარისკაცებთან ანგარიშის სასტიკად გასწორებამ ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების მხურვალე პროტესტი გამოიწვია. 25 იანვარს თბილისში შესდგა რკინიგზელთა მიტინგი, რომელმაც, სტეფანე შაუმიანის მოხსენების გამო, მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია. საპროტესტო მიტინგები ჩატარდა მელითონე, მბეჭდავ, მეთამბაქოე მუშათა შორის და სხვ.

1918 წლის 10 თებერვალს თბილისში გაიხსნა ეგრეთწოდებული „ამიერ-კავკასიის სეიმი“.

მუშათა და გლეხთა უბოროტეს მტრებს — მენშევიკებს, დაშნაკებს, მუსავატელებს და სეიმში შემავალ სხვა კონტრრევოლუციურ პარტიებს უნდოდათ იურიდიულად გაეფორმებინათ საბჭოთა რუსეთიდან ამიერ-კავკასიის გამოყოფა, აგრეთვე დაესახათ შემდგომი ღონისძიებანი ბოლშევიზმთან ბრძოლის გასაძლიერებლად.

10 თებერვალს ალექსანდრეს ბაღში, რსდმპ (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით, შესდგა მრავალრიცხოვანი ბოლშევიკური მიტინგი ნიშნად პროტესტისა კონტრრევოლუციური ბლოკის პოლიტიკის და ამიერ-კავკასიის სეიმის გახსნის წინააღმდეგ. მაგრამ ქართველმა მენშევიკებმა ამ დღეს ჩაიდინეს ახალი ავაზაკობა, ნ. ჟორდანიას, ნ. რამიშვილის და ე. გეგეჭკორის პირდაპირი დირექტივით, „სახალხო“ გვარდიელებმა დახვრიტეს ბოლშევიკური მიტინგი. „...ეს სისხლიანი ავაზაკობა, — ნათქვამი იყო ბოლშევიკურ პროკლამაციაში, — ალბათ, იმისათვის ესაჭიროებოდა მათ (მენშევიკებს), რომ ღირსეულად აღენიშნათ ამიერ-კავკასიის სეიმის გახსნა, რომელიც დანიშნული იყო იმ დღისათვის. დათვრნენ რა საკმარისად ჯარისკაცთა სისხლით შამქორში, მუსულმან ბეგთა ამ ლაქიებმა მოისურვეს გაესინჯათ მუშათა სისხლიც. მიტინგის მთელი ადგილი სისხლის მორევს წარმოადგენს. ბაღის ხეივანი და სკამები შეღებილია დაჭრილთა და დახოცილთა სისხლით, სხეულის ნაფლეთებითა და დანთხეული ტვინით. ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცებო! თქვენი თვალით ნახეთ ეს უსაშინელესი ბოროტმოქმედება, ჩადენილი იმ ადამიანთა მიერ, რომლებიც ჯერ კიდევ უწოდებენ თავის თავს სოციალისტებს და მუშათა კლასის მეგობრებს“.

მენშევიკებმა საბოლოოდ ამხილეს თავისთავი მშრომელი მასების თვალში. იძლეოდა რა შამქორის სადგურთან და ალექსანდრეს ბაღში მომხდარი დახვრეტის შეფასებას, ამხანაგი სტალინი სწერდა: „...უკა-

ნასკნელმა ამბებმა საბოლოოდ ჩამოხადა სოციალიზმის ნილაბი მენშევიკ-კონტრრევოლუციონერებს. ახლა მთელ რევოლუციურ მსოფლიოს საშუალება აქვს თვალნათლივ დაინახოს და დარწმუნდეს, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატის და მისი „სეიმურ-ნაციონალური“ დანაურნის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ფრიად ბოროტ კონტრრევოლუციურ ბლოკთან, რომელიც ამიერ-კავკასიის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ არის მიმართული“. („პრავდა“ № № 55—56, 1918 წ.).

სამარცხვინო ზავი თურქეთთან

საგარეო პოლიტიკის საკითხში ამიერ-კავკასიის კომისარიატი დაადგა აშკარა ავანტიურისტულ გზას. მან უარი სთქვა ეცნო რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადებული ბრესტის ზავი და შეეცადა დამოუკიდებლად დაედო ზავი თურქეთთან. ამ მიზნით ტრაპიზონში გაიგზავნა სეიმის დელეგაცია. მოლაპარაკება გრძელდებოდა მთელი თვის განმავლობაში, მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. როგორც კი რუსეთის სამხედრო ნაწილებმა დასტოვეს თურქეთის ფარგლები, თურქეთის ჯარები შეტევაზე გადმოვიდნენ, დაიპყრეს არტაანი, ყარსი, ბათუმი და ემუქრებოდნენ ამ ქალაქების მეზობლად მდებარე ამიერ-კავკასიის რაიონებს. ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციის ხელმძღვანელები გაჰკიოდნენ, ჩვენ გვირჩევნია ღირსეულად დავიხოცოთ, ვიდრე სულთანის თურქეთს ვემორჩილებოდეთო. მაგრამ როცა წამოიჭრა დამპყრობელებისათვის ნამდვილად წინააღმდეგობის გაწევის საკითხი, კონტრრევოლუციური ბლოკის ერთმა ნაწილმა — მუსავატებელმა — საერთოდ უარი სთქვა თურქეთთან ბრძოლაზე, ხოლო მენშევიკებმა და დაშნაკებმა, ქვეყნის თავდაცვის ნამდვილად მოწყობის ნაცვლად, სამარცხვინო შეთანხმება დასდვეს თურქეთის სარდლობასთან. თურქეთმა 1918 წლის ივნისში „ზავისა და მეგობრობის“ ხელშეკრულება დასდო საქართველოსა და სომხეთთან და მათ თავზე მოახვია ბრესტის ზავთან შედარებით სამჯერ უფრო კაბალური საზავო ხელშეკრულება. გარდა ახალი ტერიტორიული დათმობისა, საქართველოს უნდა განეარაღებინა შავზღვაზე მის განკარგულებაში მყოფი სამხედრო ფლოტის ნაშთები, მოეხდინა თავის ტერიტორიაზე მოხალისეთა ყველა რაზმის დემობილიზაცია, თურქეთისათვის მიენიჭებინა საქართველოს რკინიგზით თურქეთის ჯარებისა და სამხედრო საჭურველის შეუფერხებლად გადაყვანა-გადაზიდვის უფლება და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ბაქოში და საქართველოს ცალკეულ რაიონებში

ლენინი და სტალინი, მიუხედავად კავშირის გაბმის სიძნელისა, ყურადღებით თვალს ადევნებდნენ ამიერ-კავკასიის ამბებს. ისინი მუდამ დახმარებას უწევდნენ ბოლშევიკებს, ეხმარებოდნენ მათ სწორი კლასობრივი

და ნაციონალური პოლიტიკის გატარებაში მრავალერიანი ამიერ-კავკასიის მხარის მიმართ.

1918 წლის 15 მარტს ბაქოს საბჭოს გამოაქვს გადაწყვეტილება: „ქალაქი ბაქო უნდა გადაიქცეს დასაყრდენ პუნქტად ამიერ-კავკასიის საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად“.

ბაქოელი ბოლშევიკები, რომლებიც ლენინისა და სტალინის რჩევას მისდევდნენ, ჩაებნენ შეიარაღებულ ბრძოლაში მუსავატური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ და ნამდვილ გამარჯვებას მიაღწიეს. 12 (25) აპრილს ბაქოს მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე მოეწყო ბაქოს სახალხო კომისართა საბჭო ს. შაუმიანის თავმჯდომარეობით. საბჭოთა ხელისუფლებამ ბაქოში უდიდესი მუშაობა გააჩაღა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში და, პირველ რიგში, წითელი არმიის შესაქმნელად, რომელიც მზად იქნებოდა გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციისათვის.

1918 წლის 9 (22) აპრილს ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციურმა სეიმმა, რომელსაც მენშევიკები მეთაურობდნენ, ამიერ-კავკასია დამოუკიდებელ ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა. ჩამოყალიბდა მთავრობა თურქოფილის ა. ჩხენკელის მეთაურობით. ამ მთავრობაში პარიტეტის საფუძველზე შევიდნენ მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები. მაგრამ მთავარი პორტფელები წინანდებურად მენშევიკების ხელში იყო. უდიდეს გამარევოლუციონერებელ გავლენას ახდენდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობა ბაქოში. გლეხთა აჯანყებანი, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, მოედო გორის, დუშეთის, ბორჩალოს, სენაკის, ზუგდიდის, ლეჩხუმის და სხვ. მაზრებს. ბოლშევიკური აჯანყება მოხდა სამხრეთ ოსეთში. ბოლშევიკებმა ძალა-უფლება დაიპყრეს ქუთაისში. 1918 წლის აპრილსა და მაისში, 42 დღის განმავლობაში, საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა აფხაზეთში.

„ამიერ-კავკასიის დემოკრატიული ფედერატიული რესპუბლიკის“ აღსასრული და ამიერ-კავკასიის დაშლა

ხანმოკლე იყო ამიერ-კავკასიის „დამოუკიდებელი“ ფედერატიული რესპუბლიკის არსებობა. მან მხოლოდ 35 დღეს გასძლო. 1918 წლის 26 მაისს ამიერ-კავკასიის სეიმის სხდომაზე გაფორმებული იქნა ამიერ-კავკასიის ფაქტიურად უკვე მომხდარი დაშლა და ამიერ-კავკასიის დემოკრატიული ფედერატიული რესპუბლიკის არსებობის აღსასრული.

მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკები ამ გზას დაადგნენ ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკური მოძრაობის ზრდის გავლენით, ჩრდილოეთიდან მომავალი სოციალისტური რევოლუციის საშიშროების გამო, ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ფაქტის გავლენით. მაგრამ აქ საკმაოდ დიდი როლი ითამაშა გერმანია-თურქეთის იმპერიალიზმმაც,

რომელიც დაინტერესებული იყო ამიერ-კავკასიის დაჭუცმაცებით, აქ პატარა, სუსტი სახელმწიფოების შექმნით, რომ მას გაადვილებოდა მხარის, განსაკუთრებით ნავთის მრეწველობის ცენტრის — ბაქოს დაუფლება. ამიერ-კავკასია გადაექცია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ფორპოსტად.

სწორუპოვარი სიცხადით გააშუქა ამხანაგმა სტალინმა 1918 წლის ამიერ-კავკასიაში შექმნილი სიტუაცია და ის ბრძოლა, რომელიც იმხანად მიმდინარეობდა რუსეთის განაპირა მხარეებში, ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა ბურჟუაზიული კონტრრევოლუცია სოციალიზმის წინააღმდეგ. „...იერიშმიტანილნი ორის მხრივ,—სწერდა ამხანაგი სტალინი.—გარედან — საბჭოთა ხელისუფლების მხრივ და შიგნიდან — „თავისივე ცაკუთარი“ მუშებისა და გლეხების მხრივ, — „ნაციონალური მთავრობები“ „იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ პირველი ბრძოლების შემდეგ. ფინეთის მუშებისა და ტორპარების აჯანყება და ბურჟუაზიული „სენატის“ გაქცევა, უკრაინის მუშებისა და გლეხების აჯანყება და ბურჟუაზიული „რადის“ გაქცევა; მუშებისა და გლეხების აჯანყება დონში, ყუბანში, ციმბირში და კალედინის, კორნილოვის და ციმბირის „მთავრობის“ დამარცხება; თურქესტანის ღარიბ გლეხთა აჯანყება და „ავტონომიური მთავრობის“ გაქცევა, აგრარული რევოლუცია კავკასიაში და სრული უძლურება „ნაციონალური საბჭოებისა“ საქართველოში, სომხეთში და აზერბეიჯანში, — ასეთია ყველასათვის ცნობილი ფაქტები, რაც ცხადჰყოფს განაპირა მხარეების „მთავრობების“ სრულ მოწყვეტას „თავიანთი“ მასებისაგან. მთლიანად განადგურებული ნაციონალური „მთავრობები“ „იძულებული“ იყვნენ მიემართათ დახმარებისათვის „თავიანთი“ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ დასავლეთის იმპერიალისტებისათვის, მთელი ქვეყნის წვრილ ეროვნებათა საუკუნეებრივი მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორებისათვის“. („მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი“, გვ. 75).

ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როცა საქართველო ამიერ-კავკასიის დემოკრატიული ფედერატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, საქართველოს ნაციონალურმა საბჭომ 1918 წლის 24 მაისს გადაწყვიტა მოლაპარაკება გაემართა გენერალ ლოსოვის მეშვეობით საქართველოზე გერმანიის პროტექტორატის დასამყარებლად, რათა იგი დაეცვა „გარეშე საფრთხისაგან“ და ქვეყნის შიგნით ჩაეხშო ბოლშევიკური მოძრაობა.

26 მაისს საქართველოს ნაციონალურმა საბჭომ, ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით, გერმანიის კონსულის, გრაფ შულენბურგის და გერმანელი ოფიცრების, საქართველოს მიტროპოლიტის ლეონიდის თანდასწრებით, გამოაცხადა საქართველოს „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკის შექმნა. არჩეულ იქნა რვა კაცისაგან შემდგარი „ნაციონალური“ მთავრობა მენშევიკ ნ. რამიშვილის მეთაურობით.

27 მაისს მუსავატელებმა გამოაცხადეს აზერბეიჯანის „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკის დაარსება. 17 ივნისს, თურქეთის სარდლობის კარნახით, ელისავეტპოლში (ყოფილი განჯა, ამჟამად კიროვაბადი) შეიქმნა აზერბეიჯანის მუსავატური ბეგურ-ხანური მთავრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ, 28 მაისს სომხეთის ცენტრალურმა ნაციონალურმა საბჭომ, რომელიც თბილისში იმყოფებოდა, სომხეთიც „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად გამოაცხადა. 17 ივნისს სომხეთის დაშნაკური მთავრობა, თურქეთის ოფიცრების თანხლებით, გაემგზავრა თბილისიდან ერევანში, რომელიც სომხეთის დედა-ქალაქად იქცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეათე

საქართველო მენშევიკების ბატონობის ქვეშ და ბრძოლა მასში პროლეტარული რევოლუციისათვის

ქართველი მენშევიკები იმპერიალისტებისა და რუსი თეთრგვარდიელების სამსახურში

მენშევიკების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე იწყება აქ გერმანელი ოკუპანტების შემოსვლა. მათ თავი ისე ეჭირათ როგორც ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონთ და თავის ამოცანად დაისახეს ხელთ ეგდოთ სახელმწიფოს ფაქტიური მართვა-გამგეობა და საქართველო გადაექციათ გერმანიის კოლონიად.

„...საქართველოს დამოუკიდებლობა, — სწერდა ვ. ი. ლენინი, — გადაიქცა ხალას სიცრუედ, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ". (ლენინი, ტ. XXIII, გვ. 155).

1918 წლის ნოემბერს, გერმანიაში მომხდარი რევოლუციის შემდეგ, გერმანელი ოკუპანტები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ საქართველო. მათ ადგილზე მოვიდა მაშინ ინგლისის საოკუპაციო კორპუსი. ორიწლინახევრის განმავლობაში თარეშობდნენ ინგლისელები საქართველოში. ინგლისის მთავრობის მიერ ამიერ-კავკასიაში დასახული ამოცანების შესასრულებლად, ინგლისის სარდლობა ერეოდა რკინიგზის ადმინისტრაციის განკარგულებებში, ძალადობას სჩადიოდა საქართველოს მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, სდევნიდა მუშებს, ხურავდა მათს ორგანიზაციებს. ინგლისელმა იმპერიალისტებმა საქართველო, უწინარეს ყოვლისა, გადააქციეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის პლაცდარმად. და მენშევიკები ფაქტიურად იმპერიალისტ მტაცებელთა ნება-სურვილის მორჩილი ამსრულებლები იყვნენ. თავისი ბატონობის მიწურულში მენშევიკებმა არ ითაკილეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ დასახმარებლად საფრანგეთის სამხედრო გემების მოწვევა და აჭარის გამცემლურად გადაცემა თურქეთისათვის.

„.... იმ ვითარებაში, როდესაც პროლეტარულ რუსეთსა და იმპერიალისტურ ანტანტას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჩაღდება,— სწერდა ამხანაგი სტალინი,— განაპირა ქვეყნებისათვის [illegible] მხოლოდ ორი გამოსავალი: ან რუსეთთან ერთად, და [illegible] ქვეყნების მშრომელი მასების განთავისუფლება იმპერიალისტური ჩაგვრისაგან; ან ანტანტასთან ერთად, და მაშინ—აუცილებელი იმპერიალისტური უღელი. მესამე გამოსავალი არ არსებობს. ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი საქართველოს, სომხეთის, პოლონეთის, ფინეთის და სხვ. ეგრეთწოდებული დამოუკიდებლობა არის მხოლოდ მაცდუნებელი მოჩვენება, რომელიც ფარავს ამ, უკაცრავად პასუხია, სახელმწიფოების სრულ დამოკიდებულებას იმპერიალისტების ამა თუ იმ ჯგუფისაგან". (სტალინი. „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი", გვ. 80 — 81).

საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევდა მენშევიკებს აქტიურად გამოსულიყვნენ ყველა მშრომელის ულმობელი მტრის, ყოფილი მეფის რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ნაციონალური უმცირესობის მტრის — გენერალ დენიკინის წინააღმდეგ, რომელიც ანტანტას დახმარებით აშკარად ისწრაფვოდა აღედგინა რუსეთში კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობა და ხელახლა შეექმნა „მთლიანი და განუყოფელი რუსეთი".

მაგრამ მენშევიკებმა კატეგორიულად უკუაგდეს ეს წინადადება და უარი სთქვეს რუსეთის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის შექმნაზე. მენშევიკური მთავრობის მეთაურმა ნ. ჟორდანიამ, რომელმაც გასცა ქართველი ხალხის ინტერესები და იმპერიალისტებისა და რუსი თეთრგვარდიელობის სამსახურში ჩადგა, საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე 1920 წლის 14 იანვარს გულახდილად განაცხადა: „ვიცი, მტრები იტყვიან, რომ ჩვენ იმპერიალისტთა მხარეზე ვართ. ამიტომ აქ მე გადაჭრით უნდა განვაცხადო: მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს".

ასრულებდნენ რა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დავალებებს, მენშევიკებმა საქართველოში აზერბეიჯანისაკენ გაატარეს თურქეთის ჯარები და ამით უდიდესი დახმარება აღმოუჩინეს იმპერიალისტებს ბაქოს საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში. კონტრრევოლუციური ბანდებით და თურქეთის ჯარებით გარშემორტყმული, გლეხთა რეზერვებს მოკლებული, ანტანტის მენშევიკურ-ესერული და დაშნაკური აგენტურის მიერ გაცემული ბაქოს პროლეტარიატი 1918 წელს დამარცხდა და განადგურებულ იქნა. იმავე წლის 20 სექტემბერს, კრასნოვოდსკიდან მე-207 ვერსზე, ახჩა-კუიმის და პერევალის სადგურებს შუა, მიყრუებულ და უდაბურ ტრამალში ინგლისის სარდლობის წარმომადგენელმა, კაპიტანმა ტიგ-ჯონსმა თავაწყვეტილ ესერულ ბანდებთან ერთად, და-

ხვრიტა ბაქოს პროლეტარიატის საყვარელი ხელმძღვანელები: ს. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, ი. ფიოლეტოვი, მ. აზიზბეკოვი და სხვ.

ამ ალმაშფოთებელ ავაზაკობაში ქართველ მენშევიკებს მხარი ეჭირათ იმპერიალისტ მკვლელების. როცა მათ წინადადება მიეცა—ბერნის სოციალისტური კონფერენციისათვის დეპეშით გაეგზავნათ პროტესტი კავკასიაში ინგლისელთა მოქმედების წინააღმდეგ, მენშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავი აარიდა ამ პროტესტს იმ ფარისევლური საბაბით, რომ ბაქოელ კომისართა მკვლელობაში ინგლისელთა მონაწილეობის დამადასტურებელი უდავო დოკუმენტალური ცნობები ცენტრალურ კომიტეტს არ მოეპოვებაო.

ნაციონალური გართულებანი

ამიერ-კავკასიაში მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების ბატონობის პერიოდი იყო დაუსრულებელ შეტაკებათა და ძმათსაჟლეტი ომების ხანა. მენშევიკები ატარებდნენ დაპყრობისა და „სტრატეგიულ და ისტორიულ საზღვრებამდე“ საქართველოს ტერიტორიის გაფართოების პოლიტიკას, ისინი პრეტენზიას აცხადებდნენ სომხეთის და აზერბეიჯანის მიწებზე. იმპერიალისტური ზრახვებით ქართველ მენშევიკებს არ ჩამოუვარდებოდნენ სომეხი დაშნაკები და აზერბეიჯანელი მუსავატელები. დაშნაკები, მაგალითად, პრეტენზიას აცხადებდნენ თბილისსა და ბათუმზე. ჯერ კიდევ 1918 წლის ზაფხულში ყოფილ ბორჩალოს მაზრაში მდებარე მცირე სადავო ტერიტორიის გამო კინაღამ ომი ატყდა საქართველოსა და აზერბეიჯანს შორის. 1918 წლის დეკემბერს საქართველოს და სომხეთს შორის დაიწყო სამარცხვინო ძმათსაჟლეტი ომი, რომლის საბაბად გადაიქცა სადავო ტერიტორია ყოფილ ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებში.

მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები პრესაში და ყველა სხვა საშუალებით გააფთრებულ ნაციონალისტურ-შოვინისტურ აგიტაციას ეწეოდნენ. ისინი მუშათა და გლეხთა შეგნებას სწამლავდნენ ნაციონალიზმის და შოვინიზმის შხამით. ინტერნაციონალური კავშირი, რომელც წინათ ამიერ-კავკასიაში აერთიანებდა ქართველ, აზერბეიჯანელ, სომეხ, რუს და სხვა ეროვნებათა მუშებს, ბუნებრივად სუსტდებოდა და ირღვეოდა ზემოაღნიშნული აგიტაციის გავლენით. მუშათა და გლეხთა შორის განვითარდა ნაციონალიზმი, ძლიერდებოდა თავისი „სხვა—ნაციონალური ამხანაგებისადმი“ უნდობლობის გრძნობა. „ძმური ნდობის ძველებური კავშირი,—სწერდა ამხანაგი სტალინი,—გადაწყვეტილია ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან დასუსტებულია. სჩანს, ნაციონალისტურ მთავრობათა სამი წლის არსებობას საქართველოში (მენშევიკები), აზერბეიჯანში (მუსავატელები), სომხეთში (დაშნაკები) ამაოდ არ ჩაუვლია. ეს ნაციონალისტური მთავრობანი, ეწეოდნენ რა თავის ნაციონალისტურ პოლიტიკას, მუშაობდნენ რა მშრომელთა შორის აგრესიული ნაციონა-

ლიზმის თანახმად, ბოლოს და ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ თვითეული ეს პატარა ქვეყანა რკალივით გარშემორტყმული აღმოჩნდა მტრული ნაციონალისტური ატმოსფეროთი". („პრავდა გრუზიი", 1921 წ. 13 ივლისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიკების ბრძოლა ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ

ნაციონალურ საკითხში მენშევიკები არსებითად დიდმპყრობელურ, შოვინისტურ პოლიტიკას ატარებდნენ. ისინი ყოველნაირად სდევნიდნენ საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათ: აფხაზებს, ოსებს, აჭარლებს, სომხებს და სხვ.

როცა ოსმა გლეხებმა უარი სთქვეს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობაზე, მენშევიკებმა გარეკეს და კანონს გარეშე გამოაცხადეს სამხრეთ-ოსეთის ნაციონალური საბჭო. მენშევიკებმა საქართველოში შემოიღეს საერობო თვითმართველობა, მაგრამ ეს ბურჟუაზიულ-ლიბერალური რეფორმა არ გაავრცელეს სამხრეთ ოსეთზე და რესპუბლიკის სხვა რაიონებზე, სადაც ნაციონალური უმცირესობანი სცხოვრობენ. ასეთი ვიწრო-ნაციონალისტური პოლიტიკა ნაციონალური განაპირა მხარეების მიმართ, ბუნებრივია, აწყდებოდა წინააღმდეგობას გაუბედურებულ ნაციონალურ უმცირესობათა მხრით.

სამხრეთ ოსეთის მშრომელნი მრავალჯერ აჯანყებულან ქართველ მენშევიკთა ბატონობის წინააღმდეგ. აჯანყებულ ოსებს გამოუძიებლად და გაუსამართლებლად ხვრეტდნენ. საარტილერიო ცეცხლით სპობდნენ მთელ სოფლებს. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული იყო გადახვეწილიყო თოვლიანი უღელტეხილის გადაღმა — ჩრდილო ოსეთში. რომ საბოლოოდ გაეტეხა ოსების წინააღმდეგობა, მენშევიკურმა მთავრობამ გადასწყვიტა სამხრეთ ოსეთის დარჩენილი მოსახლეობა გადაესახლებინა ყარაიის ტრამალში, სადაც სრულიად შეუფერებელი კლიმატური პირობებია მთის მცხოვრებთათვის, ხოლო ოსების მიწებზე დაესახლებინა ქართველები.

მენშევიკები აფხაზ ხალხს სიტყვით ავტონომიას ჰპირდებოდნენ, ხოლო საქმით საკითხი აფხაზეთის ავტონომიურ უფლებათა შესახებ არ შეუტანიათ განსახილველად მენშევიკურ დამფუძნებელ კრებაშიაც. აფხაზების დევნამ იქამდე მიაღწია რომ მენშევიკებმა აფხაზეთში დახურეს ერთად-ერთი გაზეთი აფხაზურ ენაზე — „აფსნი". მენშევიკების დროს აფხაზეთში შესწყვიტეს არსებობა სოფლის სკოლებმა, გარდა უმნიშვნელო გამონაკლისისა.

აფხაზეთში მენშევიკების მიერ შექმნილი რეჟიმის შესახებ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ აფხაზეთის ნაციონალური საბჭოს 14 დელეგატის მოხსენების საფუძველზე: „მას შემდეგ, რაც აფხაზეთში მოგვევლინენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელნი, — ნათქვამია ამ მოხსენე-

ბაში, — მთელი მათი მოღვაწეობა მიმართული იყო იქითკენ, რომ გაექარწყლებინათ ის ძმური ურთიერთობა, რომელიც ძველთაგან არსებობდა ქართველებსა და აფხაზებს შორის... აფხაზეთის ხალხებს ... ბით სხვა არაფერი უნახავთ, გარდა დამსჯელი ექსპედიციებისა, ... ბისა, გაწკეპლვისა და ქალების გაუპატიურებისა".

როცა ინგლისელები ბათუმიდან წავიდნენ, ქართველმა მენშევიკებმა, 1920 წლის ივლისში, აჭარა დაიკავეს და აქაც დაიწყეს სასტიკი სამხედრო-პოლიციური რეჟიმის განხორციელება. აჭარის მართვა-გამგეობის მთელი რეფორმა იმაში გამოიხატა, რომ მენშევიკებმა იქ შეჰქმნეს შეუზღუდველი რწმუნებულების მქონე გენერალ-გუბერნატორის ხელისუფლება. რა გასაკვირველია, რომ აჭარაში მენშევიკური მართვა-გამგეობის დროს არ შეწყვეტილა სამოქალაქო ომი. მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ აჭარელთა პარტიზანული რაზმები, ისინი თავს ესხმოდნენ მენშევიკურ სამხედრო ნაწილებს, არბევდნენ მილიციას და სხვ.

მენშევიკების საშინაო პოლიტიკა და მშრომელი მასების მდგომარეობა

ეყრდნობოდნენ რა დასავლეთის იმპერიალისტებზე და იყვნენ რა რუს თეთრგვარდიელობასთან ფაქტიურ კავშირში, ქართველი მენშევიკები ამტკიცებდნენ საქართველოში კაპიტალიზმს და ხალხის მასები მათ განწირული ჰყავდათ დასაჩაგრავად და საექსპლოატაციოდ. მენშევიკები თავის რესპუბლიკას „დემოკრატიულსა" ანუ სახალხო რესპუბლიკას უწოდებდნენ. ნამდვილად კი მენშევიკურ რესპუბლიკაში ხალხს არავითარი ძალა-უფლება არ მოეპოვებოდა. მთავრობაში არ იყო არც ერთი მუშა, არც ერთი გლეხი.

ფაბრიკა-ქარხნები კვლავ კაპიტალისტთა ხელში რჩებოდა. ნომინალურად არსებობდა კანონი 8-საათიანი სამუშაო დღის შესახებ. ფაქტიურად კი ეს კანონი თითქმის არსად არ ტარდებოდა. ბევრ წარმოებაში სამუშაო დღე 12—14 საათს გრძელდებოდა. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო ავადმყოფობისა და ინვალიდობის შემთხვევისათვის მუშამოსამსახურეთა დაზღვევის საქმე. ბოლშევიკებს არავითარ სამუშაოზე არ ღებულობდნენ, მათ აპატიმრებდნენ, საპყრობილეში ამწყვდევდნენ და, უკეთეს შემთხვევაში, საქართველოს ფარგლებიდან აძევებდნენ.

ქალალდზე შეიძლებოდა თავისუფლად გაერთიანება პროფესიულ კავშირებში, შეიძლებოდა ეკონომიური გაფიცვების მოწყობა. მაგრამ როცა ოდნავ ეჭვს იღებდნენ, პროფკავშირი ბოლშევიკურიაო, მას დაუყოვნებლივ არბევდნენ. სწორედ ასევე მენშევიკები პრაქტიკაში სასტიკად სდევნიდნენ მუშათა გაფიცვებს. მენშევიკებს არც ერთი სერიოზული ნაბიჯი არ გადაუდგამთ მუშებისათვის საბინაო საკითხის გადასაწყვეტად, მათ შორის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის მო-

საწყობად. თვითონ მენშევიკები იძულებული იყვნენ აღეარებინათ, მუშათა კლასი საქართველოში მწვავე და მძიმე ეკონომიურ კრიზისს განიცდის და ფიზიკური გადაგვარების გზას დაადგაო.

აგრარული პოლიტიკის დარგში მენშევიკები მემამულეთა და კულაკთა ინტერესებს იცავდნენ. გლეხთა რევოლუციური გამოსვლების ზეგავლენით ისინი, მართალია, შეუდგნენ მიწის საკითხის გადაჭრას, მაგრამ საადგილმამულო რეფორმა მათ იმგვარად გაატარეს, რომ საუკეთესო მიწები მემამულეთა და კულაკთა ხელში დარჩა და უკანასკნელნი ცნობილ იქნენ მშრომელებად. სამაგიეროდ გლეხობის დიდ უმრავლესობას ძველებურად სული ეხუთებოდა უმიწაწყლობის და მიწაწყლის სიმცირის მუხრუჭში.

მხოლოდ ყოფილი სახაზინო და საბატონო მიწებიდან მიუჭრიდნენ გლეხებს მცირე დამატებითს ნაკვეთებს, ისიც დიდ ფასად. მემამულეთა კლასისა და სოფლის ბურჟუაზიისათვის ხელის შესაწყობად მენშევიკებმა ამასთანავე დართეს მიწის თავისუფლად ყიდვა-გაყიდვის ნება.

ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის

მენშევიკების ბატონობისა და უცხოელი იმპერიალისტების მიერ საქართველოს ფაქტიური ოკუპაციის დროს ქართველ ბოლშევიკებს მოუხდათ ბრძოლის წარმოება არალეგალური მუშაობის განსაკუთრებით მძიმე პირობებში.

ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები შეჰქმნა და გამოზარდა ამხანაგმა სტალინმა. მისი ხელმძღვანელობით ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა საქართველოს მუშები და გლეხები ურღვევი მეგობრობით დაუკავშირეს დიდ რუს ხალხს და წამოაყენეს ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1917 — 1920 წლებში ქართველი ბოლშევიკები მეთაურობდნენ ქართველ ხალხს მის ბრძოლაში მენშევიკური ხელისუფლებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით 1918 წელს ჩატარდა მთელი რიგი გაფიცვები, რომელთა შორის ყველაზე ხანგრძლივი და შეუპოვარი იყო ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშათა გაფიცვა.

1918 წელს ბოლშევიკები მეთაურობდნენ გლეხთა დიდ აჯანყებებს დუშეთის მაზრაში, იმერეთში (საჩხერის რაიონში) და სამეგრელოში. ეს აჯანყებანი მენშევიკებმა ჩააქრეს განსაკუთრებული სისატიკით ჯარების და ინტერვენტთა იარაღის დახმარებით.

1919 წელს განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო საქართველოში საგაფიცვო მოძრაობამ. ქვეყნის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა იმხანად უმაგალითოდ დაეცა, სულ უფრო მეტად მწვავდებოდა კლასობრივი წინააღმდეგობანი, ამასთან დაკავშირებით განუხრელად იზრდებოდა ბოლშევიკების გავლენა ქალაქისა და სოფლის მშრომელ მასებში.

ყველაზე დიდი გაფიცვა 1919 წელს იყო თბილისის საქალაქო თვით-მართველობისა და მთელ რიგ მუნიციპალურ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების ხანგრძლივი გაფიცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1919 წლის მაისს ბაქოში შესდგა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგალური კონფერენცია. ამ კონფერენციაზე არჩეულ იქნა რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ახალი შემადგენლობა და დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების უზრუნველსაყოფად. პარტიულ ორგანიზაციათა მთავარ ამოცანად დაისახა შეიარაღებული აჯანყების მომზადება.

ჯერ კიდევ 1919 წლის გაზაფხულზე, ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დროებითი დამარცხების შემდეგ, თოვლიან კავკასიის ქედზე გადმოვიდა და საქართველოში გამოიარა საბჭოთა რუსეთში მიმავალმა სერგო ორჯონიკიძემ. მან ქართველ ბოლშევიკებს სახელმძღვანელო მითითებანი მისცა შეიარაღებული აჯანყების საკითხზე.

როცა 1919 წლის გაზაფხულში წარმოიშვა ამიერ-კავკასიაში დენიკინის შემოჭრის საშიშროება, რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა წამოაყენა ერთიანი ფრონტის ლოზუნგი თეთრგვარდიულ კონტრრევოლუციასთან გასამკლავებლად. ბოლშევიკებმა წინადადება მისცეს თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს მოეწვია თბილისში ამიერ-კავკასიის საგანგებო ყრილობა.

ერთიანი ფრონტის ტაქტიკას ფართოდ გამოეხმაურეს და მხარი დაუჭირეს აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მშრომელმა მასებმა. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა კრებები ყველგან მოითხოვდნენ დენიკინისათვის რევოლუციური ომის გამოცხადებას. მაგრამ მენშევიკებმა, რომლებსაც აღებული ჰქონდათ ორიენტაცია დასავლეთის იმპერიალისტებთან და რუსეთის კონტრრევოლუციასთან შეთანხმებაზე, უარი სთქვეს განეხორციელებინათ ერთიანი ფრონტი და უფრო მეტად გააძლიერეს ტერორი ქვეყნის შიგნით. დაიწყო მასობრივი რეპრესიები ბოლშევიკების წინააღმდეგ. მათი დაპატიმრება და საქართველოდან გადასახლება. „აშკარა გამცემლებმა (მენშევიკებმა), — სწერდა ამაზე ბოლშევიკური გაზეთი „რაბოჩი", — ლოზუნგი: „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად" შესცვალეს ლოზუნგით: „ყველანი ბოლშევიკების წინააღმდეგ".

1919 წლის 22 სექტემბერს ქალაქ ბაქოში შესდგა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების პირველი ყრილობა. ყრილობამ აირჩია ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი და გამოიტანა გადაწყვეტილება ამიერ-კავკასიის ყველა კომკავშირული გაერთიანების რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირთან ორგანიზაციულად შეერთების შესახებ. ბოლშევიკური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით მომუშავე კომკავშირული ორგანიზაციები უაღრესად აქ-

ტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

1919 წლის მეორე ნახევარი გადამწყვეტი პერიოდი იყო საბჭოთა რუსეთის სამოქალაქო ომის ისტორიაში. გენერალი დენიკინი სამხრეთის კონტრრევოლუციის ჯარებით შიიწევდა წითელ დედა-ქალაქ მოსკოვისაკენ. აზერბეიჯანი, საქართველო და სომხეთი იყო იმ 14 სახელმწიფოს შორის, რომელნიც ანტანტის მითითებით, მონაწილეობდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში.

1919 წლის 9 ივლისს რკპ (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა პარტიულ ორგანიზაციას მიმართა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი ისტორიული მოწოდებით — „ყველანი დენიკინთან საბრძოლველად". იმ უკიდურესად მძიმე ვითარების დროს, რომელშიაც იმხანად საბჭოთა რუსეთი იმყოფებოდა, საქართველოში განზრახული იყო შეიარაღებული აჯანყების მოწყობა. აჯანყების მომენტად შერჩეული იყო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავი. მაგრამ უკანასკნელ მომენტში, სამხედრო ორგანიზაციის ჩავარდნის გამო, აუცილებელი გახდა ამ აჯანყების გადადება. არავითარი შესაძლებლობა არ იყო ამის შესახებ გაეფრთხილებინათ ყველა ბოლშევიკური ორგანიზაცია. ამის გამო მაშინ მოხდა შეიარაღებული გამოსვლები საქართველოს ცალკეულ რაიონებში (ოზურგეთის, სენაკის, დუშეთის, გორის მაზრებში, დაბა ლაგოდეხში, სამხრეთ ოსეთში და სხვაგან).

მენშევიკურმა მთავრობამ ინტერვენტების დახმარებით ჩააქრო ეს აჯანყებანი, ის განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა აჯანყებულებს. ბევრი აჯანყებული სოფელი გადაბუგეს და მიწასთან გაასწორეს. დაპატიმრებულთა, დახვრეტილთა, კატორღამისჯილთა საერთო რიცხვი 2 ათას კაცამდე აღწევდა.

მაგრამ დამარცხებისა და მძიმე მსხვერპლის მიუხედავად, ეს გამოსვლები საქართველოს მუშებისა და გლეხებისათვის სამოქალაქო ომის სკოლა იყო. ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ მალე მოიშუშა მისთვის მიყენებული ჭრილობა და უფრო მეტი ენერგიით ხელი მოჰკიდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებას.

1920 წლის დასაწყისი რუსეთში აღინიშნა საბჭოთა ხელისუფლების გადამწყვეტი გამარჯვებით სამოქალაქო ომის ფრონტზე. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად და ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, წითელმა არმიამ გაანადგურა და შავ ზღვაში გადაყარა ჯერ დენიკინის, ხოლო შემდეგ ვრანგელის ურდოები. ძლევამოსილი წითელი არმია სულ უფრო უახლოვდებოდა ამიერ-კავკასიის საზღვრებს.

ამ პერიოდში, ჯერ კიდევ 1920 წლის 15 მარტს, ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და კავკასიის ყველა ხალხის მშრომელი მასების სახელით საბჭოთა მთავრობას და წითელ არმიას გაეგზავნა მოწოდება, კონტრ-

რევოლუციასთან ბრძოლაში დაგვეხმარეთო. „ჩვენ არ გვინდა მონებად დავრჩეთ, — ეწერა ამ მოწოდებაში, — განსაკუთრებით ახლა, როცა ჩვენს გვერდით დგას რუსეთის განთავისუფლებული პროლეტარიატი, რომელთან ერთად ჩვენ გვსურს შევიდეთ ერთიან პროლეტარულ-ინტერნაციონალურ ოჯახში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1920 წლის აპრილში აზერბეიჯანის მუშებმა და გლეხებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ამხანაგ სტალინის თანამებრძოლნი — ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი და ა. მიქოიანი, რუსეთის გმირული პროლეტარიატისა და მისი სახელოვანი წითელი არმიის დახმარებით, დაიწყეს შეიარაღებული აჯანყება მჩაგვრელი ინტერვენტების და მათი დამქაშების — მუსავატელების წინააღმდეგ. 1920 წლის 28 აპრილს აზერბეიჯანში გამოცხადებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება.

საქართველოში ბოლშევიზმის ზრდისა და მის საზღვრებთან წითელი არმიის მოახლოების გავლენით ქართველმა მენშევიკებმა საბჭოთა რუსეთს მშვიდობიანობა შესთავაზეს. 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლითაც მენშევიკებმა იკისრეს ინტერვენტებისა და რუსი თეთრგვარდიელობისაგან საქართველოს გაწმენდა და საქართველოს კომუნისტური პარტიისათვის (ბოლშევიკებისათვის) თავისუფალი არსებობის ნების დართვა.

საბჭოთა მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოში დაინიშნა სერგეი მირონის-ძე კიროვი. აფასებს რა იმხანად ს. მ. კიროვის როლს საქართველოში, ამხანაგი ლ. ბერია სწერს: „1920 წლის ზაფხულს ამხანაგი კიროვი იყო რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენელი მენშევიკურ საქართველოში თბილისში. აქ იგი იყო საბჭოების ქვეყნის ნამდვილი წარმომადგენელი, ლენინისა და სტალინის წარმომადგენელი, და ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს საქართველოში“ („პრავდა“, № 330 1935 წ.).

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ მენშევიკური მთავრობა არ აპირებს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების პირნათლად შესრულებას. საქართველოში წინანდებურად თარეშობდნენ თეთრგვარდიელები და ინტერვენტები. მიუხედავად იმისა, რომ ს. მ. კიროვი ამის წინააღმდეგ ენერგიულ პროტესტებს აცხადებდა, მენშევიკები განაგრძობდნენ თავის პოლიტიკას. მათ დახურეს ყველა ბოლშევიკური გაზეთი, აპატიმრებდნენ და სდევნიდნენ კომუნისტებს როგორც საქართველოში ისე სამხრეთ ოსეთსა, აფხაზეთსა და აჭარაში. მაგრამ მენშევიკების თვითნებობა და უხეში ძალადობა მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ უკვე ვერ შეაჩერებდა ჩვენს ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის ზრდას.

ითვალისწინებდა რა საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების დაღუპვასა და პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას, ს. მ. კიროვი 1920 წლის 30 აგვისტოს ვ. ი. ლენინს სწერდა: „...საქართველოს მთავრობა წინანდებურად ყოყმანობს, მან არ იცის, თუ საითკენ გადაიხაროს

ავსებით გარკვეულად — ჩვენსკენ თუ ანტანტისაკენ. ამასობაში ეკ. საქართველოს სამეურნეო ცხოვრება დღითი-დღე სულ უფრო მეტად ღა გარკვევით ირღვევა და უკვე ძალიან ახლოა ის მომენტი, [illegible] ჟორდანიას, საქართველოს ეგზარქოსთან ერთად, მოუხდება [illegible] „მდინარეთა ზედა ბაბილონისა“ (კიროვი, „სტატიები და სიტყვები“, ტ. I, გვ. 229).

განათლება და კულტურა

მენშევიკების ბატონობის დროს სახალხო განათლების საქმე საქართველოში საბოლოოდ ჩაშლილი იყო. სასკოლო ქსელი მკვეთრად მცირდებოდა და ამასთან დაკავშირებით კლებულობდა მოსწავლეთა რიცხვი. არა თუ აშენებდნენ ახალ სასკოლო შენობებს, არამედ ძველიც შეუკეთებელი რჩებოდა.

სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მოსწავლეები სასოწარკვეთილებამდე მიყვანილნი, ისინი ხშირად იფიცებოდნენ.

„საშინელმა სიძვირემ, — ძალაუნებურად სწერდა მენშევიკური ჟურნალი „განათლება“, — ერთი მხრივ და მეორე მხრივ თავის დროზე ხვედრი ჯამაგირებით დაუკმაყოფილებლობამ იძულებული გახადეს სოფლის მასწავლებლები მიეტოვებინათ თავისი საყვარელი პროფესია და სხვა უფრო „დროის შესაფერი“ და ნივთიერად უზრუნველმყოფელი საქმეებისათვის მოეკიდნათ ხელი. ზოგი ერობის მუშაობაში ჩაება. ზოგმა ვაჭრობა დაიწყო, ზოგი დროებით ჩამოშორდა სკოლას. ერთი სიტყვით, სოფლის სკოლების მდგომარეობა გაუარესების გზაზე დგას“. („განათლება“ № 2, 1919 წ.).

მოწინავე ქართველი ინტელიგენციის, ცნობილი მეცნიერების და პროფესორების—ი. ა. ჯავახიშვილის, პ. მელიქიშვილის, ი. ყიფშიძის, ა. რაზმაძის, კ. კეკელიძის, დ. უზნაძის, ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, ფ. გოგიჩაიშვილის და სხვ. ინიციატივით 1918 წელს, მშრომელი მასების მხარდაჭერით, გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მენშევიკების დროს უნივერსიტეტს არავითარი დახმარება და სახსრები არ ეძლეოდა. მენშევიკები ყოველმხრივ აფერხებდნენ უნივერსიტეტის განვითარებას და მას მაშინ არავითარი სამეცნიერო და სასწავლო ბაზა არ მოეპოებოდა.

რღვევას და დაშლას განიცდიდა მხატვრული ლიტერატურა. მენშევიკების ბატონობის დროს არ დაბეჭდილა არც ერთი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები.

კრიზისს განიცდიდა და საწყლად ძლივს ბოგინობდა ქართული თეატრი, რომელსაც მთავრობისაგან არავითარი დახმარება არ ეძლეოდა. ქართული დრამატიული თეატრის საუკეთესო ძალები ლ. მესხიშვილი, კ. მარჯანიშვილი და სხვ. საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების არსებობისას საბჭოთა რუსეთში იმყოფებოდნენ.

1919 წელს დაიდგა პირველი ქართული ოპერა—კომპოზიტორ დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“, მაგრამ ამ კომპოზიტორთა ნიჭი და დამსახურება ნამდვილად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაფასდა.

პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება საქართველოში

1920 წლის შემოდგომისათვის სამეურნეო-ეკონომიურმა კრიზისმა მენშევიკურ საქართველოში უკიდურეს საზღვარს მიაღწია. თავისი ბატონობის დროის განმავლობაში მენშევიკებმა ქვეყანა ეკონომიურ კატასტროფამდე და კულტურულ დეგრადაციამდე მიიყვანეს. ფაბრიკა-ქარხნების უმრავლესობა არ მუშაობდა. მოიშალა რკინიგზის ტრანსპორტი. საქართველოს სოფელი უკიდურესად გაღატაკდა და გატიალდა.

1920 წლის შემოდგომაზე საქართველოს ესტუმრენ II ინტერნაციონალის ლიდერები: კ. კაუცკი, მაკდონალდი, ტ. შოუ, დობრუკერი და სხვ. თავის ფარისევლურ სიტყვებში საქართველოს ისინი „სოციალისტურ სამოთხეს“ უწოდებდნენ. მაგრამ ეს ფარისევლური ფრაზა ვერ მოატყუებდა მშრომელ მასებს და ვერ იხსნიდა გაკოტრებულ მენშევიკებს. კ. კაუცკი—ბურჟუაზიის ეს ლაქია და სოციალ-ფაშისტი — ბოლოს და ბოლოს იძულებული იყო თავის მოგონებებში აღენიშნა: „სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ საქართველო განუხრელად მიექანება ბოლშევიზმისაკენ“.

1920 წლის შემოდგომაზე მოხდა მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური ამბები. ნოემბრის დამლევს საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა სომხეთში. ამრიგად, მთელს ამიერ-კავკასიაში მარტო საქართველო რჩებოდა ბურჟუაზიულ რესპუბლიკად. ამ დროისათვის საბჭოთა რუსეთმა დაამთავრა ომი პოლონეთთან. ყირიმში ვრანგელის განადგურებით საბოლოოდ დამარცხდა კონტრრევოლუციის შეიარაღებული ძალები. ასეთი პირობების არსებობისას საქართველოში გიგანტურად იზრდებოდა პროლეტარული რევოლუცია. ბოლშევიკებმა უმრავლესობა მოიპოვეს მბეჭდავთა, მელითონეთა, ელექტრიკოსთა კავშირებში და სხვ. რკინიგზელ მუშათა შორის მოხდა აშკარა გარდატეხა ბოლშევიზმისაკენ. რევოლუცია სწრაფი ტემპით იზრდებოდა სოფლად. გლეხთა მასები, რომელთაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, მზად იყვნენ აჯანყებისათვის, რათა იარაღით ხელში დაემხოთ მენშევიკური ხელისუფლება და გადაეგდოთ იმპერიალისტური უღელი. მენშევიკური მთავრობის მიერ მოწვეულმა საიდუმლო თათბირმა გამოარკვია, რომ საქართველოს არმიის ჯარისკაცები არ ჩააქრობდნენ ბოლშევიკურ აჯანყებას და არ გაილაშქრებდნენ წითელი არმიის წინააღმდეგ. გამოირკვა აგრეთვე, რომ ბოლშევიკური გავლენა შეჭრილა ეგრეთწოდებულ „სახალხო გვარდიაშიაც“, რომელიც მთავრობის დასაყრდენს წარმოადგენდა.

მაშინ ქართველმა მენშევიკებმა უკანასკნელ ღონისძიებას მიმართეს. მათ გააძლიერეს ქვეყანაში ტერორი. მათ გადასწყვიტეს ხელისუფლების შენარჩუნება აშკარა ტერორისტული დიქტატურის საშუალებით, ამავე დროს ისინი შეეცადნენ დასავლეთის იმპერიალისტებისაგან დახმარების მიღებას. მენშევიკებმა მოლაპარაკება დაიწყეს ინგლისთან მისთვის ბათუმის გადაცემის შესახებ. აქ მენშევიკები უძლურნი აღმოჩნდნენ დაეძლიათ ბოლშევიკური მოძრაობა. მენშევიკები ძლიერ ეხმარებოდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებს. მენშევიკები აფერხებდნენ რუსეთიდან საბჭოთა სომხეთისათვის სურსათის მიწოდებას.

„ქართველ მენშევიკებს, — სწერდა ამის თაობაზე ვ. ი. ლენინი, — ხელში ეჭირათ გასაღები სომეხი გლეხობისათვის სურსათის მიწოდებისა ერთიანი რკინიგზით.... არავის ეყოფა მოთმინება წაიკითხოს ის დეპეშები, განცხადებანი და პროტესტები, რომლებიც ჩვენ საქართველოს გაუგზავნეთ ამის თაობაზე. ჩვენ რომ საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება გვქონოდა, საქმე რაც შეიძლება მეტად უნდა გაგვეჯანჯლებინა. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ სომეხი გლეხობა ასე არ უყურებდა ხელშეკრულებას, და გათავდა იმით, რომ თებერვლის დამდეგს იფეთქა საშინელმა აჯანყებამ, რომელიც განსაცვიფრებელი სისწრაფით გავრცელდა და მოედო არა მარტო სომეხ მოსახლეობას“. (ლენინი, ტ. XXVI, გვ. 178 — 179).

მაგრამ რეაქციის თარეში, მართვა-გამგეობის ტერორისტული მეთოდი და მენშევიკების მისწრაფება—დაყრდნობოდნენ ანტანტას ვერ შეაჩერებდა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას საქართველოში. ამხანაგმა სტალინმა 1920 წლის 30 ნოემბერს გაზეთ „პრავდის“ თანამშრომელთან საუბარში მოგვცა პროგნოზი მენშევიკური საქართველოს შესახებ და განაცხადა: „ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლისო“.

1921 წლის 11 თებერვალს ღამით, კომპარტიის დირექტივის მიხედვით, საქართველოში დაიწყო აჯანყება კონტრრევოლუციური მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. აჯანყებამ იფეთქა ბორჩალოს მაზრაში და სიგნალად იქცა საქართველოს სხვა რაიონებისათვის. 16 თებერვალს აჯანყებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც გმოაცხადა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დასაჩქარებლად და მსხვერპლთა რაოდენობის შესამცირებლად, რევკომმა საქართველოს ყველა მშრომელის სახელით დახმარებისათვის მიმართა წითელ არმიას.

XI წითელი არმია, რომელსაც სერგო ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა, ლენინისა და სტალინის მითითებით, დაიძრა საქართველოსაკენ აჯანყებულ მუშათა და გლეხთა დასახმარებლად.

ამ მომენტიდან აჯანყება სწრაფად გაიზარდა და მთელ ქვეყანას მოედო. 1921 წლის 25 თებერვალს რევკომის სამხედრო ძალებმა დაიკავეს თბილისი. სერგო ორჯონიკიძემ ლენინსა და სტალინს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: „თბილისის თავზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

აფხაზეთშიაც აჯანყდნენ მუშები და გლეხები. მათ დასახმარებლად დაიძრნენ მე-31 დივიზიის ნაწილები. 1921 წლის 4 მარტს აფხაზეთში გამოცხადებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება. აფხაზეთის რევკომმა ლენინსა და სტალინს რადიოთი შეატყობინა: „მშრომელთა სურვილით იშვა ახალი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა—აფხაზეთი. აფხაზეთის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა პირველი ყრილობა საბოლოოდ გადასწყვეტს ხალხის ბედ-იღბალს. პატარა ხალხის საბჭოთა რესპუბლიკა წითელი არმიის დიდი განმათავისუფლებელი როლის თვალსაჩინო მაგალითია“.

მენშევიკურმა მთავრობამ, რომელსაც თავის განკარგულებაში ჰყავდა უმნიშვნელო სამხედრო ძალები, უმთავრესად ოფიცრები და იუნკრები—ბურჟუაზიისა და მემამულეთა ეს ვაჟიშვილები, — თბილისიდან გაქცევის შემდეგ, თავი შეაფარა ქუთაისს. მაგრამ XI წითელი არმიის მე-96 ბრიგადა, ს. მ. კიროვის ხელმძღვანელობით, დაიძრა ალაგირის ხეობიდან ოსეთის სამხედრო გზით, გადმოლახა თოვლით დაფარული და ზამთრობით გაუვალი მამისონის უღელტეხილი და 10 მარტს დაიკავა ქალაქი ქუთაისი. მაშინ ქართველი მენშევიკების უკანასკნელ თავშესაფარად იქცა ბათუმი. 3 მარტს, სერგო ორჯონიკიძის მეშვეობით, საქართველოს რევკომმა მიიღო ვ. ი. ლენინის სადირექტივო წერილი. ამ წერილს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში ქართველ კომუნისტთა ტაქტიკის შემუშავებისათვის განსაზღვრული კონკრეტული ისტორიული ვითარების შესაბამისად.

მენშევიკებმა მოლაპარაკება დაიწყეს რევკომთან და ამავე დროს ბათუმი თურქებს გადასცეს. მშრომელი მასები აღაშფოთა მენშევიკების ახალმა გამცემლობამ. წითელი არმიის ნაწილების დახმარებით ქალაქი გაწმენდილ იქნა თურქებისა და მენშევიკებისაგან. მენშევიკური მთავრობა, რომელმაც თან გაიტაცა ქართველი ხალხის კუთვნილი ძვირფასი განძეული, 17 მარტს ღამით ფარულად გადაჯდა იტალიურ გემ „ფერენ-ჟოზეფ-მირილში“ და საზღვარგარეთ მოკურცხლა. 1921 წლის 18 მარტს ბათუმში შეიქმნა რევკომი და მთელი აჭარა საბჭოთა ქვეყანად იქცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეთერთმეტე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნა

თავის ისტორიულ წერილში, რომელიც 1921 წლის 14 აპრილს გაეგზავნა აზერბეიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტანის, მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს, — ვ. ი. ლენინმა მისცა მათ შემდეგი დირექტივი: „მხურვალედ მივესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, თავს ნებას მივცემ იმედი გამოვთქვა, რომ მათი მჭიდრო კავშირი შეჰქმნის ისეთი ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუშს, რომელიც არ ნახულა ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელია ბურჟუაზიულ წყობილებაში“ (ლენინი, ტ. XXVI, გვ. 191).

ამხანაგმა სტალინმა, რომელიც 1921 წელს გამოვიდა თბილისის პარტიული აქტივის კრებაზე, ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკებისაგან მოითხოვა „გასრესა ნაციონალიზმის გველეშაპის და შექმნა ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფერის ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების საქმის გასაადვილებლად ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენარჩუნების პირობებში“.

ესოდენ ნათელ მითითებათა საფუძველზე, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებისას სწრაფად დაიწყო საქართველოში შემავალ ხალხთა თვითგამორკვევის განხორციელება.

1921 წლის 4 მარტს შეიქმნა აფხაზეთის სსრ, რომელიც საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში შევიდა. 1921 წლის 16 ივნისს ხელშეკრულების საფუძველზე გამოყოფილ იქნა აჭარის ავტონომიური სსრ. მთლიანად ოსებით დასახლებული საქართველოს რაიონები გამოიყო სამხრეთ ოსეთის განსაკუთრებულ ავტონომიურ ოლქად.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, რომლებიც ასრულებდნენ ლენინ-სტალინის პირდაპირ მითითებებს და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებას, ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის უშუალო ხელმძღვანელობით, უკვე 1922 წელს ანხორციელებენ ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის ჩამო-

ყალიბებას, ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი-სა და სახალხო კომისართა საბჭოს მეთაურობით.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნამ, რომელიც ამიერ-კავკასიაში ნაციონალური მშვიდობიანობის მძლავრ იარაღად იქცა, განსაკუთრებული როლი ითამაშა აქ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სოციალისტური მშენებლობის უდიდეს წარმატებათა მოპოვების საქმეში. ამიერ-კავკასიაში დამყარდა მტკიცე მშვიდობიანობა და თანამეგობრობა აქ მოსახლე მრავალრიცხოვან, მანამდე ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ, ხალხთა შორის.

„საბჭოთა ხელისუფლებას,—სწერდა ამხანაგი სტალინი,—რომ ვერ მოეხერხებინა ამიერ-კავკასიაში ნაციონალური მშვიდობიანობის ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც შესძლებს უთანხმოების და კონფლიქტების მოწესრიგებას, ჩვენ დავუბრუნდებოდით ცარიზმის ეპოქას, ან დაშნაკების, მუსავატელების, მენშევიკების ეპოქას, როდესაც ადამიანები სწვავდნენ და ხოცავდნენ ერთმანეთს“.

მაგრამ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნა გააფრთებულ წინააღმდეგობას წააწყდა საქართველოში როგორც განადგურებული პარტიების—მენშევიკების, ფედერალისტების, ნაციონალ-დემოკრატების და სხვ. ნამსხვრევების მხრით, ისე ქართველ კომუნისტთა მემარჯვენე-ოპორტუნისტული ნაწილის მხრითაც, რომელიც ასახავდა საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და კულაკური ელემენტების გავლენას.

ნაციონალ-უკლონისტთა ჯგუფის ხელმძღვანელებს ბ. მდივანს, ს. ქავთარაძეს, მ. ოკუჯავას, მ. ტოროშელიძეს, კ. ცინცაძეს და სხვ. რომლებიც შემდგომ მხილებულ იქნენ როგორც ხალხის მტრები, განზრახული ჰქონდათ გამოეყენებიათ საქართველოს გეოგრაფიული და ეკონომიური უპირატესობანი ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკების წინაშე. ეს უპირატესობანი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოზე გადიოდა შავი ზღვისკენ მიმავალი გზა, აქ მდებარეობდა ისეთი მნიშვნელოვანი პუნქტები, როგორიცაა თბილისი და ბათუმი. ამიტომ ნაციონალ-უკლონისტები მოითხოვდნენ საბჭოთა საქართველოს გასვლას ამიერ-კავკასიის ფედერაციიდან და მის უშუალო კავშირს რსფს რესპუბლიკასთან. საბოლოო ანგარიშით ისინი იმ იმედით სულდგმულობდნენ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას შევარყევთ და აქ კაპიტალიზმის რესტავრაციას გზას გაუკაფავთო.

გამოდიოდნენ რა ამიერ-კავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ, ქართველი ნაციონალ-უკლონისტები ამავე დროს ცდილობდნენ გაეტარებინათ ნაციონალურ უმცირესობათა ჩაგვრის პოლიტიკა. ისინი ყოველმხრივ აფერხებდნენ აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიის ფაქტიურად განხორციელებას.

ქართველი ნაციონალ-უკლონისტები აგრარულ და გლეხთა საკითხებში იცავდნენ კულაკურ აგრარულ პოლიტიკას და საქართველოს სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური განვითარების გზას.

„ნაციონალ-უკლონიზმის საფრთხე იმაში მდგომარეობდა, რომ ნაციონალ-უკლონიზმი, თუ იგი გაიმარჯვებდა, განამტკიცებდა ბატონყმობის ნაშთებს სოფლად, გაამაგრებდა კულაკების პოზიციებს, გადააქცევდა საქართველოს და ამიერ-კავკასიას ეროვნებათა შორის შეხლა-შემოხლის და სისხლისმღვრელ შეტაკებათა ასპარეზად, ძირს გამოუთხრიდა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან ინტერნაციონალურ ფრონტს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხელფეხს გაუხსნიდა მენშევიკების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების რეაქციულ ძალებს და ამით გზას გაუკაფავდა იმპერიალისტურ ინტერვენციას და კაპიტალიზმის რესტავრაციას". (ლ. ბერია).

წინაალმდეგ ნაციონალ-უკლონისტებისა, ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკები, ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, განუხრელად ატარებდნენ ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას. ისინი ხელმძღვანელობას უწევდნენ სოციალისტური მშენებლობის საქმეს და ფართო მშრომელ მასებს ზრდიდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

ბოლშევიკები შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ ნაციონალ-უკლონისტებთან და ბოლოს და ბოლოს ულმობლად გაანადგურეს ისინი (ნაციონალ-უკლონისტთა ერთი ნაწილი შემდგომ აშკარად გადავიდა კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ბანაკში).

მხოლოდ საზიზღარი მოტყუებისა და ორგულობის გზით მოახერხა ზოგიერთმა ტროცკისტ-ბუხარინელმა ჯაშუშმა და აგენტმა ერთ ხანს გამძვრალიყო ამიერ-კავკასიის და საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში.

1929-31 წლებში ისინი ცდილობდნენ ჩაეშალათ საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის დირექტივების განხორციელება პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის დამახინჯებით, განსაკუთრებით ნაციონალურ და გლეხთა საკითხებში. მაგრამ ეს უხეში დამახინჯებანი თავის დროზე გამოაშკარავებულ და მხილებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულ გადაწყვეტილებაში. 1932 წელს ამიერ-კავკასიისა და საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის სათავეში დაყენებულ იქნა ამხანაგი ლ. პ. ბერია.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა, რომლებიც განუხრელად ანხორციელებდნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს და ამხანაგ სტალინის პირად მითითებებს სწრაფად აღმოფხვრეს პარტიის პოლიტიკის უხეში დამახინჯებანი, რაც წინანდელმა ხელმძღვანელობამ ჩაიდინა. მათ გამოასწორეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა-პარტიულ მშენებლობაში დაშვებული შეცდომები და აქ უდიდეს წარ-

მატებებს მიაღწიეს. ეს წარმატებანი მალე ღირსეულად დააფასეს პარტიამ და სსრ კავშირის მთავრობამ, და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა მიიღეს უმაღლესი ჯილდო ლენინის ორდენი.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა პოლიტიკურად და სამეურნეო მხრივ განამტკიცეს ამიერ-კავასიის ფედერაცია, ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებში მათ შეჰქმნეს ყველა პირობა ფართო ინიციატივისა და შემოქმედებითი მუშაობისათვის. სოციალისტური ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის და ნაციონალური კულტურის დარგებში დაწყებულ ძძაფრ ზრდასთან ერთად, ისინი ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ აღეზარდათ ამიერ-კავკასიაში პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკთა მრავალრიცხოვანი კადრები. ამასთან ერთად ამიერ-კავკასიაში საბოლოოდ აღმოიფხვრა ნაციონალური შუღლის გამოვლინებანი და ურღვევი ძმური მეგობრობა დამყარდა საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ხალხებს შორის.

საბჭოთა ამიერ-კავკასიის ხალხების ამ მეგობრობის შესახებ საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხანაგი მოლოტოვი 1936 წელს ამბობდა: „ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მრავალერიან ამიერ-კავკასიაში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში სწარმოებდა გააფთრებული ბრძოლა სხვა და სხვა ეროვნების მშრომელთა შორის, ბრძოლა, რომელსაც ყოველნაირად აღვივებდნენ კაპიტალისტები და მეფის მსახურნი, რომ ახლა ეს ბრძოლა საბოლოოდ ლიკვიდირებულია და რომ ამ ბრძოლის ადგილზე იფურჩქნება ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელთა მეგობრული ცხოვრება".

თავისი არსებობის 15 წლის მანძილზე ამიერ-კავკასიის ფედერაციამ სავსებით გადასჭრა მის წინაშე მდგომი ამოცანები. ამ ამოცანების შესრულების შემდეგ ამიერ-კავკასიის ფედერაცია გახდა უკვე ზედმეტი შუალედი რგოლი, რომლის შემდგომ არსებობას საჭიროება არ მოითხოვდა. „ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მიერ მიღწეულმა უდიდესმა წარმატებებმა შეჰქმნეს პირობები ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციისათვის. ამაში მდგომარეობს საბჭოთა სახელმწიფოს დიალექტიკური განვითარების პროცესის კანონზომიერება". (ლ. ბერია).

1936 წლის დამლევს, დიადი სტალინური კონსტიტუციის მიღებით, ამიერ-კავკასიის ფედერაცია საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნა და მასში შემავალი ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები — საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი—თერთმეტი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რიცხვში, დამოუკიდებლად შეუერთდნენ სსრ კავშირს.

საქართველოს ინდუსტრიალიზაცია

საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველ წლებში აქ დარჩენილი მენშევიკური პარტიის ნაშთები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები, ტროცკისტები და ხალხის სხვა საზიზღარი მტრები სარგებლობდნენ ჯერ კიდევ განუმტკიცებელი საბჭოების სისუსტით და ცდილობდნენ წინააღ-

მდეგობა გაეწიათ სოციალიზმის მშენებლობისათვის. ისინი ჯერ კიდევ ოცნებობდნენ საბჭოთა კავშირიდან საქართველოს მოწყვეტის, ამ ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენის და იმპერიალისტური ქვეყნების ქართველი ხალხის დამონების შესახებ.

ქართველმა მენშევიკებმა, ამ პოლიტიკურმა ავანტიურისტებმა, II ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით შეიმუშავეს საქართველოში და ამიერ-კავკასიის სხვა რაიონებში კონტრრევოლუციური აჯანყების მოწყობის გეგმა. მენშევიკების ავანტურას აფინანსებდნენ ბაქოს ყოფილი მსხვილი კაპიტალისტები — ნავთის მრეწველები და სხვ. მენშევიკებს სამხედრო დახმარება აღუთქვა იმპერიალისტურმა ინგლისმა. 1924 წლის 28 აგვისტოს საქართველოში დაიწყო კონტრრევოლუციური მენშევიკური აჯანყება.

მენშევიკებმა მოახერხეს შავი ქვის მრეწველობის ცენტრის—ჭიათურის და გურიის ზოგიერთი რაიონის ხელში ჩაგდება. მაგრამ მენშევიკურმა კონტრრევოლუციურმა ავანტურამ ვერავითარი თანაგრძნობა ვერ მოიპოვა მშრომელ მასებში. მუშები და გლეხები სწრაფად დარწმუნდნენ, რომ მენშევიკების ზურგს უკან დგანან კაპიტალისტები და მემამულეები, და არ აჰყვნენ მათი ფეხის ხმას. მუშათა და გლეხთა რაზმებმა გაანადგურეს მენშევიკური შეთქმულნი, რის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება საბოლოოდ განმტკიცდა საქართველოში.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე, საბჭოთა საქართველომ, „რუსეთზე კიდევ უფრო გლეხურმა ქვეყანამ“ (ლენინი) მოკლე ხანში ბუმბერაზულად წინ წაიწია. ძირფესვიანად გარდაიქმნა მისი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ქვეყანა მთლიანად.

ცნობილ წერილში ამიერ-კავკასიის კომუნისტებისადმი ლენინი სწერდა: „ერთბაშად შეეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხების მდგომარეობა და დაიწყოთ დიდი მუშაობა ელექტროფიკაციის, მორწყვის დარგში. მორწყვა ყველაზე უფრო საჭიროა და ყველაზე მეტად გარდაჰქმნის მხარეს, განაახლებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“ (ლენინი, ტ. XXVI, გვ. 191).

საქართველოს, რომელსაც დიდი ჰიდრო-ენერგეტიკული რესურსები მოეპოვება, მეფის წყობილებისა და ქართველი მენშევიკების დროს არ გააჩნდა არც ერთი ჰიდროსადგური. ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. სახალხო მეურნეობის განვითარების უზრუნველსაყოფად შედარებით მოკლე ხანში აგებულ იქნა მსხვილი ჰიდროელექტროსადგურები: ზაჰესი მდინარე მტკვარზე 37 ათასი კილოვატის სიმძლავრისა, რიონჰესი მდინარე რიონზე — 48 ათასი კილოვატის სიმძლავრისა, აბჰესი — 1,1 ათასი კილოვატის სიმძლავრისა, აწჰესი (პირველი რიგი) — 8 ათასი კილოვატის სიმძლავრისა და სხვ. ამჟამად შენდება ხრამის მძლავრი მარეგუ-

ლირებელი ჰიდროელექტროსადგური—90 ათასი კილოვატის სიმძლავრისა და სოხუმის ჰიდროელექტრო-სადგური — 19 ათასი კილოვატის სიმძლავრისა, ტყვარჩელში თბოელექტროსადგური — 92 ათასი კილოვატის სიმძლავრისა, თბილისის თბოელექტროსადგური — 12 ათასი კილოვატის სიმძლავრისა და სხვ.

გარდა მსხვილი ჰიდროსადგურებისა, ამუშავებულია მთელი რიგი წვრილი ელექტროსადგურები 2 ათასზე მეტი ცხენძალის საერთო სიმძლავრისა. უკვე 1937 წელს საქართველოს სსრ ელექტროსადგურების სიმძლავრე შეადგენდა 123 ათას კილოვატს, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავებამ 491 მილიონ კილოვატ-საათს მიაღწია.

ამრიგად, პირველი ორი სტალინური ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა საქართველო ძირითადად თითქმის მთლიანად ელექტროფიცირებულ იქნა.

ელექტროფიკაციის საფუძველზე რეკონსტრუირებულია ქვეყნის მრეწველობა, რომელიც მანამდე უმთავრესად წვრილ კუსტარულ ხასიათს ატარებდა.

საბჭოთა საქართველოში შექმნილია მძიმე მრეწველობა: ქვანახშირის, ნავთის, შავი ქვის, მთამადნეულის, ფეროშენადნობთა, მანქანათმშენებელი და სხვ.

კაპიტალდაბანდება მარტო ქვანახშირის მრეწველობაში 110 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს.

ტყიბულის ქვანახშირის ძველი მაღაროები სავსებით რეკონსტრუირებულია. შეიქმნა ქვანახშირის ახალი ბაზა ტყვარჩელში. ტყიბულის და ტყვარჩელის ქვანახშირი ძირითადად სავსებით უზრუნველჰყოფს ამიერკავკასიის ძმური რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას ამ სახის სათბობზე.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩატარდა ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია. კაპიტალ-დაბანდება შავი ქვის მრეწველობაში მარტო ორი ხუთწლედის მანძილზე შეადგენდა 57,4 მილიონ მანეთს.

ჭიათურის შავი ქვისა და რიონჰესის მიერ მიწოდებული იაფი ელექტროენერგიის ბაზაზე ქალაქ ზესტაფონში გაჩნდა ფერომარგანეცის ქარხანა, რომელიც ერთ-ერთი უმსხვილესი ქარხანაა საბჭოთა კავშირში.

საზღვარგარეთ გასატანი და სსრ კავშირის შიგნით მოსახმარი ბაქოს ნავთის გადასამუშავებლად ქალაქ ბათუმში აგებულია ნავთის გადამმუშავებელი ქარხნები. ეს ქარხნები ყველაზე დიდია საბჭოთა კავშირში.

თვით საქართველოში ბეჯითი გეოლოგიური ძიების შემდეგ დაიწყო ნავთის სიმდიდრეთა ინტენსიური დამუშავება. ამჟამად გამორკვეულია ნავთის ორი საბადოს — მირზაანისა და პატარა შირაქის საბადოების დი-

დი სამრეწველო მნიშვნელობა. 1939 წელს დაიწყო ნავთის ამ საბადოების სამრეწველო ექსპლოატაცია. ნავთი აღმოჩენილია ნორიოში — თბილისის ახლო და სუფსაში — შავი ზღვის პირად. მაგრამ საქართველოს წიაღი გარდა ქვანახშირისა, შავი ქვისა და ნავთისა, უადგილოდ [illegible] რია სხვა ძვირფასი მთამადნეულით. საბჭოთა ხელისუფლების დროს ფართოდ გაიშალა ბარიტის, გუმბრინის, დარიშხანის, ლითოგრაფიული ქვის, დიატომიტის, ანდეზიტის, მოლიბდენის და სხვა ქანების მოპოვება. ისინი საჭიროა როგორც ადგილობრივი, ისე საკავშირო მრეწველობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. საქართველოში სწარმოებს ოქროს მოპოვება, აღმოჩენილია ვოლფრამის და სხვა იშვიათი ლითონების საბადოები.

პირველ და მეორე სტალინურ ხუთწლედში დიდი ყურადღება მიექცა საქართველოში მანქანათმშენებელი მრეწველობის განვითარებას. გარდა წინათ აქ არსებულ საწარმოთა სრული რეკონსტრუქციისა, ჩვენს ქვეყანაში აიგო ახალი დიდი მანქანათმშენებელი ქარხნები. ისინი ამზადებენ მოწყობილობას ჩაის მრეწველობისათვის, მეღვინეობისათვის, აბრეშუმსაქსოვი და სხვა ფაბრიკებისათვის. ავჭალაში აგებულია დიდი თუჯსასხმელი ქარხანა, თბილისში — კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა, ავტოსარემონტო ქარხანა და სხვ.

ფართოდ განვითარდა საქართველოში მსუბუქი მრეწველობა. ამჟამად მუშაობს 5 დიდი აბრეშუმსახვევი ფაბრიკა. თბილისსა და ქუთაისში მოწყობილია აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკები, რომელთაც 1937 წელს გამოუშვეს 4,5 მილიონი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი.

თბილისში აგებულია ფეხსაცმელის სანიმუშო ფაბრიკა, რომელსაც შეუძლია წელიწადში 4 მილიონი წყვილი ფეხსაცმლის გამოშვება. აგებულია შვიდი ახალი სამკერვალო ფაბრიკა. ამჟამად თბილისში მთავრდება სატრიკოტაჟო კომბინატის მშენებლობა. აქ დასაქმებული იქნა 8 ათასამდე მუშა.

საქართველოში ფართოდ განვითარდა კვების მრეწველობის უმთავრესი დარგები. კოლექტიურ მეურნეობებში ჭარხლის კულტურის დანერგვის ბაზაზე აგარაში აგებულია შაქრის დიდი ქარხანა. დასავლეთ საქართველოში სრული დატვირთვით მუშაობს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი ჩაის 20 ფაბრიკა.

დიდი მუშაობა ჩატარდა ღვინო-კონიაკის მეურნეობის რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის. შენდება შამპანური ღვინოების რთული კომბინატი, რომელმაც 1940 წელს ქვეყანას უნდა მისცეს 4 მილიონი ბოთლი შამპანური ღვინო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს შექმნილია მსხვილი საკონსერვო, ხორცის, თამბაქოს, სამაცივრო, პურსაცხობი, სატყეო მრეწველობა. ძლიერ განვითარდა რკინისგზის და გზატკეცილთა მშენებლობა, კავშირგაბმულობის ყველა სახეობა: ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფო-

ნი, რადიო. თბილისში 1935 წლიდან არსებობს ახალი ავტომატიური სატელეფონო სადგური 10.000 აბონენტისათვის. საქართველოში ითვლება არანაკლებ 120 რადიოკვანძისა და 30 ათასზე მეტი რადიოწერტილი.

ამავე დროს იზრდება და კეთილეწყობა საბჭოთა საქართველოს ქალაქები.

სრულიად შეიცვალა საქართველოს დედა-ქალაქის, ძველი თბილისის სახე. ის გახდა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი. სოციალისტური საქართველოს დედა-ქალაქში, ქვეყნის უდიდეს სამრეწველო და კულტურულ ცენტრში, უკანასკნელი აღწერის მიხედვით ირიცხება 519.175 მცხოვრები ორივე სქესისა.

ველარ იცნობთ ახლა საქართველოს სხვა ქალაქებსაც: საბჭოთა აჭარის დედა-ქალაქს—ბათუმს, საბჭოთა აფხაზეთის დედა-ქალაქს—სოხუმს, სამხრეთ ოსეთის საოლქო ცენტრს — სტალინირს, ქუთაისს, ფოთს, ჭიათურას, თელავს, მახარაძეს, ზესტაფონს და სხვ. ყველა ეს ქალაქი რესპუბლიკის მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურული ცენტრებია. მათი კეთილმოწყობა დღითი-დღე იზრდება. ამ ქალაქებში აუცილებელ, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ელექტროგანათება, წყალსადენი, კანალიზაცია, მოასფალტებული ქუჩები და ტროტუარები.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია

ბოლშევიკების პარტიამ, რომელმაც შეჰქმნა მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია, შესძლო განსაცვიფრებლად მოკლე ხანში განეხორციელებინა სოფლის სოციალისტური გარდაქმნის გენიალური სტალინური გეგმა, აღმოეფხვრა აქ ქვეყნის უკანასკნელი კაპიტალისტური კლასი — კულაკთა კლასი და მტკიცედ დაემკვიდრებინა საკოლმეურნეო წყობილება.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებისა და ამხანაგ სტალინის პირად მითითებათა საფუძველზე, პარტია და საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში იბრძოდნენ სოფლის მეურნეობის ფართოდ განვითარებისათვის. სოფლის მეურნეობაში აქ შეიძლება არა მარტო პურის მოყვანა, არამედ სუბტროპიკული, ტექნიკური და სპეციალური კულტურების მასობრივად გაშენებაც. ლენინისა და სტალინის პირდაპირი მითითებით, საქართველოში ჩატარდა დიდი საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოები. ამ უკანასკნელ სამუშაოთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კოლხიდის დაბლობის ამოშრობა მდინარე რიონის მიდამოებში, რომელიც ავთვისებიანი მალარიის გავრცელების კერას წარმოადგენდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ამ საუკუნოებრივი ჭაობის გადაქცევა ციტრუსოვანი და ჩაის პლანტაციებითა და ძვირფასი ევკალიპტის ხეებით მოფენილ უზარმაზარ აყვავებულ ბა-

ღად. მესამე ხუთწლედის დამლევისათვის კოლხიდაში ამოშრობილი მიწის ფართობი 44.000 ჰექტარამდე მიაღწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციამდე ჩაის ნარგავებს საქართველოში სულ 894 ჰექტარი ეკავა. 1939 წლის 1-ლი იანვრისათვის ჩაის პლანტაციებს უკავია 45.000 ე. ი. ჩაის ნარგავების ფართობი გადიდებულია თითქმის ორმოცდაათჯერ. 1938 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 35.000 ტონაზე მეტი ჩაი.

ორი სტალინური ხუთწლედის პერიოდში მოეწყო 18 საბჭოთა მეურნეობა. საბჭოთა ჩაი თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდება საუკეთესო ჩინურ, ცეილონურ და იაპონურ ჩაის. ამჟამად საქართველოს ჩაის ფაბრიკები ამზადებენ ისეთი მაღალი ხარისხის ჩაის, როგორიცაა, მაგალითად, „ექსტრა“ და „საქართველოს თაიგული“.

ჩაის კულტურა უამრავ შემოსავალს აძლევს კოლმეურნეობებს. 1937 წელს დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსაგან შიიღეს ჩაბარებული ჩაის ფოთლის საფასური 52 მილიონი მანეთი. უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში ჩაის პლანტაციების ფართობის შემდგომი გადიდებით, ჩაის ფოთლის მოსავლის ზრდის და ჩაის დამუშავების ხარისხის ამაღლებით შესრულებულ იქნება უმნიშვნელოვანესი ამოცანა — საბჭოთა კავშირის განთავისუფლება ჩაის იმპორტისაგან.

რევოლუციამდე საქართველოში ციტრუსოვან კულტურებს ეკავა არა უმეტეს 5000 ჰექტარისა. 1942 წელს ციტრუსთა ფართობი გაიზრდება 24 ათას ჰექტარამდე, ხოლო მანდარინის, ლიმონის და ფორთოხლის მოსავალი მილიარდი ცალობით დაითვლება.

ციტრუსოვანი კულტურები გაძლიერებით ინერგება კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე იმ ანგარიშით რომ თვითეულ მეურნეობას საშუალოდ 25-40 ხეხილი ედგას. გარდა ამისა, სუბტროპიკულ რაიონებში ფართოდ ინერგება ახალი კულტურა — გრეიპფრუტი, რომლის ხილი ვიტამინებით მდიდარია და ფართოდ გამოიყენება საკონდიტრო მრეწველობაში.

საქართველოში ამჟამად სამრეწველო მასშტაბით ვითარდება ისეთი ძვირფასი კულტურები, როგორიცაა ეთეროვანი მცენარეები, აგრეთვე ევკალიპტი, ქინაქინის ხე, ტუნგო, კოპრის ხე, ახალი ზელანდიის სელი, რამი, ბამბუკი და სხვ.

საქართველო იძლევა უმაღლესი ხარისხის საექსპორტო თამბაქოს — „ტრაპიზონს“ და „სამსუნს“. მეთამბაქეობა კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის საფუძველია მეთამბაქოობის რაიონებში. საქართველო თამბაქოს აწვდის მოსკოვს, ლენინგრადს, ხარკოვს და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების თამბაქოს ფაბრიკებს.

სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს მევენახეობა. მის განვითარებას საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. ვენახების საერთო ფართობი ამჟამად 40 ათას ჰექტარს უდრის, 1942 წლის დამლევისათვის ეს ფართობი უნდა გაიზარ-

დოს 60 ათას ჰექტარამდე. ქართული ღვინო ერთ-ერთ საუკეთესო ღვინოდ ითვლება საბჭოთა კავშირში. ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მევენახეობის მეურნეობებში შამპანური ჯიშების დახერგვას, რასაც ხელს უწყობს ნიადაგი, ჰავა და სხვ. ბუნებრივი პირობები.

საქართველოს საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში ხარობს საუცხოო ჯიშის ვაშლი, მსხალი, ბალი, ატამი და სხვ. სულ უფრო მეტად ვრცელდება სუბტროპიკული ჯიშის ხეხილი: ხურმა, ნუში, ფეიხოა, ბროწეული და სხვ. ამჟამად ბაღებს უკავია 43 ათასი ჰექტარი .

საქართველოში უდიდეს წარმატებას მიაღწია მეაბრეშუმეობამ. 1937 წელს მიღებულ იქნა 3.500 ტონამდე აბრეშუმის პარკი. მარტო კოლმეურნეებმა მიიღეს სახელმწიფოსათვის ჩაბარებული პარკის საფასური 30 მილიონ მანეთამდე.

საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოში ფართოდ ვითარდება შაქრის ჭარხლის კულტურა, შექმნილია შაქრის მრეწველობა.

წლითი-წლობით იზრდება მარცვლეული კულტურების ნათესების ფართობი. მოწინავე ტექნიკის ბაზაზე მატულობს ყანების მოსავლიანობა.

სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულია ამოცანა — 1940 წელს სავსებით უზრუნველყოს ქვეყანა მარცვლეულისა და კარტოფილის საკუთარი მოსავლით.

მეცხოველეობის დაგრშიც საქართველომ სერიოზულ გაუმჯობესებას მიაღწია უკანასკნელ წლებში. 1939 წლის ივლისში პარტიისა და საკავშირო მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მეცხოველეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ უზრუნველჰყოფს მეცხოველეობის შემდგომს გადამწყვეტ ზრდას ყველა კოლმეურნეობაში.

სოფლის მეურნეობა უხვად აღჭურვილია ახალი ტექნიკით, რომელსაც იგი წინათ არ იცნობდა.

საქართველოს რაიონებში შექმნილია მანქანა-ტრაქტორთა მრავალი ათეული სადგური, რომლებიც მთავარ ორგანიზატორულ მუშაობას ასრულებენ მთელი კოლექტიური მეურნეობის აღმავლობის საქმეში. სოციალისტურ მინდვრებზე მუშაობენ ათასობით ტრაქტორები და სხვა მრავალგვარი სასოფლო-სამეურნეო მანქანები: კომბაინები, კულტივატორები, სათესი, სამკალი, სალეწი მანქანები და სხვ.

საქართველოში ათობით მოიპოვება მსხვილი საბჭოთა მეურნეობანი, მათ შორის ბევრია სანიმუშო მეურნეობა.

ბოლშევიკურმა პარტიამ დასძლია კულაკების და სოფლის სხვა კონტრრევოლუციური ელემენტების გააფთრებული წინააღმდეგობა, დასძლია ბურჟუაზიის ნაბოლარების — ყველა ამ ტროცკისტების, მემარჯვენეების და სხვა მტრული ელემენტების წინააღმდეგობა და მიაღწია იმას, რომ საქართველოში საბოლოოდ გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ, განუყოფლად გაბატონდა სოფლის მეურნეობის სოციალის-

ტური სისტემა. ამჟამად ნათესების მთელი ფართობი, გარდა მცირედი გამონაკლისისა, ეკუთვნის კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს. კოლმეურნეობათა აღმავლობისა და აყვავებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებას. მრავალი ათასი გლეხი ამ წლების განმავლობაში გადაიქცა მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობის გამოცდილ ორგანიზატორებად, რომლებიც ეუფლებიან სასოფლო-სამეურნეო კულტურას, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას.

შეიქმნა გამოცდილი ტრაქტორისტების, მექანიკოსების, კომბაინერების, შოფერების მრავალრიცხოვანი კადრები. ბევრი მათგანი სტახანოვური მუშაობის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევა.

საქართველოს სოფლებმა მიიღეს კეთილწყობილი გზები, სატელეფონო ქსელი, ავტომობილი, ელექტროგანათება. სოფლები შეიმკო თეატრებით, კლუბებით, ახალი სასკოლო შენობებით, საბავშვო ბაღებით, საავადმყოფოებით, პარკებით, კოლმეურნეთა ხალვათიანი და ლამაზი სახლებით.

სოფლის მეურნეობა, რომელიც კაპიტალიზმის ბორკილიდან განთავისუფლდა, მოწინავე ტექნიკით შეიარაღდა და მოეწყო, როგორც მსხვილი წარმოება, წლითი-წლობით იზრდება და მტკიცდება.

სოფელი საბოლოოდ განთავისუფლდა მემამულეებისა და კულაკებისაგან, ყველა ექსპლოატატორისაგან.

სოფლად უკვე აღარ არის ღარიბი გლეხობა — ძველი, ბურჟუაზიული-მემამულური მეურნეობის ეს თანამგზავრი.

ახლა კოლმეურნე გლეხები შრომობენ მხოლოდ თავისთვის, თავისი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის. ყველა კოლმეურნისათვის გზა ხსნილია შეძლებული და კულტურული ცხოვრებისაკენ.

1939 წლის 1-ლ აგვისტოს გაიხსნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სადაც საქართველოს სსრ-ის პავილიონს საპატიო ადგილი უკავია. გამოფენის გახსნა სრულიად საკავშირო ზეიმად გადაიქცა, მან მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადჰყო საკოლმეურნეო წყობილების დიდი გამარჯვება სსრ კავშირში.

„საკოლმეურნეო გამარჯვებათა დემონსტრაცია,—ამბობდა გამოფენის გახსნისას თავის სიტყვაში ამხანაგი მოლოტოვი, — მთელი ჩვენი ხალხის სამეურნეო და პოლიტიკურ ორგანიზაციაში მიღწეულ უდიდეს წარმატებებს ნიშნავს. საბჭოთა კავშირის ხალხები, ურღვევი მეგობრობით შეკავშირბულნი, წარმოადგენენ წარსულში უმაგალითო, კაპიტალიზმის დროს შეუძლებელ დიად, ორგანიზებულ ძალას. ეს არის საწინდარი კომუნიზმის შემდგომი წარმატებებისა ჩვენს ქვეყანაში. ამაშია საკოლმეურნეო გამარჯვებათა დემონსტრაციის დიადი საერთაშორისო მნიშვნელობა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველობის განსაკუთრებით ძლიერი განვითარება, საკოლმეურნეო მოძრაობის უდიდესი წარმატებანი ხელს უწყობდა საქართველოში ეროვნულ-ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური მეცნიერებისა და კულტურის საუცხოოდ გაფურჩქვნას.

ამჟამად მთელს საქართველოში უკვე განხორციელებულია საყოველთაო სავალდებულო სწავლება დაწყებითი სკოლის მოცულობით, ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში კი — საშუალო სკოლის მოცულობით. რევოლუციამდე ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის 80 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ამჟამად კი საქართველო წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანაა. მარტო 1936 — 1938 წლების მანძილზე საქართველოში აგებულია 304 ახალი სასკოლო შენობა. დაწყებით და საშუალო სკოლაში სწავლობს 741 ათასი ახალგაზრდა. საბავშვო ბაღებსა და კერებში იზრდება 41 ათასზე მეტი ბავშვი. ამ ციფრების მნიშვნელობა უფრო გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მოსახლეობა 3,5 მილიონ კაცს უდრის. 1939 წელს სახალხო განათლებაზე გაღებულია 600 მილიონ მანეთამდე.

პარტია და მთავრობა, რომელნიც უდიდეს ყურადღებას უთმობენ სახალხო სწავლა-განათლების საქმეს, განსაკუთრებით ზრუნავენ მასწავლებელთა კადრებისათვის, რომელთა რიცხვი აღწევს 30 ათას კაცამდე. დიდი თანხები იხარჯება ყოველწლიურად პედაგოგიური პერსონალის მომზადებასა და გადამზადებაზე. ძლიერ ამაღლდა მასწავლებლობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის დონე. სახალხო განათლების ფრონტზე ასობით და ათასობით დაწინაურდნენ თავისი საქმის მხურვალედ მოყვარული, საბჭოთა სახელმწიფოსადმი უსაზღვროდ ერთგული ახალგაზრდა და ძველი მასწავლებლები.

1939 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, განსაკუთრებული დამსახურებისათვის სახალხო განათლების საქმეში სსრ. კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია სოფლის სკოლების 126 მასწავლებელი. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით 84 პედაგოგს მიენიჭა დამსახურებული მასწავლებლის სახელწოდება.

ამჟამად საქართველოში 21 უმაღლესი სასწავლებელია, სადაც სწავლობს 22 ათასზე მეტი სტუდენტი, მათ შორის 80 — 85 პროცენტი უზრუნველყოფილია სტიპენდიით. უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო და სასწავლო მუშაობას ეწევა 895 პროფესორი და დოცენტი. 1933 — 1938 წლებში საქართველოს უმაღლეს სკოლებმა გამოუშვეს უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე 15 ათასი სპეციალისტი: ინჟინრები, აგრონომები, პედაგოგები, ექიმები.

საბჭოთა ხელისუფლების დროს დიდი გაქანება მიიღო სამეცნიერო საკვლევო მუშაობამ. საქართველოში ირიცხება 73 სამეცნიერო-საკვლევო

ინსტიტუტი, ლაბორატორია და სადგური, 14 სამეცნიერო საზოგადოება, 14 ბიოლოგიური სადგური და 24 მუზეუმი.

ამავე დროს გამოიზარდნენ მეცნიერების მუშაკთა მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მეცნიერების სხვადასხვა დარგებში. 1939 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის იანვრის სესიაზე აკადემიის ნამდვილ წევრებად აირჩიეს საქართველოს ცნობილი მეცნიერები: ი. ჯავახიშვილი, ნ. მუსხელიშვილი, ი. ბერიტაშვილი, ხოლო წევრ-კორესპონდენტებად: გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, გ. ხაჭაპურიძე.

საქართველოში კულტურის სწრაფი განვითარების მკაფიო მაჩვენებელია პრესა. ამჟამად საქართველოში გამოდის 100-ზე მეტი გაზეთი და ჟურნალი ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბეიჯანულ და სხვა ენებზე. ასი ათასი ცალობით გამოიცა ქართულ ენაზე მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაწარმოებნი. მილიონი ცალობით გამოდის სახელმძღვანელოები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა.

უაღრესად განვითარდა ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურა და სპორტი. ქართველმა ფიზკულტურონებმა დაამყარეს ყოველგვარი სპორტის მთელი რიგი რეკორდები.

პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ხალხის ჯანმრთელობის დაცვას. წლითი-წლობით იზრდება მშრომელთა ჯანმრთელობის დასაცავად გაღებული სახსრები, მრავლდება ექიმების რიცხვი, სწარმოებს საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების და სხვ. მშენებლობა. მარტო მალარიასთან საბრძოლველად, რაც წინად მრავალი ათასი ადამიანის სიცოცხლეს იწირავდა, 1937 წელს დაიხარჯა 10 მილიონი მანეთი.

საქართველოს უმდიდრესი ბუნება, მისი ჰავა და სამკურნალო წყაროები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს არის გამოყენებული, როგორც წესი და რიგია, მშრომელთა სასამსახუროდ. მთელს საბჭოთა კავშირში ცნობილია საქართველოს კურორტები: ბორჯომი, წყალტუბო, მენჯი, აბასთუმანი, გაგრა, სოხუმი და სხვ. ამ კურორტებმა სამართლიანად მოუხვეჭეს საბჭოთა საქართველოს სრულიად-საკავშირო სანატორიუმის სახელი.

საბჭოთა ხელისუფლების დროს, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარებამ ნიადაგი შეუმზადა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების უმაგალითო აყვავებას, გამოიზარდნენ მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატები. მათი ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებნი მიძღვნილია ქართველი ხალხის გმირული წარსულისადმი, პროლეტარული რევოლუციისადმი, ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისადმი. საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის ძირითადი შინაარსი სოციალისტური რეალიზმია. საუკეთესო ქართველი

მწერლები დაკავშირებულია რევოლუციასთან. მათ შეჰქმნეს ჩვენი დიადი ეპოქის თანახმიერი ნაწარმოებნი. მხატვრული პროზის დიდ ოსტატებს წარმოადგენენ მწერლები: შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, დავით შენგელაია, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რ. გვეტაძე, ს. კლდიაშვილი და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებულ განვითარებას მიაღწია უკანასკნელ პერიოდში ქართულმა საბჭოთა პოეზიამ. პოეტები: გალაქტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ალიო მაშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ილო მოსაშვილი, სანდრო ეული, ი. აბაშიძე, გ. კაჭახიძე, ალ. გომიაშვილი, ი. გრიშაშვილი, ალ. აბაშელი და სხვ. ფართო და სავსებით დამსახურებული პოპულარობით სარგებლობენ.

დიდი შემოქმედებითი წარმატებანი მოიპოვეს ქართველმა დრამატურგებმა: შალვა დადიანმა, ა. შანშიაშვილმა, ს. კლდიაშვილმა, იონა ვაკელმა, პ. კაკაბაძემ და სხვ.

განსაკუთრებული დამსახურებისათვის რევოლუციური ლიტერატურის განვითარების საქმეში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს მთელი რიგი მწერლები და პოეტები დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებით.

1917 წლის დეკემბერში უმაგალითო სახალხო ზეიმით აღინიშნა გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის თავი. ქართველი ხალხის დიდებული შვილი — შოთა რუსთაველი, ახლობელი და ღვიძლი გახდა სსრ კავშირის ყველა ხალხისათვის. გენიალური პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“ საყოველთაო საკუთრებად იქცა. რუსთაველის იუბილე ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების ბრწყინვალე დემონსტრაციად გადაიქცა.

1938 წელს მთელმა საბჭოთა საზოგადოებრივობამ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულით აღნიშნა დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან ასი წლის იუბილე.

ქართველმა ხალხმა დიდი სიყვარულით აღნიშნა აგრეთვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ე. ნინოშვილის, ა. ყაზბეგის ცხოვრების ღირსშესანიშნავი თარიღები. მათი ნაწარმოებნი დიდი ტირაჟით გამოიცა და ხელმისაწვდომი გახდა ხალხის ფართო მასებისათვის.

ქართველ მწერალთა და პოეტთა საუკეთესო ნაწარმოებნი ახლა გადათარგმნილია რუსულ ენაზე და სხვა საბჭოთა ხალხების ენებზე. ქართველი ხალხიც განსაკუთრებული სიყვარულითა და შეუპოვრობით ეუფლება დიდი რუსი ხალხის და სხვა ძმური ხალხების კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. უკანასკნელ წლებში მასობრივად ვრცელდება ქართულად თარგმნილი რუსი და სხვა ძმური ხალხების, აგრეთვე უცხოეთის ლიტერატურა.

ლიტერატურის მსგავსად, ინტენსიურად ვითარდება ქართული ხელოვნების სხვა დარგებიც. თეატრმა უდიდესი წარმატებანი მოიპოვა. რევოლუციამდე საქართველოში ითვლებოდა სულ 5 თეატრი 150 მსახიობით. ამჟამად გვაქვს 48 თეატრი, გვყავს 1491 მსახიობი, 209 რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. 1939 წელს მარტო ამ კადრების ხელფასის ფონდი დაახლოებით 2.500.000 მანეთს შეადგენდა. ქართული სათეატრო ხელოვნების სიამაყეა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო საოპერო თეატრი. ორივე თეატრი დაჯილდოებულია ლენინის ორდენებით. დიდ წარმატებას მიაღწია აგრეთვე თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატიულმა თეატრმა, რომელმაც რეალიზმისაკენ განუხრელი მისწრაფებით, სინამდვილის მკაფიო განსახიერებით ფართო მაყურებლის სიყვარული მოიხვეჭა.

ქართული ხელოვნების დეკადამ, რომელიც 1936 წელს მოსკოვში ჩატარდა, მთელს საბჭოთა საზოგადოებრივობას დაანახვა ქართული სათეატრო ხელოვნების მაღალი მიღწევები. ქართველი კლასიკოსის, კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის ოპერა — „აბესალომ და ეთერი" დიდი წარმატებით დაიდგა მოსკოვში, სსრ კავშირის სახელმწიფო დიდ თეატრში. იგივე ოპერა და იმავე ავტორის—ზ. ფალიაშვილის მეორე ცნობილი ოპერა „დაფნი" შეტანილია სსრ კავშირის სხვა ძმური რესპუბლიკების საოპერო თეატრების რეპერტუარში.

საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოიზარდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი კომპოზიტორები: ი. ტუსკია, გ. კილაძე, ი. გოკიელი, შ. მშველიძე, ა. ბალანჩივაძე, შ. აზმაიფარაშვილი, შ. თაქთაქიშვილი, გ. კოკელაძე, თ. შაერზაშვილი და სხვ.

აყვავდა ქართული ხალხური შემოქმედება. საქართველოს რაიონებში არსებობს ხალხური სიმღერისა და ცეკვის 27 გუნდი. თბილისში მუშაობს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდები და მეჩონგურეთა ანსამბლი. მუსიკალურ განათლების ზრდას მოწმობს ის ფაქტი, რომ საქართველოში გარდა სახელმწიფო კონსერვატორიისა, ითვლება 46 მუსიკალური სკოლა.

დიდი მიღწევები მოეპოვება ქართულ კინემატოგრაფიულ ხელოვნებას. გამოიზარდნენ ნიჭიერი კინორეჟისორთა, კინომსახიობთა, ოპერატორთა და კინოდრამატურგთა კადრები. შექმნილია მთელი რიგი შესანიშნავი კინოფილმები, რომლებსაც დიდი წარმატებით უჩვენებენ საბჭოთა კავშირის თეატრებში.

სწრაფად იზრდება ქანდაკება და სახვითი ხელოვნების სხვა სახეობანი. ქართველმა მხატვრებმა შექმნეს შესანიშნავი სურათები ამხანაგ სტალინის — ცხოვრება მოღვაწეობიდან, რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან, ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის თემებზე.

1937 წელს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლის თავზე, მოსკოვში, ტრეტიაკოვის გალერეიაში მოეწყო ქართული სახვითი ხელოვნების გამოფენა. გამოფენამ მაღალი შეფასება მიიღო და დამსახურებული წარმატებით სარგებლობდა მშრომელ მასაში.

ქართული საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი: ა. ხორავა, ა. ვასაძე, გ. დავითაშვილი, ა. წუწუნავა, ნ. ქუმსიაშვილი, დ. ანდღულაძე, ე. სოხაძე, ა. ჟორჟოლიანი, ნ. გოცირიძე, მ. თოიძე, ე. ახვლედიანი, ი. გამრეკელი, კალაძე, არაყიშვილი, ფოცხვერაშვილი, ტუსკია, კავსაძე, პაჭკორია, ჭუბაბრია, მ. ჭიაურელი, ნ. შენგელაია, ნ. ვაჩნაძე და სხვ. დაჯილდოვებული არიან სსრ კავშირის ორდენებით.

დიადი სტალინური კონსტიტუციის კაშკაშა მზის ქვეშ

საქართველო—მეფის რუსეთის ყოფილი კოლონია, ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი, მენშევიკების ბატონობის დროს ნამდვილ კატასტროფას განიცდიდა. ჩვენს ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ლენინ-სტალინის უძლეველი დროშის ქვეშ, საბჭოთა კავშირის ძმურ ხალხებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული დიდი რუსი ხალხის განუწყვეტელი დახმარებით, საკავშირო მთავრობის, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ სტალინის მზრუნველობითა და ყურადღებით, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით, ქართველი ხალხის საყვარელი შვილის და ამხანაგ სტალინის ერთგული მოწაფის ლ. ბერიას მეთაურობით, საბჭოთა საქართველო გადაიქცა ინდუსტრიალურ-აგრარულ საბჭოთა რესპუბლიკად, რომელსაც მოეპოვება განვითარებული მრეწველობა, აყვავებული სოფლის მეურნეობა, მოწინავე სოციალისტური კულტურა. საბჭოთა საქართველო სანიმუშო რესპუბლიკაა, სსრ კავშირის თვალ-მარგალიტია.

სოციალიზმის გამარჯვება და თავისი ბედნიერება ქართველმა ხალხმა იოლად როდი მოიპოვა. განადგურებული კონტრრევოლუციური პარტიების—მენშევიკების, ფედერალისტების, ნაციონალ-დემოკრატების ნაშთები, ნაციონალ-უკლონისტები მრავალჯერ ცდილან ჩაეშალათ ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა, საბჭოთა საქართველო მოეწყვიტათ დიდი საბჭოთა კავშირისაგან და ქართველი ხალხისთვის კისერზე დაედგათ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა უღელი.

ამ მტრებთან, მავნებლებთან, დივერსანტებთან შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ ტროცკისტთა, ზინოვიეველთა, ბუხარინელთა ორგანიზაციები, რომლებიც ორგულურად ნიღბავდნენ და ფარავდნენ თავის კონტრრევოლუციურ საქმიანობას. ხსენებულ მოღალატეთა ბანდას სურდა საქართველოს მშრომელებისათვის წაერთმია სოციალიზმის მონაპოვარნი. მაგრამ ხალხის ყველა ამ მტრებმა ვერ შეაჩერეს საქართველოს ძლევამოსილი წინსვლა. ამხანაგ სტალინის მიერ გამოზრდილმა და აღზრდილმა საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ) აღმოფხვ-

რა, და გაანადგურა ტროცკისტთა, ბუხარინელთა, ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა და სხვ. მტრული ბუდეები.

ამხანაგმა სტალინმა ამხილა პოლიტიკური უდარდელობა, [illegible] ეშინოდა, რომ ბევრ ამხანაგს დაავიწყდა კაპიტალისტური გარემოცვის არსებობა, რითაც ისარგებლეს ხალხის მოსისხლე მტრებმა. ამხანაგმა სტალინმა მოგვიწოდა პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერებისა და ბოლშევიზმის დაუფლებისაკენ: „საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა არავითარ „შემთხვევითობას" და ჩვენ გარეშე მტრების არავითარ ოინებს არ შევხვდეთ მოუმზადებელი" (ამხანაგ სტალინის პასუხიდან ამხ. ივანოვის წერილზე).

მეორე ხუთწლედის შედეგად სოციალიზმმა სსრ კავშირში საბოლოოდ და სამუდამოდ გაიმარჯვა. 1936 წლის ნოემბერში საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ, კაცობრიობის ისტორიაში პირველად მიიღო გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია, რომლის შემმქმედია სსრ კავშირის ხალხთა ბელადი ამხანაგი სტალინი. სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების მეოხებით განხორციელდა კაცობრიობის საუკეთესო ადამიანთა ოცნებანი: შრომის, დასვენების, განათლების, მოხუცებულობაში და შრომის უნარის დაკარგვისას მატერიალური უზრუნველყოფის უფლება. დიდმა სტალინურმა კონსტიტუციამ განამტკიცა ის მსოფლიო-ისტორიული ფაქტი, რომ სსრ კავშირი შევიდა სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და კომუნისტურ საზოგადოებაში თანდათანობით გადასვლის ახალ ხანაში.

1937 წლის 12 დეკემბერს მოხდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. უმაღლესი საბჭოს პირველი სესია გაიხსნა კრემლში 1938 წლის 12 იანვარს. უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საკითხები და შეადგინა ლენინურ-სტალინური მთავრობა — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თანასწორობის საფუძველზე, თერთმეტ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის შევიდა სსრ კავშირში — საკავშირო მრავალეროვან სახელმწიფოში.

სოციალისტურ საკავშირო რესპუბლიკაში გაერთიანება საშუალებას გვაძლევს ერთად გადავწყვიტოთ ქვეყნის თავდაცვის, საერთაშორისო ურთიერთობის, სახალხო-სამეურნეო გეგმის საკითხები. მძლავრი, უძლეველი წითელი არმია, ბოლშევიკური დიპლომატია, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია ყველა მოკავშირე რესპუბლიკას ერთნაირად ურყევად იცავენ გარეშე აგრესიისაგან. სოციალისტური რესპუბლიკები ყოველივე დანარჩენში ინარჩუნებენ თავის სუვერენულ უფლებებს, გარანტირებული არიან ყოველგვარი ექსპლოატაციისა და ნაციონალური ჩაგვრისაგან. მათ ყოველგვარი საჭირო პირობები გააჩნიათ შემდგომი მძლავრი მატერიალური და კულტურული აყვავებისათვის, კომუნისტური საზოგადო-

ების წარმატებით მშენებლობისათვის ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით.

1938 წლის 12 ივნისს, ქართველმა ხალხმა, სტალინურ კონსტიტუციის დიდი პრინციპების შესაბამისად აგებული საქართველოს სსრ კონსტიტუციის საფუძველზე, მონაწილეობა მიიღო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში. საარჩევნო უფლების მქონე 1.898.041 მოქალაქიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 1.883.68 კაცმა ანუ ამომრჩეველთა 99,2 პროცენტმა. საქართველოს მშრომელებმა ცხადჰყვეს თავისი ძლიერი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის მჭიდროდ დარაზმვა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, მგზნებარე სიყვარული და ერთგულება დიდი სტალინისადმი. კენჭისყრაში მონაწილეთა რიცხვის 99,6 პროცენტმა ხმა მისცა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

ჩვენი პარტიის და საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი, რომლის სახელი სოციალიზმის გამარჯვებათა სიმბოლოდ იქცა, არჩეულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ დეპუტატად. უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში აგრეთვე არჩეულია დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი.

1938 წელს ამხანაგი ლ. პ. ბერია დაინიშნა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად.

ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არის ამხანაგი ფ. ე. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ არის ამხანაგი ვ. მ. ბაქრაძე.

გმირული წარსულის მქონე ქართველი ხალხი, რომელმაც მტრებთან სასტიკ ბრძოლებში დაიცვა ლენინ-სტალინის დიადი საქმე, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი, მძლავრი, უძლეველი კავშირის წევრია, ამჟამად მგზნებარე რწმენით შესცქერის თავის ბრწყინვალე მომავალს — კომუნისტური საზოგადოების გამარჯვებას.

საბჭოთა საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი და უბედნიერესი კუთხეა.

ქართველ ხალხს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია. 1936 წელს საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავთან დაკავშირებით დელეგაციის მიღების დროს ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა სთქვა: „ქართველმა ხალხმა ბევრი რამ მისცა არა მარტო თავის ქვეყანას, არამედ მთელს საბჭოთა კავშირს, რომელსაც საპატიო ადგილი უჭირავს კაცობრიობის ისტორიაში. საკმარისია ითქვას, რომ საქართველომ ჩვენ მოგვცა ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი“.

საქართველოს ისტორიის ძირითადი თარიღები
(XIX — XX საუკუნეები)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1801 წ. საქართველოს შეერთება მეფის რუსეთთან.

1802 — 1806 წ. წ. საქართველოს მართვა-გამგებლობა თავად ცინცაძეს მიერ.

1802 წ. შექმნა თბილისში თავად-აზნაურთა ბავშვებისათვის ორკლასიანი სასწავლებლისა, რომელიც 1804 წელს „კეთილშობილთა სასწავლებლად“ გადაკეთდა.

1802 წ. ჯარო-ბელაქნის თავისუფალი თემების შეერთება მეფის რუსეთთან.

1803 წ. სამეგრელოს მთავრის დ. დადიანის მიერ რუსეთისაგან ვასალური დამოკიდებულების ცნობა.

1804 წ. იმერეთის მეფის სოლომონ მეორის მიერ რუსეთისაგან ვასალური დამოკიდებულების ცნობა.

1804 წ. განჯის სახანოს შეერთება რუსეთთან.

1804 წ. გლეხთა აჯანყება მთიულეთში, სამხრეთ-ოსეთში და ხევსურეთში.

1805 წ. ყარაბახის, შექინის და შირვანის სახანოების შეერთება რუსეთთან.

1807 წ. აჯანყება სამხრეთ-ოსეთში.

1808 წ. ქართველი სამღვდელოების განთავისუფლება ბატონყმობისაგან.

1810 წ. რუსეთის ჯარების მიერ სოხუმის დაკავება.

1810 — 1811 წ. წ. იმერეთის შეერთება რუსეთთან.

1805 — 1813 წ. წ. რუსეთ-ირანის ომი.

1806 — 1812 წ. წ. რუსეთ-თურქეთის ომი.

1812 — 1813 წ. წ. აჯანყება კახეთში.

1816 — 1826 წ. წ. საქართველოს მართვა-გამგებლობა გენერალ ერმოლოვის მიერ.

1819 — 1820 წ. წ. აჯანყება იმერეთში.

1819 — 1820 წ. წ. პირველი ყოველდღიური გაზეთი თბილისში — „საქართველოს გაზეთი“.

1821 — 1822 წ. წ. აჯანყება სამხრეთ-ოსეთში.

1826 წ. ა. ს. გრიბოედოვის ცხოვრება თბილისში.

1827 — 1831 წ. წ. საქართველოს მართვა-გამგებლობა გენერალ პასკევიჩის მიერ.

1826 — 1828 წ. წ. რუსეთ-ირანის ომი.

1828 — 1829 წ. წ. რუსეთ-თურქეთის ომი.

1829 წ. გლეხთა გამოსვლები საქართველოში.

1829 წ. გაზეთ „თბილისის უწყებანის“ გამოცემა.

1829 წ. ა. ს. პუშკინის ჩამოსვლა საქართველოში.

1830 წ. აჯანყება სამხრეთ-ოსეთში.
1830 წ. აჯანყება აფხაზეთში.
1830 წ. ვაჟთა გიმნაზიის გახსნა თბილისში.
1830 წ. საპასპორტო სისტემის შემოღება საქართველოში.
1831 — 1837 წ. წ. საქართველოს მართვა-გამგებლობა ბარონ როზენის მიერ.
1832 წ. თავად-აზნაურთა შეთქმულება.
1832 წ. მემამულეთათვის მინიჭება უფლებისა — თავისი გლეხები დასჯის წესით ჯარისკაცებად მიეცათ და გადაესახლებინათ კავკასიის ხაზზე.
1832 წ. „სასოფლო და მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის ხელშემწყობი კავკასიის საზოგადოების“ დაარსება.
1837 — 1841 წ. წ. საქართველოს მართვა-გამგებლობა გენერალ გოლოვინის მიერ.
1840 წ. მართვა-გამგეობის გარდაქმნა საქართველოში თანახმად დებულებისა „ამიერ-კავკასიის მართვა-გამგებლობის დაწესების შესახებ“.
1840 წ. საქალაქო „საზოგადოებრივი“ მმართველობის შემოღება თბილისში.
1840 წ. აჯანყება სამხრეთ-ოსეთში.
1840 წ. აჯანყება აფხაზეთში.
1841 წ. გლეხთა აჯანყება გურიაში.
1842 — 1844 წ. წ. საქართველოს მართვა-გამგებლობა გენერალ ნეიდგარდტის მიერ.
1844 წ. კავკასიის სამეფისნაცვლოს დაარსება.
1844 — 1854 წ. წ. საქართველოს მართვა-გამგებლობა თავად ვორონცოვის მიერ.
1846 წ. რუსული თეატრის გახსნა თბილისში.
1850 წ. ქართული თეატრის გახსნა თბილისში.
1850 წ. სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების დაარსება.
1852 წ. ჟურნალ „ცისკარის“ გამოცემა გ. ერისთავის რედაქტორობით.
1853 — 1856 წ. წ. რუსეთ-თურქეთის ომი.
1855 — 1856 წ. წ. საქართველოს მართვა-გამგებლობა გენერალ მურავიოვის მიერ.
1856 — 1862 წ. წ. საქართველოს მართვა-გამგებლობა გენერალ ბარიატინსკის მიერ.
1857 წ. გლეხთა აჯანყება და რუსული მართვა-გამგეობის შემოღება სამეგრელოში.
1859 წ. დამთავრება აღმოსავლეთ კავკასიის მთიელთა დაპყრობისა ცარიზმის მიერ.

1858 — 1861 წ. წ. გლეხთა აჯანყება სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში და ქართლში.

1860 — 1862 წ. წ. გახსნა სატელეგრაფო კავშირისა საქართველოსა და ევროპის რუსეთს შორის.

1862 — 1881 წ. წ. საქართველოს მართვა-გამგებლობა მ. ნ. რომანოვის მიერ.

1863 წ. „საქართველოს მოამბის“ გამოცემა ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით და „პირველი დასის“ ჩამოყალიბების დასაწყისი.

1864 წ. დამთავრება დასავლეთ კავკასიის მთიელთა დაპყრობისა ცარიზმის მიერ.

1864 წ. გლეხთა განთავისუფლება ბატონყმობისაგან ყოფილ თბილისის გუბერნიაში.

1865 წ. სასოფლო მმართველობის შემოღება საქართველოში.

1865 წ. ამქართა გამოსვლა თბილისში.

1865 წ. გლეხთა განთავისუფლება იმერეთსა და გურიაში.

1865 წ. ფოთი-თბილისი რკინიგზის მშენებლობის დაწყება.

1866 წ. საქალაქო მმართველობის რეფორმა თბილისში.

1866 წ. გაზეთ „დროების“ გამოცემა და „მეორე დასის“ ჩამოყალიბების დასაწყისი.

1866 წ. ბატონყმობისაგან განთავისუფლება სამეგრელოსა და ლეჩხუმში.

1866 წ. გლეხთა აჯანყება აფხაზეთში და აფხაზეთის სამთავროს ლიკვიდაცია.

1867 წ. სახელმწიფო ბანკის გახსნა თბილისში.

1868 წ. სასამართლოს რეფორმა საქართველოში.

1870 წ. ბატონყმობის გაუქმება აფხაზეთში.

1871 წ. ბატონყმობის გაუქმება სვანეთში.

1871 წ. რკინიგზის მოძრაობის გახსნა ფოთსა და ზესტაფონს შუა.

1873 წ. რკინიგზის მოძრაობის გახსნა ფოთსა და თბილისს შუა.

1872 — 1873 წ. წ. ნაროდნიკული ორგანიზაციის ჩამოყალიბება საქართველოში.

1874 წ. დაწყება შავი ქვის დამუშავებისა ჭიათურაში.

1875 წ. თბილისის სათავადაზნაურო ბანკის გახსნა.

1876 წ. გლეხთა გამოსვლა სამეგრელოში.

1876 წ. აჯანყება სვანეთში.

1876 წ. ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის გახსნა.

1877 — 1878 წ. წ. რუსეთ-თურქეთის ომი.

1877 — 1878 წ. წ. აჯანყება აფხაზეთში.

1878 წ. გლეხთა გამოსვლა კახეთში.

1878 წ. აჭარის შეერთება რუსეთთან.

1879 წ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება.

1879 წ. ქართული დრამატიული საზოგადოებისა და მუდმივი დრამატიული დასის დაარსება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1881 — 1882 წ. წ. გლეხთა გამოსვლები გურიასა და აჭარაში.

1882 წ. კავკასიაში სამეფისნაცვლოს მოსპობა და მთავარმართებლის თანამდებობის შემოღება.

1882 — 1890 წ. წ. საქართველოს მართვა-გამგებლობა გენერალ დონდუკოვ-კორსაკოვის მიერ.

1889 — 1892 წ. წ. პირველი არალეგალური მუშური ჟურნალები — „მუშა", „განთიადი", „სინათლე".

1890 — 1896 წ. წ. საქართველოს მართვა-გამგებლობა გენერალ შერემეტიევის მიერ.

1891 წ. ა. მ. გორკის პირველი ჩამოსვლა საქართველოში.

1893 წ. საქართველოში პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის — „მესამე დასის" წარმოშობა.

1894 წ. გლეხთა გამოსვლა დუშეთის მაზრაში.

1895 წ. „მესამე დასში" ს. წულუკიძის შესვლა.

1897 წ. გლეხთა მღელვარებანი გორის მაზრაში.

1897 წ. „მესამე დასში" ლ. კეცხოველის შესვლა.

1898 წ. „მესამე დასში" ი. ბ. სტალინის (ჯუღაშვილის) შესვლა.

1898 წ. მუშათა გაფიცვა ამიერ-კავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში.

1899 წ. გლეხთა მღელვარება ბორჯომის რაიონში.

1899 წ. პირველი საპირველმაისო დემონსტრაცია საქართველოში.

1898 — 1900 წ. წ. თბილისის ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის ჩამოყალიბება.

1900 წ. აგვისტოს გაფიცვა ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე.

1901 წ. მუშათა პირველი აშკარა პოლიტიკური გამოსვლა საქართველოში.

1901 წ. მეფის რუსეთთან საქართველოს შეერთების ასი წლისთავი.

1901 წ. ჩამოყალიბება რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი თბილისის კომიტეტისა ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

1901 წ. ლადო კეცხოველის მიერ ბაქოში ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი ბაქოს კომიტეტისა და არალეგალური სტამბის მოწყობა.

1901 წ. სექტემბერი. თბილისის სოციალ-დემოკრატიის ორგანოს გაზეთ „ბრძოლის" პირველი ნომრის გამოსვლა ბაქოში.

1901 წ. ნოემბერი. ამხანაგ სტალინის ჩამოსვლა ბათუმში პარტიული მუშაობისათვის.

1901 წ. დეკემბერი. სოციალ-დემოკრატიული წრეების კონფერენცია და ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ჩამოყალიბება ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

1902 წ. მარტი. ბათუმის მუშათა პოლიტიკური დემონსტრაცია ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

1902 წ. დასაწყისი გლეხთა მოძრაობისა გურიაში.

1902 წ. 5 აპრილი. ამხანაგ სტალინის დაპატიმრება ბათუმში.

1903 წ. თებერვალი. სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა კავკასიის პირველი ყრილობა თბილისში და რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნა.

1903 წ. დასაწყისი გლეხთა მოძრაობისა აღმოსავლეთ საქართველოში.

1903 წ. ნოემბერი. ამხანაგ სტალინის გადასახლება აღმოსავლეთ ციმბირში.

1903 წ. ივლისი. მუშათა საყოველთაო გაფიცვა სამხრეთ რუსეთში.

1903 წ. მუშათა დემონსტრაცია თბილისში.

1903 წ. მარტი. მუშათა დემონსტრაცია ბათუმში.

1903 წ. 17 აგვისტო. ლადო კეცხოველის მკვლელობა მეტეხში.

1903 წ. ივლისი-აგვისტო. რსდმპ II ყრილობა ლონდონში.

1903 წ. თბილისში ავლაბრის სტამბის მოწყობა.

1904 — 5 წ. წ. რუსეთ-იაპონიის ომი.

1904 წ. 5 იანვარი. ამხანაგ სტალინის გამოქცევა გადასახლებიდან და ჩამოსვლა თბილისში.

1904 წ. დეკემბერი. მუშათა საყოველთაო გაფიცვა ბაქოში.

1905 წ. 9 იანვარი. სისხლიანი კვირა — რევოლუციის დასაწყისი.

1905 წ. 18 იანვარი. დასაწყისი მუშათა და გლეხთა მასობრივი მოძრაობისა საქართველოში.

1905 წ. აპრილი. პარტიის III ყრილობა.

1905 წ. 8 ივნისი. ა. წულუკიძის სიკვდილი.

1905 წ. ივნისი. საყოველთაო გაფიცვა თბილისში.

1905 წ. 29 აგვისტო. მუშების დახვრეტა თბილისის ქალაქის გამგეობის შენობაში.

1905 წ. ოქტომბერი. სრულიად-რუსეთის ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა.

1905 წ. 17 ოქტომბერი. ნიკოლოზ მეორის მანიფესტი.

1905 წ. ნოემბერი. შეიარაღებული აჯანყება ბათუმში.

1905 წ. ნოემბერი. რსდმპ კავკასიის კავშირის IV ბოლშევიკური კონფერენცია ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

1905 წ. დეკემბერი. შეიარაღებული აჯანყება საქართველოში.

1906 წ. აპრილი-მაისი. პარტიის IV ყრილობა.

1906 წ. აპრილი-ივნისი. I სახელმწიფო სათათბირო.

1907 წ. ამხანაგ სტალინის გადასვლა ქალაქ ბაქოში პარტიული მუშაობისათვის.

1907 წ. თებერვალი-ივნისი. II სახელმწიფო სათათბირო.

1907 წ. მაისი. პარტიის V ყრილობა.

1907 წ. ივნისი. სამი ივნისის სახელმწიფო გადატრიალება.

1907 წ. ნოემბერი. III სახელმწიფო სათათბიროს (1907 — 1912 წ. წ.) გახსნა.

1908 წ. 25 მარტი. ამხანაგ სტალინის დაპატიმრება ქალაქ ბაქოში.

1908 წ. 20 სექტემბერი. ამხანაგ სტალინის გადასახლება ვოლოგდის გუბერნიის ქალაქ სოლვიჩეგოდსკში.

1909 წ. 24 ივნისი. ამხანაგ სტალინის გამოქცევა ვოლოგდის გუბერნიიდან.

1910 წ. 23 მარტი. ამხანაგ სტალინის დაპატიმრება ბაქოში.

1910 წ. 23 სექტემბერი. ამხანაგ სტალინის გადასახლება ვოლოგდის გუბერნიის ქალაქ სოლვიჩეგოდსკში.

1911 წ. 6 ივლისი. ამხანაგ სტალინის გამოქცევა გადასახლებიდან.

1911 წ. ამხანაგ სტალინის დაპატიმრება და კვლავ გადასახლება ქალაქ სოლვიჩეგოდსკში.

1912 წ. რსდმპ (ბ) პრაღის (VI) კონფერენცია.

1912 წ. 4 აპრილი. ლენინის დახვრეტა.

1912 წ. ამხანაგ სტალინის გამოქცევა გადასახლებიდან, დაპატიმრება და გადასახლება ნარიმის მხარეში და კვლავ გამოქცევა.

1912 წ. დეკემბერი. მემამულეთა წინაშე გლეხთა დროებითი ვალდებულების ლიკვიდაცია საქართველოში.

1912 წ. ნოემბერი. IV სახელმწიფო სათათბიროს (1912 — 1917 წ. წ.) გახსნა.

1913 წ. ივნისი. ამხანაგ სტალინის გადასახლება ტურუხანსკის მხარეში.

1913 წ. მუშათა გაფიცვა ჭიათურაში.

1914 წ. აგვისტო. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დასაწყისი.

1914 წ. ნოემბერი. აჯანყება აჭარაში.

1915 წ. მასობრივი საგაფიცვო ბრძოლა საქართველოში.

1916 წ. საგაფიცვო ბრძოლა საქართველოში.

1917 წ. თებერვალი. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და ცარიზმის დამხობა რუსეთში.

1917 წ. 12 მარტი. ამხანაგ სტალინის დაბრუნება გადასახლებიდან.

1917 წ. 3 აპრილი. ვ. ი. ლენინის ჩამოსვლა.

1917 წ. აპრილი-მაისი. რსდმპ (ბ) VII სრულიად-რუსეთის კონფერენცია.

1917 წ. აპრილი. კავკასიის არმიის სამხარეო ყრილობა.

1917 წ. მაისი. მუშათა და გლეხთა დეპუტატების სამხარეო ყრილობა.

1917 წ. ივნისი. გლეხთა სამხარეო ყრილობა.

1917 წ. ივლისი-აგვისტო. რსდმპ (ბ) VI ყრილობა.

1917 წ. სექტემბერი. საყოველთაო გაფიცვა ბაქოში.

1917 წ. ოქტომბერი. რსდმპ (ბ) კავკასიის პირველი სამხარეო ყრილობა.

1917 წ. ოქტომბერი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია.

1917 წ. 3 ნოემბერი. რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაცია.

1917 წ. 11 ნოემბერი. ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატის შექმნა.

1917 წ. დეკემბერი. კავკასიის არმიის II ყრილობა.

1917 წ. დეკემბერი. სტეფანე შაუმიანის დანიშვნა კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრად.

1918 წ. იანვარი. ბოლშევიკურად განწყობილ ჯარისკაცთა დახვრეტა შამქორის სადგურთან.

1918 წ. თებერვალი. ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციური სეიმის გახსნა.

1918 წ. 10 თებერვალი. ბოლშევიკური მიტინგის დახვრეტა ალექსანდრეს ბაღში.

1918 წ. მარტი. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ბაქოში.

1918 წ. მარტი. რკპ (ბ) VII ყრილობა.

1918 წ. მარტი. ბოლშევიკური აჯანყება აფხაზეთში.

1918 წ. მაისი. (ახ. სტ.) ამიერ-კავკასიის „დამოუკიდებელი" დემოკრატიული რესპუბლიკის დაშლა.

1918 წ. 26 მაისი. საქართველოს „დამოუკიდებლობის" გამოცხადება და აქ მენშევიკური ხელისუფლების დამყარება.

1918 წ. ივნისი. გლეხთა აჯანყება დუშეთის მაზრაში.

1918 წ. ივნისი. გლეხთა აჯანყება საჩხერის რაიონში.

1918 წ. აგვისტო-სექტემბერი. საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება ბაქოში. ბაქოს 26 კომისრის დახვრეტა.

1918 წ. დეკემბერი. მენშევიკური საქართველოს ომი დაშნაკურ სომხეთთან.

1919 წ. მარტი. თბილისის ქალაქის თვითმმართველობის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვები.

1919 წ. მარტი. რკპ (ბ) VIII ყრილობა.

1919 წ. მაისი-ოქტომბერი. დენიკინის შემოტევა და მისი განადგურება ამხანაგ სტალინის გეგმის მიხედვით.

1919 წ. ივნისი. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის შექმნისათვის.

1919 წ. ოქტომბერი-ნოემბერი. ბოლშევიკური აჯანყება საქართველოში.

1920 წ. აპრილი. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აზერბეიჯანში.

1920 წ. მაისი. რსფსრ და მენშევიკურ საქართველოს შორის მშვიდობიან ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა.

1920 წ. მაისი. საქართველოს კომპარტიის ლეგალიზაცია.

1920 წ. ივნისი. ს. მ. კიროვის როგორც საქართველოში რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლის ჩამოსვლა თბილისში.

1920 წ. ივნისი. აჯანყება სამხრეთ-ოსეთში მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ.

1920 წ. ნოემბერი. ვრანგელევშჩინის ლიკვიდაცია.

1920 წ. ნოემბერი. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება სომხეთში.

1921 წ. 25 თებერვალი. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში.

1921 წ. 4 მარტი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აფხაზეთში.

1921 წ. 18 მარტი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში.

1921 წ. მარტი. რკპ (ბ) X ყრილობა.

1921 წ. მარტი. მოკავშირე აფხაზეთის სსრ-ის შექმნა.

1921 წ. ივნისი. აჭარის ავტონომიური სსრ-ის შექმნა.

1921 წ. ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნა.

1922 წ. დეკემბერი. სსრ კავშირის შექმნა.

1923 წ. აპრილი. რკპ (ბ) XII ყრილობა.

1925 წ. დეკემბერი. საკ. კ. პ. (ბ) XIV ყრილობა—ინდუსტრიალიზაციის ყრილობა.

1927 წ. დეკემბერი. საკ. კ. პ. (ბ) XV ყრილობა — კოლექტივიზაციის ყრილობა.

1928 წ. 1932 წ. პირველი ხუთწლედი.

1929 წ. დეკემბერი. ამხანაგ სტალინის დაბადებიდან 50 წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაული.

1930 წ. კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

1930 წ. ივნისი-ივლისი. საკ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობა — მთელ ფრონტზე გაშლილი შეტევის ყრილობა.

1932 — 1937 წ. წ. მეორე ხუთწლედი.

1932 წ. ამხანაგ ლ. პ. ბერიას ჩადგომა ამიერ-კავკასიისა და საქართველოს პარტორგანიზაციათა ხელმძღვანელობის სათავეში.

1934 წ. იანვარი. საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობა — გამარჯვებულთა ყრილობა.

1936 წ. ივნისი-ივლისი. სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა.

1936 წ. ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობის შეწყვეტა.

1936 წ. დეკემბერი. საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობა.

1936 წ. ამხანაგ სტალინის მოხსენების თანახმად სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღება.

1937 წ. დეკემბერი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საყოველთაო-ხალხო არჩევნები.

ბიბლიოთეკა

1938 წ. ივნისი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საყოველთაო-სახალხო არჩევნები.

1939 წ. მარტი. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

თავი პირველი

	გვ.
საქართველო ცარიზმის მიერ ამიერ-კავკასიის დაპყრობის პერიოდში	
საქართველოს მდგომარეობა XIX საუკუნის დასაწყისში	3
მმართველობის სისტემა	5
რუსეთის მიერ აღმოსავლეთ და სამხრეთ ამიერ-კავკასიის დაპყრობა	8
საქართველო კოლონიური და ბატონყმური უღლის ქვეშ	13
გლეხთა აჯანყებანი	17
საქართველოს კოლონიზაცია	22
მრეწველობა და ვაჭრობა	24

თავი მეორე

საქართველო XIX საუკუნის 30-იან წლებიდან მასში საგლეხო რეფორმის გატარებამდე	
სამოქალაქო მმართველობის რეფორმა	27
მრეწველობა, ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა	30
1832 წლის შეთქმულება	36
გლეხთა აჯანყებანი 30-იან და 40-იან წლებში	38
განათლება და კულტურა საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში	43
მეფის რუსეთთან საქართველოს შეერთების შედეგები	51

თავი მესამე

კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში	
რუსეთ-თურქეთის ომი 1853-56 წლებში	53
ცარიზმის მიერ კავკასიის საბოლოო დაპყრობა	55
საგლეხო რეფორმის წინამძღვრები საქართველოში	57
ბატონყმობის გაუქმება	62
სასოფლო მმართველობის და სხვა რეფორმების შემოღება საქართველოში	66
გლეხთა ბრძოლა „მემამულური თავისუფლების“ წინააღმდეგ	68
სოფლის მეურნეობა საგლეხო რეფორმის შემდეგ	69
კაპიტალიზმის განვითარება მრეწველობაში	71
სამრეწველო პროლეტარიატის წარმოშობა და მუშათა მოძრაობა	75
ამქართა გამოსვლა თბილისში 1865 წელს	78
აჯანყება სვანეთში	80
რუსეთ-თურქეთის ომი 1877—1878 წლებში და გლეხთა მღელვარება	82
აჭარა ცარიზმის ბატონობის ქვეშ	84
საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის მე-	

ორე ნახევარში 83
ქართული კულტურის ზრდა 86
ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება 94
. 99

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

დასაწყისი მუშათა კლასის ბრძოლისა ცარიზმის წინააღმდეგ

საქართველოში სოციალისტურ იდეათა შემოჭრა და მუშათა პირველი ორგანიზაციები 101
პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია საქართველოში—„მეორე დასი“ 103
ი. ბ. სტალინი 104
მუშათა მასობრივი პოლიტიკური მოძრაობის დასაწყისი 105
სამრეწველო კრიზისი და მოუსავლობა საქართველოში XX საუკუნის დამდეგს 107
ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება 108
ბათუმის დემონსტრაცია ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით 109
ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის პირველი ყრილობა და რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის შექმნა 112
გლეხთა მოძრაობა 1902 წელს 114
საყოველთაო გაფიცვა სამხრეთ რუსეთში 1903 წელს 115
პროლეტარული რევოლუციონერის ლადო კეცხოველის დაღუპვა 117

თავი მეხუთე

1905 წლის რევოლუცია და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლა

ბრძოლა პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის შექმნისათვის 119
რუსეთ-იაპონიის ომი 120
პროლეტარიატი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში . 122
1905 წლის 9 იანვარი. რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისი . . . 123
გლეხთა მოძრაობა 124
ცარიზმის მიერ პროვოკაციულად გამოწვეული სომეხ-აზერბაიჯანელთა ხოცვა-ულეტა 125
ცარიზმის ლონისძიებანი რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად ამიერ-კავკასიაში 126
მდგომარეობა გურიაში 128
რსდმპ III ყრილობა „კავკასიის ამბების გამო“ 129
ალექსანდრე წულუკიძის სიკვდილი 131
მასობრივი რევოლუციური მოძრაობა 1905 წლის ზაფხულის თვეებში . . . 132
მიტინგის მხეცური დახვრეტა თბილისში 1905 წლის 29 აგვისტოს 133
სრულიად-რუსეთის ოქტომბრის გაფიცვა 135
1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტი 137
რევოლუციური მოძრაობის ზრდა არმიაში 138
დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება 139

მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება XX საუკუნის დასაწყისში

ბრძოლა მარქსისტული მეცნიერებისათვის საქართველოში 143
ქართული ლიტერატურა 144

მ. გორკი და ვ. ვ. მაიაკოვსკი და ქართველი ხალხი 146
რევოლუციური ბრძოლა 1906 წელს 148

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეექვსე

სტოლიპინის რეაქცია

1907 წელი საქართველოში 151
ამხანაგ სტალინის მუშაობა ბაქოში 151
ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება სტოლიპინის რეაქციის წლებში 152
კაპიტალის შემოტევა და მუშათა კლასის მდგომარეობა 153
სოფლის მდგომარეობა 154
საქართველოს კოლონიზაცია 155
ბოლშევიკების გმირული ბრძოლა 156
გლეხთა დროებითი ვალდებულების ლიკვიდაცია 158

თავი მეშვიდე

საქართველო მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში

სამეურნეო რღვევა 159
პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლა 160
რევოლუციური სულისკვეთების ზრდა სოფლად და არმიაში 161
აჯანყება აჭარაში 1914 წელს 162
ნაციონალური ბურჟუაზია და მემამულენი ომიანობის წლებში. 163
ბოლშევიკების რევოლუციური მუშაობა ომის წლებში 165
განათლება და კულტურა საქართველოში რევოლუციის წინ (1907—1917 წ. წ.) 168

თავი მერვე

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი და მენშევიკური საბჭოები 173
ბოლშევიკების ბრძოლა მასების დაუფლებისათვის 174
კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების I ყრილობა 176

თავი მეცხრე

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ამიერ-კავკასია

ამიერ-კავკასიის კომისარიატი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში . . 180
ბაქოს პროლეტარიატი—ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ავანგარდი 181
არმიის ბოლშევიზაცია 182
სოფლის ბოლშევიზაცია 183
ამიერ-კავკასიაში სამოქალაქო ომის დაწყება 184
სამარცხვინო ზავი თურქეთთან 187
საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ბაქოში და საქართველოს ცალკეულ რაიონებში 187
„ამიერ-კავკასიის დემოკრატიული ფედერატიული რესპუბლიკის“ აღსასრული და ამიერ-კავკასიის დაშლა 188

თავი მეათე

საქართველო მენშევიკების ბატონობის ქვეშ და ბრძოლა მაზე პროლეტარული რევოლუციისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

	გვ.
ქართველი მენშევიკები იმპერიალისტებისა და რუსი თეთრგვარდიელების სამსახურში	191
ნაციონალური გართულებანი	193
მენშევიკების ბრძოლა ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ	194
მენშევიკების საშინაო პოლიტიკა და მშრომელი მასების მდგომარეობა	195
ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის	196
განათლება და კულტურა	200
პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება საქართველოში	201

თავი მეთერთმეტე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნა	204
საქართველოს ინდუსტრიალიზაცია	207
სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია	211
კულტურისა და მეცნიერების აყვავება	215
დიადი სტალინური კონსტიტუციის კაშკაშა მზის ქვეშ	219
საქართველოს ისტორიის ძირითადი თარიღები	222

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადაეცა წარმოებას 2/I-40 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/II-40 წ. ანაწყობის ზომა 6½ × 10½. ქაღალდის ზომა 60 × 92. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 14,5. მთავლიტის რწმუნ. № 2465. შეკვეთის № 40. ტირაჟი 100.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ეორესის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა